


ანტიკური
მწერლობა



მარკუს ტულუს ციცერონი

სიტყვები და დიალოგები



ქართული
ლიტერატურის
კლასიკები

სექსტუს როსციუსის დასაცავად

I. ვგრძნობ თქვენს გაოცებას, ბატონო მსაჯულნო; როგორ გავბედე წამოდგომა აქ, სადაც მშვიდად სხედან ცნობილი ორატორები და გამოჩენილი პიროვნებები, რომელთაც ვერც ნიჭით, ვერც სახელით, ვერც ასაკით მივედრები. ყველამ, ვისაც აქ ხედავთ, კარგად იცის, როსციუსი უდანაშაულოა, მისი საქმე განუკითხავად არის დამძიმებული ცრუ ბრალდებებით და სიმართლის აღსადგენად ხმის ამაღლებაა საჭირო, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავს ქომაგად დაუდგეს ბრალდებულს; თუმცა ვალდებულნი არიან დაეხმარონ, დუმილს არჩევენ, საფრთხე რომ განირიდონ თავიდან. ჩანს, მე ვყოფილვარ ყველაზე უშიშარი? ან იქნებ სხვაზე მეტად მევალება როსციუსის გამოსარჩლება? სრულიადაც არა! არც სახელის მოხვეჭას ვარ ესოდენ დახარბებული, ეს საქმე ვინმესთვის წამეგლიჯა ხელიდან. მაშ, რატომ გამოვიდე თავი ასე ძალიან? ახლავე მოგახსენებთ.

აქ დამსწრე საზოგადოებიდან რომელიმე ცნობილ პიროვნებას რომ ენებებინა როსციუსის დაცვა, ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამსაც უნდა შეხებოდა; სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა ბრალდებულის ცხოვრების წარმოჩენა და მისი უდანაშაულობის მტკიცება. ეს კი თავისთავად ძალზე სახიფათოა, უნებურად ზედმეტი რამ არ

ნამოცდეს, სხვაგვარად არ გაიგონ ნათქვამი და ამან მითქმა-მოთქმა არ გამოიწვიოს. ბრძენსა და გონიერ კაცს ერთ წინდაუხედავ სიტყვას არ შეარჩენენ, მე კი ამის შიში არა მაქვს; შემოძლია თავისუფლად ვილაპარაკო, არც თანამდებობა მზლუდავს და არც ასაკი; ჩემს სითამამეს ახალგაზრდობას დააბრალებენ და იოლად მომიტყევენ. თუმცა არა მარტო პატიებას გადავეჩვიეთ, დანაშაულის ძიებაც აღარ ხდება ჩვენს ქვეყანაში კარგა ხანია. დარწმუნებული ვარ, როსციუსის დაცვა შესთავაზეს ვინმეს, მაგრამ ეტყობა, მაინცდამაინც არ მისძალებიან და ალბათ მანაც ადვილად დაიძვრინა თავი ამ მძიმე მოვალეობისაგან. მე კი ისეთმა ღირსეულმა ადამიანებმა მთხოვეს, ვისაც პატივს ვცემ, ვის მეგობრობასა და ჩემდამი კეთილგანწყობილებას დიდად ვაფასებ და ვისი სურვილიც ჩემთვის კანონია.

II. ამგვარად აღმოვჩნდი დამცველის როლში. ნიჭიერებით კი არ გამომარჩიეს. არა, სწორედ იმიტომ, რომ ყველაზე ჩვეულებრივი ვარ და ამდენად საფრთხეც ნაკლებად მემუქრება. როცა ეს საქმე მომანდეს, ჩემში როსციუსის ძლიერი მფარველი როდი დაინახეს; მთლად მიუსაფარი რომ არ დარჩენილიყო ბედკრული, მე დამაკისრეს მისი დაცვა. ალბათ გიკვირთ, ასე რამ დააფრთხო, რამ შეაშფოთა ეს ღირსეული ვაჟკაცები, რომ ვერ გაუბედავთ თანამოქალაქის გამოსარჩლება, რასაც ადრე თავისუფლად ახერხებდნენ. ეტყობა, ხეირიანად არც კი იცით ეს ამბავი, რადგან ბრალმდებლებმა ისე მიაფუჩეჩეს სინამდვილე, ისე გაბერეს, გააუკუღმართეს, რომ კაცი მტყუნასა და მართალს ძნელად გაარჩევს. მაინც რა მოხდა ასეთი?

სექსტუს როსციუსის მამის ქონება, 600 000 სესტერციუმად² შეფასებული, ბრწყინვალე და უმამაცესი ვაჟკაცის, სულას³ ხელშეწყობით (მე მის სახელს დიდი მოწინებით მოვიხსენიებ) 200000 სესტერციუმად შეისყიდა ჩვენს ქალაქში სიმდიდრით ცნობილმა კაცმა ლუციუს კორნელიუს ქრისოგონმა⁴, რაც თავად აღიარა. ახლა მას სურს, მსაჯულებო, რომ კანონიერად ცნოთ მის მიერ უპატიოსნოდ მითვისებული სიმდიდრე. რაკი როსციუსის ვაჟი ცოცხალია, ეს ცხადია, ხელს უშლის ამ სურვილის შესრულებაში. მას იმედი აქვს, რომ თქვენ გაუნელებთ შიშს და გაუქარწყლებთ ეჭვებს, დღენიადაგ რომ არ



ასვენებს. კარგად ესმის, უსამართლობაა, შვილს მამის ქონებაში შეეცილო, ამიტომ ხელს აძლევს, როსციუსი სცნოთ დამნაშავედ და დასაჯოთ, რომ ქრისოგონმა თავისუფლად იპარპაშოს, ლაღად იცხოვროს იმ ქონების ხარჯზე, რასაც უნამუსოდ ეპოტინება. თუ თქვენ მიგაჩნიათ, ბატონებო, რომ მას ამის ნება აქვს, თუ უჩვეულოდ არ გეჩვენებათ მისი სურვილი, მაშინ მეც მომაპყარით ყური; ჩემი თხოვნა მის კადნიერ წადილთან შედარებით უფრო სამართლიანია.

III. ნუთუ არ უნდა იკმაროს სხვისი ქონება და ფულები, სიცოცხლეს რაღად უმწარებს, ვისაც ყველაფერი წაართვა. თქვენი ვალია, მსაჯულებო, შეაჩეროთ ეს ბოროტება, წინ აღუდგეთ თავხედობას, უდანაშაულო ჭაბუკს შეუმსუბუქოთ მწუხარება და საფრთხისაგან დაიცვათ ისიც და ჩვენც. თუ როსციუსს ვინმე ამხელს სულ მცირე დანაშაულშიც კი, თუ რაიმე საეჭვოს დაინახავთ მის საქციელში, რის გამოც შეიძლებოდა მისი სამსჯავროზე მოხმობა, მაშინ თავს არ შევინუხებ გამოსარჩლებით, დაე, იგი ამ ბრალმდებლებს ჩაუვარდეს ხელში. უკეთუ უბრალო აღმოჩნდება, ვირწმუნებ, ეს ბრძოლა მის წინააღმდეგ მამამისის ქონების ხელში ჩასაგდებად წამოიწყეს. როსციუსის დასჯა გაუმაძლარ ადამიანებს მსუყე ლუკმის დაკარგვის შიშს გაუქარწყლებს. ხედავთ, სადამდე მიდის მათი თავხედობა, რომ ბილნი ზრახვების შესრულებას თქვენი განაჩენის შემწეობით აპირებენ. ავაზაკობითა და ბოროტებით მოპოვებული ქონების კანონიერი მეპატრონე სურთ გახდნენ. სადაც სამართალია, ამ გლადიატორებსა და კაცისმკვლელებს რიდი და მოწინება უნდა ჰქონდეთ თქვენი, ესოდენ გამორჩეული პიროვნებებისა, ვინც ღირსეულად ატარებთ სენატორთა საპატიო წოდებას, ვისაც წილად გხვდათ, ვითარცა ყველაზე მკაცრსა და მიუკერძოებლებს, ამ სხდომის წარმართვა; ნაცვლად ამისა, ეს ყაჩაღები, არა მარტო სასჯელის აცილებას გთხოვენ, არამედ სურთ ამ სასამართლო დარბაზიდან თქვენი წყალობით გამარჯვებულები და გამდიდრებული გამოვიდნენ.

IV. აი, ამ საშინელებებზე მინდოდა მესაუბრა რიხიანად, მკაცრად და გაბედულად, მაგრამ ვგრძნობ, მიზანს ვერ მივაღწევ, ამის მიზეზი

ის გახლავთ, რომ მჭევრმეტყველების ნიჭი მაკლია, მკაცრი ტონი ჩემი ასაკისათვის შეუფერებელია, თამამი სიტყვის ნებას დღევანდელი ვითარება არ მაძლევს; თანაც ჩემი თანდაყოლილი სიმორცხვე მბოჭავს, მონიშნავს დეგრადაციას და გავლენა ერთგვარად მთრგუნავს, ხოლო საფრთხე, რომელიც როსციუსს ემუქრება, მეც შიშს მინერგავს. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, ბატონებო, კეთილი ყურით ისმინეთ ჩემი ნათქვამი. თქვენი სიბრძნისა და პატიოსნების მოიმედებე ვიკისრე ისეთი ტვირთი, რაც ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. თუ მას ნაწილობრივ მაინც შემომსუბუქებთ, ჩემდათავად არაფერს დავიშურებ, ბოლომდე ვზიდო ეს მძიმე ჭაპანი, თუ მხარში არ ამომიდგებით – ეს, ცხადია, არ მოხდება – სულით არ დავეცემი და ჩემს დაწყებულ საქმეს არ მივატოვებ. თუ ამას ვერ შევძლებ, მიჯობს, მოვალეობის ამ მძიმე უღელმა ქვეშ დამიტანოს, ვიდრე სულმდაბლობამ თუ სხვა უკეთურმა აზრმა ხელი ამალეზინოს ჩემს განზრახვაზე.

შენცა გთხოვ, მარკუს ფანიუს⁹, გულისხმიერებას ნუ მოგეაკლებ ნურც ჩვენ, ნურც რესპუბლიკას; შენ ხომ ბურჯად იდექი წლების მანძილზე აქ, როცა მუდმივ სასამართლო სხდომებს განაგებდი.

V. ხომ ხედავ, რამდენმა ხალხმა მოიყარა თავი; იცი ალბათ, რასაც მოითხოვენ – დამნაშავეთა სასტიკად დასჯას. დღეს პირველად ვიკრიბებით მკვლელობის საქმის განსახილველად. მანამდე ხომ არავის ეცალა ამ ამბებისათვის; რამდენი ბოროტება შერჩათ კაცისმკვლელებს. იმედი მაქვს ახლა მაინც, შენი პრეტორობის დროს, ბოლო მოელება ყოველდღიურ სისხლისღვრას და ავისმზრახველნი მართლმსაჯულებას ვერ დაემალებიან.

ხომ გინახავთ ბრალმდებლები ხმის ჩახლეჩამდე რომ გაჰყვირიან სასამართლოზე, დამნაშავე რომ ამხილონ; ჩვენც ასე გვმართებს ახლა მოქცევა, თავი რომ დავიცვათ. გვედრებით, ფანიუს, მოსამართლენო, თქვენც მოგმართავთ: მთელი სიმკაცრით დასაჯეთ ბოროტმოქმედნი; ლაგამი ამოსდეთ გათავხედებულ არაკაცებს; გახსოვდეთ, თუ ახლა სიმტკიცეს არ გამოიჩინო, წინ არ აღუდგებით დამნაშავეთა სურვილს, ბოროტებას, უზნეობას, მაშინ

აქვე, ფორუმზე, შენს ტრიბუნალთან დაიღვრება სისხლი, მარკუს ფანიუს, სადმე შორს კი არა, თქვენს თვალწინ, ამ სავარძლებთან დატრიალდება უბედურება, მსაჯულნო. აი, რისი სურვილი აქვთ ამ ავაზაკებს; აი, ამ უფლების მოპოვებას ესწრაფვიან. სხვაგვარად როგორ ავხსნათ ის გარემოება, რომ თავს იცავს როსციუსი, უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანი, ვისაც მამისეული ქონებიდან არაფერი შეარჩინეს, მისი სიმდიდრის მიმტაცებელი კი ბრალმდებლის როლშია. ადანაშაულებენ ისინი, ვისაც სექსტუს როსციუსის სიკვდილმა ბედნიერება მოუტანა, თავს იმართლებს ის, ვინც მამის დალუპვამ გაალატაკა და დიდ განსაცდელში ჩაადო. ვინც ამ მკვლელობაზე ოცნებობდა, იგი შვილს სდებს ბრალს, სასამართლოს წინაშე უნდა პასუხი აგებინოს მას, ვინც ამაღლის გარეშე მოსვლა ვერ გაბედა აქ, იმის შიშით, ჩვენს თვალწინ არ ჩაექოლათ. რალა ბევრი გავაგრძელო, მომჩივანნი ისინი არიან, ვის დასჯასაც ხალხი მოითხოვს, თავს იცავს ის, ვინც ბოროტებასა და მუხანათობას ძლივს გადაურჩა. კარგად რომ დაგარწმუნოთ ამ უზნეო ადამიანთა თავხედობაში, გაგაცნოთ ქვეყნის გასაჭირი, უდანაშაულო ჭაბუკის სიბრალულოთ კიდევ უფრო აგივსოთ გული, წვრილად გიაშობთ ყოველივეს.

VI. როსციუსის მამა ამერიელი⁶ გახლდათ. იგი განთქმული იყო სიმდიდრითა და ოჯახისშვილობით არა მარტო თავის ქალაქში, არამედ მეზობელ მუნიციპიებშიც. მის სტუმართმოყვარეობას⁷ აფასებდნენ და პატივს სცემდნენ საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებები. მის ახლობლებად ითვლებოდნენ დიდგვაროვანი და გავლენიანი ადამიანები. თავს ნებას მივცემ, პატივისცემით მოვიხსენიო ისინი: მეტელუსები, სციპიონები, სერვილიუსები⁸. მამისეული ქონებიდან როსციუსს ამ ადამიანთა კეთილგანწყობილება შემორჩა მხოლოდ, სხვას ყველაფერს გულღრძო ნათესავეები დაეპატრონნენ და ახლა უდანაშაულო ვაჟის პატიოსნებას მეგობრები და მოკეთეები იცავენ. განსვენებული მუდამ მხარში ედგა წარჩინებულთ უკანასკნელი არეულობის დროს, როცა კეთილშობილ მოქალაქეთა ღირსებასა და სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა, მათ დასაცავად ყველაფერი

იღონა, გამოიყენა თავისი გავლენა, გამოიჩინა სიმტკიცე და შეუპოვრობა. როსციუსს მიაჩნდა, რომ თავი არ უნდა დაეზოგა იმ მოქალაქეთა ღირსების შესანარჩუნებლად, ვისი წყალობითაც თავად პატივსაცემ ადამიანთა რიგებს ეკუთვნოდა. ეს ბრძოლა კეთილშობილთა გამარჯვებით დამთავრდა; როცა ხმალი ქარქაშში ჩავაგეთ, დაიწყო პროსკრიპციების⁹ შედგენა, მონინალმდეგეებთან ანგარიშსწორება, დატუსაღება; ამ დროს როსციუსი თამამად დააბიჯებდა რომში, ფორუმზე ყველას თვალწინ ტრიალებდა, რათა დაენახათ, რომ იზიარებდა გამარჯვებულთა სიხარულს და არა იმიტომ, რომ რაიმე საფრთხეს გრძნობდა მათგან.

როსციუსს ორი კაცი მტრობდა ოდითგანვე; ორივე ამერიელი გახლავთ, ორივე როსციუსია. ერთ მათგანს, როგორც ყური მოვკარი, განსვენებულის სამი საუკეთესო მამული მიუთვისებია, მეორეს კი... აქ ხედავთ ბრალმდებლის სავარძელში მოკალათებულს. ეს მტრობა ძალზე აფიქრებდა როსციუსს, მაგრამ სამწუხაროდ მის თავიდან ასაცილებლად არაფერი უღონია, თორემ ახლა ცოცხალი იქნებოდა. მართლაცდა მეტი სიფრთხილე ჰმართებდა, მსაჯულნო. ერთი ამ ავაზაკთაგანი ტიტუს როსციუს კაპიტონია, მეორე, ვინც აქ გვესწრება, ტიტუს როსციუს მაგნუსია¹⁰. კაპიტონი ცნობილი გლადიატორია, ასპარეზობაში გამარჯვებული; იგი წვრთნიდა ამ მაგნუსს, რომელიც დღემდე ახალბედად ითვლებოდა, ახლა კი, რამდენადაც ვიცი, ბევრად გადააჭარბა თავის მასწავლებელს ბოროტებასა და ვერაგობაში.

VII. თავად განსაჯეთ, როცა სექსტუს როსციუსი, მკვლელობაში ეჭვმიტანილი, ამერიაში, თავის მამულში იყო და მამის სურვილისამებრ სამეურნეო საქმეებს განაგებდა, ცხოვრობდა ისე, როგორც სოფელელ კაცს შეეფერება; ეს ტიტუს როსციუსი რომში ბრძანდებოდა. ყველამ იცის, ქალაქიდან ფეხი არ მოუცვლია, მაშინაც, როცა სექსტუს როსციუსი პალაციუმის¹¹ აბანოებთან მოკლეს, განსვენებული სადილობიდან შინ ბრუნდებოდა. განა საკითხავია, ვინ შეიძლება იყოს ბოროტების მოთავე? მაგრამ, რაკი ეს მხოლოდ ვარაუდია და ამას დასაბუთება სჭირდება, მანამდე, მოდით, ბრალ-

დებული დამნაშავეთა თანამოზიარედ და მოკავშირედ ჩავთვალოთ.

როსციუსის მკვლელობის ამბავი ამერიკაში ყველაზე უნინ ერთმა ბოგანო ლიბერტინმა, ამ ტიტუს როსციუსის კლიენტმა და ახლობელმა მალიუს გლავციამ¹² ჩაიტანა იქ, მაგრამ მოკლულის ვაჟის სახლში კი არ მივიდა, არამედ ტიტუს კაპიტონთან, სექსტუს როსციუსის მტერთან. მკვლელობა ღამის პირველი საათისათვის მოხდა; ეს მალემსრბოლი გამთენიის ხანს უკვე ამერიკაში იყო. ათი საათი იქროლა ეტლით, 50 მილი შეუსვენებელი ირბინა, რომ სექსტუს როსციუსის მტრისათვის სასურველი ამბავი ეხარებინა და საბუთად ჭრილობიდან ამოღებული მახვილი ეჩვენებინა, რომელსაც სისხლი ჯერ არ შეშრობოდა. ოთხი დღის შემდეგ ამ მკვლელობის შესახებ ლუციუს სულას ბანაკში, ვოლატერესთან¹³ აუწყეს ქრისოგონს; როსციუსის საარაკო სიმდიდრეზეც ჩამოუგდეს სიტყვა, იმ მამულებზე, ტიბრის გაყოლებაზე რომ არის ჩამწკრივებული, ცამეტ სხვადასხვა ადგილას; არც ის დავინწყებიან, მოეხსენებინან, რა უმწეო, უსუსური მემკვიდრე დარჩა; დააჯერეს, რომ სადაც სექსტუს როსციუსის, ასეთი შესანიშნავი, ცნობილი პიროვნების მოკვლა არ გასჭირვებიათ, ამ სოფლელი, უბირი ბიჭის მოშორება, რომელსაც რომში არავინ იცნობდა, არ იქნებოდა ძნელი. რაღა ბევრი გავაგრძელო და, შეიკრა უღვთოთა კავშირი.

VIII. თუმცა პროსკრიპციები კარგა ხნის შედგენილი იყო; ხალხს შიშმა უკვე გადაუარა, საფრთხეგამოვლილი მოქალაქენი თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ. ამ დროს როსციუსი, კეთილშობილთა დამცველი და ქომაგი, შავ სიებში შეიტანეს. მისი სიმდიდრე ქრისოგონმა მიისაკუთრა; სამი საუკეთესო მამული კაპიტონმა მიითვისა, დანარჩენი 600000 სესტერციუმის ქონება 200000 სესტერციუმად ამ ტიტუს როსციუსმა შეისყიდა, როგორც თავად ამბობს, ქრისოგონის ნებართვით. ამის თაობაზე დარწმუნებული ვარ, სულამ არაფერი იცოდა, ან რა გასაკვირია, ასეთ ვითარებაში რამე გამორჩენოდა, ჯერ იყო და, რა გაჭირვება არ გამოვიარეთ, ახლა არის და, კიდევ არ ვიცით, რა მოგველის; ომის საკითხი იქნება თუ ზავისა, ყველა ამ ერთი კაცის გადასაწყვეტია, ყველა მას შესცქერის, ყველაფერს

ის განაგებს, თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება არა აქვს და როგორ გინდა, რომ მისი მზერა ყველგან მისწვდეს. მას კი მუდამ უთვალთვალევენ, ოდნავ გვერდზე რომ მიიხედოს, დროს იხელთებენ და ბოროტების ჩადენას არ დაახანებენ. მართალია, სულას „ნეტარად“¹⁴ უხმობენ და სავსებით სამართლიანად, მაგრამ რაც არ უნდა ბედნიერი იყო, არ შეიძლება ასეთ მრავალრიცხოვან ოჯახში ერთი უღირსი მაინც არ გამოგერიოს, ან მონა, ან აზატი. ამასობაში ტიტუს როსციუსი, ეს ვითომდა პატიოსანი კაცი, ქრისოგონის ერთგული და მონა-მორჩილი, ამერიიში ჩადის, ისაკუთრებს როსციუსის მამულს; მის საბრალო ვაჟს, მწუხარებით განადგურებულს, ხეირიანად მამის დატირებისა და დასაფლავების ნებას არ აძლევს, შიშველ-ტიტველს გააძევებს შინიდან, მოსწყვეტს მშობლიურ კერასა და პენატებს¹⁵, თვითონ კი მისი დიდებული სახლ-კარის მფლობელი ხდება. სიდუხჭირეში გაზრდილი კაცი, სხვისი ქონებით უცებ გამდიდრებული, ჩვეულებრივ თავხედდება. ასე დაემართა ამ უკეთურსაც; ბევრი რამ თავის სახლში გაზიდა დაუფარავად, უფრო მეტი – მალულად; თავის დამქაშებსაც უწილადა ბლომად. რაც მორჩა, საჯაროდ გაყიდა.

IX. ამ ამბავმა ამერიელები ისე შეაშფოთა, მთელ ქალაქში ზარი და გლოვა ისმოდა. წარმოიდგინეთ, რა უბედურება არ დატრიალდა მათ თვალწინ; ბრწყინვალე თანამოქალაქის ამაზრზენი მკვლელობა, დევნა და ძარცვა მისი მემკვიდრისა, რომელსაც ამ მუხანათმა ყაჩაღებმა მამის საფლავისაკენ მისასვლელი ბილიკიც არ დაუტოვეს, ქონება სამარცხვინოდ გაუყიდეს, დაიტაცეს, მიითვისეს, გააჩუქეს, მოიპარეს. კაცი არ დარჩენილა ამერიიში, არ ენატროს, ნეტავი დამწვარიყო როსციუსის სახლ-კარი, ოღონდ არ ენახა, როგორ დაიბლინძებოდა მის ეზო-გარემოში ტიტუს როსციუსი. და აი, დეკურიონებმა¹⁶ უმაღლესადანწყობეს, ათი კაცი შეერჩიათ სულასთან გასამგზავრებლად, რომლებსაც უნდა მოეხსენებინათ, როგორი პიროვნება იყო როსციუსი, დაეჩვილათ ავაზაკთა მიერ ჩადენილ უსამართლობასა და ბოროტებაზე და ეთხოვათ მისთვის, აღედგინა განსვენებულის სახელი და ღირსება, ხოლო მისი უდანაშაულო ვაჟისათვის მემკვიდრეობა დაებრუნებინათ. გთხოვთ გაეცნოთ ამ გადაწყვეტილებას.

[დეკურიონთა გადანყვეტილება]. ელჩები მიდიან ბანაკში. გამოირკვა ის, რაც ადრე მოგახსენეთ, რომ სულამ ამ ბოროტებისა და საჩოთირო ამბის თაობაზე არაფერი იცოდა. შეშინებული ქრისოგონი მაშინვე მიიჭრა ელჩებთან, ცნობილი პიროვნებები მიუგზავნა თხოვნით, სულას ყურამდე არ მიეტანათ ეს საქმე, სანაცვლოდ ყველაფერში დახმარებას ჰპირდებოდა; მას სიკვდილი ერჩია ამ ამბის გახმაურებას. შუაკაცები ძველი თაობის ადამიანები იყვნენ, შეურყვნელი და უმნიცვლო; სხვებიც ასეთივე ეგონათ, ამიტომ იოლად ირწმუნეს ეს დაპირება, რომ როსციუსის სახელს პროსკრიპციებიდან ამოშლიდნენ, შვილს კი მამულებს დაუბრუნებდნენ. როცა ტიტუს როსციუსს კაპიტონმაც, რომელიც იმ ათ წარგზავნილთა შორის იყო, კვერი დაუკრა, რომ ყველაფერი მოგვარდებოდა, ელჩები აღარ გაჯიუტდნენ და საჩივარი არ აღუძრავთ. ამის შემდეგ, ჯერ იყო და, საქმე ერთი დღით გადადეს, მერე – ორით, თანდათან გააჭიანურეს, განელეს ვადა; ესეც არ იკმარეს და მასხრადაც აიგდეს მომჩინებები, ბოლოს კი სექსტუს როსციუსის სიცოცხლეს დაემუქრნენ. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მიხვდნენ, რომ სანამ მემკვიდრე ცოცხალი იყო, სხვის ქონებას ასე იოლად მათ არავინ დაანებებდა.

X. სექსტუს როსციუსმა, საფრთხე რომ იგრძნო, მოკეთებების რჩევით რომს მიაშურა და მამამისის ძველ მეგობართან, ცეცილიასთან (ღრმა პატივისცემით მოვიხსენიებ მის სახელს), ნეპოტის ქალიშვილთან, ბალეარის დასთან¹⁷ მივიდა. ყველას კარგად მოგეხსენებათ, ბატონო მსაჯულნო, რა სამაგალითო პიროვნებაა ეს ქალი, ერთგული დამცველი ძველი ადათებისა. მან უმწეო, შინიდან გაძევებული, თავისი მამულებიდან დევნილი, ყაჩაღთა მახვილსა და მუქარას გამოქცეული სექსტუს როსციუსი თბილად მიიღო, შეიფარა დაჩაგრული და სასომიხილი. მისი მეურვეობის, მუყაითობისა და თავგამოდების წყალობით ბრალდებული სიკვდილსა და პროსკრიპციებს გადაურჩა და თქვენს წინაშე დგას განაჩენის მოლოდინში. როცა ეს ბედოვლათები მიხვდნენ, როსციუსს ასე იოლად ვერ გაუხსნორდებოდნენ, რადგან მის სიცოცხლეს მამის ახლობლები უფრთხილდებოდნენ, გაუგონარ თავხედობას მიმართეს: გადან-

ყვიტეს მისთვის მამისმკვლელობა დაებრალეზინათ, დაესმინათ სასამართლოში, ეპოვათ ვინმე ძველი თაღლითი ბრალმდებელი, ცილისწამების ოსტატი. თუმცა როსციუსს ვერავითარი სამხილი ვერ მოუძებნეს, მაგრამ იმედოვნებდნენ, რაკი სასამართლო კარგა ხანია უმოქმედოდ იყო, ეს პირველი სამსჯავრო სიმკაცრეს გამოიჩენდა და დანაშაულში ეჭვმიტანილს ხალხის სურვილით დასჯიდა. იმასაც ფიქრობდნენ, ქრისოგონის შიშით როსციუსის დაცვას ვერავინ გაბედავდა, კრინტსაც ვერ დაძრავდნენ ბოროტმოქმედთა კავშირზე და მამულების გაყიდვის თაობაზე. მამისმკვლელობა ისეთი საშინელი ბრალდებაა, შიშით სიტყვას ვერავინ შეაწევდა ბრალდებულს. ეს ყველაფერი გაითვალისწინეს და როსციუსი თქვენ მოგიგდეს დასასჯელად, რაკი თვითონ ვერ მოახერხეს მისი მოშორება, თუმცა დიდად მონადინებული იყვნენ.

XI. ბატონებო, რა გზას დავადგე, ვის შევჩივლო, რით დავიწყო, ან ვის მივმართო? ვის შევევედრო, უკვდავ ღმერთებს, რომელს ხალხს, თუ თქვენ, მსაჯულნო, ვის ხელთაც არის ძალაუფლება. კეთილშობილ მოქალაქეს მუხანათურად კლავენ, სახლ-კარსა და ქონებას სტაცებენ, ისაკუთრებენ, მისი შვილის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ, უსაფრდებიან, თავს ესხმიან, მახვილს უღერებენ, კიდეც რა ვერაგობა შეიძლება კაცმა მოიფიქროს? ამა-საც არ სჯერდებიან, გაუგონარი დანაშაული სურთ დააბრალონ როსციუსს, რომლის ფულებით მისსავე წინააღმდეგ მოისყიდეს ბრალმდებლები და მოწმეები. სხვა რა გზა დარჩენია როსციუსსო, ფიქრობენ, ან ტიტუს როსციუსს უნდა გაუშვიროს კისერი, ან ტყავის გუდაში გამომწყვდეულმა სამარცხვინოდ უნდა დაასრულოს თავისი სიცოცხლე. მათი ვარაუდით, ბრალდებული ქომაგს ვერ იშოვიდა. მართლაც ასე მოხდა. მაგრამ მოიძებნა კაცი, ვინც მზადაა, ნათელი მოჰფინოს მის საქმეს, კეთილსინდისიერად დაიცვას იგი. ეს კი ბევრს ნიშნავს. ასეთი მოვალეობა მე ვიკისრე, მსაჯულებო. იქნებ ჩემმა ახალგაზრდობამ გამაბედინა ასეთი ნაბიჯის გადადგმა. არ ვიცი, მაგრამ ვფიცავ ღმერთებს, რადგან გადავწყვიტე, უკან არ დავიხიო, თუნდაც დიდი ხიფათი და საშინელება დამატყდეს თავს,

ყველაფერს დაუფარავად მოგახსენებთ, უფრო მეტიც, ~~მეტიც~~ უშიშრად, შეუპოვრად ვილაპარაკებ. ვერავითარი ძალა, ~~ბატონი~~ ნინ ვერ გადამელობება, არაფერს დავერიდები, ჩემს მოვალეობას პირნათლად შევასრულებ. ანკი რომელ ჭკუათამყოფელს შეეძლოა მშვიდად და გულგრილად უყუროს ამ ამბებს და ხმა არ ამოიღოს; კაცს მამა მოუკალით, შემდეგ პროსკრიპციებში შეიტანეთ, შვილი სახლიდან გააძევეთ, მის ქონებას დაეპატრონეთ, კიდევ რალა გინდათ ამ საბრალოსგან? იქნებ მახვილითა და შუბებით შეიარაღებულნი სხედხართ სავარძლებში, რომ აქვე მოუღოთ მას ბოლო?

XII. მაგონდება, ერთი თავზეხელაღებული კაცი ცხოვრობდა ჩვენში, გაიუს ფიმბრია¹⁸, რომლის საოცარ თავხედობაზე ყველა აღშფოთებით ლაპარაკობდა მისივე მსგავსი არამზადების გარდა. გახსოვთ, მისი წყალობით გაიუს მარიუსის დაკრძალვაზე დაჭრეს კვინტუს სცევოლა¹⁹, ფრიად თვალსაჩინო, სათნო, დიდებული პიროვნება, რომლის ქებას აქ არ მოყვები. ამის დრო ახლა არ არის. ერთს მოგახსენებთ მხოლოდ. რომაელმა ხალხმა კარგად იცის, თუ რა დამსახურება მიუძღვის მას ქვეყნის წინაშე. ფიმბრიამ როცა შეიტყო, შეიძლება დაჭრილი სცევოლა გადარჩენილიყო, სასამართლოში უჩივლა მას. როცა ჰკითხეს, რა უნდა დააბრალო ისეთ კაცს, რომლის ღირსებების ჩამოთვლას ძნელად თუ შეძლებს ვინმეო, ასე თავხედურად უპასუხა: კარგად რად არ მიუშვირა მახვილს კისერიო. რომაელებს სცევოლას მკვლელობაზე ამაზრზენი არაფერი უნახავთ. ისინი დათრგუნა და გაანადგურა ამ კაცის სიკვდილმა. სცევოლა იმ ხალხმა გაიმეტა, ვისი გადარჩენისა და შემორჩევისათვის თავად იბრძოდა. ფიმბრიას სიტყვები და მისი მოქმედება ხომ არ გაგონებთ დღევანდელ ამბავს? რაში ადანაშაულებთ სექსტუს როსციუსს? იმაში, რომ ხელიდან გაგისხლტათ და სიკვდილი არ ისურვა? სცევოლას მკვლელობას საშინელ ბოროტებად მიიჩნევთ, აქ რაც მზადდება ქრისოგონის მეოხებით, ვითომ მოსათმენია? ეს ღმერთების სახელით ხდება. როსციუსის დაცვას ორატორობის იშვიათი ნიჭი არ სჭირდება, მის გამოსარჩლებას დიდი ჯაფა და ენერგია არ უნდა. ხელის გულზე გადაგიშლით მთელ ამბავს, ბატონო მსაჯულნო, რომ

იოლად ჩანვდეთ საქმის ნამდვილ არსს და იმასაც მიხვდეთ, რაზე უნდა ვისაუბრო მე და როგორ უნდა მოიქცეთ თქვენ.

XIII. ჩემი აზრით, საქმეს სამი გარემოება ართულებს: მონი-
ნაალმდეგეთა გაუგონარი სითამამე, მათი ძლიერი გავლენა და
ცილისმწამებლური ბრალდება, რომლის შეთითხნა ერუციუსმა
იკისრა; თავხედური მოქმედების გეგმა როსციუსს დაავალეს,
ქრისოგონმა კი თავისი გავლენის გამოყენება სცადა. თითოეულ
მათგანზე დანვრილებით შევჩერდები, თუმცა ჩემი საქმე უშუალოდ
ბრალდების საკითხია, დანარჩენი ორის განსჯას თქვენს მოვალეო-
ბად თვლის რომელიმე ხალხი, მსაჯულებო. მე ბრალდების თაობაზე
უნდა ვისაუბრო, ვეცადო დაგიმტკიცოთ, რომ იგი ცილისწამებაა
მხოლოდ. თქვენ კი, ბატონებო, უნდა ალაგმოთ თავხედობა, მოთო-
კოთ ბოროტგანზრახვის მოთავენი, შეანელოთ მათი განუზომელი
ძალა, რომელიც ესოდენ საშიშია მოქალაქეთათვის.

სექსტუს როსციუსს მამის მკვლელობას აბრალებენ. ო, უკვდავო
ღმერთებო, ნეტავი მალე გამომზეურდეს ეს ამაზრზენი დანაშაული,
რომლის ბადალი ბოროტება ქვეყნად არ მეგულება. ბრძენ ადამი-
ანებს ერთი ლამაზი გამოთქმა აქვთ: მამის გული შვილის ერთმა
კუშტმა გამოხედვამაც შეიძლება დაკოდოსო. თუ ეს ასეა, წარ-
მოდგინეთ, რა სასჯელი უნდა მიეზღოს მას, ვინც ხელს აღმართავს
თავის მშობელზე. ეს ისეთი იშვიათი, საშინელი და შემადრწუნებელი
ავკაცობაა, რის მოსმენაც არათუ ეხამუშება ყურს, არამედ უბე-
დურების მომასწავებელ ნიშნადაც ითვლება. ასეთ დანაშაულს რომ
აბრალე, ერუციუს, რა მტკიცებები მოგაქვს საამისოდ? ნუთუ არ
არის საჭირო, ორიოდ სიტყვა ითქვას ბრალდებულის თავხედობაზე,
მის მხეცურ ბუნებაზე, მანკიერებაზე, სიშმაგეზე, უტიფრობაზე,
რამაც ასეთი საშინელება ჩაადენინა. არაფერი ამდაგვარი შენ
როსციუსზე არ გითქვამს, რითაც შეიძლებოდა მისი გამტყუნება.

XIV. როსციუსმა მოკლა ღვიძლი მამა. მერედა, ვინ არის ეს მკვლე-
ლი? ვიგინდარების მიერ ნაქეზებული ბედოვლათი შვილი? ორმოც
წელს გადაცილებული კაცი, თავხედი, მკვლელობაში ნაცადი ძველი
ყაჩაღი? მსგავსი არაფერი მოგისმენია ბრალმდებლებისაგან. იქნებ

ხელგაშლილობამ, დროსტარებამ, განცხრომით ცხოვრებამ, დიდმა ვალებმა ჩაადენინა ეს ბოროტება. მაგრამ ერუციუსის თქმით, როსციუსი თითქმის არასდროს უნახავთ ლხინში; ვალები არ ჰქონია, მის განცხრომასა და ვნებებზე ლაპარაკიც ზედმეტია; თავად ბრალმდებელმა აღნიშნა, მუდამ სოფელში იყო და მიწას ჩიჩქნიდაო. სოფლის მეურნეობა იმდენ ჯაფასა და შრომას მოითხოვს, ვნებებისათვის დროს არ უტოვებს გლეხკაცს. მაშ, რამ გააგიჟა როსციუსი, რა იყო მისი გაუგონარი ბოროტების მიზეზი? მამამისს არ უყვარდაო, გვიმტკიცებს ბრალმდებელი. რატომ? ამას ხომ მრავალი საარწმუნო და დამაჯერებელი საბუთი სჭირდება. უმიზეზოდ ვერც შვილი გაიმეტებს მამას, და ვერც მშობელი – საკუთარ პირმშოს უსაფუძვლოდ. ისევ შვილს დავუბრუნდეთ. იქნება ჰქონდა რაიმე ნაკლი, რის გამოც მამა ვერ იტანდა. მსგავსი რამ მისთვის არ შეუნიშნავთ. ჩანს, მამა ყოფილა შლეგი; აბა, ლეიძლ შვილს ვინ აითვალისწინებს უბრალოდ. მაგრამ ყველამ იცის, როგორი მშვიდი ბუნების იყო განსვენებული. მაშ, თუ მამა არ იყო დამთხვეული, შვილს არ შეიძულებდა, თუ არც შვილი იყო ზნედაცემული, მამის მოკვლას გულშიც არ გაივლებდა.

XV. არ ვიცი, რატომ არ უყვარდაო, – აღნიშნავს ბრალმდებელი, მაგრამ მეორე ვაჟი რომ ცოცხალი ჰყავდა, იგი გვერდიდან არ მოუშორებია, ეს კი სოფელში გამოკეტაო. აი, ამ ერთადერთ მიზეზს ეჭიდება ერუციუსი. მეც ამასვე მოვიშველიებ ბრალდების გასაბათილებლად. რაკი მას უკეთესი სამხილის მოძებნა არ ძალუძს, მეც მიჭირს მისი უაზრო, უსუსური მტკიცებების უარყოფა. დაფიქრდი, ერუციუს, რას ამბობ. ნუთუ ასეთი მშვენიერი, ნაყოფიერი მამულები როსციუსმა თავის ვაჟს იმისთვის უბოძა, დაესაჯა იგი? მამა ყოველთვის ცდილობს, განსაკუთრებით მუნიციპიებში, რომ შვილი სოფლის მეურნეობაში გაინაფოს, მამულის მოვლა-პატრონობა ისწავლოს. შენ მიგაჩნია, როსციუსმა შვილი სოფელში გააგდო სამუშაოდ, სადაც იგი თავს ირჩენდა მხოლოდ და უნებართვოდ ხელს ვერაფერს ახლებდა? მაგრამ ყველამ იცის, როსციუსი მამის სიცოცხლეში მამულებიდან მიღებულ შემოსავალს სურვილისამებრ იყენებდა. ეს, შენი აზრით, განდევნა, გაძევებაა? ხედავ, ერუციუს,

როგორ დაშორდი ჭეშმარიტებას? ჩვეულებრივი ამბავი უჩვეულოდ გეჩვენება, სიკეთე სიძულვილში გერევა; თუ მამა შვილს პატივისცემის ნიშნად რაიმეს დაუთმობს, შენ ფიქრობ, ამას დასჯის მიზნით აკეთებს? განა არ იცი, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ სამხილი არ გაგაჩნია და ამიტომაც მეც მეურჩები, ყველას აზრს ეწინააღმდეგები; არც ბუნების კანონებს ემორჩილები და არც ადათ-წესები მიგაჩნია რაიმედ.

XVI. მაშ, ასე, ორი ვაჟიდან როსციუსს ერთი მუდამ თან ახლდა, მეორე კი სოფელში ჰყავდა გაშვებული. ეს არის და ეს შენი ბრალდების ქვაკუთხედი. გთხოვ, ერუციუსს, რასაც ახლა გეტყვი, სანყენად ნუ მიიღებ. უბრალოდ, ერთი რამ მინდა მოგაგონო. თუ შენ ბედმა დაგჩაგრა და არ იცი, ვინ იყო მამაშენი²⁰, ვერ მიხვდები, როგორია მამაშვილური სიყვარული. მაგრამ, რაკი ბუნებამ შენც გინილდა ადამიანური თვისებები, განათლებული, მწერლობის ტრფიალი კაცი ხარ, გაიხსენე ცეცილიუსის²¹ კომედიიდან მოხუცი. ვითომ მას ნაკლებად უყვარს ვაჟი ევტიხი, რომელიც სოფელში ჰყავს გაგდებული, რომ დასაჯოს და მეორე შვილს ქერესტატუსს (მე მგონი, ასე ჰქვია მას) უფრო პატივს სცემს და ქალაქში აცხოვრებს? უჰ, რა შორს გაუტიო, – გაიკვირვებ შენ. მართლაცდა, განა გამიძნელებოდა ნიმუშად მომეყვანა რომელიმე მეზობელი, ან ჩემი ტრიბის წევრი, ვინც სიამოვნებით ამუშავენს შვილს სოფლად, მაგრამ მოვერიდე კონკრეტული პიროვნების დასახელებას სასამართლოზე, ეგებ არ ესიამოვნოთ, ეწოთიროთ აქ მოხსენიება, თანაც თქვენთვის სწორედ ეს ევტიხია უფრო ცნობილი და რა მნიშვნელობა აქვს, კომედიის ვმირს მოვიყვანა მაგალითად თუ ვეიის²² მცხოვრებს. პოეტების მიერ მოგონილ სახეებში ხომ ჩვენი ხასიათი და ყოველდღიური ყოფა ჩანს. მოდი, თვალი გაუსწორე სინამდვილეს და დარწმუნდები, ოჯახის უფროსი რა საქმიანობას თვლის თავისი შვილისათვის სასიკეთოდ არა მარტო უმბრიაში და მის შემოგარენში, არამედ აქაც, ძველ მუნიციპიებშიც. მაშინ მიხვდები, სამხილის უქონლობამ გაიძულა სექსტუს როსციუსისათვის დანაშაულად ის ჩაგეთვალა, რაც სინამდვილეში მისი ღირსებაა.

XVII. ერთი რამეც არის გასათვალისწინებელი. შვილს ვერ აიძულებ, თუ თავადაც არ სურს, მიწას შეალიოს ძალ-ლონე. მე ვიცნობ ბევრს, ვისაც სოფლად ცხოვრება, საქმიანობა სამარცხვინოდ და სათაკილოდ კი არ მიაჩნია, არამედ საპატიო და სასიამოვნო შრომად. ასეთებს ალბათ თქვენც მრავალს გაიხსენებთ. შენ როგორ ფიქრობ, ერუციუსს, სექსტუსს როსციუსი მუყაითი მეურნეა? როგორც მისი ახლობლებისაგან, უპატიოსნესი ადამიანებისაგან მსმენია, მან კარგად იცის თავისი საქმე, რასაც შენ ვერ დაიკვეხნი. ქრისოგონს ჰგონია, რადგან მამულები აღარ დარჩა, როსციუსმა თავისი საქმიანობა უნდა დაივინყოს და მიატოვოს, რაც სამწუხარო და დასანანი იქნებოდა, მაგრამ საბრალო მზადაა, უსიტყვოდ დაითმინოს ეს უბედურება, ოღონდაც თქვენი წყალობით, მსაჯულებო, თავი გადარჩინოს და პატიოსანი კაცის სახელი დაიბრუნოს. იმის ატანა კი, როცა მისივე ნაყოფიერი მამულების გამო, რომელსაც ძალ-ლონე შეაღია, უბედურებაში ახვევენ, ძალიან ძნელია. თითქოს არ კმაროდეს მისი ოფლით მონაგარს რომ სხვები ითვისებენ და მას დანაშაულად მუყაით შრომას უთვლიან.

XVIII. რა სასაცილო იქნებოდი ბრალმდებლის როლში, ერუციუს, ძველად რომ გეცხოვრა, როცა გუთნისდედებს კონსულებადაც კი ირჩევდნენ. შენ თუ სათაკილოდ მიგაჩნია, გლეხი იდგეს ხელისუფლების სათავეში, მაშინ ატილიუსზე²¹ რაღას იტყოდი; იგი ხნულში მდგარი იხილეს მასთან წარგზავნილებმა, თავისი ხელით თესავდა მარცვლეულს. შენ ალბათ მას პატივყარილ და უღირს ადამიანად ჩათვლიდი. ღმერთმანი, ჩვენი წინაპრები სულ სხვაგვარი შეხედულებისანი იყვნენ ამგვარ ვაჟკაცებზე, რომელთაც ჩვენი ღარიბი და სუსტი ქვეყანა უძლიერეს და უმდიდრეს სახელმწიფოდ აქციეს; ამას თავიანთ მინდვრებში მუყაითი შრომით მიაღწიეს, სხვისი მამულების დატაცებით კი არა. მათ სიქველესა და გარჯას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ასე განივრცო ქვეყანა, გამრავლდა ხალხით, ქალაქებით, ასე გაიზარდა რომაელთა დიდება. ნუ ფიქრობთ, თითქოს ვინმეს მოქმედება მინდა განვსაჯო და მასთან შესადარებლად მოვიყვანე ეს მაგალითი. უბრალოდ მინდა დარწმუნდეთ,

ჩვენს წინაპრებს შორის იყვნენ ისეთი გამორჩეული, ჩინებული ადამიანები, რომლებსაც სახელმწიფოს მართვაც ხელეწიფებოდათ, მაგრამ მინდვრად მუშაობასაც არ არიდებდნენ თავს. იმ კაცს რაღას ამტყუნებთ, ვინც სოფელში დამკვიდრდა, თავი გლეხად მიაჩნდა და სიამოვნებით შრომობდა მიწაზე, რადგან იცოდა, ამ სასარგებლო საქმიანობით მამის სურვილსაც ასრულებდა. რადგან სოფელში საცხოვრებლად გაიმეტა, ამით ხსნი, ერუციუს, მამის საშინელ სიძულვილს შვილისადმი? იქნებ დაგემატებინა რაიმე შენი მოსაზრების გასამტკიცებლად. რატომაც არაო, რიხიანად მპასუხობ შენ. მამას განზრახული ჰქონდა, არ მიეცა შვილისთვის მემკვიდრეობა. ეს უკვე სხვა ამბავია. ეს გამოდგება მიზეზად, თორემ აქამდე რასაც ამბობდი, შენც დამეთანხმები, ძალიან უსუსური საბუთი იყო. ლხინში მამასთან ერთად არასდროს უნახავთო. როგორ უნდა ენახათ, თუ რომში არ ჩადიოდა. სტუმრად არავინ ეპატიუებოდა ქალაქშიო. რა გასაკვირია, იქ არ ცხოვრობდა და როგორღა მიიწვევდნენ.

XIX. ხომ ხედები, რა სისულელებს ამბობ. მოდი, ისევ იმ ერთადერთ მიზეზს დავუბრუნდეთ, რომელიც ჭეშმარიტ სამხილად გამოდგება. მამას უნდოდა შვილისათვის მემკვიდრეობის წართმევაო. არ გეკითხები, რატომ დაიჟინა ეს მამამ. მაგრამ შენ თუ იცი, უნდა დაასახელო მიზეზი, შენი მოვალეობა ხომ ეს არის, შენ ხომ ბრალმდებელი ხარ და საშინელი ბოროტება უნდა ამხილო. ამიტომ შენ აქ უნდა გესაუბრა როსციუსის ვაჟის ბიწიერებაზე, თუ რა შესცოდა ისეთი, რამაც ასე გააცოფა მშობელი მამა, რომ გულის სიღრმიდან ამოიგლიჯა პირმშოს სიყვარული. უარი თქვა მის მამობაზე. ვფიქრობ, ასეთი რამ მხოლოდ შვილის საშინელ, ამაზრზენ საქციელს შეეძლო გამოენვია. რატომ დუმხარ ამაზე? კარგი, რახან ასეა, არც მე ჩაგიდგები ჯიბრში. მაგრამ, რაკი მიზეზს ვერ ასახელებ, ცხადია, სათქმელიც არაფერი გაქვს. შვილისთვის მემკვიდრეობის წართმევა სურდაო, რომ ბრძანებ, ამას აუცილებლად სჭირდება დასაბუთება. გაქვს ამის მტკიცების საფუძველი? არა, რაიმე მაინც მოიგონე თავის დასაძვრენად, თორემ ხომ ყველა მიხვდება, რა სურვილიც გამოდრავებს – აბუჩად აიგდო საბრალო

როსციუსი და ფეხქვეშ გათელო აქ დამსწრე პატიოსან ადამიანთა ღირსება. კიდევ ერთხელ გეკითხები, ერუციუს, რატომ უნდოდა მემკვიდრეობის წართმევა? არ ვიციო, – ამბობ. ხომ არ წაართვა. არა. რამ შეუშალა ხელი? არც ამაზე მაძლევ პასუხს. – ასე ფიქრობდაო. მაგრამ ვის გაანდო თავისი ხვაშიადი? – არავის. რას ჰგავს ეს! ასეთ მძიმე ბრალდებას უყენებ ადამიანს და არამცთუ ვერ ასაბუთებ, არამედ არც ცდილობ ამას. ნუთუ ამას კანონების, სასამართლოს უგულებელყოფა არ ჰქვია და შენი უფლებების ბოროტად გამოყენება საკუთარი ანგარებისა და გამორჩენისათვის? ყველამ კარგად ვიცით, ერუციუს, როსციუსს შენთან არავითარი შუღლი არ ჰქონია; იმასაც ვხვდებით, რატომ აცხადებ თავს მის მტრად. როსციუსის ქონება გხიბლავს, ხომ მართალია? ასე როგორ დაგიმონა სიხარბემ, რომ არც რემიუსის²⁴ კანონი ჩააგდე რამედ და არც კეთილშობილ მოქალაქეთა აზრი.

XX. რაც უფრო მეტი იქნება დანაშაულის მხილებათა რიცხვი, მით უკეთესი ქვეყნისათვის. იქნებ თავხედობა მართლმსაჯულების შიშმა შეაჩეროს. მაგრამ ბრალმდებლებმა აბუჩად არ უნდა აიგდონ ადამიანები. როცა უდანაშაულოს ბრალს სდებენ ეჭვის საფუძველზე, შემძლია შევუწოდო ბრალმდებელს, თუ იგი ცილს არ სწამებს, არ დასცინის, თუ ხელჩასაჭიდი სამხილი აქვს და ცდილობს დაასაბუთოს თავისი მოსაზრება. თუ ბრალმდებლები ბლომად გვეყოლება, ეჭმიტანილ, მაგრამ მართალ კაცს, იმედია, გაათავისუფლებენ, ნამდვილ დამნაშავეს კი, თუ ბრალდება არ დაუმტკიცდა, არ დასჯიან. სჯობს, ბოროტმოქმედი თავისუფლად დადიოდეს, ვიდრე უდანაშაულო დაისაჯოს. მოგეხსენებათ, კაპიტოლიუმში რა პატივში ჰყავთ ძაღლები და ბატები²⁵. მათი შენახვისათვის სახელმწიფო იღებს ხარჯებს. ეს ცხოველები გარკვეულ სამსახურს უწევენ ადამიანებს იმით, რომ საჭიროების დროს განგაშს ატეხენ ხოლმე. მართალია, ნამდვილი ქურდის გამოცნობა არ ძალუძთ, მაგრამ ღამით, ვინმე კაპიტოლიუმს რომ მიუახლოვდეს, მაშინვე შეგვატყობინებენ. ცხადია, ზოგჯერ ცდებიან, მაინც ფრიად სასარგებლო საქმეს გვიკეთებენ. მაგრამ თუ დღისით, ღმერთების თაყვანსაცემად

მისულთ ძალები ყეფით მივარდებიან, კანჭებს გადაუმტვრევენ, რადგან უდროო დროს იჩენენ სიფრთხილეს. ბევრი ბრალმდებელი ამგვარად იქცევა. ზოგი თქვენგანი აყიყინებულ ბატს გვაგონებს, რომელსაც ვნების მოტანა არ შეუძლია; ზოგიც ავი ძალღივით ყეფს და ილრინება კიდევ. ვიცით, გასამრჯელოს გულისთვის აკეთებთ ამას, მაგრამ იმას მაინც დაესხით თავს, ვინც ამას იმსახურებს. ხალხს სიამოვნებს ამგვარი სანახაობა. კეთილი, თუ დამნაშავედ მიგაჩნიათ ვინმე, ეჭვიმითანაილს უყეფეთ, რამდენიც გენებოთ. მაგრამ თუ ვინმეს მამისმკვლელობას აბრალებთ და ვერ ასაბუთებთ ამას, რატომ ან როგორ ჩაიდინა ასეთი უმძიმესი ცოდვა და მხოლოდ უაზროდ აყმუვლდებით, წვივებს არ დაგილენავენ, მაგრამ ამ პატიოსან მსაჯულთა ამბავი რომ ვიცი, „კ“ ასოს ისე ლამაზად ამოგშანთავენ შუბლზე, რომ მის გამო სიტყვა კალენდის ხსენებაზეც კი გაგაჟოლოვებთ და სამუდამოდ გაგიქრებათ ცილისწამების ხალისი⁸.

XXI. გულმონყალე ბრალმდებელო, ერთი მითხარი, როსციუსს სჭირდება ვითომ დამცველი? არის აქ რაიმე საეჭვო? ეშინოდა მემკვიდრეობა არ დაეკარგაო, რომ გვიცხადებ, რატომ ვერ გვისაბუთებ ამას? მამამისს სურდა ესო, გვეუბნები. რითი ამტკიცებ ამას? ვერაფრით. ისიც არ იცი, მამამ ვისთან ერთად გადაწყვიტა, ვის გაანდო ეს აზრი; თქვენ საიდან გაგიჩნდათ ასეთი ეჭვი, ესეც არ არის ნათელი. ასეთი უსუსური ბრალდება, ერუციუს, ააშკარავებს შენს ფიქრებს: „რაც ვიკისრე, ვიცი; რა ვთქვა ახლა, ეს კი არ ვიცი. ქრისოგონმა დამარწმუნა, როსციუსის დაცვას ვერავინ გაბედავდა, რომ კრინტსაც ვერავინ დაძრავდა მამულების გაყიდვაზე“. აი, ერუციუს, ამან გაგაბედინა სიცრუის თქმა. დარწმუნებული ვარ, რომ გცოდნოდა, მოპასუხე გეყოლებოდა, ხმას არ ამოიღებდი.

თუ მიაქციეთ ყურადღება, მსაჯულებო, როგორ აუღელვებლად, დინჯად წარმოთქვა სიტყვა ბრალმდებელმა; როგორ წამოდგა მშვიდად და თვალი მოავლო იქვე მსხდომთ, დაჯერებულმა იმაში, რომ როსციუსს დამცველი არ ეყოლებოდა; მაგრამ ყასიდად მაინც იკითხა, ვინ აპირებდა ბრალდებულის გამოსარჩლებას. ჩემკენ არც მოუხედავს, რადგან დამცველის როლში წინათ არასოდეს გამოვ-

სულვარ. როცა დარწმუნდა, როსციუსის გამოსარჩლებისათვის არავინ იწუხებდა თავს, ვისაც ეს ევალეობდა და ვისაც ეს შეეძლო, გათამამდა. შუა სიტყვის დროს ხან ადგებოდა, ხან დაჯდებოდა; ერთი-ორჯერ მონასაც მოუხმო, ალბათ სადილი შეუკვეთა. საერთოდ ისე თავისუფლად იქცეოდა, თითქოს მარტო ყოფილიყო, თქვენს აქ ყოფნას არად აგდებდა.

XXI. დაამთავრა სათქმელი თუ არა, დაჯდა. შემდეგ მე წამოვდექი; ეტყობა, შვებით ამოისუნთქა; ჩემი არ ეშინოდა. დავინყე ლაპარაკი; იგი ყურადღებას არ მაქცევდა, შევამჩნიე, გვერდით მსხდომთ ექილიკებოდა, ერთობოდა... სანამ ქრისოგონის სახელი არ ვახსენე. ახლა კი იკადრა ჩემკენ მოხედვა, წელში გასწორდა, სახეზე გაოცება გამოეხატა. მივხვდი, მიზანში მოვარტყი. მეორედ, მესამედაც რომ ვახსენე ეს სახელი, სხვებიც აჩოჩქოლდნენ, დაინყეს წინ და უკან სირბილი. ალბათ ქრისოგონთან აფრინეს ვინმე, რომ ეცნობებინათ, როგორ აირია ყველაფერი, გამოჩნდა კაცი, ვინც მის წინააღმდეგ ხმა ამოიღო, უშიშრად ამხილა ბოროტმოქმედთა კავშირი, სამზეოზე გამოიტანა მამულების გაყიდვის ამბავი და მსაჯულთა ყურადღება მიიპყრო. გამოტყდი, ერუციუს, რომ შეცდი. ხედავ, როგორ შეტრიალდა საქმე?! როსციუსის გამართლებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, იმას მაინც მივალწიეთ, ყველაფერს თავისი წამდვილი სახელი ვუნოდეთ, თაღლითთა საქციელი გამოვავაშკარავეთ. შენ გეგონა, როსციუსს განირავდნენ. ვისაც მისი დაღუპვა ჰქონდა დავალებული, სწორედ ისინი გამოექომაგებიან მას. შენი ნაქები სიბრძნე და ცბიერება ველარ გიშველის. აღიარე, ხომ ფიქრობდი, აქ სამსჯავრო კი არა, სასაკლაო მოენწყობოდა.

მაშ, ასე. დღეს მამისმკვლელობის საქმეს ვარჩევთ. ბრალმდებელი კი ვერ გვისაბუთებს, რატომ მოკლა მამა შეილმა. მაშინ, როდესაც სულ მცირე გადაცდომასაც არ დავაბრალებთ კაცს ხელალებით, სანამ საგულდაგულოდ არ გამოვიკვლევთ ყველა წერილმანს სიმათლის დასადგენად, ერუციუსი საჭიროდ არ ცნობს, ასეთი უმძიმესი დანაშაულის გამომწვევი მიზეზი დაასახელოს. არადა, რამდენი რამის გამოჩხრეკაა საჭირო, აწონ-დანონა, მონმეთა

ჩვენებების შეჯერება. არც ბრალმდებლის ნიჭმა და თავგამოდებამ არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში. ბრალდებულის ცხოვრება ღრმად უნდა შევისწავლოთ, მისხალ-მისხალ, თუ რა უკეთებია, თუ რამ თავხედობა, უზნეობა ჩაუდენია ოდესმე. თუ ეს დადასტურდა, შემდეგ ბოროტების სათავე უნდა ვეძებოთ, კვალდაკვალ მივყვეთ, რა ვითარებაში მოხდა დანაშაული. თუ ასე არ მივდიეთ საქმეს, თუ ასე არ გამოვიაშკარავეთ, ასეთ უმძიმეს ცოდვას კაცს ვერ დავაბრალებთ. ასეთი ბოროტების წარმოდგენაც კი ძალზე ძნელია, იმდენად ღრმა, სათუთია მამაშვილური სიყვარული. მშობელს ვინც დღეს დაუბნელებს, ვისი წყალობითაც თავად იხილა მზის შუქი, მას შეიძლება ადამიანის სახით მოვლენილი ურჩხული ეუნოდოთ, რომელიც თავისი სიშმაგით მხეცზე უარესია, რადგან ამ უკანასკნელს ბუნებამ უბოძა ნიჭი თავისიანის დანდობისა.

XXIII. მინდა ერთი, არცთუ შორეული ამბავი გავიხსენო, ბატონე-ბო. ტიტუს ცელიუსი, ტარაციინელი²⁷, საკმაოდ ცნობილი პიროვნება, როგორ იპოვეს გამთენიის ხანს ოთახში ყელგამოღადრული, სადაც წინა დღით ნავახშმევს შევიდა თავის ორ მოზრდილ ვაჟთან ერთად მოსასვენებლად. სამხილის უქონლობის გამო ეჭვი ვერავისზე მიიტანეს; ვერც მონა და ვერ აზატი ვერ დაადანაშაულეს. ამიტომ ვაჟებს დასდეს ბრალი. სხვაგვარად როგორ მოქცეულიყვნენ, როცა შვილები ამტკიცებდნენ, არაფერი გაგვიგიაო. მართლაც, როგორ შეიპარა მკვლელი ოთახში ისე, რომ ორმა ჭაბუკმა ვერაფერი იგრძნო და ვერ უშველა მამას? ამგვარად ვაჟებზე ეჭვი მიიტანეს. მიუხედავად ამისა, ისინი გაათავისუფლეს ამ ბრალდებისაგან მას შემდეგ, რაც დადასტურდა, რომ მძინარენი იპოვეს ოთახში, კარები კი ღია იყო. ყველამ ირწმუნა მათი უდანაშაულობა, რადგან ასეთი საშინელი ბოროტების ჩამდენი კაცი, მამისმკვლელი, ვერაფრით მოახერხებს ასე უეცრად დაძინებას; ის კი არადა, მთელი ცხოვრება დაკარგავს სიმშვიდეს.

XXIV. გავიხსენოთ, რას გვიამბობენ პოეტები, რა გამუდმებით სდევნიან ფურიები დედისმკვლელებს, რომლებიც მამის სისხლის ასაღებად იბრძვიან²⁸. მშობელზე ხელის აღმართვა, თუნდაც

შურისძიების მიზნით, გაუმართლებელია. ასეა, ბატონებო. სისხლით ნათესაობა ბევრს ნიშნავს, მას განუზომელი ძალა აქვს. იგი დიდ მოვალეობას გვაკისრებს. ეს არის უანგარო, უფაქიზესი გრძნობა, რომელიც გულის სიღრმემდე შეგძრავს; მან შეიძლება თავზე ხელი აგაღებინოს და გაუგონარი სიშმაგე ჩაგადენინოს. ნუ გგონიათ, ტრაგედიებში აღწერილი ამბები ნამდვილია. თითქოს უღვთო და ბოროტმოქმედ ადამიანებს ფურიები ანთებული ჩირაღდნებით დასდევნენ, მოსვენებას არ აძლევენ; ამ უკეთურებს თავიანთი ცოდვა და სიშმაგე უფრო აფორიაქებს, საკუთარი დანაშაული აგიჟებს, ჩადენილი ბოროტების შეცნობა და გააზრება აძრწუნებს. აი, ესენი არიან უნმინდურთა მუდმივი ფურიები, რომლებიც დღენიადაგ სდევნიან ბოროტ შვილებს და მათ დასჯას მოითხოვენ. მშობლის სასიკვდილოდ გამეტება შვილის მიერ, უმძიმესი ცოდვაა, რომლის დაჯერებაც კი არ შეიძლება, თუ ამის საფუძველს დამნაშავის ცხოვრება არ იძლევა. თუ კაცი უტიფარი არის, თავხედი, თავქარიანი, შფოთისთავი, უზნეო, ქარაფშუტა, ვისი სახელიც მრავალჯერ ამოსვრილა ლაფში, თუ ამის გამო მამისგან მოძულებულია, თუ ეშინია, მამამ არ დასაჯოს, თუ ცუდ მეგობრებში ტრიალებს, თუ ჰყავს მონები, რომლებიც მზად არიან ბილწი ზრახვების განხორციელებაში დაეხმარონ, თუ ხელსაყრელი შემთხვევა დაუდგება ამ საშინელი ბოროტების ჩასადენად, მაშინ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ მასში. მოკლედ, მსაჯულებმა მამის სისხლით ხელშეღებილი შვილი უნდა დაინახონ, რომ ირწმუნონ ასეთი გაუგონარი დანაშაული. სანამ სამხილი არა გვაქვს, ასეთ ბოროტებას ვერავის დავაბრალებთ, ხოლო როცა ჭეშმარიტებას მივაკვლევთ, მაშინ უმკაცრესი სასჯელი უნდა მივუზღაოთ დამნაშავეს.

XXV. რომაელებს რომ ბადალი არ ჰყოლიათ სიმამაცეში, ამას მრავალი ბრძოლა ადასტურებს. სიბრძნეშიაც რომ ვერავინ სჯობნის, ამას ისიც მოწმობს, თუ როგორი უჩვეულო სასჯელი მოიფიქრეს გაუგონარი ავაზაკობისათვის. ამის მიხედვით თქვენ შეგიძლიათ განსაჯოთ, თუ როგორ გამოირჩეოდნენ ჩვენი წინაპრები სხვა ბრძენ ხალხებს შორის. მოგეხსენებათ, რა გონივრულად იყო მოწყობილი

ათენთა ძლიერი სახელმწიფო. გადმოცემის თანახმად, ამ ქვეყნის მმართველთა შორის უპირველესი იყო სოლონი², რომლის კანონები ახლაც ძალაშია. როცა მას ჰკითხეს, რატომ არ დაანესა სასჯელი მშობლის მკვლელობისათვის, ასეთი პასუხი გასცა: ამის ჩამდენი კაცი არ მეგულებაო. ამბობენ, სწორადაც მოიქცა. ასეთი კანონი იმიტომ არ გამოსცა, ვინმეს არ გასჩენოდა სურვილი ამ საშინელი ცოდვის ჩადენისა. აბა, ახლა შეადარეთ ჩვენი წინაპრების წინდახედულება. მათი აზრით თავზეხელაღებული კაცი ყველაფერს იკადრებს. ერთხელაც იქნება და, არას დაგიდევთ წმიდათანმიდა გრძნობას და ხელს აღმართავს ღვიძლ მამაზე. ამიტომ ისეთი სასჯელი მოიგონეს, რომელსაც გამოუსწორებელი ბოროტმოქმედიც კი უნდა შეეშინებინა, ვისაც მშობლისადმი რიდი და პატივისცემა ბუნებამ ვერ ჩაუწერა. მშობლის მკვლელს ტყავის გუდაში ჩასვამდნენ ცოცხლად და მდინარეში გადაისროდნენ.

XXVI. აი, რა საოცარი სიბრძნე გამოიჩინეს, მსაჯულებო. მშობლის მკვლელს საზოგადოების ხორცმეტად თვლიდნენ და მის ამოშანთვას ცდილობდნენ. იგი არც ცამ უნდა მიიღოს, არც მიწამ და წყალმა, არც მზემ უნდა იხილოს ასეთი ბოროტი, ვინც ღვიძლ დედას ან მამას, მისთვის სიცოცხლის მიმნიჭებელს, გაიმეტებს სასიკვდილოდ. იგი ჩვენს საერთო მშობელს – ბუნებას – სიკვდილის შემდეგაც ვერ უნდა მიეკაროს. ასეთ უკეთურს მხეცებსაც არ გადაუგდებენ საჯიჯგნად, რათა უწმინდური სხეულის შეხებით კიდევ უფრო არ გაშმაგდნენ; მდინარეში არ გადაისვრიან შიშველ გვამს, რომ წყალი არ წაიბილნოს და არ დაკარგოს უნარი ცოდვების განწმენდისა. მიწა მიცვალებულისაა, ცოცხალი ადამიანის – ჰაერი, ნაპირი – ტალღით გამორიყულთა. მამისმკვლელები სანამ ცოცხალნი არიან, ისე ცხოვრობენ, თავისუფლად სუნთქვაც კი არ შეუძლიათ, მოკვდებიან და მათ ძელებს მიწას არ მიაბარებენ, მდინარე აღმა-დაღმა ატარებს, მაგრამ ვერ განწმენდს მათ ლეშს, ბოლოს სადმე სალ კლდეზე შეაღწევს; იქაც ვერ ჰპოვებს განსასვენებელს.

მაშ, ერუციუს, ასეთ ბოროტებაში ბრალს სდებ როსციუსს, მიზეზი კი არ გსურს მსაჯულებს მოახსენო. აქ რომ ქრისოგონი

იყოს მსაჯულად და ის ვაჟბატონები, ბრალდებულის ქონებას ვინც დაეპატრონენ, მაშინაც კი გამართებდა სიფრთხილე, რომ დამაჯერებელი სამხილი წარმოგედგინა დამნაშავის წინააღმდეგ. შენ, ეტყობა, ვერ გრძნობ, რა ხდება აქ; ან კარგად ვერ შეგიცვნია ეს მსაჯულები. კაცს ასეთი მკვლელობას ხელალებით აბრალებ უსაბუთოდ, თანაც ასეთი ბრძენი ადამიანების თვალწინ, ვისაც კარგად მოეხსენება, რომ უმიზეზოდ საერთოდ არაფერი ხდება ქვეყნად.

XXVII. მიზეზის დასახელება არ შეგიძლია. კარგი, ასე იყოს. თუმცა თავი გამარჯვებულად უნდა ჩავთვალო, როსციუსის უდანაშაულობაში დაჯერებულმა, მაინც უარს ვაცხადებ ჩემს უფლებაზე (რასაც სხვა დროს არ გავაკეთებდი) და ჩემს რიგს დაგითმობ; პასუხი გამეცი არა იმაზე, რატომ მოკლა, არამედ – როგორ მოკლა. მაშ, ასე. გეკითხები, ერუციუს, მაინც როგორ მოახერხა ეს? გითმობ მოპასუხის როლს; გინდა სიტყვა შემანყევტინე, გინდა კითხვაზე კითხვით მიპასუხე, თანახმა ვარ, ოღონდ მითხარი, როგორ მოკლა მამა? თვითონ ჩასცა მახვილი, თუ სხვას დააეალა ეს საქმე? თუ თავად მოკლაო, ამტკიცებ, რომში რომ არ ყოფილა? თუ სხვები დაეხმარნენ, ვინ იყვნენ ისინი? მონები? თავისუფალი მოქალაქენი? სადაურნი იყვნენ მკვლელები, ამერიელები? კერძოდ, ვინ? დაასახელე. თუ რომის მცხოვრებნი იყვნენ, როსციუსი საიდან იცნობდა მათ? იგი ხომ ქალაქში იშვიათად ჩადიოდა და სამ დღეზე მეტხანს არ ჩერდებოდა. სად იპოვა მკვლელები? ვის ესაუბრა ამაზე, რას შეჰპირდა ამის საზღაურად? საჩუქრები დაურიგა? ვის მისცა, ვისი ხელით, რა დაუჯდა მათი მოქრთამვა? ჰქონდა ამის საშუალება? საიდან? განა ასე ძირისძირამდე არ უნდა ამოვიცნოთ ბოროტების სათავე? აბა, გაიხსენე, ერუციუს, როგორ დავგისურათე როსციუსის ცხოვრება; იყო თავისთვის სოფლად, ქალაქში არ ჩადიოდა, ხმის გამცემი არავინ ჰყავდაო. ჯერჯერობით არ მინდა როსციუსის უდანაშაულობის მტკიცება დავინყო. ერთს მოგახსენებთ მხოლოდ: სოფელში ცხოვრება ისე მძიმე და დამქანცველია, რომ კაცს ავკაცობისათვის დრო არ რჩება. როგორც ყველა ჯიშის მცენარე თავის შესაფერის ნიადაგზე ხარობს, ასევე ყველა დანაშაულს თავისი

ხელისშემწყობი პირობები, დრო და ადგილი სჭირდება გამოსავლენად. ქალაქი ფუფუნებისა და განცხრომის ბუდეა, სადაც სიხარბე და გაუმაძღრობა ბატონობს, რაც თავისთავად თავხედობის ნყაროა; ეს ყოველივე ბოროტების სათავეა. სოფლად ცხოვრება, შენ რომ უხეშს უწოდებ, ერუციუს, კაცს მომჭირნეობას, სიბეჯითესა და სამართლიანობას ასწავლის.

XXVIII. ამაზე აღარ გავაგრძელებ საუბარს. ერთი რამ გამაგებინე მხოლოდ. ასეთი ავაზაკობა როგორ ჩაიდინა ისე, რომ მკვლელობის ადგილას არ ყოფილა?! ან როგორ დაფარა კვალი საგულდაგულოდ, როგორც შენ უწოდებ, ასეთმა უკარებამ? შეიძლება კაცმა ცრუ ბრალდება მოიგონოს, მაგრამ ისე ამტკიცოს, მსაჯულებო, მართლაც გაგვიჩნდეს ეჭვი დანაშაულის არსებობისა. თუ როსციუსის საქმეში, მის უდანაშაულობაში ვინმეს ეჭვი შეეპარება, მზად ვარ, მეც მათ შევეუერთდე. სექსტუს როსციუსი რომში მოკლეს, როცა მისი შვილი ამერიასი იყო. ვთქვათ და, წერილი გაუგზავნა რომელიმე ყაჩაღს, მაგრამ ვის? რომში არავის იცნობდა. მოიხმო ალბათ ვინმე. ვინ? როდის? იქნებ შიკრიკი გაგზავნა. მერე და ვინ და ვისთან? ვინმე წააქეზა დაპირებებით, საჩუქრებით? წარმოუდგენელია. ამის გაფიქრებაც კი შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მაინც ვიხილავთ საქმეს მამისმკვლელობის თაობაზე.

იქნებ მონებს მოაკვლევინა მამა? ო, უკვდავო ღმერთებო! დახეთ ამ უბედურებას. როსციუსს იმის ნებაც არა აქვს (რაც ყველა უდანაშაულოსათვის დასაშვებია), მოიხმოს თავისი მონები და თავი იმართლოს სასამართლოზე. ასეთი სიმდიდრის პატრონს ერთი პირისფარეშიც არ შეარჩინეს. თქვენ ნაჰგვარეთ მას მონები, თქვენ, ვინც მას ბრალს სდებთ. ახლა პუბლიუს სციპიონსა და მარკუს მეტელუსს^ა მსურს მივმართო. რამდენჯერ გთხოვათ სექსტუს როსციუსმა შუამდგომლობა თავის მტრებთან, მისთვის მამის ორი მონა რომ დაეტოვებინათ. ხომ გახსოვთ, ტიტუს როსციუსმა უარი თქვა. ხომ ასეა? სად არიან ეს მონები? ქრისოგონს ახლავან. მას დიდ პატივში ჰყავს ისინი. გთხოვთ, მსაჯულებო, დავკითხოთ მონები, ამასვე გვედრებათ ეს საბრალო ბრალდებულიც. რა მოხდა?

რატომ ამბობთ უარს, ბატონებო? ნუთუ კიდევ საეჭვოა, ვინ მოკლათ როსციუსი? მან, ვინც მამის სიკვდილის შემდეგ გაჭირვებაში და უბედურებაში ჩავარდა, ვისაც იმის ნება არა აქვს, საჩივარი აღძრას მკვლელების წინააღმდეგ, თუ მან, ვინც მამულები მიისაკუთრა, ვინც თავს არიდებს სასამართლოს, ვინც მკვლელობაში განაფულია და თავს ამით ირჩენს? ძალზე სამწუხაროა ასეთი უსამართლობა უდანაშაულო ბრალდებულის მიმართ, მაგრამ ყველაზე სავალალო ის გახლავთ, რომ შვილს უფლება არა აქვს, დაჰკითხოს მამის მონები, განაჩენის გამოტანამდე მაინც მათ ბატონად იგრძნოს თავი. ამ საკითხებს მოგვიანებით ისევ მივუბრუნდები. ახლა, ჩემი ფიქრით, რაკი გავაქარწყლე ბრალდებულის მიმართ გამოთქმული უსაფუძვლო ეჭვები, ნება მიბოძეთ, დაპირებისამებრ როსციუსის თავზე-დობაზე მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა.

XXIX. ახლა შენთან მაქვს საქმე, ერუციუს! უნდა გავარკვიოთ, ეს ბოროტება სექსტუს როსციუსმა როგორ ჩაიდინა. თავად არ მოუკლავსო, ამას აღიარებ. მაშ, ვინმე დაეხმარა? ვინ? აზატი? კეთილი, მაგრამ რატომ არ გვაძლევ პასუხს, სად ან როგორ იპოვა მკვლელი, ვისი საშუალებით გაიცნო, რა შესთავაზა გასამრჯელოდ ან როგორ ენდო. მე გიმტკიცებთ, იგი არ არის დამნაშავე; უფრო მეტიც, ვერ ჩაიდენდა ამ ბოროტებას. უკვე რამდენი წელია ქალაქში არ ყოფილა, მამულიდან ფეხი არ გაუდგამს უმიზეზოდ. ერთი გზა დაგრჩენია, ერუციუს, დაასახელო მონები, რომლებიც როსციუსმა წააქეზა. ეს არის შენი ნავსაყუდელი, სადაც თავი უნდა შეაფარო, რაკი სხვა ეჭვები გაგიქარწყლეს. მაგრამ აქ ისეთ კლდეს შეენარცხები, შენს ბრალდებებს სულ ნამსხვრევევად აქცევს და შენვე გადმოგაყრის თავზე. ახლა რაღას იტყვის ჩვენი ბრალმდებელი, რაღას მოიგონებს კიდევ. დრო იყო ისეთიო, – აცხადებს იგი, – კაცის მოკვლისათვის არავის სჯიდნენ, მკვლელებიც ბლომად იყვნენ, ასე რომ, როსციუსს თავისუფლად შეეძლო ასეთი ბოროტების ჩადენაო. ზოგჯერ მგონია, ერუციუს, ორი კურდღლის დაჭერას ცდილობ. ჩვენ სასამართლოთი გვაშინებ და ვინც მოგისყიდა, იმის დადანაშაულებასაც არ ერიდები. კაცს განუკითხავად კლავდნენო, რომ ამბობ,

რატომ არ აგვიხსნი, ვის კლავდნენ, ვისი ბრძანებით ხდებოდა ეს. ხომ არ გავიწყდება, ვისი ნებით მოხვედი აქ; ვინც ჩამორთმეული მინები ჩამოგირიგათ. მერე, რაო? იკითხავ ალბათ. განა არ ვიცით, მკვლელებიცა და მამულების დამნაწილებლები ერთი და იგივე ხალხია. ისინი კბილებამდე შეიარაღებულნი დაძრწოდნენ რომში, სისხლსა და ნადავლში ცურავდნენ და ახლა იმხანად გაბატონებულ სისასტიკესა და უსამართლობას სექსტუს როსციუსს აბრალებენ. რომში რომ მკვლელთა ბანდები დათარეშობდნენ, რომელთა ნამქეზებლები ეს ვაჟბატონები ბრძანდებიან, თურმე ესეც ბრალდებულის დანაშაული ყოფილა. არადა, ამ საბრალოს წარმოდგენაც არ ჰქონდა ქალაქში დატრიალებულ ამბებზე, რადგან, ერუციუსის თქმით, სოფელს არ გასცილებია.

ვშიშობ, ბატონებო, თავი არ შეგანწყინოთ; არ გეგონოთ, ეჭვი შემაქვს თქვენს გონიერებაში და ამიტომ გიმტკიცებთ ასე დაბეჯითებით მას, რაც თავისთავად ცხადია. ერუციუსის ყველა ბრალდება, ჩემი აზრით, გავაბათილე. იმედია, არ მომთხოვთ დღემდე გაუგონარი დანაშაულის, სახელმწიფო ხაზინის ძარცვის საქმის გარჩევას. ერუციუსს რომ ვუსმენდი, ზოგჯერ მეჩვენებოდა, ხომ არ შეეშალა და სხვა დანაშაულს ხომ არ განიხილავს, იქნებ საბრალდებულო სიტყვები აერია შემთხვევით-მეთქი; იმიტომ, რომ ხეირიანად არც მამისმკვლელობაზე ულაპარაკია, არც ბრალდებულის მოქმედება გაურჩევია დანვრილებით. უბრალოდ, ადგა და როსციუსი დამნაშავედ გამოაცხადა. თუ ამისთვის ლიტონი სიტყვები კმარა, მაშინ მეც ვაცხადებ, რომ მისი ეჭვები უსაფუძვლოა, თუ მოწმეებზე დადგა ჯერი, აქაც უკეთესად გვაქვს საქმე, ვიდრე მას ჰგონია.

XXX. ახლა იმ საკითხებს მსურს შევებო, რაც მაინცდამაინც არ მსიამოვნებს, მაგრამ მოვალე ვარ მათზე ვისაუბრო. მე რომ ბრალმდებლის საქმიანობა მიზიდავდეს, ისეთ ცნობილ პიროვნებას დავესხმოდი თავს, ვისი წყალობითაც სახელს მოვიხვეჭდი. მაგრამ სანამ უფლება მაქვს ჩემი სურვილის მიხედვით ვიმოქმედო, ამას არ გავაკეთებ. რადგან ჩემი აზრით, ის არის ღირსეული პიროვნება, ვინც წარმატებას თავისი სიქველის მეოხებით მოიპოვებს და არა

ის, ვინც სხვისი მწუხარებისა და მარცხის წყალობით აღზევდება. მოდი, შევთანხმდეთ: ნუ ვიმტვრევთ თავს არარსებული დანაშაულის გამოვლინებაზე; ბოროტება იქ ვეძებოთ, სადაც არის და სადაც შეიძლება მივაკვლიოთ. თავადაც კარგად მოგეხსენება, ერუციუს, დანაშაულის დამტკიცებას მრავალი საეჭვო შემთხვევის განხილვა სჭირდება. მაგრამ პირადად მე ყველაფერს არ შეეხები; ვეცდები არ დავნრილმანდე, ზედმეტი არ ვილაპარაკო, ზოგ რამეზე თავს შევიკავებ. მერწმუნეთ, ამასაც უხალისოდ ვაკეთებ, აუცილებლობის გამო. მხოლოდ იმაზე ვისაუბრებ, რაც ჩემს საქმესთან უშუალოდ არის დაკავშირებული და რაც როსციუსის გამოსახსენებლად არის საჭირო.

შენ ვერაფერი სამხილი წარმომიდგინე სექსტუს როსციუსის წინააღმდეგ, ერუციუს. მე კი მაქვს საფუძველი, ბრალი დავდო ტიტუს როსციუსს. დიახ! დიახ! შენთან მაქვს საქმე, ტიტუს როსციუს! ბრალმდებელთა შორის რომ გამოჭიმულხარ, ამით ხომ აშკარად აღიარებ, რომ ჩვენი მტერი ხარ. კაპიტონზე მოგვიანებით ვისაუბრებ. ვიცი, მონმედ აპირებს გამოსვლას. აი, მაშინ გამოვამზეურებთ მის საგმირო საქმეებს, რომელთა შესახებ მე ყველაფერი ვიცი. რომაელები ყველაზე სამართლიან და გონიერ მსაჯულად ლუციუს კასიუსს³ თვლიდნენ. მას სასამართლოზე ერთი კითხვის დასმა უყვარდა: „მერედა, ვის აძლევს ეს ხელს? “ცხოვრება ასეთია, თუ ბოროტმოქმედს გამორჩენისა და წარმატების იმედი არა აქვს, დანაშაულს არ ჩაიდენს. განაჩენის მომლოდინენი შიშით თრთოდნენ ლუციუს კასიუსის წინაშე; ცდილობდნენ მათი საქმე იმ დროს არ გაერჩიათ, როცა კასიუსი იყო სასამართლოს თავმჯდომარე. გაურბოდნენ ამ მკაცრ მსაჯულს. თუმცა იცოდნენ, ჭეშმარიტებას არასდროს უღალატებდა. მე თუ მკითხავთ, უარს არ ვიტყოდი დამეცვა როსციუსი ლუციუს კასიუსის მსაჯულთა წინაშე, სადაც თავმჯდომარე ეს შეუვალი პიროვნება იქნებოდა, თუმცა მისი სახელის გაგონება დღესაც აშფოთებთ ბრალდებულთ, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ სასამართლო სხდომას ღირსეული პიროვნება უძღვება, ბოროტმოქმედთა შეურიგებელი მტერი და უდანაშაულოთა ქომაგი.

XXXI. მაშინდელ დროს რომ დაენახათ, როგორ წაართვეს ჩემს ბრალდებულს აურაცხელი სიმდიდრე და რა გასაჭირში ჩააგდეს მისმა მტრებმა, ვისთვის იყო ეს ხელსაყრელიო, – არ იკითხავდნენ მსაჯულები. ეჭვიმტანილი აშკარად ისინი იქნებოდნენ, ვინც სხვის ნადავლს დააცხრნენ და არა ის, ვინც გალარიბდა. გაიხსენე, ტიტუს როსციუს, რა ლატაკი იყავი უნინ, ამასთანავე ხარბი და თავხედი; ისიც არ დაგავიწყდეს, სექსტუს როსციუსს რომ ვერ იტანდი. ნუთუ ამის შემდეგ კიდევ საჭიროა მიზეზის ძებნა? რამ გიბიძგა ასეთი საშინელი დანაშაულისაკენ? ნუთუ ვინმეს ძალუძს ამის უარყოფა? როსციუსის საბრალო ვაჟი თავისი სიღუბჭირის დაფარვას თუმცა ძალიან ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს. შენ კი არც მალავ შენს სიხარბეს. ნათესავის, თანამოქალაქის ქონებას რომ დაპატრონებოდი, სრულიად უცხო ადამიანს შეუამხანაგდი. შენს თავხედობას რომ არა აქვს სამანი, ეს იქიდანაც ჩანს, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, შენი თანამზრახველებიდან მხოლოდ შენ გაბედე აქ ურცხვად მოსვლა. იმის ნაცვლად, დაიმალო, ბრალმდებლებთან ერთად მოიკალათე და უტიფრად უჩვენებ სახეს ყველას. სხვა რალა დაგრჩენია, უნდა აღიარო, რომ სექსტუს როსციუსი გძულდა, ქონებას ედავებოდი. როგორ ფიქრობთ, მსაჯულებო, კიდევ გეეჭვებათ რაიმე? რომელია ბოროტმოქმედი, ვინც როსციუსის სიკვდილმა გაამდიდრა, თუ ის, ვინც გაალარიბა? ვინც, სიმდიდრეზე დახარბებული, აუგად იხსენიებს ნათესავებს, თუ ის, ვისაც თვალი არასდროს გაურბოდა სხვისი ქონებისაკენ და მუდამ თავისი შრომით ირჩენდა თავს. გეკითხებით, ვინ არის მკვლელი, ვინც ჩამორთმეული ქონების შემსყიდველთა შორის თავხედობით გამოირჩევა, თუ ის, ვისაც ფორუმზე და სასამართლოზე ყოფნა ეწოთირება; მსაჯულთა სავარძლების დანახვაც კი აკრთობს და საერთოდ ქალაქურ ცხოვრებას ვინც ვერ ეგუება. როგორ ფიქრობთ, ბატონებო, მამას მტრად გაუხედებოდა ასეთი შვილი?

XXXII. შენ რომ ამდენი სამხილი გეპოვა, ერუციუს, კაცი ვერ შეგაჩერებდა, იმდენს ილაპარაკებდი; დრო არ გეყოფოდა; რამდენიმე დღეს თითოეული წვრილმანის განხილვას მოანდომებდი;

სიტყვები არ შემოგელეოდა. მართალი გითხრათ, არც მე ვარ უენო. თავს კი არ ვიქებ, მაგრამ არა მგონია, შენ ჩემზე მჭევრმეტყველი იყო. მაგრამ დამცველთა უზარმაზარ არმიაში მე არ ვჩანვარ, შენ კი კანეს ბრძოლამ ჩინებული ბრალმდებლის სახელი მოგიხვეჭა. მრავალი ხოცვა-ჟლეტა გვინახავს ტრასიმენის³² ტბასთან, უფრო მეტი – სერვილიუსთან. ვინ არ დაჭრილა იქ ფრიგიული მახვილით?³³

არ ვიცი, რომელი ერთი მოვიგონო: კურციუსები, მარიუსები, ისინი, ვისაც ასაკმა ხელი ააღებინა ბრძოლაზე; ბოლოს თვით მოხუცი პრიამოსი – ანტისტიუსი მინდა დავასახელო, ვისაც არა მარტო ასაკმა, არამედ კანონმაც ააღებინა ხელი პაექრობაზე³⁴; რომელი ერთი ჩამოვთვალო. ზოგის სახელი ვიცი, ზოგი მათგანის – არა, რომლებიც დაუნდობლად ამხელდნენ კაცისმკვლელებს, სამსალის ოსტატებს. მე რომ მკითხოს კაცმა, ნეტავი, ცოცხალი იყოს ყველა. ძაღლების სიმრავლე დიახაც აუცილებელია, მით უფრო ახლა, სადარაჯო და გასაფრთხილებელი როცა ბევრია, თვალყურის დევნებაც ცოტას როდი სჭირდება. ომიანობისა და არეულობის ჟამს, როცა იმპერატორებს უამრავი საზრუნავი ჰქონდათ, ბევრმა ისარგებლა ამით და საკუთარი ჭრილობების მოშუშება დაიწყო. ისინი ყველაფერში ურევდნენ ხელს, ყველგან ცხვირს ჰყოფდნენ, თითქოს ქვეყანა ჩალით ყოფილიყო დახურული. ერთნაირად გაჟლიტეს ყველა, ბრალმდებლებიცა და მსაჯულებიც; ერთი რამ მიკვირს, სავარძლები როგორ არ გადანვეს სასამართლო დარბაზში, მართლმსაჯულების კვალი რომ გამქრალიყო. საბედნიეროდ, შემოგვრჩნენ მონმეები მათი უზნეობისა; ყველას ხომ ვერ ამოხოცავდნენ, ამის დიდი ნადილიც რომ ჰქონოდათ. სანამ ადამიანთა ჯილაგი იარსებებს, ბრალმდებლებიც იქნებიან; სანამ სახელმწიფო არის, მართლმსაჯულებაც უნდა იყოს. როგორც ადრე მოგახსენეთ, ერუციუსს რომ ხელჩასაჭიდი მიზეზი ჰქონოდა, დაუსრულებელივ ილაპარაკებდა. ამას მეც მოვახერხებდი, მსაჯულებო, მაგრამ ხომ გაგაცანით ჩემი განზრახვა – მინდა ვისაუბრო უშუალოდ საქმეზე, დანარჩენზე კი – მოკლედ. ამით მსურს დაგარწმუნოთ, რომ ვინმეს დადანაშაულება კი არ არის ჩემი მოვალეობა, არამედ ბრალდებულის დაცვა.

XXXIII. მაშ, ასე. ბოროტების გამომწვევ მიზეზებზე ზემოთ მოგახსენეთ, ახლა ვნახოთ, შეეძლო თუ არა ტიტუს როსციუსს ამ საშინელი განზრახვის განხორციელება. სად მოკლეს სექსტუს როსციუსი? რომში. შენ, ტიტუს როსციუს, სად იყავი ამ დროს? რომში. ამას რა კავშირი აქვს საქმესთან? ჩემს გარდა რომში უამრავი ვინმე იყო, – მიპასუხებ შენ. არა, შენ ვერ მიმიხვდი. მე იმას კი არ ვკითხულობ, ვინ მოკლა როსციუსი, ვის შეეძლო-მეთქი მისი მოკვლა: რომში მუდმივად მცხოვრებ კაცს, თუ მას, ვინც ძალზე იშვიათად ჩადიოდა იქ. ახლა სხვა საკითხსაც შევეხოთ. ერუციუსის ნათქვამს გავიხსენებ. იმ დროს მკვლელები თავისუფლად დათარეშობდნენ და განუსჯელად მუსრავდნენ ხალხსო. მაინც ვინ იყვნენ ამ ბანდის წევრები? მე მგონია, ისინი ან ჩამორთმეული მამულების შემსყიდველები არიან, ან მათ მიერ დაქირავებული მკვლელები. თუ შენც ფიქრობ, რომ ისინი სხვისი ქონების დაპატრონების მსურველი არიან, გახსოვდეს, შენც მათ რიცხვს ეკუთვნი. განა შენ ჩვენი ფულებით არ გამდიდრდი? ან იქნებ, რბილად რომ ვთქვათ, ხანჯლის ტრიალში განაფული ვაჟბატონები არიან ამ ბრბოს წარმომადგენლები? თუ მეთანხმები, ბარემ ისიც მოგვახსენე, ვისი კლიენტები არიან, ვინ მფარველობს მათ? კარგად გაიხსენე, შენი მოკავშირენი ხომ არ არიან ისინი? თუ უარის თქმას აპირებ, ჯერ შევადაროთ ერთმანეთს შენი და როსციუსის პასუხები. შენ ამბობ: მერე რა, რომ რომიდან ფეხი არ მომიცვლიაო. როსციუსი – „მე ხომ იმხანად სულაც არ ვყოფილვარ რომში“. შენ – „არ ვმალავ, სხვებივით მეც შევისყიდე ჩამორთმეული ქონება“. როსციუსი – „მე ხომ, შენი სიტყვებით, უბირი გლეხი ვარ, სოფელი“. შენ – „მკვლელების წრეში თუ ვტრიალებ, ეს არ ნიშნავს, მეც ასეთივე ვარ“. როსციუსი – „მე ხომ არც ერთ მკვლელს არ ვიცნობ, ამიტომ უფრო შორსა ვარ ასეთი დანაშაულისაგან“. ესა და კიდევ სხვა მრავალი მიზეზი გვაფიქრებინებს, რომ შენ გქონდა შანსი ამ ბოროტების ჩადენისა. მაგრამ ამჯერად ამაზე არაფერს ვიტყვი, იმიტომ კი არა, ვერიდებოდე შენს დადანაშაულებას. არა, როსციუსის მკვლელობის მსგავსი მაგალითების მოყვანით (რაც ნათელს მოჰფენდა ჩვენს საქმეს) სიტყვა ძალიან რომ არ გამიგრძელდეს.

XXXIV. ახლა მოკლედ დანარჩენ ამბებსაც შევხები, როსციუსის მკვლელობის შემდეგ, რომ დაატრიალე. ეს ისე გახმაურებული და ცნობილია ყველასათვის, დიდად არ მეხალისება მათი გახსენება. შენ ისეთი ჯურის ადამიანი ხარ, ერუციუს, ვშიშობ, ვინმემ შენდამი უნდობლობა არ დამწამოს; თითქოს შენს გასამტყუნებლად არაფერს ვერიდებოდე. ამიტომ, მინდა ღმობიერება გამოვიჩინო, ამასთანავე ჩემს მოვალეობასაც არ ვულალატო, მაგრამ ვერ ვახერხებ, რადგან შენი თავხედობა მახსენდება უმაღლესი. შენი თანამზრახველნი ბოროტების ჩადენისთანავე გაიქცნენ და მიიმალნენ; სასამართლოს არც მოჰყარებია. აქაოდა, აქ როსციუსის დანაშაული განიხილება და არა – ჩვენ მიერ ნადავლის მიტაცებისაო. შენ გეყო გამბედაობა და ბრალმდებელთა შორის მოიკალათე. მეტიც, სიტყვით გამოხვედი. მაგრამ რას მიაღწიე ამით? ვერაფერს, გარდა იმისა, რომ ყველასათვის ცნობილი გახდა შენი თავხედობა და უტიფრობა. როსციუსის მკვლელობის ამბავი ვინ ჩაიტანა პირველად ამერი-აში? აკი მოგახსენეთ, გლავციამ-მეთქი. იგი ხომ შენი მეგობარი და კლიენტია. რატომ გაუწყა სწორედ შენ, თუ ეს ცნობა შენთვის სისიამოვნო არ იქნებოდა? თუ მასზე არ ოცნებობდი, თუ მის ქონებაზე არ გეჭირა თვალი? თუ კაცისმკვლელებთან არ გითათბირია ამაზე? თუ მათ ჯილდოს არ შეჰპირებიხარ? თუ საერთოდ არ გარეულებარ ამ ბოროტებაში? მალიუსმა თავისი სურვილით მაუწყა ესო. რატომ? იქნებ იგი ამერიასი შემთხვევით მოხვდა და სხვათა შორის გაიმბო რომის ამბებიც? გეკითხები: რა ესაქმებოდა მას ამერიასი? მე რა ვიცი, გულთმისანი ხომ არ ვარო, – მიპასუხებ შენ. ახლა ისეთ კითხვებს დავსვამ, რაც ნათელს მოჰფენს ყველაფერს. ტიტუს როსციუსთან რა მხარბენინებდა, როცა ამერიასი ჰქონდა სექსტუს როსციუსს სახლი, იქ იყვნენ მისი ცოლ-შვილი, ახლობლები, ნათესავები, მოკეთენი. რითი ავხსნათ ეს ყველაფერი? პირველად რაღა ტიტუს როსციუს კაპიტონს აუწყა ეს შემზარავი ამბავი შენმა კლიენტმა, მაცნემ შენი ბოროტი ზრახვებისა? განსვენებული იმ დროს მოკლეს, როცა სამხრობა გადასული იყო; გამთენიის ხანს ამერიასი უკვე ყველაფერი იცოდნენ. ასე სწრაფად როგორ მიიღბინა?

რას მივანეროთ მისი ასეთი სულსწრაფობა? ნუ შიშობ, გლავცია. არ ვკითხულობ, ვინ მოკლა-მეთქი. არც შენს გაჩხრეკას ვაპირებ, მახვილი ხომ არა გაქვს თან. ჩემი აზრით, ეს სხვისი მოვალეობაა. რაკი გავარკვიე, ვისი რჩევით არის მოკლული, აღარ ვეძებ ჯერჯერობით, ვინ არის მკვლელი. ერთი რამ ძალზე საყურადღებოა; იგი შენს აშკარა დანაშაულზე ლაღადებს. გლავციამ ეს ამბავი ვისგან ან როდის შეიტყო? ასე სწრაფად როგორ გაიგო? დაუშვათ, მაშინვე მოჰკრა ყური, რა საჭირო იყო იმავე ღამეს წამოსულიყო? ვთქვათ და, საქმე ჰქონდა ამერიკაში, რალა მაინცდამაინც ღამით გამოემგზავრა და სულმოუთქმელად ირბინა?

XXXV. რა დიდი გულთამხილაობა სჭირდება სიმართლის დადგენას? სამხილი არაა საკმარისი? არ გეჩვენებათ, ბატონებო, თითქოს თვალნათლივ ხედავდეთ, რაც აქ მოისმინეთ? განა ასე არ არის, მსაჯულებო? ნუთუ თვალწინ არ დაგიდგათ სექსტუს როსციუსი, სადილობიდან შინ მიმავალი, რომელიც ვერ გრძნობს მოსალოდნელ ხიფათსა და უბედურებას. ხომ ცხადად ხედავთ, როგორ ვერაგულად ესხმიან თავს? გლავციას თუ ამჩნევთ აქვე? აგერ ტიტუს როსციუსიც, ვინც თავისი ხელით ჩასვა ეტლში ეს ავტომედონტი* საშინელი ბოროტებისა და უწმინდური გამარჯვების მაუწყებლად? თან რომ ევედრებოდა, თვალი არ მოეხუჭა მთელი ღამე და სასწრაფოდ მიეხარებინა ეს ამბავი კაპიტონისათვის. ვითომ მას რატომ უნდა შეეტყო ეს სხვაზე ადრე? არ ვიცი. ერთი რამ ნათელია ჩემთვის, სექსტუს როსციუსის ქონების ნაწილი სწორედ ტიტუს როსციუს კაპიტონის ხელშია ამჟამად. ცამეტი მამულიდან სამი, ყველაზე საუკეთესო, მისი კუთვნილებაა. კაპიტონისათვის ასეთი დანაშაული უცხო როდია; ბევრჯერ გამოუჩენია თავი ამგვარ საქმეებში, მაგრამ ასე უხვად არასდროს დაუსაჩუქრებიათ. კაცის მოკვლაში ვინ შეედრება; გინდა მახვილს ჩასცემს ვერაგულად, გინდა შხამს შეასმევს. მეტსაც გეტყვით, არაფრად ჩააგდო წინაპართა ჩვეულება და ტიბრში ჩააგდო სამოცს მიტანებული კაცი*. ამას დანვრილებით მაშინ გაიმბობთ, როცა აქ მოწმედ გამოვა. ვიცი, ამას აპირებს. ოღონდაც მოვიდეს, გაშალოს თავისი გრაგნილი და ერუციუსის მიერ მისთვის საგანგე-

ბოდ შეთხზული სიტყვა წაგვიკითხოს. ამბობენ, სექსტუს როსციუსს დაჰქადნებია, სასამართლოზე მონმედ გამოვალ და ყველაფერს ვიტყვიო. აი, მესმის მკაცრი, მიუკერძოებელი მონმე. ამ უნმინდესი კაცის ჩვენებას თქვენც სიამოვნებით მოისმენთ, მსაჯულეზო, ირწ-მუნებთ მის ფიცს და დაეთანხმებით. ალბათ გაგვიძნელდებოდა ამ უკეთურთა გამომზეურება. თავიანთი სიხარბე, თავხედობა და ველური ჟინი რომ არ ამხელდეს მათ.

XXXVI. ერთმა მათგანმა³⁷ მკვლელობის შემდეგ სასწრაფოდ აფრინა მაცნე თავის მოკავშირესა და თანამზრახველთან. ასე რომ, ძალიანაც რომ უარზე დადგნენ, არაფერი გამოუვათ. ვიცით, ვინ არის მკვლეელი, დანაშაული გამოაშკარავებულია. მეორე ავაზაკი³⁸, თუ ღმერთები ინებებენ, მონმედაც გამოვა. უცნაურია, თითქოს მის სიტყვებს ვინმე ენდობოდეს, სექსტუს როსციუსის წინააღმდეგ აპირებს ჩვენების მიცემას, იმის ნაცვლად, რომ პასუხი აგოს თავის საქციელზე. ჩვენი წინაპრების მიერ დადგენილ წესს თუ გავითვალისწინებთ, რაგინდ უმნიშვნელო, წერილმანი საქმე ირჩეოდეს, უზენაესი ხელისუფლების წარმომადგენელსაც არ შეუძლია თავის თავს მონმედ დაუდგეს. სციპიონ აფრიკელიც კი, ვისი ზედსახელი აშკარად მეტყველებს ქვეყნის წინაშე მის დამსახურებაზე, ვინც დედამიწის მესამედი დაიმორჩილა, არ იკადრებდა მონმედ გამოსვლას, თუ საქმე მასაც შეეხებოდა. თუმცა ვერ ვიტყვი იმას, ასეთი ადამიანის ჩვენებას ვინმე საეჭვოდ გახდიდა-მეთქი. დღეს კი რა გვიჭირს? ხედავთ, როგორ გაუტკუღმართდა ყველაფერი? საქმე ქონების მითვისებასა და მკვლელობას ეხება, მონმედ გამოსვლას კი აპირებს ჩამორთმეული ქონების შემსყიდველი, ავაზაკი, ვინც გარეულია როსციუსის მკვლელობაში და ვინც მისი მამულების მეპატრონეა ამჟამად.

აბა, ახლა გვიბრძანე, დიდებულო ვაჟკაცო! გაქვს რაიმე სათქმელი? გაფრთხილდი; იცოდე, თავი არ წააგო. დამიჯერე, აქ ძალზე მნიშვნელოვანი საქმე ირჩევა; შენც ხარ მასში გარეული. რამდენი თავხედობა, ბოროტება, უზნეობა ჩაგიდენია ერუციუსის ჩაგონებით. ერთი დიდი სისულელე თავად მოიფიქრე, აქ რომ გამოგვეჭიმე. ვის



სჭირდება უტყვი ბრალმდებელი! ან სად გაგიგია, მონმე მამხილებელიც იყოს. აქამდე თქვენს სიხარბეს ასე აშკარად არ ამჟღავნებდით. ახლა კი არაფერს ერიდებით. ნეტავი, რის თქმას აპირებ, ან ვინ მოგისმენს? შენ და შენი თანამზრახველები ისე იქცევით, თითქოს საკუთარ თავს მტრობდეთ და ჩვენს სასიკეთოდ ირჯებოდეთ.

XXXVII. დავებრუნდეთ, ბატონებო, სექსტუს როსციუსის ამბავს. მისი მკვლელობიდან ოთხი დღის შემდეგ სულას ბანაკში, ვოლატერასთან ქრისოგონს აუწყეს ყოველივე. საკითხავია, ვინ აფრინა მასთან მაცნე? უეჭველია, მან, ვინც ამერიაში გაგზავნა შიკრიკი. ქრისოგონი სასწრაფოდ დატრიალდა როსციუსის მამულების გასაყიდად. თუმცა როსციუსი თვალითაც არ უნახავს, არც მისი ქონების თაობაზე იცოდა რამე. მაშ, ვინ ჩააგონა სხვისი მამულები დაენანილებინა? ამის პასუხად, დარწმუნებული ვარ, მსაჯულეობ, ასე იტყვით: „აღბათ ვინმემ უთხრა, მუნიციპიების მცხოვრებმა, ან რომელიმე მეზობელმა. განა ცოტაა მათ შორის ენაჭარტალა და მამბეზლარა?“ მაგრამ ეს ხომ ვარაუდი იქნება. ასე ხომ მეც შემიძლია ვიმსჯელო: როსციუსების ჩადენილია ეს საქმე, ქრისოგონს ისინი დიდი ხანია იცნობენ. მართალია, ადრე სხვა პატრონები ჰყავდა, რომელთანაც სტუმართმოყვარეობა აკავშირებდათ, მაგრამ მათ გაუორგულდნენ და ქრისოგონს მიეკედლნენ, მისი კლიენტები გახდნენ.

დანვრილებით გეტყოდით ყოველივეს, მაგრამ რა საჭიროა. თავადაც ვერ უარყოფენ, რომ მათი ჩაგონებით დაადგა თვალი ქრისოგონმა სექსტუს როსციუსის ქონებას. თავად რომ იხილოთ, ამ ცნობის საზღაურად ვინ მიიღო ჯილდოდ მამულები, მაშინაც ვერ მიხვდებით, ვინ იყო ამ საქმის ავან-ჩაევანი? მაინც ვის უწილადა ქრისოგონმა განსვენებულის მამულები? როსციუსებს, კაპიტონსა და მაგნუსს. კიდევ ვის? სხვას არავის, ბატონებო! ხომ ნათელია, ვისი წყალობით მიაკვლია მან ამ ნადავლს?

ახლა ქრისოგონის მსჯელობის მიხედვით როსციუსების საქციელი განვიხილოთ. თუ ისინი დიდად არ გარჯილან, რატომ დაასაჩუქრა ასე გულუხვად ქრისოგონმა? თუ მხოლოდ მკვლელობის ამბავი აუწყეს და, სხვათა შორის, მამულებზეც ჩამოუგდეს სიტყვა,



ხომ შეიძლებოდა ამ ცნობისათვის მადლობა ეთქვა მათთვის; თუ მაინცდამაინც დასაჩუქრება სურდა, პატივისცემის ნიშნად მცირე საბოძვარიც იკმარებდა. რა საჭირო იყო, სამი ნაყოფიერი მამული კაპიტონს რომ უბოძა, დანარჩენი კი მაგნუსთან ერთად გაინანი-
ლა? ნუთუ არ არის ნათელი, რომ როსციუსებს ნადავლის ნაწილი ქრისოგონმა იმიტომ დაუთმო, რომ მათ დროულად შეატყობინეს ამბავი?

XXXVIII. კაპიტონი სულასთან გაგზავნილ ელჩებს შორისაც ერია. მის ვერაგულ ბუნებას აქედანაც იოლად ამოიცნობთ; თუ ჯერაც ვერ დარწმუნებულხართ, ბატონო მსაჯულნო, რომ მას არც სამართალი სწამს, არც მოვალეობა, ყველაფერი შეუძლია ფეხქვეშ გათელოს; თუ თქვენ მისი ავკაცობისა არ გჯერათ, რა ვქნა, გეგონოთ პატიო-
სანი კაცი. ჰოდა, ამ კეთილშობილმა პიროვნებამ დაუშალა ელჩებს სულასთან მისვლა. მერე კი ქრისოგონს გაუმხილა მათი თათბირი. ამ უკანასკნელს აუხსნა, რა საშიში იქნებოდა მისთვის ამ ამბის გახ-
მაურება, რადგან ქონების გაყიდვა გაჭიანურდებოდა, ქრისოგონი დაზარალდებოდა და თავად კაპიტონიც საფრთხეში ჩავარდებოდა. ასე თვალთმაქცობდა, ატყუებდა ელჩებს, ცრუ იმედებს აძლევდა, თავის თანამზრახველს კი მაღიმალ აფრთხილებდა, აქეზებდა, ხელი შეეშალათ ელჩებისათვის, თავის ნილზეც ხშირ-ხშირად ესაუბრე-
ბოდა, თანამოქალაქეების შესაყოვნებლად ახალ-ახალ მიზეზებს იგონებდა; ესენიც ენდნენ და გაბრიყვებულები სულას ვერ შეხ-
ვდნენ. ამის შემონმება არ არის ძნელი, თუ ელჩებს მოიხმობთ და დაჰკითხავთ. ასე რომ, ნაცვლად იმისა, წარმატებით დაესრულე-
ბინათ თავიანთი მისია, კაპიტონის მოიმედენი შინ დაბრუნდნენ.

წინათ ასეთ რამეს რომ ჩაიდენდა კაცი, დაკისრებულ მოვა-
ლეობას არ შეასრულებდა ქონების გამოძალვის ან გამორჩენის მიზნით, უზნეოაო, მასზე იტყოდნენ. თუნდაც წვრილმან საქმეში გამოვლენილი დაუდევრობაც კი დიდ სირცხვილად ითვლებოდა. კაცის განბილება ქურდობის ტოლფას დანაშაულად მიაჩნდათ. ასეც არის. მე მგონია, ისეთ საქმეს, რომლის გაკეთება ჩვენ თავად არ
ძალგვიძს, მეგობარს ვანდობთ. მისი დახმარების იმედი გვაქვს. და

თუ იგი ჩვენს ნდობას არ გაამართლებს, ამით იგი უგულებელყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების წესებს, ილაშქრებს ისეთი ადამიანური თვისებების წინააღმდეგ, როგორიც არის ურთიერთმხარდაჭერა და თანადგომა. აბა, ერთი კაცი ყველა საქმეს ხომ ვერ გასწვდება. ამიტომ გვჭირდება მშველელი და თანამოაზრე. მეგობრობა ხომ სხვისი კეთილდღეობისათვის უანგარო სამსახურს ნიშნავს. რად უნდა დავივლო რამე, თუ უგულისყუროდ მოეკიდები, ან თუ უორგულებ მეგობარს, შენ რომ ხეირი ნახო. რად თვალთმაქცობ, დახმარების ნაცვლად ხელს რად მიშლი ფარულად? მომეშვი, სხვების შემწეობით გავაკეთებ ჩემს საქმეს. მოვალეობის ტვირთს რად იღებ, თუ ტარება გიჭირს. ეს ჭაპანი მათთვის არის მსუბუქი, ვინც ჯაბანი არ არის.

XXXIX. ამიტომ ასეთი საქციელი მძიმე დანაშაულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ორ უნმინდეს გრძნობას შეურაცხყოფს: მეგობრობასა და რწმენას. მეგობრის სჯერა კაცს, მას ენდობა, მისი ერთგულების იმედი აქვს. მხოლოდ ზნედაცემული უღალატებს მეგობარს და ამით საფრთხეში ჩააგდებს მას, ვინც ირწმუნა მისი ფიცი. ასე არ არის განა? კაცი, რომელიც უგულისყუროდ მოეკიდება მცირე დავალებასაც კი, უნდა დაისაჯოს ისე, რომ სირცხვილით თავი ვერ გამოყოს ხალხში. ახლა მითხარი, რას იმსახურებს ის, ვისაც განსვენებულის პატიოსან სახელსა და მისი მემკიდრის ქონების პატრონობას ანდობენ და ის მკვდარსაც უღალატებს და ცოცხალსაც. შეიძლება ასეთ ადამიანს წესიერი კაცის სახელი ჰქონდეს? აქვს მას ამქვეყნად არსებობის უფლება? დაუდევრობის გამო ძალზე უმნიშვნელო დავალების შეუსრულებლობისათვის დამნაშავეს პატივს აჰყრიან. სადაც სამართალია, ასეთ დროს პასუხი იმას კი არ უნდა მოჰკითხო, ვინც არ შეასრულა დავალება, არამედ იმას, ვინც დაავალა, ვინც ნდობა გამოუცხადა. რა სასჯელი უნდა მიეზღოს, რა განაჩენს იმსახურებს ის, ვისაც ასეთ მნიშვნელოვან საქმეს ანდობენ და ის, თავისი დაუდევრობით პირადად ვინმეს კი არ მოუტანს ზიანს, არამედ შეარცხვენს, ლაფში ამოსვრის ელჩობის წმინდა სახელს. სექსტუს როსციუსს თავად რომ ეთხოვა კაპიტო-

ნისათვის თავისი საქმის მოგვარება, ქრისოგონთან შუამდგომლობა და ნება მიეცა ემოქმედა თავისუფლად, თუ კაპიტონი ამაზე დათანხმდებოდა, მაშინაც კი მართებდა სინდისიერად მოქცევა. მაგრამ თუ ოდნავ მაინც ხელს მოითხოვდა ამ საქმით, როგორ მიგაჩნიათ, ხომ უნდა დაესაჯა იგი სამედიატორო სასამართლოს, აეყარა პატივი და თუ რამ მიითვისა, ეიძულებინა, უკანვე დაებრუნებინა. სექსტუს როსციუსის საქმე ხომ დეკურიონებმა დაავალეს მას და არა როსციუსმა. კაპიტონი კი როგორ მოიქცა? მცირე მოგებას როდი დასჯერდა, მთელ ქონებას დააცხრა; სამი საუკეთესო მამული მიითვისა, თავისი ფიცი დაივიწყა; აბუჩად აიგდო დეკურიონთა და მუნიციპიის მოქალაქეთა სურვილი.

XL. ახლა ისიც მოისმინეთ, ბატონებო, შემდეგ რა ჩაიდინა და დარწმუნდებით, იგი არავითარ ავკაცობაზე არ იტყვის უარს, საკუთარ თავსაც არ დაინდობს და ლაფში ამოსვრის თავის სახელს. ამხანაგის განხილება, თუნდაც უმნიშვნელო საქმეში, დიდი უზნეობაა, ისეთივე უზნეობა, როგორიც ის დანაშაული, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ. რადგან კაცი როცა თანამდგომს იპოვის, გულდაჯერებულია და თუ იგი გასწირავს და მოატყუებს, ვილას უნდა ენდოს მერე, ვისი იმედი უნდა ჰქონდეს? ეს ისეთი მოულოდნელი დარტყმაა, რომელსაც ვერაფრით აიცილებ; უცხო ადამიანს შეიძლება გული არ გაუხსნა, მეგობარს კი აუცილებლად გაანდობ შენს ხვაშიადს; მასთან თუ ფრთხილად იქნები, თუ მოერიდები, მაშინ არც გცოდნია ფასი ამ წმინდა გრძნობისა. ჩვენი წინაპრების აზრით ამხანაგის მოლალატი კეთილშობილ მოქალაქეთა რიგებიდან უნდა ამოერიცხათ. ტიტუს როსციუსმა არა მარტო ერთი მოკავშირე მოატყუა და ფულები დასცინცლა (რაც თავისთავად მძიმე დანაშაულია, მაგრამ მაინც მოსათმენია), არამედ ცხრა დიდებული პიროვნება, რომელთანაც ერთად იკისრა ელჩობის წმინდა მოვალეობა, გააცურა, გაასულელა, უმტრო, ვერაგულად მოექცა, მონინალმდეგესთან გასცა. ისინი არ ელოდნენ მოკავშირისაგან ასეთ მუხანათობას, ენდობოდნენ მის სიტყვას. ამ ჩინებულ ადამიანებს საყვედურებით იკლებენ, სათანადო სიფხიზლე და წინდახედულობა რომ ვერ გამოიჩინეს და ვერ მიუხვდ-

ნენ მზაკვრობას კაპიტონს. ეს გაიძვერა მოლაღატი, აქეთ-იქით რომ დაძვრებოდა და ელჩების თათბირს ქრისოგონს აცნობდა, ბოლოს დაუფარავად მიემხრო მას. ახლა ჩვენ გვაშინებს, გათამამებული იმით, რომ ვერაგობისათვის ასე უხვად დაჯილდოვდა როსციუსის მამულებით. მის მიერ ჩადენილ მრავალ ავკაცობას ეს ახალი დანაშაულიც დაერთო, განსჯის საგნად რომ ვაქციეთ ახლა. სადაც ვერაგობა, სიხარბე, თავხედობა, გაუმაძღრობა და უზნეობაა, იქ ყოველთვის დანაშაული იმალება. თუმცა ბოროტება ისეთია, თავის თავს თვითონვე გამოამჟღავნებს. ამიტომ არ ღირს ამ თავგასული ადამიანის სხვა ბნირებაც გამოვამზეუროთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ მისი ხელი როსციუსის საქმეში ურევია. სიმაართლე თავის გზას იპოვის. ჭეშმარიტება მალე დადგინდება. თქვენ რას იტყოდით, მსაჯულებო? ნუთუ ფიქრობთ, რომ გლადიატორთა მწვრთნელმა მახვილზე ხელი აიღო; ან მოსწავლე ჩამორჩება მას ხელოვნებაში? ორივე ხარბი, უტიფარი, ზნეცემული და თავხედი. ტყუპი ძმებ-ვით ჰგვანან ერთმანეთს.

XLI. მასწავლებლის პატიოსნებაში ხომ დარწმუნდით, ახლა მისი შეგირდის სამართალსაც გაეცანით. როგორც ადრე მოგახსენეთ, ამ მკვლელობის თაობაზე ორი მონის დაკითხვა იყო საჭირო. მაგრამ შენ, ტიტუს როსციუს, უარი თქვი. რატომ? უკანონობად მიგაჩნდა ეს მოთხოვნა, ბრალდებულის ბედი არ გაღელვებდა თუ იმ ადამიანებს არ სცემდი პატივს, რომლებიც ითხოვდნენ მონების მოხმობას სასამართლოზე? ესენი ხომ უკეთილშობილესი, ჩინებული პიროვნებები არიან. ხომ დაგისახელეთ ისინი. მათ ისე უმნიცვლოდ იცხოვრეს, კაცი არ მეგულება ამ ადამიანებზე აუგის მთქმელი. მერედა, ვის გამოექომაგნენ ისინი? საბრალო, გაუბედურებულ კაცს, ვინც ჯვარს ეცმებოდა, ოღონდ მამამისის საქმე რიგიანად გამოეკვლიათ. მათ მოთხოვნაზე შენი უარი ნიშნავდა იმას, რომ ამ ბოროტებაში გედო წილი. მაშ, რა მიზეზით ავხსნათ შენი საქციელი? მონებმა ხომ თვითონ იხილეს, როგორ მოკლეს სექსტუს როსციუსი. მათ არც ბრალს ვდებ, არც ვამართლებ. საეჭვო მხოლოდ ის არის, რატომ არ რთავთ ნებას, გამოცხადდნენ სასამართლოზე. თქვენ

ისეთ პატივში გყავთ ისინი, უთუოდ გეშინიათ მათი. ალბათ ისეთი რამე იციან, რის გამხელაც თქვენ ხელს არ გაძლევთ. მონების დაკითხვა თავიანთი ბატონის საქმეზე უკანონოააო, – გაიძახით. კეთილი. მაგრამ მათი ბატონი აღარ არის სექსტუს როსციუსი. იგი ბრალდებულია. იმ მონების პატრონი თქვენ ბრძანდებით. ახლა ისინი ქრისოგონთან არიანო, – გვიპასუხებთ. გასაგებია. ჩანს, ისე მოეწონა მათი სიბრძნე, დახვეწილი ქცევები, რომ ვერ შეეღიწა; თავისთან უნდა ჰყავდეს იმ მხიარულ, ყველანაირ ხელოვნებაში განაფულ ყმანვილებთან ერთად, დიდებულ ოჯახებში რომ შეარჩია საგანგებოდ. ალბათ არ უნდა ამ გლეხუჭების, ამერიელი მინის-მუშების გვერდიდან მოცილება. არა, ბატონებო! ქრისოგონი მათი განათლებით, გონიერებით, ან მუყაითობით და პატიოსნებით როდი მოიხიბლა. აქ სულ სხვა ამბავია. ეს მათი საიდუმლოა, რომელსაც რაც უფრო გულმოდგინედ მალავენ, მით უფრო აშკარავდება.

XLII. მაშ, რას ნიშნავს ყოველივე? ქრისოგონს არ სურს მონების დაკითხვა, რომ მის მიერ ჩადენილი ბოროტება არ გამომჟღავნდეს? არა, მთლად ასე არ არის საქმე. ყველა ერთნაირი როდია. ამგვარი ეჭვი ქრისოგონის მიმართ არც მქონდა და არც ახლა მაქვს. გახსოვთ, სექსტუს როსციუსის საქმე ნაწილებად რომ დაყავი: ცილისწამება, რომლის დასაბუთებაც ერუციუსს ჰქონდა მინდობილი და თავხედური განზრახვა, რომლის განხორციელება როსციუსებმა იკისრეს. ყოველგვარი მკვლელობა, აკაცობა, დანაშაული როსციუსებს უნდა მივანეროთ. რაც შეეხება ქრისოგონს, მისი სახელი და გავლენა დიდად გვეშლის ხელს დამნაშავეთა გამოაშკარავებაში. ამიტომ, მსაჯულებო, უნდა შეასუსტოთ მისი ძალა და პასუხიც აგებინოთ თავის საქციელზე. ამის უფლება თქვენ გაქვთ, ბატონებო. ჩემი აზრით, ვინც მომხრეა მკვლელობის თაობაზე მოწმეთა დაკითხვისა, მას ჭეშმარიტების დადგენა სურს, ვინც წინააღმდეგია, იგი აღიარებს თავის მონაწილეობას ამ ბოროტებაში, თუმცა ვერ ბედავს ამის გამხელას. იმთავითვე მოგახსენეთ, მსაჯულებო, ამ ვერაგული დანაშაულის თაობაზე ბევრს არ ვილაპარაკებდი და მხოლოდ მის გამომწვევ მიზეზს შევეხებოდი, რადგან ეს საქმე ბევრ სხვა საკითხს წამოჭ-



რიდა, რისი დაწვრილებით განხილვა არ გამიჭირდებოდა, მაგრამ არავითარი ხალისი არა მაქვს ზედმეტად გავჭიმო ჩემი სიტყვა; რაც უშუალოდ საქმესთან არის დაკავშირებული, მასზე ვისაუბრებ ცოტას, ხოლო რაც საექვოა და მრავალ მტკიცებას საჭიროებს, ის თქვენი ნიჭისა და გონებისათვის მომინდვია, ბატონებო.

XLIII. ახლა ქრისოგონზე, ამ მართლაც „ოქროცაცზე“ მოგახსენებთ, რომელიც მოკავშირეთა სულისჩამდგმელი და მფარველია. მასზე საუბრის დაწყება მიჭირს, არც გაჩუმება შემიძლია. თუ არაფერი ვთქვი, მაშინ ჩემს დასკვნებს ძალა ეკარგება. თუ ხმას ამოვიღებ, მარტო ის კი არ იგრძნობს თავს შეურაცხყოფილად, არამედ სხვებიც. ქონების ჩამორთმევასა და გაყიდვაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. სექსტუს როსციუსის მამულები ქრისოგონმა შეისყიდა. აი, აქედან დავიწყოთ. როგორ მოხდა ეს? რა იყო ამის მიზეზი? ამით იმის თქმას არ ვაპირებ, რამდენად უზნეობაა უდანაშაულო ადამიანის მამულების გაყიდვა. არ ვიცი, რამდენად გამართლებულია ამის განცხადება და როგორ ჩამომართმევთ ამას, მაგრამ სექსტუს როსციუსი არ გახლდათ ისეთი გამოჩენილი პიროვნება, რომ მის ბედს ძლიერ შევეშვოთებინეთ; მე უფრო ერთი ჭეშმარიტების დადგენა მსურს: რომელი კანონის ძალით გაიყიდა მისი მამულები: ვალერიუსის თუ კორნელიუსის. ახლაც არ ვიცი, რომელი მათგანი მიუსადაგეს სექსტუს როსციუსს. რადგან ამ კანონთა თანახმად იმ კაცის მამულების გაყიდვა შეიძლება, ვინც საპროსკრიპციო სიებშია შეტანილი (მათში როსციუსის გვარი არ არის მოხსენიებული), ან იმათი, ვინც მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოკლეს (მაგრამ როსციუსი სულას დამცველთა შორის იყო). როცა ბრძოლა დამთავრდა და მშვიდობიანი ცხოვრება დავიწყეთ, ნასამხრალი, შინისაკენ გულარხეინად მიმავალი კაცი მოულოდნელად მოკლეს რომში. თუ ამ მკვლელობის გამართლება შეიძლება, ვაღიარებ, რომ მისი ქონების გაყიდვაც შესაძლებელი იყო. ხოლო თუ მისი მკვლელობა ყოველგვარი კანონის (ძველისაც და ახლისაც) დარღვევაა, მაშინ გეკითხებით, რა უფლებით გაიყიდა განსვენებულის მამულები.

XLIV. ალბათ გსურს იცოდე, ერუციუს, ვის დასახელებას ვაპირებ. შენ რომ გგონია, იმისას არა. აკი იმთავითვე მოგახსენეთ, სულაზე რასაც ვფიქრობდი. იგი თავისი არაჩვეულებრივი სიქველით მუდამ გამოირჩეოდა. მე ქრისოგონს ვადანაშაულებ. მან შეთითხნა ყველაფერი; თითქოს სექსტუს როსციუსი უღირსი მოქალაქე იყო, რომ იგი მოწინააღმდეგეთა შორის ტრიალებდა და სწორედ იქ მოკლეს. ქრისოგონმა სულასთან მისასვლელი გზა მოუჭრა ელჩებს, რომელთაც სიმართლის მოხსენება სურდათ ამ საქმის თაობაზე. ერთ რამეზეც მაქვს ეჭვი, განსვენებულის ქონება სულაც არ გაყიდულა საჯაროდ. ამის გამორკვევა არ არის ძნელი, თუკი მსაჯულები ამას ინებებენ, მე მგონია, კანონის თანახმად პროსკრიპციებისა და მამულების გაყიდვის ვადა ივნისის კალენდა იყო. როსციუსის მკვლელობა და მისი ქონების გაყიდვა რამდენიმე თვის შემდეგ მოხდა. გამოდის, რომ განსვენებულის გვარი პროსკრიპციებში ან არ არის შეტანილი და ეს გაიძვერა თვალში ნაცარს გვაყრის, ან თუ სიებში მოხსენიებულია სექსტუს როსციუსი, სიყალბე ჩაუდენიათ და გვიან შეუტანიათ, რომ მისი ქონების გაყიდვა კანონიერად ვცნოთ. მგონი, შევცდი, მსაჯულებო, და ნაადრევად წამოვიწყე ამ თემაზე საუბარი, იმის ნაცვლად როსციუსის სიცოცხლე გამოვიხსნა, სხვა საქმეებს გამოვედევნე. ამ საბრალოს კი არც ქონებისა და არც ფულების დარდი აქვს. მას ერთი სურვილი აქვს მხოლოდ: უსაფუძვლო ეჭვები და ბრალდება მოიშოროს და სხვა გასაჭირს იოლად გაუძღვება, სხვას არ შეაწუხებს. გთხოვთ, ბატონებო, მომისმინოთ; სათქმელი კიდევ დამრჩა ცოტა. ხან ჩემი სახელით ვილაპარაკებ, ხან როსციუსის ნაცვლად. დავიწყებ იმაზე საუბრით, რის მოთმენაც შეუძლებელია; რაც ყველა ჩვენგანს შეეხება, თუ დროულად არ მივიღებთ ზომებს. ამას ჩემი გულისტკივილი და მწუხარება მალაპარაკებს; როსციუსის ცხოვრებას, მის საქმეს შემდგომ გაგაცნობთ; მის სათქმელს ჩემი სიტყვის დასასრულს მოგახსენებთ.

XLV. მაშ, თავს ვანებებ ბრალდებულს და ქრისოგონს ვეკითხები: რატომ გაყიდეს იმ პატიოსანი მოქალაქის მამულები, რომელიც არც მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოუკლავთ და პროსკრიპციებშიც არ

იყო შეტანილი მისი სახელი. ეს ხომ უკანონოა. რატომ გაყიდეს მამულები მას შემდეგ, როცა ამ კანონმა შეწყვიტა მოქმედება. რატომ გაყიდეს ასე იაფად? ქრისოგონს სურს, როგორც გათავხედებულ ზაბატებს სჩვევიათ, თავის პატრონს გადააბრალოს ყველაფერი, მაგრამ ვერაფერს გახდება. ვინ არ იცის, რამდენი რამ დაუშაღეს სულას, როცა მას მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა გადასაწყვეტი, ამ დროს მისი სახელით ბევრი უსამართლობა ჩაიდინეს; ზოგის თაობაზე მან არაფერი იცოდა, ზოგიც კი მისი სურვილის გარეშე მოხდა. მერე? შეიძლება გავამართლოთ ასეთი უყურადღებობა? არა, მაგრამ იგი გარდაუვალია, ბატონებო! როცა იუპიტერი, უზენაესი და უძლიერესი ღვთაება, ცის, მიწისა და ზღვების მფლობელი, ძლიერ ქარიშხალს, პაპანაქებას, საშინელ ყინვებს მოავლენს ამქვეყნად, მუსრს ავლებს ადამიანებს, ანგრევს ქალაქებს, ანადგურებს ნათესებს – ჩვენ ამას ბუნების ძალებს ვაბრალებთ და არა ღვთის ნებას. ხოლო ბუნების სიკეთეს: შუქს, ჰაერს, ურომლისოდაც ვერ ვიარსებებთ, იუპიტერის წყალობად მივიჩნევთ. რა გასაკვირია, მსაჯულებო, ლუციუს სულას, რესპუბლიკის ერთადერთ მმართველს, ვის მამაცობას, ვის მიერ შემოღებულ კანონებსაც უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ქვეყნის ძლიერებას, რაიმე გამოჩენს; თუ ღვთაებრივი ძალა ვერ სწვდება ყველაფერს, ადამიანთა გონება როგორ შეძლებს ამას.

ყველაფერს რომ მოვეშვათ, ვინ არ იცის, რაც მოხდა, რაც ახლა ხდება. ამის მოთავე და სულისჩამდგმელი მხოლოდ ქრისოგონია. მისი სურვილით აღძრეს როსციუსის საქმე; მისი გული რომ მოეგო, იმიტომ დათანხმდა ერუციუსი, ბრალმდებლის როლი ეკისრა. ეს ხომ თავად აღიარა...

XLVI⁴⁰... მეორე შენთან პალაციუმიდან მობრძანდება, თავისი სახლიდან. მას მშვენიერი აგარაკიცა აქვს მოსასვენებლად; გარდა ამისა, რამდენიმე დიდებული მამული ქალაქთან ახლოს; ახლა სახლს არ იკითხავთ? კორინთოული და დელოსური ლარნაკებით აქვს მორთული; არც ავტეპსა⁴¹ აკლია, ამას წინათ რომ შეიძინა ზღაპრულ ფასად. როცა მას ყიდდნენ და ფასი ხმამაღლა გამოაცხადეს,

გამვლელს ეგონა, მამული იყიდებაო. ეს არაფერი; იცით, რამდენი ვერცხლის ნივთი, ხალიჩები, სურათები, მარმარილოს ქანდაკებები აქვს შინ? იმდენი, რამდენი ნაალაფევიც შეიძლება ერთმა სახლმა დაიტეოს. ეს ოდესღაც დიდებულთა ქონება იყო, ომის დროს რომ დაიტაცეს. მსახურებსა და მონებს ნულარ იკითხავთ, უამრავი ჰყავს, თანაც რჩეული და მრავალ ხელოვნებაში დაოსტატებული. მზარეულებზე, ხაბაზებზე, მეტახტრევენებზე აღარას ვამბობ; მემუსიკენიც ბლომად ჰყავს; რა საკრავის, რა სიმღერის ხმა არ გამოდის მისი სახლიდან. ღამე თანამეინახებთან ერთად დროს ატარებს და ხმაურით იკლებს იქაურობას. ახლა წარმოიდგინეთ, რამდენი ფული სჭირდება ასეთ ხელგაშლილ ცხოვრებას, ამდენი წვეულების გადახდას, ასეთ მდიდრულ სახლ-კარს, თუ შეიძლება მას სახლი ეწოდოს. ის უფრო უწმინდურთა თავშესაფარია და თავქარიანთა სკოლა. თავად ქრისოგონი კოხტად თმადავარცხნილი, გამოპრანჭული დასეირნობს ფორუმზე ტოგოსანთა მრავალრიცხოვანი ამალით. ხომ ამჩნევთ, როგორ ზემოდან უყურებს ყველას. თავისზე უკეთესი, უძლიერესი, უბედნიერესი ქვეყნად არავინ ეგულება. გაიმბობდით მის მიზნებსა და სურვილებზე, მაგრამ ვშიშობ, ვინმე ბრიყვმა კეთილშობილ მოქალაქეთა წინააღმდეგ გამოსვლად არ ჩამითვალოს ეს. მე მგონი, მათდამი მტრობას ვერავინ დამწამებს იმის გამო, რომ რაც არ მომწონს აქეთ მხარეს, ხმამაღლა ვაღიარო.

XLVII. ვინც მე მიცნობს, იცის, მუდამ ვცდილობდი ორად გათიშულ მოქალაქეთა შერიგებას. მაგრამ, რაკი ეს არ მოხერხდა, რამდენადაც შემეძლო, მხარი დავუჭირე მათ, რომელთა გამარჯვება გულით მენადა და გაიმარჯვეს კიდეც. ყველამ კარგად დაინახა, რომ მდაბალნი მათზე აღმატებულთ ექიშპებოდნენ, უტიფარნი – ღირსეულთ. მხოლოდ უზნეო ადამიანები არ შეუერთდნენ მათ, რომელთა გადარჩენას რესპუბლიკის ღირსების შენარჩუნება და ქვეყნის გარეთ მისი გავლენის გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა. დიდად სასიხარულოა, მსაჯულებო, რომ ყველას თავისი პატივი და ღირსება დაუბრუნდა. ყოველივე ამას ღმერთების ნებით, რომელი ხალხის ძალისხმევით, ნეტარი ლუციუს სულას ბრძნული

გადანყვეტილებით, მისი წინამძღოლობით მივაღწიეთ. ვფიქრობ, სამართლიანად დაისაჯნენ, ვინც მთელი არსებით წინ აღუდგნენ რომაელი ხალხის სურვილს. მისასალმებელია, რომ ღირსეულად დააფასეს ისინი, ვინც ქვეყნის კეთილდღეობისათვის იბრძოდნენ. მათი სურვილი ხომ ამ გამარჯვების მოპოვება იყო. გამოგიტყდებით, რომ მუდამ მათ თანავუგრძნობდი. მაგრამ თუ იარაღი მხოლოდ იმისთვის აისხეს, რომ ზნედაცემული ადამიანები სხვის ქონებას დახარებოდნენ, სხვისი ფულებით გამდიდრებულიყვნენ; თუ ასეთ არამზადებს საყვედურსაც ვერ შეეკადრებთ, სიტყვას ვერ დავძრავთ მათ გასაკიცხად, მაშინ ასეთი ბრძოლის მიზანი რომაელი ხალხის აღორძინება და ფეხზე დადგომა კი არ ყოფილა, არამედ მისი დაცემა და დაძაბუნება. მაგრამ მართლა ასე ხომ არ არის, ბატონებო! თუ თქვენ მათ თავგადასულობას შეაჩერებთ, ამით კეთილშობილთა ღირსება კი არ შეილახება, არამედ ამაღლდება.

XLVIII. ვისაც ამჟამინდელი ვითარება არ მოსწონს რესპუბლიკაში, მისი აზრით, ქრისოგონს მეტისმეტი უფლებები აქვს მინიჭებული; ვინც დღევანდელი დღით კმაყოფილია, მას რომ ჰკითხოთ, ქრისოგონისათვის ამდენის ნება არავის მიუციაო, – გეტყვით. ახლა მხოლოდ სულელს ან უტიფარს შეუძლია თქვას: „ჩემთვის რომ ნება მოეცათ...“ მათ ასე ვუპასუხებდი: „ვინ გიშლის, თქვი, რაც გინდა“. ამას გავაკეთებდით... გააკეთე, ნება გექლევა. ასე დავადგენდიო... დაადგინე, ოღონდ მართებული გადანყვეტილება მიიღე. ყველა დაგეთანხმება. ასეთ განაჩენს გამოვიტანდიო... ყველა მხარში ამოგიდგება, თუ კანონიერად განსჯი. იყო დრო, როცა ერთი კაცის ხელში იყო ძალაუფლება, ამას ვითარება მოითხოვდა, შემდეგ მანვე დაანებსა მოხელეთა არჩევა; კანონებიც შემოიღო; ყველას დაუბრუნა თავისი სახელი და ღირსება, და შეუნარჩუნებს კიდევაც მას, ვინც ამას მოისურვებს. ხოლო თუ ისინი ამგვარ მკვლელობებს, ძარცვა-გლეჯას არ მოიშლიან, ან ასეთი საქმეების ხელისშემწყობნი იქნებიან, მაშინ... არ მინდა ცუდი რამ წამომცდეს, ენამ არ მიყივლოს, ერთ რამეს კი ვიტყოდი: თუ ჩვენი ხელისუფლების მესვეურნი სიმამაცეს არ გამოიჩენენ, თუ გულმონყალენი და კეთილგონიერნი არ იქნებიან,

ჯობს, თანამდებობა მათზე ღირსეულთ დაუთმონ, ვინც ამ თვისებებით არიან გამორჩეულნი. ამიტომ ცუდად ნუ მოეჩვენებათ გაბედულად ნათქვამი სიმართლე, ქრისოგონზე აუგი მათ შეურაცხყოფას არ ნიშნავს. დაფიქრდნენ კარგად, ნუთუ სამარცხვინო და დამამცირებელი არაა ის, რომ მხედართა წრის წარმატება ვერ აიტანო და მონის ბატონობას შეეგუო? იგი უნინ სხვა ფორმით ვლინდებოდა, ახლა როგორ სახესაც მიიღებს, მალე დარწმუნდებით. ეს ბატონობა თქვენს ერთგულებას, ფიცს, განაჩენს, ყოველივე წმინდას და ხელშეუხებელს ემუქრება. ნუთუ ქრისოგონი აქაც იმედოვნებს თავისი გავლენის გამოყენებას? რა საშინელებაა, რა უბედურებაა! ასეთი გულისტკივილით იმიტომ კი არ ვლაპარაკობ, თითქოს მართლაც დიდ ვინმედ მიმაჩნდეს იგი, არა! ერთი რამ მანუხებს ძალიან. როგორ გაბედა გულში იმის გავლება, რომ თქვენს შორის, ასეთ ღირსეულ ვაჟკაცებში იპოვიდა თანამზრახველს, ვინც უდანაშაულო კაცის განირვაში დაეხმარებოდა.

XLIX. ამიტომ იბრძოდნენ დიდებულები ხმალამოლებულები ძალაუფლების დასაბრუნებლად, რომ მონებსა და აზატებს თავისუფლად მიეთვისებინათ კეთილშობილთა ქონება, სიმდიდრე და სიცოცხლე გაემწარებინათ ჩვენთვის? თუ ასეა, უნდა ვაღიარო, შემცდარვარ, მათ რომ თანავუგრძნობდი; თუმცა იარაღით ხელში არასოდეს ვმდგარვარ მათ გვერდით. ხოლო თუ ეს გამარჯვება რესპუბლიკის საკეთილდღეოდ მოვიპოვეთ, მაშინ ჩემი სიტყვა სასიამოვნოდ უნდა დაურჩეს ყველა დიდებულს; თუ ვინმეს ქრისოგონის დადანაშაულება პირად და საერთო საქმის შეურაცხყოფად მიაჩნია, ჩანს, ვერაფერში გარკვეულა, საკუთარი თავიც ვერ შეუცნია. საქმისთვის უკეთესია, თუ ყველა არამზადას, ქრისოგონის ყველა თანამზრახველს მოვიცილებთ და ბრძოლას გამოვუცხადებთ.

რაც ახლა მოგახსენეთ, ადრეც აღვნიშნე, ჩემი პირადი აზრი გახლავთ; ქვეყნის ბედ-ილბალზე ფიქრმა, ნუხილმა და გარენართა უსამართლობამ მაიძულა ამის თქმა. რაც შეეხება როსციუსს, ის არავის სდებს ბრალს, არავის ადანაშაულებს, მამისეულ ქონებას არ მისტირის. ეს გულმართალი გლეხი, სოფელში გაზრდილი

კაცი, თელის, რომ რასაც თქვენ სულას მიაწერთ, ის ხალხის ნება-სურვილით მოხდა კანონიერად და სამართლიანად. მას სურს, იგი უდანაშაულოდ ცნოთ; და თუ ბრალდებისაგან თავს დაიხსნის, თანახმაა, თავისი სიმდიდრეც დათმოს. შენც თხოვნით მოგმართავს, ქრისოგონ. მამამისის ქონებიდან ხელი ხომ არაფრისთვის უხლია, არაფერში მოუტყუებიხარ, ყველაფერი მოგცა, მოგიტვალა, აგინონა, სამოსიც კი გაიხადა; ბეჭედიც წაიძრო თითიდან; შიშველ-ტიტველი წამოვიდა შინიდან. იმისი ნება მაინც მიეცით უდანაშაულო კაცს, მეგობართა დახმარებით სიცოცხლე შეინარჩუნოს.

L. ჩემს ქონებას შენ დაეპატრონე, მე სხვისი მონყალებით ვირჩენ თავს. არ ვწუნუნებ, რაც მოხდა, მოხდა; შენთვის ღიაა ჩემი სახლის კარები, ჩემთვის კი დახმულია. რა ვქნა, უნდა ავიტანო. არც ერთი მონა აღარ შემომრჩა, ამასაც ვითმენ. მეტი რა გსურს? რას ეძებ? რას მებრძვი? რაში შეგიშალე ხელი? ქონების გულისათვის თუ გინდა კაცი სიკვდილის პირას მიიყვანო, ერთი ხომ უკვე შეინირე, კიდევ რა გინდა? ჩემთან მტრობა? რა გაქვს სამტრო კაცთან, ვისაც, სანამ გაიცნობდი, მანამდე წაართვი ქონება. თუ შიში არ გასვენებს? ვისი გეშინია? მისი, ვისაც ხმა არ ამოუღია თავის დასაცავად, ცილისწამებისათვის საკადრისი პასუხი რომ გაეცა? თუ მამაჩემის ქონების გამო მიცილებ თავიდან, ჩანს, სხვაზე მეტად შენა ხარ შეწუხებული, პროსკრიპციებში შეტანილთა ქონება ოდესმე მათ შვილებს ხომ არ დაუბრუნდებაო. თუმცა ამის შიში შენ ყველაზე ნაკლებ გმართებს.

დიდი უსამართლობაა, ქრისოგონ, თუ სექსტუს როსციუსის ქონების შენარჩუნებას ამ საბრალოს დალუპვით იმედოვნებ, ვიდრე სულას კანონებით. როსციუსს ხომ შენთვის არაფერი დაუშავე-ბია, მასთან სამტრო არაფერი გაქვს. მაშ, რას ერჩი? მამის სახ-ლიდან სამახსოვროდაც არაფერი წამოუღია, არ გადაუშალავს, ყველაფერი მოგცა, სულის გარდა. მაშ, რად არ ინდობ? რა ცოფი შეგეყარა? რამ გაგიქვავა ასე გული? რა ველურმა ჟინმა აგიტანა? რომელი თავზე ხელაღებული ყაჩაღი მოინდომებს ნადავლის ხელში ჩასაგდებად სისხლში გაისვაროს ხელი, როცა ნებით უთმობენ მას. იცი, რომ როსციუსს აღარაფერი აქვს, არავითარი სიავე შენ

მიმართ გულში არ უდევს, იოლად დაგმორჩილდა, შენთან მტრობას არ აპირებს და მაინც ებრძვი; რად უნდა გეშინოდეს მისი ან რად უნდა გძულდეს, წასართმევი ხომ არაფერი დარჩენია. იქნებ ის არ მოგნონს, ჩაცმულ-დახურულს რომ ხედავ აქ, სასამართლოზე. შენ ხომ ისე გამოგადე მამამისის სახლიდან შიშველ-ტიტველი, ტალღები რომ გამორიყავს ღონემიხდილ კაცს. იქნებ არ იცი, ვინ შემოსა, ვინ დააპურა? ცეცილიამ, ბალეარიკის ქალიშვილმა, ნეპოტის დამ, ჩინებულმა ადამიანმა. ამ შესანიშნავი ქალის მამას, ბიძებსა და ძმას ვინ არ იცნობს. თავადაც გამოირჩევა ღირსებებითა და სიქველით.

LI. იქნებ როსციუსისადმი ეს თავგამოდება გეჩვენება მძიმე დანაშაულად? მენდე, ყველას რომ მოეყარა აქ თავი, ვისაც მამამისთან მეგობრობა და სტუმართმოყვარეობა აკავშირებდა, და ბრალდებულის თავისუფლად გამოსარჩლება გაებედა, როსციუსს ბევრი დამცველი ეყოლებოდა. ახლა კი ისე იცავენ, მისი მტრებისათვის ეს მძიმე ასატანი არ უნდა იყოს; ვერც იმას დაიუნუნებენ, სიმრავლით დაგვეჯანსაღოსო. როსციუსის საქმის მოგვარება შინ ცეცილიამ იკისრა, ფორუმსა და სასამართლოზე – მარკუს მესალამ⁹. ამას თავადაც ხედავთ, ბატონებო! სიტყვითაც შეეძლო აქ გამოსვლა, მაგრამ ჯერ ჭაბუკია და გამოცდილება აკლია. რადგან ახალგაზრდობა და ამასთანავე მოკრძალება (რაც აგრერიგად ამკობს მის ასაკს) ხელს უშლის, ამიტომ მე მომანდო ეს საქმე. იცოდა, სიამოვნებით დავთანხმდებოდი, ვალდებულებაც ვიყავი, მისთვის ანგარიში გამეწია. თავად მან ყველაფერი იღონა, არაფერი დაიშურა, არც ძალა და არც გავლენა. მოთმინებით, დინჯად მოაგვარა ყველაფერი და მტაცებელთაგან გამოიხსნა სექსტუს როსციუსი, რათა მისი ბედი სასამართლოს მესვეურთათვის მიენდო. აი, ასეთ კეთილშობილ ადამიანთა დასაცავად აისხეს მოქალაქეებმა იარაღი, რომ მათთვის ძველი უფლებები დაებრუნებინათ. რადგან ისინი მუდამ ეცდებიან, მესალას მსგავსად, უდანაშაულო არავის დააჩაგვრინონ, უსამართლობას შეუტეონ, თავიანთი ძალა ვინმეს გასანადგურებლად კი არ გამოიყენონ, არამედ მართალ კაცს ქომაგად დაუდგნენ. თუ ყველა წარჩინებული ასე მოიქცევა, სხვისადმი მტრო-

ბას გულში არ ჩაიდებს, თავადაც სიძულვილს აიცილებს და რესპუბლიკასაც იხსნის საფრთხისაგან.

LII. თუ ქრისოგონთან ვერაფერს გავხდებით, რათა იკმაროს ჩვენი ქონება, ოღონდ სიცოცხლეს ნუ გამოგვასალმებს, თუ იმას ვერ ჩავაგონებთ, დასჯერდეს ჩვენს ავლა-დიდებას და მზის შუქს ნუ დაგვიბნელებს, თუ ვერ გაძლება ჩვენი სისხლითა და ფულებით, სხვა გზა არ არის, მსაჯულებო, სექსტუს როსციუსი თქვენ უნდა მოგენდოთ, თქვენი სიკეთისა და გულმონყალების უნდა ირწმუნოს. ასეთივე იმედით შემოგცქერით მთელი რესპუბლიკა. თუ ეს თვისებები კიდევ შემოგრჩათ, მაშინ გადავრჩებით. ხოლო თუ ჩვენში გაბატონებულმა სისასტიკემ და დაუნდობლობამ თქვენც გაგაუხეშათ, რასაც ძნელად ვირწმუნებ, გათავებულია საქმე. უმჯობესია მხეცებს შევერიოთ და იქ დავასრულოთ ჩვენი სიცოცხლე, ვიდრე ამ გაიძვერათა ბრბოში ვიტრიალოთ. თქვენ განა იმისთვის შეიკრიბეთ აქ, იმისთვის გენდოთ ხალხი, რომ ვერ შეძლოთ ყაჩაღთა და მძარცველთა ალაგმვა? გამოცდილი სარდლები ისე განალაგებენ ჯარს, რომ იმ ადგილას, სადაც შესაძლებელია უკუქცეულმა მტერმა თავს უშველოს, მეომრებს ჩაუსაფრებენ, რომ იოლად გაუსწორდნენ მათ. ასევე იქცევიან ეს ვაჟბატონები. მათ თქვენი იმედი აქვთ, მსაჯულებო. თუ ვინმე ხელიდან დაუხსლტებათ, თქვენ დააკავებთ მას. ღმერთები არ ინებებენ იმას, ბატონებო, რომ წინაპართა მიერ დაწესებული სათათბირო მომხვეჭელთა ქომაგად გადაიქცეს. ნუთუ ვერ ხედავთ, რა ხდება აქ? ამ გაიძვერებს სურთ, სექსტუს როსციუსს სიკვდილის განაჩენი გამოუტანონ და ამით დააკანონონ ქონებაჩამორთმეულთა შვილების დაღუპვა. კიდევ ვერ ხვდებით, ვინ არის ბოროტმოქმედი? თუ ერთ მხარეს დგას სხვისი მამულების მიმთვისებელი, ყაჩაღი, რომელიც ამავე დროს ბრალმდებელიცაა, მეორე მხარეს კი ხედავთ გაჭირვებულ, ნათესავების ამარა დარჩენილ ბრალდებულს, ვისი ერთადერთი დანაშაული ის არის, რომ მამის ქონება მძარცველებს დაუთმო.

LIII. თუ თქვენ ამ ავაზაკებს ხელს გაუმართავთ და იმათ შვილებს დასჯით, ვისაც მამულები წაართვეს, ფრთხილად იყავით, ახალი,

უფრო სასტიკი პროსკრიპციების დაწყება არ დაგაბრალონ. პირველი იმათ წინააღმდეგ იყო მიმართული, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო; სენატმა მაინც შეიკავა თავი მკაცრი გადაწყვეტილებისაგან, რომ წინაპართა ჩვეულებისათვის არ ელაღათ, ახლა კი, ბრძოლა გაუმართეს იმათ შვილებს, არ ინდობენ არც აკვანში მწოლარე ჩვილებს; თუ თქვენ მედგრად არ დადგებით და სამართალს არ მიაგებებთ ვერაგ ბოროტმზრახველთ, ნახავთ, რა დღეში ჩავარდება ჩვენი რესპუბლიკა.

თქვენ, ბატონებო, ბრძენსა და გავლენიან ადამიანებს, შეგიძლიათ იფიქროთ რესპუბლიკის სატკივარზე; ყველა თქვენგანმა იცის, რომ რომელი ხალხი, რომელიც გამოირჩეოდა შემწყნარებლობით მტრების მიმართაც კი, ახლა შინაომებში იხრჩობა. ეს ბოროტება თქვენ უნდა მოაცილოთ ქვეყანას; ნუ დაუშვებთ, რომ კიდე დიდხანს გაგრძელდეს ეს უბედურება. ამ საშინელმა სისხლისღვრამ არა მარტო მუსრი გაავლო ჩვენს ხალხს, არამედ თვით გულმონყალე ადამიანებსაც წაართვა ნიჭი თანალმობისა. თითქოს გულქვანი არა ვართ, მაგრამ ყოველდღიურად ამდენი უბედურების მოსმენამ და ყურებამ მოგვიდუნა უნარი სხვისი ქირის გაზიარებისა.

პირველი სიცევა კატილინას წინააღმდეგ

1. ბოლოს და ბოლოს, სანამ უნდა ისარგებლო ბოროტად ჩვენი მოთმინებით, კატილინა? კიდევ დიდხანს უნდა მოვიხაროთ თავი შენი სიშმაგის წინაშე? სანამ უნდა იყოყოჩო შენი აულაგმავი თავხედობით? ნუთუ არ აგაღელვეს არც პალაციუმის³ ღამის დარაჯებმა, არც ქალაქის მცველებმა, არც ხალხის შფოთმა, არც კეთილშობილ მოქალაქეთა თავყრილობამ, არც სენატის სხდომათა ამ უმტკიცესმა ადგილმა⁴, არც აქ მყოფთა სახეებმა და მზერამ?

ო, რა დრო დაგვიდგა! რას მოვესწარიო! სენატმა იცის ეს, კონსული ხედავს ამას, ის კი ცოცხალია. უფრო მეტიც, სენატშიაც დაბრძანდება, მონაწილეობს სახელმწიფო თათბირში, შეათვალიერებს თითოეულ ჩვენგანს და სასიკვდილოდ გაიმეტებს, ვისაც თვალს დაადგამს. ჩვენ კი, ლომგულ ვაჟუცატ, გვეგონია, სახელმწიფოსათვის დიდ რამეს ვაკეთებთ, თუ მის რისხვასა და მახვილს დავუსხლტებით. კარგა ხანია, კატილინა, შენ თვითონ უნდა დასჯილიყავ სიკვდილით კონსულის ბრძანებით. შენს თავზე უნდა დატრიალებულიყო მთელი ეს უბედურება, ჩვენთვის რომ ამზადებდი. თუ უბრწყინვალესმა პუბლიუს სციპიონმა⁵, ქურუმთუხუცესმა, თავად ისურვა ტიბერიუს გრაკქუსის სიკვდილში ხელი გაერია, რომელმაც სახელმწიფო წესწყობილების უმნიშვნელო შეცვლა სცადა, ჩვენ, კონსულებმა

რატომ უნდა მოვუთმინოთ კატილინას, ვისაც მთელი ქვეყნის ცეცხლითა და მახვილით განადგურება სწადია? აღარაფერს ვამბობ შორეულ წარსულზე, გაიუს სერვილიუს აპალამ⁴⁶ თავისი ხელით რომ მოკლა სპურიუს მელიუსი, ვისაც სახელმწიფო გადატრიალების ნადილი ჰქონდა. იყო ოდესღაც ამ სახელმწიფოში ისეთი სიმტკიცე, რომელიც გულად ვაჟკაცებს ძალას მატებდა, სახელმწიფოსათვის საშიში მოქალაქე მოეთვინიერებინათ და უმრისხანეს მტერზე უფრო დაესაჯათ. ჩვენცა გვაქვს, კატილინა, სენატის დადგენილება შენს წინააღმდეგ. იგი მკაცრი და მძიმეა. არა, სახელმწიფოს არც ღირსეული სენატორები აკლია, არც მათი თათბირები. ჩვენ, ვაღიარებ, ჩვენ, კონსულები არ ვვარგევართ.

II. ოდესღაც სენატის დადგენილებით კონსულ ლუციუს ოპიმუსს დაეცალა სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ერთ ღამესაც არ გაუვლია ამის შემდეგ, რომ მოკლულ იქნა აჯანყების მზადებაში ეჭვმიტანილი გაიუს გრაქუსი⁴⁷, წარჩინებული მამის, პაპის, წინაპრების ნაშიერი. მოკლულ იქნა ყოფილი კონსული მარკუს ფულვიუსი⁴⁸, შვილებითურთ. სენატის ამგვარივე დადგენილებით სახელმწიფოს ბედი მიენდოთ კონსულებს: გაიუს მარიუსსა და ლუციუს ვალერიუსს⁴⁹. განა ამის შემდეგ ერთი დღითაც კი დაყოვნდა სახელმწიფო განაჩენის შესრულება – სახალხო ტრიბუნის, ლუციუს სატურნინუსისა⁵⁰ და პრეტორის, გაიუს სერვილიუსის სიკვდილით დასჯა? ჩვენ კი, აი, უკვე მეოცე დღეა ვითმენთ, როგორ ჩლუნგდება აქამდე მახვილივით შემართული სენატის ღირსება. ჩვენც ხომ გვაქვს, კატილინა, სენატის ამგვარივე დადგენილება სიკვდილით შენი დაუყოვნებლივ დასჯის თაობაზე, თუმცა იგი ქარქაშში ჩაგებული მახვილივით ტაბულებშია ჩაკეტილი. შენ კი ცოცხლობ და იმის ნაცვლად, ხელი აიღო თავხედურ განზრახვაზე, მის განხორციელებაზე ფიქრობ. ბატონო სენატორნო, თან მინდა მისი შეწყნარება, თან ვფრთხილობ, დაუდევრობა არ გამოვიჩინო სახელმწიფოს ასეთი ძნელბედობის ჟამს. მაგრამ, აი, უკვე თვითონვე ვკიცხავ თავს უნებისყოფობისა და უუნარობისათვის.

რომაელი ხალხის შესამუსრავად იტალიაში, ეტრურიის ხეობაში

მტერია დაბანაკებული. დღითი დღე იზრდება მისი რიცხვი. ბანაკის უფროსსა და სარდალს არა მარტო ქალაქის კედლებში, სენატშიც ვხედავთ. ის ყოველწუთს ელოდება, ციხე შიგნიდან გატეხოს. მე რომ შენი შეპყრობა და სიკვდილით დასჯა ებრძანო, კატილინა, დარწმუნებული ვარ, ყველა კეთილშობილი მოქალაქე საქმის ასე დაყოვნებას უფრო მისაყვედურებს, ვიდრე ვინმე სისასტიკეს დამნაშავედეს. კარგა ხანია ასეც უნდა მოვექცეულიყავ, მაგრამ გარკვეული მიზეზის გამო ჯერ კიდევ თავს ვიკავებ. შენ ახლა არ დაისჯები სიკვდილით, რადგან ჯერ კიდევ შესაძლებელია შენი მსგავსი ადამიანის მოძებნა, ისეთი უტიფრისა და უწმინდურისა, ვინც იტყვის, რომ მე უსამართლოდ მოგექეცი. შენ მანამ იცოცხლებ, სანამ ჯერ კიდევ იარსებებს თუნდაც ერთი ვინმე, ვინც შეძლებს შენს გამოსარჩლებას. იცოცხლებ, მაგრამ ისე, ვით ახლა, ჩემი ერთგული მცველები გასაქანს არ მოგცემენ, რათა ვერ გაბედო სახელმწიფოზე ხელის აღმართვა. ას თვალს მოგიჩენ, ას ყურს გამოვისხამ, როგორც ეს აქამდე ხდებოდა ისე, რომ შენ ვერაფერს შეიტყო.

III. აბა, რაღას ელოდები კიდევ, კატილინა, თუ არც ღამეს შეუძლია წყვდიადით შებუროს უწმინდურთა თათბირი, არც საკუთარი სახლის კედლებს ძალუძს შთანთქმას შეთქმულთა სიტყვები; თუ ყველაფერი უკვე ნათელია, თუ ყოველივე აშკარაა? მერმუნე, კატილინა, დაივიწყე ხოცვა და ხანძარი. გზა მოჭრილი გაქვს ყველგან. ყოველი შენი განზრახვა დღესავით ნათელია ჩვენთვის. მოდი, ერთად გავიხსენოთ ყოველივე. ხომ გახსოვს, ნოემბრის კალენდებამდე თორმეტი დღით ადრე სენატში განვაცხადე, რომ განსაზღვრულ დღეს, სახელდობრ, ნოემბრის კალენდებამდე ექვსი დღით ადრე, შენი თავხედური განზრახვის თანამოსაქმე და ხელისშემწყობი გაიუს მანლიუსი¹ იარაღს აიღებდა ხელში. ხომ არ შეემცდარვარ, კატილინა, არც იმაში, რომ ეს საშინელი და დაუჯერებელი ამბავი უნდა მომხდარიყო და რაც უფრო საოცარია, არც დროში მოვტყუებულვარ. სენატს ისიც ხომ მოვახსენე, რომ ნოემბრის კალენდებამდე ხუთი დღით ადრე შენ ოპტიმატების ჟღერს გქონდა ჩაფიქრებული. მაშინ მრავალი წარჩინებული მოქალაქე გაიქცა რომიდან

უფრო იმ მიზნით, შენს ბოროტ განზრახვას რომ აღდგომოდნენ წინ, ვიდრე თავის გადასარჩენად. ნუთუ შეგიძლია უარყო, იმ დღეს ჩემი მცველებით, ჩემი სიფხიზლის წყალობით რომ ვერ მოახერხე სახელმწიფოზე ხელის აღმართვა, და იმას რომ ამბობდი, მართალია, ზოგიერთები წავიდნენ, მაგრამ იმათი სისხლითაც გაიძლებდი გულს, ვინც ქალაქში დავრჩით?

შემდეგ, როცა გადანყვიტე ნომბრის კალენდების დროს, ღამით იერიშით აგელო პრენესტე⁸², ნუთუ ვერ იგრძენი, რომ ეს კოლონია ჩემი ბრძანების თანახმად, ჩემი მცველებითა და ღამის გუშაგებით იყო გამაგრებული? შენ ვერაფერს მოისაზრებ, ვერაფერს წამოინყებ, ვერაფერს მოახერხებ, მე რომ არ შევიტყო, არ ვიგრძნო, არ დავინახო.

IV. მოდი, გავიხსენოთ გუშინდელი ღამეც და შენ უმალ მიხვდები, რომ მე უფრო მეტს ვფიქრობ სახელმწიფოს ხსნისათვის, ვიდრე შენ მის დასალუჰად. მე კარგად ვიცი, შენ იმ ღამით მჭედლების ქუჩით გაეშურე, რალა დასამალია, მარკუს ლეკას⁸³ სახლში. ბევრი მოვიდა იქ შენი მოკავშირე, მომხრე შენი ავი ზრახვებისა. შეგიძლია უარყო ყოველივე? რატომ დუმხარ? რაკი უარზე ხარ, მე გამხელ. მე ხომ აქაც ვხედავ ზოგიერთს, ვინც შენთან ერთად იყო.

ო, უკედავო ღმერთებო! რა ხალხში ვართ, სად ვცხოვრობთ? ეს რა სახელმწიფოა, რა ქალაქია? აქ არიან, ბატონო სენატორნო, ჩვენს რიგებში; აქ არიან, ამ უწმინდესსა და უმკაცრეს სათათბიროში ისინი, ვისაც ჩვენი გაჟლეტა სურს, ვისაც ამ ქალაქისა და მთელი ქვეყნის მოსპობა განუზრახავს. მე კი, კონსული, ვუცქერი მათ, ვეკითხები კიდევაც აზრს სახელმწიფო საქმეების თაობაზე და სიტყვითაც კი ვერ დამიკოდავს ისინი, ვინც დიდი ხანია მახვილით განგმირვის ღირსნი არიან. მაშ, ასე, კატილინა, იმ ღამით ლეკასთან ბრძანდებოდი, დაანანილე იტალია, დაადგინე, ვინ საით გაემგზავრებოდა. აირჩიე, ვინ წაგეყვანა თან და ვინ დაგეტოვებინა რომში. შეათვალიერე, ქალაქის რომელი უბნები გადაგენვა. ყველა დააჯერე, რომ შენც მალე დატოვებდი ქალაქს. როგორც განაცხადე, ერთი რამ გიშლიდა ხელს მხოლოდ – რომ მე ცოცხალი ვარ. ორი



რომაელი მხედარიც იპოვე, რომლებმაც იკისრეს ეს სადარდებელი მოეშორებინათ შენთვის. შეგპირდნენ, რომ იმავე ღამეს, გამთენიის ხანს, მე ჩემს საწოლში ამომხდინენ სულს⁵⁴. ყოველივე ეს უმაღლესი შევიტყვე, როგორც კი თქვენი თათბირი დასრულდა. კიდევ უფრო გავაძლიერე მცველების რაზმი, გავამაგრე ჩემი სახლი, არ მივიღე შენი მოგზავნილები, ვითომცდა დილის საღამოს მოსახსენებლად მოსულნი⁵⁵, რადგან მოვიდნენ სწორედ ისინი, ვის შესახებაც ვაუწყებერ კეთილშობილ მოქალაქეს, თანაც მოვიდნენ ზუსტად იმ დროს, როცა ვვარაუდობდი.

V. რაკი ასეა, კატილინა, მიჰყევი შენს სურვილს, გაეცალე ქალაქს, ღიაა ჭიშკარი, გაემგზავრე. მანლიუსის ბანაკი კარგა ხანია მოუთმენლად გელოდება შენ, სასურველ მბრძანებელს. ნაიყვანე შენი მოკავშირენი, ყველა თუ არა, რაც შეიძლება მეტი, განმინდე ქალაქი. დიდ ურვას ამაცდენ, ჩვენს შორის თუ კედელს აღმართავ. ჩვენთან დიდხანს ვერ იბოგინებ, ამას ვერ ავიტან, ვერ დაეუშვებ, ნებას არ მოგცემ.

დიდი მადლობა უნდა ვუძღვნათ უკვდავ ღმერთებს, თვით იუპიტერ სტატორს, ამ ქალაქის ოდინდელ მფარველს, რომ რამდენჯერმე ავიცილეთ სახელმწიფოსათვის ესოდენ საშიში, დამლუპველი და საშინელი სენი. ამიერიდან მაინც ნუ დაეუშვებთ, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობას მუდამ ეს კაცი ემუქრებოდეს. სანამ შენ, კატილინა, მე, კონსულ დესიგნატს⁵⁶, ხიფათს მიმზადებდი, მე ჩემი წინდახედულობა მიფარავდა და არა სახალხო მცველები. ასევე, როცა შენ კონსულთა უკანასკნელი საარჩევნო კრების დროს მოინადინე ჩემი, კონსულისა, და შენი მეტოქეების მოკვლა მარსის ველზე⁵⁷, მე ჩემი მეგობრების, მათი ლაშქრის წყალობით მოვახერხე ჩამეშალა შენი უტიფარი ცდა ისე, რომ ხალხი არც შემინუხებია. რამდენჯერაც კი წინ გადამელობე, რამდენჯერაც კი ამიმხედრდი, არ შეგეპუე; თუმცა ვიცოდი, სახელმწიფოსათვის დიდი უბედურება იქნებოდა ჩემი სიკვდილი. ახლა კი შენ უკვე აშკარად ემუქრები სახელმწიფოს, უკვდავი ღმერთების ტაძრებს, ქალაქის შენობებს, მოქალაქეთა სიცოცხლეს, გინდა მოისრას მთელი იტალია.



რაკი მე ჯერ ვერ ვბედავ ისე მოვიქცე, რასაც ჩემი უპირველესი მოვალეობა და წინაპართა ანდერძი მიკარნახებს, ამიტომ სულ სხვა ზომებს მივმართავ, ნაკლებად მკაცრს, მაგრამ ქვეყნის კეთილდღეობისათვის უფრო სასარგებლოს. მე რომ შენი სიკვდილით დასჯა ვბრძანო, ხომ უვნებელნი დარჩებიან დანარჩენი შეთქმულნი, ხოლო შენ თუ თავად გაგვმორდები, რასაც დიდი ხანია გირჩევ, და ქალაქს გაეცლება მრავალი შენი თანამოსაქმეც, ბევრ საშინო ნაძირალას მოიშორებს სახელმწიფო.

რა მოხდა, კატილინა, რატომ ყოყმანობ შეასრულო ჩემი ბრძანება? აკი თავად გასურდა წასვლა? მე, კონსული, გირჩევ ქალაქის მტერს, დატოვო იგი. გაინტერესებს, ხომ არ გაძევებ? არა, არ გიბრძანებ წასვლას. ჯობს, თვითონ გაგვეცალო.

VI. მაინც რა დაგრჩენია ამ ქალაქში, კატილინა? ამ თავაშვებულ შეთქმულთა გარდა ვერავის მოიძიებ, შენი რომ არ ეშინოდეს და არ სძულდე. შენს ოჯახს, შენს ცხოვრებას რა სამარცხვინო დალი არ ადევს. რამდენი ჩირქი არ მოსცხებიან შენს სახელს. რა უტიფრობა არ უნახავს შენს თვალებს, რა სიბილნეში არ გაგისვრია ხელი, გარყვნილების რომელ წუმპეში არ გიბანავია? რამდენი ყმანვილი გაგიბამს მახეში, რა ხერხებით არ გიცდუნებია, მახვილი შეგიჩერებია ხელში საავკაცოდ და გზა გაგიჩირალდნებია მისთვის მრუშობისაკენ. მერე კიდევ, პირველი ცოლის სიკვდილით გზა გაიკაფე ახალი ქორწინებისაკენ. განა ამით ერთ გაუგონარ ბოროტებას მეორეც არ დაურთე? მაგრამ ამას მოვეშვათ, ვინმემ არ იფიქროს, რომ ჩვენს სახელმწიფოში ასეთი უჩვეულო ვერაგობა დაუსჯელი რჩება. ხმას არ ვიღებ არც შენს სრულ გაკოტრებაზე, მალე რომ მოხდება⁵⁸, ამას უახლოეს იდეებში შეიტყობ. აღარ მინდა ვილაპარაკო შენი პირადი ცხოვრების ბინიერებაზე, ოჯახურ გასაჭირსა და სხვა სისაძაგლეზე. ამჯერად იმის თაობაზე მოგახსენებ, რაც უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოს ბედ-იღბალსა და ჩვენს სიცოცხლეს.

როგორ შეგიძლია, კატილინა, მშვიდად უყურო ამ მზეს, ისუნთქო ამ ჰაერით, როცა არავინ მეგულება ისეთი, არ იცოდეს, როგორ იდექი შენ იარაღით ხელში სახალხო კრებაზე იანვრის კალენდე-

ბის წინა დღეს, ლეპიდუსისა და ტულუსის⁶⁰ კონსულობის დროს, როგორ შეაგულიანე თანამზრახველთა ბრბო კონსულებისა და სახელმწიფოს მესვეურთა გასაუღელტად. გონიერებამ ან შიშმა კი არ აგაღებინა ხელი ამ ბოროტ განზრახვასა და სიშმაგეზე. არა, ბედისწერამ იხსნა რომაელი ხალხი. მაგრამ არ გამოვედევნები ამას. ეს ხომ ისედაც ცნობილია. შემდეგაც არაერთხელ ჩაგიდენია მსგავსი რამ. რამდენჯერ სცადე ჩემი მოკვლა მაშინ, როცა კონსული დესიგნატი ვიყავი და მაშინაც, უკვე კონსულად რომ ვითვლებოდი. რამდენჯერ ავირიდე შენი თავდასხმა, რამდენჯერ დავიხსენი თავი თითქოსდა გამოუვალი მდგომარეობიდან, მხოლოდ და მხოლოდ სხეულის სისხარტით. უკეთ რომ ვთქვათ, ხელიდან დაგისხლტი.

არაფერი გამოგდის, ვერაფერს აღწევ, ვერაფერს ახერხებ ჩემგან დაფარულად. მაინც არ გინდა ხელი აიღო შენს სანადელზე. რამდენჯერ ხელიდან გამოუგლეჯიათ შენთვის ეს მახვილი, რამდენჯერ შემთხვევით გაგსხლტომია და ხელიდან გაგვარდნია. მაინც არ იცილებ. არ ვიცი, რა წესით აკურთხე, რომელ ღმერთებს აღუთქვი⁶¹, რომ მაინცადამაინც კონსულს უნდა ჩასცე იგი გულში.

VII. აბა, რაღა არის შენი ცხოვრება? მინდა ისე მოგმართო, რომ სიძულვილი კი არ მაღაპარაკებდეს, რისი უფლებაც მაქვს, არამედ სიბრალული, რასაც შენ არ იმსახურებ. აი, ახლახან შემოხვედი სენატში. ვინ მოგესალმა ამოდენა საკრებულოდან, ან მეგობართაგან, ან ახლობელთაგან? ვის დამართნია ასეთი რამ? რაღა მაინცადამაინც სიტყვიერ შეურაცხყოფას ელოდები, როცა სასტიკად ხარ დასჯილი დუმილის განაჩენით? რატომ გათავისუფლდა შენი შემოსვლისთანავე შენს ახლომახლო მერხები, რატომ მიატოვა ადგილები ყველა კონსულარმა, რომლებიც შენ არაერთხელ გასწირე სასიკვდილოდ?

როგორ ფიქრობ, შეიძლება ეს მოითმინო? მონებსაც რომ ასე შინებოდათ ჩემი, როგორც შენი ეშინია ყველა მოქალაქეს, ღმერთმანი, საკუთარ სახლს დავტოვებდი. შენ კი ფიქრად არ მოგდის, გაეცალო ქალაქს. ჩემთვის რომ ასე მკაცრად და სიძულვილით შემოეხედათ მოქალაქეებს, თუნდაც უსაფუძვლოდ, ვირჩევდი, სულაც არ დაენახებოდი მათ, ვიდრე მათი მტრული მზერა ამეტანა.

შენ იცი შენი დანაშაული, იცი შენდამი ზიზლი სამართლიანია, რომ შენ იგი დიდი ხანია დაიმსახურე, მაინც ვერ გადაგინწყევტია, მათ თვალთახედვას გაეცალო, ვის გრძნობებსა და აზრებს შეურაცხყოფ. შენი რომ ასე შინებოდათ და სძულებოდი მშობლებს, რომ ვერ მოგეხერხებინა მათი დაშოშმინება, მე ვფიქრობ, მათ თვალებს არ დაენახებოდი. ახლა კი სამშობლოს, ჩვენს საერთო მშობელს, შესძულებიხარ და ეშინია შენი, რადგან დარწმუნებულია, კარგა ხანია მხოლოდ მის ღალატზე ფიქრობ. ნუთუ არად აგდებ მის ნებასურვილს, არ სცემ პატივს, არც მისი ძალის რიდი გაქვს? შენ იგი მოგმართავს და თავისი დუმილით, აი, რას გაუწყებს:

„რამდენი წელია უშენოდ არავითარი აკაცობა და სისაძაგლე არ მომხდარა. მხოლოდ შენ შეგრჩა მოქალაქეთა მკვლელობა, მოკავშირეთა დევნა და ძარცვა. მხოლოდ შენ გყოფნიდა თავხედობა, არა მარტო აბუჩად აგეგდო კანონები და სასამართლონი, არამედ მინასთან გაგესწორებინა და დაგენგრია. ყველა შენი წინანდელი დანაშაული, თუმცა მოსათმენი არ იყო, მაინც ავიტანე, როგორც შემეძლო. ახლა კი, როცა დღენიადაგ ძრწოლაში ვარ მარტოოდენ შენ გამო, ოდნავ ხმაურს გავიგონებ თუ არა, კატილინასაგან ველი საფრთხეს; ვგრძნობ, რომ რა უბედურებაც არ უნდა დამატყდეს თავს, ყველგან შენი ხელი იქნება გარეული; ამის ატანა უკვე აღარ შემეძლია. ამიტომ წადი, განმარიდე ეს შიში, თუ ის საფუძვლიანია, რომ არ გამათავოს, ხოლო თუ უსაფუძვლოა, შიშისაგან მაინც მოვისვენო...“

VIII. სამშობლოს რომ ასე მოემართა შენთვის, ნუთუ არ უნდა დამორჩილებოდი მას, თუნდაც ძალა არ ეხმარა შენს წინააღმდეგ? ის რალა იყო, თავად რომ ისურვე შინაურ პატიმრობაში ყოფნა? ეჭვების გასაფანტავად მანიუს ლეპიდუსთან⁶² დარჩენის სურვილი რომ გამოთქვი? მან რომ არ მიგიღო, ჩემთანაც კი გაბედე მოსვლა და თავშესაფრის თხოვნა. მეც უარი გითხარი, რადგან ისედაც დაძაბული ვარ, რომ შენთან ერთად მიხდება ამ ქალაქში ცხოვრება, როგორღა ვიქნებოდი უშიშრად შენთან ერთად ერთ ჭერქვეშ? ამის შემდეგ კვინტუს მეტელუსს⁶³ მიაკითხე. ალბათ იფიქრე, ის უფრო

მარჯვეა, შენ რომ დაგიცვას, უფრო გამჭრიახი, შენი ზრახვანი რომ ამოიცნოს და მეტად გამბედავი, შენი ალაგმვა რომ შეძლოს. მაგრამ განა შორს არის საპყრობილისა და ბორკილებისაგან ის, ვინც თავი შინაპატიმრობის ღირსად ცნო?

თუკი ასეა, კატილინა, რაღას ყოყმანობ? თუ არ შეგიძლია მშვიდად გამოეთხოვო ამ წუთისოფელს? გაემგზავრე სხვა ქვეყნად და შენი სიცოცხლე, მრავალგზის რომ გადარჩენია სამართლიან და კანონიერ სასჯელს, ლტოლვილობასა და მარტოობაში დაასრულე. სენატს მოახსენეო, – მოითხოვ და ირწმუნები, თუ იგი მოიწონებს გადანყვეტილებას გაძევების თაობაზე, დაემორჩილები. არა, ამაში სენატს არ გავრევ, ეს მე არ მჩვევია. ისე, ვეცდები მიგახვედრო, კატილინა, რას ფიქრობენ სენატორები შენზე. გაეცალე ქალაქს, იხსენი სამშობლო განსაცდელისაგან, დატოვე იგი, როგორც მოკვეთილმა. ამ სიტყვის წარმოთქმას ელოდები? რა მოხდა, კატილინა, რამ მიიპყრო შენი ყურადღება? მათი დუმილი ხომ არ გაეჭვებს? ითმენენ, დუმან. რას ელოდები, ხმამაღლა წარმოთქვან თავიანთი გადანყვეტილება, რაც მათ დუმილით გამოხატეს? მე რომ ასეთი რამ კეთილშობილი ჭაბუკისათვის – პუბლიუს სესტიუსისათვის ან მარკუს მარცელუსისათვის⁶⁴ გამებედა, აქ, ამ ტაძარში, სენატი ჩემზე, კონსულზე, აღმართავდა ხელს და საცხებით სამართლიანადაც. ხოლო როცა შენს წინააღმდეგ ვილაშქრებ, კატილინა, ისინი მშვიდად არიან. ამით თანხმობას მიცხადებენ, როცა მოთმინებით სხედან, განაჩენი გამოაქვთ; როცა ჩუმად არიან, ყვირიან; და არა მარტო ისინი, რომელთა ღირსებას შენთვის ფასი აქვს, სიცოცხლეს კი არად აგდებ, არამედ ასევე ფიქრობენ ის რომაელი მხედრები, დიდად პატივსაცემი და ღირსეული ვაჟკაცები, აგრეთვე სხვა გულადი მოქალაქენი, სენატს რომ შემორტყმიან გარს. მოისმინე ალბათ მათი ხმები, მიხვდი, რა სურთ, ნახე, რა ბევრნი არიან. მე ძლივს ვახერხებ მათ შეჩერებას, იარაღით არ აგკუნონ. მაგრამ ადვილად დავაშოშმინებ, მიგაცილებენ კიდევაც ქალაქის კარიბჭემდე, თუ რომს, რომლის დაღუპვა გნადია, გაეცლები⁶⁵.

IX. თუმცა რას ვამბობ? შენ რა გაგტეხს? რა გამოგასწორებს?

შენ გაქცევაზე იფიქრებ? ლტოლვილი გახდები? ო, ასეთი რამ რომ შენთვის უკვდავ ღმერთებს ჩაეგონებინათ! თუმცა, კარგად ვიცი, თუ ჩემი სიტყვები აგაღელვებს და შენი ნებით წახვალ, სიძულვილის როგორი ქარიშხალი დამატყდება თავს, თუ ახლა არა, როცა შენი ავკაცობა ჯერ კიდევ არ დავინწყნიათ, მომავალში მაინც. მაგრამ არაფერია, თუ ეს მხოლოდ ჩემი პირადი უბედურება იქნება და სახელმწიფოს არა დაუშავდება. მაგრამ სად შენ და სად ცოდვების მონანიება! შეუძლებელია, შენ კანონიერმა სასჯელმა შეგაშფოთოს და დაემორჩილო სახელმწიფოს, როცა მას ასე უჭირს. შენ ხომ ისეთი არა ხარ, კატილინა, სირცხვილის გრძნობამ უტიფრობაზე აგაღებინოს ხელი, შიშმა – ბოროტებაზე და გონიერებამ – სიშმაგეზე. ამიტომ, რამდენჯერ გითხრა, წადი, თუ გასურს სიძულვილის ცეცხლი აანთო, როგორც შენ ამბობ, შენი პირადი მტრის – ჩემს წინააღმდეგ. შენი ნებით გაგვეცალე. თუმცა ერთი რამ ცხადია, ძნელი იქნება გავუძლო ხალხის მითქმა-მოთქმას, თუ შენ მართლა ასე მოიქცევი, გამიჭირდება, ავიტანო სიძულვილი, თუ შენ კონსულის ბრძანებით იქნები გაძევებული. ხოლო თუ გასურს, ჩემს სახელსა და დიდებაზე იზრუნო, წადი, თან წაიყვანე ავაზაკთა ბრბო, მიდი მანლიუსთან, აამხედრე უკეთურნი, ჩამოშორდი კეთილშობილ მოქალაქეებს, იარაღი აღმართე სახელმწიფოზე, იყოყმოე უტიფარი ძარცვა-გლეჯით, რომ ყველა დარწმუნდეს, მე კი არ გამიდევნიხარ უცხოებთან, შენთან გიხმეს. მაგრამ ჩემი ნაქეზება რად გინდა? განა არ ვიცი, შეიარაღებული რაზმი უკვე გაგზავნილი გყავს და ავრელიუსის ფორუმზე⁶⁶ გელოდება? ისიც შევიტყვე, ის ვერცხლის არნივი⁶⁷, შენ რომ საკურთხეველი მოუწყვე შინ ავკაცობისათვის, იქ გააგზავნე. იგი უბედურებას შეგამთხვევს, უთუოდ, შენცა და შენს თანამოსაქმეთ. როგორ შეეღიე მას ამდენ ხანს? შენ ხომ, ჩვეულებრივ, მასზე ლოცულობ, როცა მკვლელობისათვის ემზადები. მის სამსხვერპლოს შეხებული შენი ბილწი მარჯვენა რამდენჯერ აღგიმართავს მოქალაქეთა საჟღერად!

X. ბოლოს ხომ მაინც უნდა გაეშურო იქითკენ, საითკენაც შენი თაყვანისმცემი და შმაგი სურვილი გენევა. შენ ხომ ეს საქმე ტკივილს

კი არა, განუზომელ ნეტარებას განიჭებს. ასეთი უგუნურებისათვის შენ ბუნებამ გშობა, სურვილებმა გაგნაფა და ბედმა კალთა გადაგაფარა. მშვიდობა არასოდეს გინატრია, მუდამ ომი გწყუროდა და ისიც მხოლოდ უღვთო. შეყარე ბრბო ქონებადაკარგულ, უიმედო, ცხოვრებაზე ხელაღებული არამზადებისაგან. ო, როგორ ისიამოვნებ, როცა თქვენ შორის აღარ იხილავ, აღარ მოუსმენ არც ერთ პატიოსან მოქალაქეს. ასეთი ცხოვრებისათვის შენ მომზადებული ხარ. რა არ გადაიტანე ამისათვის: მიწაზე გდება – არა მარტო ვნებების დასაცხრობად, არამედ სააეკაცოდაც, ღამის ტეხა – არა მხოლოდ მძინარე ქმრების სადარაჯოდ, არამედ უნდილთა ქონების სათვალთვლოდაც. აი, ახლა შეგიძლია გამოამჟღავნო ის შენი ნაქები ამტანობა⁶⁶, შიშში, სიცივესა და ყოველგვარ გასაჭირში რომ გამოიბრძმედა. ყველა ეს უბედურება მალე დაგატყდება თავს და ვფიქრობ, ველარ გაუძლებ. მე ერთს მივალწიე მხოლოდ – კონსულობას ჩამოგაშორე, რადგან უმჯობესია, სახელმწიფოზე მიიტანო იერიში როგორც მტერმა, ვიდრე კონსულმა შეარყიო მისი ძლიერება. მაშინ შენს ავკაცობას ავაზაკური თარეში შეიძლება ენოდოს და არა ომი.

XI. ახლა კი, ბატონო სენატორნო, მსურს სამშობლოს სამართლიანი საყვედური ავიცილო და თავი ვიმართლო. ამიტომ, გთხოვთ კარგად მომისმინოთ და რასაც მოგახსენებთ, ღრმად ჩაიბეჭდოთ გულში. თუ ჩემი სამშობლო, რომელიც ჩემთვის სიცოცხლეზე ძვირფასია და მთელი იტალია, თუ მთელი სახელმწიფო ასე მომმართავს: „მარკუს ტულიუსო, რას შვრები? ნუთუ შენ მას, ვინც მტრად შეიცანი, ვინც მომავალი ომის სარდლად გამოაცხადე, რომელსაც, შენ კარგად იცი, მტრის ბანაკი, როგორც მთავარსარდალს, ისე ელოდება, ბოროტების წამომწყებს, შეთქმულების მეთაურს, მონათა და უკეთურ მოქალაქეთა წამქეზებელს ნებას მისცემ ქალაქიდან გავიდეს? ქალაქიდან უშვებ, რომ ქალაქზე წამოვიდეს იერიშით? რატომ არ ბრძანებ, ბორკილები დაადონ, წაიყვანონ მოსაკვდინებლად, მიუყენონ სასჯელის უმაღლესი ზომა, რა გაბრკოლებს? წინაპართა ჩვეულება ხომ არა? მაგრამ რამდენჯერ დაუსჯიათ

საშიში მოქალაქენი კერძო პირებსაც კი. თუ მოქალაქეთა დასჯის შესახებ არსებული კანონები გაფიქრებს?⁶⁶ ჩვენს ქალაქში ხომ არასდროს სარგებლობდნენ მოქალაქეობრივი უფლებებით, ვინც სახელმწიფოს გაეთიშებოდა. იქნებ გეშინია, შთამომავლობამ არ შეგიძლოს? თუ შენ, ასე გამორჩეული ადამიანი, არა დიდგვაროვანი წინაპრებით, არამედ პირადი ღირსებების წყალობით⁶⁷, აღარ იზრუნებ თანამოქალაქეთა კეთილდღეობაზე, იმ ზიზებით, არ შემიზიზღონო, თუ რაღაც სხვა საფრთხით შეშინებული, ასე გამოსატყვევდი მადლიერებას რომელი ხალხისადმი, ვინც შენ მმართველობის ყველა საფეხური აგატარა და უმაღლეს თანამდებობას მიგალწევინა? მაგრამ თუ მაინცადამანც სიძულვილის გეშინია, რა უფრო საფრთხილოა: უსუსურობითა და უმოქმედობით, თუ სიმკაცრითა და გამბედაობით გამონეული სიძულვილი. თუ იტალიას ომი მოაოხრებს, თუ ქალაქები დაინგრევა, თუ სახლები გადაიბუგება, ნუთუ ფიქრობ, რომ სიძულვილის ცეცხლი შენ არ მოგედება?"

XII. მე მოკლედ ასე ვუპასუხებდი სამშობლოს ამ უწმინდეს სიტყვებს და მათ, ვინც ამავე აზრებს იზიარებს: მე რომ კატილინას სიკვდილით დასჯა საუკეთესო გადანყვებილებად მიმაჩნდეს, ბატონო სენატორნო, ერთ საათსაც არ ვაცოცხლებდი ამ გლადიატორს. მართლაც, თუ უსათნოესმა მოქალაქეებმა და ღირსეულმა ვაჟკაცებმა სატურნინუსის, გრაკტუსების, ფლაკუსისა და კიდევ იმათზე ადრე სხვათა სისხლის დაღვრით არათუ არ გაიტყუეს სახელი, არამედ, პირიქით, დიდებას მიაღწიეს, მე რატომ უნდა მეშინოდეს, რომ შთამომავლობა ზიზლით მომიხსენიებს, თუ მოქალაქეთა მუღეტელს მოვკლავ? რაგინდ დიდი სიძულვილი მელოდეს, მე მუდამ იმ აზრისა ვარ, რომ სიმამაცით გამონეული სიძულვილი საამაყოც კი არის. მაგრამ ჩვენ შორის ისეთებიც არიან, ვინც ვერ ამჩნევს, რა საფრთხე გველის, ან თავი ისე უჭირავს, ვითომ ვერ ამჩნევს. ისინი თავისი შემწყნარებლობით იმედს უღვივებდნენ კატილინას, არ სჯეროდათ შეთქმულების არსებობა და ამით კიდევ უფრო გააძლიერეს იგი. მათი ღირსების გავლენით ბევრი მოქალაქე, არა მარტო ბოროტი, არამედ გამოუცდელიც, თუ კატილინას დავს-

ჯიდი, ჩემზე იტყოდა, რომ სასტიკი ტირანივით მოვიქეცი. მაგრამ როცა ის მანლიუსის ბანაკში მივა, საითკენაც მიეშურება, ვფიქრობ, არავინ გამოჩნდება ისეთი ჭკუათხელი, შეთქმულების არსებობა არ დაიჯეროს, არც არავინ – ისეთი უტიფარი, უარყოს იგი. მე ვიცი, მარტო კატილინას დალუპვითაც კი სახელმწიფო მცირე ხნით მოისვენებდა, მაგრამ არა სამუდამოდ. ხოლო თუ იგი გაგვეცლება, თან წაიყვანს თავის თანამზრახველებს და იქ შეუერთდება ყოველი მხრიდან თავმოყრილ დანარჩენ გაკოტრებულებს, სახელმწიფო ამ იარას არათუ მოიშუშებდა, არამედ ძირფესვიანად აღმოფხვრიდა ყოველგვარ ჭირს.

XIII. უკვე კარგა ხანია, ბატონო სენატორნო, შეთქმულების ხრიკები და საფრთხე თავს დაგვეტრიალებს, მას შეჩვეულები ვართ. მაგრამ რატომღაც ყველა დანაშაულმა, მძვინვარებამ და თავხედობამ მთელი სისრულით ჩვენი კონსულობის დროს იჩინა თავი, თუმცა იგი ადრეც არსებობდა. ამ ავაზაკურ ბრბოს მარტო კატილინაც რომ ჩამოშორდებოდეს, შეიძლება ცოტა ხნით მოგვეჩვენოს, რომ გავთავისუფლდით შიშისა და დარდისაგან. მაგრამ არა, საშიშროება კვლავ დარჩება. იგი ღრმად გაიდგამს ფესვებს სახელმწიფოში, ძვალსა და რბილში გაუჯდება. თუ მძიმედ დასწეულებული, ციებ-ცხელებით გათანგული ავადმყოფი ცივ წყალს დაენაფება, პირველად შვებას იგრძნობს, მაგრამ შემდეგ უფრო გაიტანჯება. ასევე, სახელმწიფოს სენს თუ კატილინას დასჯით შევამსუბუქებთ, შემდეგ უფრო გამწვავდება, თუ მისი მომხრენი ცოცხლები დარჩებიან. ამიტომ, დაე, გავეცალონ უღირსნი, გაეცალონ კეთილშობილ მოქალაქეებს. ერთად შეგროვდნენ, როგორც არაერთხელ მითქვამს. დაე, კედელი გვმიჯნავდეს მათგან. ხელი აიღონ განზრახვაზე, კონსულს საკუთარ სახლში მოუსწრაფონ სიცოცხლე. ნუ ეხვევიან გარს ქალაქის პრეტორის ტრიბუნალს, ნუ შემორტყმიან მახვილით ხელში კურიას, ნუ იმარაგებენ ქალაქის გადასაბუგავად ცეცხლიან ისრებსა და ჩირაღდნებს. დაე, ყველა მათგანს შუბლზე ეწეროს, რასაც ფიქრობს სახელმწიფოზე. სიტყვას გაძლევთ, ბატონო სენატორნო, თუ ჩვენ, კონსულები, სიფხიზლეს არ დავკარგავთ, თქვენ – ღირსებას, რომელი მხედრები –

სიმამაცეს, ყველა კეთილშობილი მოქალაქე – ერთსულოვნებას, კათილინას წასვლის შემდეგ მის ყოველ განზრახვას ნათელი მოეფინება, გამოაშკარავდება, ჩაიფუშება, დაისჯება.

აი, ასეთი წინასწარი ნიშნები გვაქვს, კათილინა, სახელმწიფოს ხსენისათვის, შენს დასალუპავად და ყველა შენი თანამზრახველის გასაწირად, ვინც შენთან ბოროტებითა და მკვლელობითაა დაკავშირებული. მაშ, ჩაები უღმობელ და უღვთო ომში. შენ გევედრები, იუპიტერო, ვისი ქანდაკებაც იმ დროიდან დგას, როცა რომულუსმა დააარსა ეს ქალაქი. გევედრებით ამ ქალაქისა და სახელმწიფოს მფარველს, დაიცავი კათილინასა და მისი თანამზრახველებისაგან შენი და სხვა ღმერთების საკურთხევლები, ქალაქის კედლები და ნაგებობანი, მოქალაქეთა სიცოცხლე და ქონება. კეთილშობილ მოქალაქეთა მტრები კი, სამშობლოს მოღალატენი, იტალიის დამრბევნი, ერთმანეთთან უღვთო და დანაშაულებრივი კავშირით შეერთებულნი, მკვდრებიცა და ცოცხლებიც, საუკუნო სატანჯველს მიეცი.

მეორე სიტყვა კატილინას წინააღმდეგ

1. როგორც იქნა, კვირიტებო, გავაძვევთ კატილინა, ბოროტების ამომნთხევი, თავხედობით გამძვინვარებული; გავაძვევთ თუ გავუშვით, სამშობლოს უმოწყალოდ დალუპვის მოსურნე, თქვენცა და ამ ქალაქს ცეცხლითა და მახვილით რომ ემუქრებოდა. იქნებ თავისივე ნებით წასულს გზა დაულოცეთ. ნავიდა, გაგვშორდა, გაიქცა, გაგვისხლტა. ეს საოცარი ურჩხული შფოთს ველარ აუტეხს შიგნიდან ქალაქის კედლებს. ცხადია, დავამარცხეთ შინა ომის ეს ერთი მოთავეც. ველარ დაგვიტრიალებს ხანჯალს ფერდებში, ვერც ფორუმზე იმიშვლებს მას, ვერ კურიაში, ვერც მარსის ველზე და, რაც მთავარია, საკუთარ ჭერქვეშ უშიშრად ვიქნებით. მოვნყვიტეთ ამ ადგილს და გავაძვევთ ქალაქიდან. უკვე ხელს არაფერი შეგვიშლის ვებრძოლოთ მას, როგორც ნამდვილ მტერს. უეჭველია, გავანადგურეთ და ბრწყინვალედ გავიმარჯვეთ მასზე, როცა ფარული მტრობიდან ამკარა ყაჩაღობისაკენ ვუბიძგეთ. როგორ ფიქრობთ, არ უნდა იყოს ბოლმამორეული და დამწუხრებული, რომ ვერ იმიშვლა სისხლიანი მახვილი, რისი ოცნებაც ჰქონდა? ჩვენ ცოცხლები ვართ, თვითონ კი გაძევებული; რომ მოქალაქენი უვნებელი, ქალაქი კი ურყევად მდგარი დატოვა? წევს ახლა იგი, კვირიტებო, დამარცხებული. გრძნობს, რომ მიგდებული და დანარცხებულია. მაგრამ

მაინც მოავლებს მზერას ამ ქალაქს, ვერ მოუწელებია, რომ მის ბრჭყალებს დაუსხლტა იგი. ქალაქმა კი, მე მგონია, მოისვენა, ასეთი ჭირი რომ ამოანთხია და შორს მოისროლა.

II. მაგრამ თუ არსებობენ ისეთი ადამიანები, როგორიც სასურველია იყოს ყველა, რომლებიც დამადანაშაულებენ სწორედ იმაში, რომ ასე ვბოხოქრობ ჩემი მქუხარე სიტყვით, ასე საშიში მტერი კი არ შევიპყარი, უფრო მეტიც, გავუშვი კიდევაც, ეს ჩემი კი არა, კვირიტებო, გარემოების ბრალია. დიდი ხანია, საჭირო იყო კატილინას უმკაცრესად დასჯა, უნდა მომეკლა იგი. ამას მოითხოვდა ჩემგან წინაპართა ადათი, კონსულის უფლებები და ამასვე მავალელებდა სახელმწიფოც. მაგრამ, როგორ ფიქრობთ, რამდენი არ დაიჯერებდა იმას, რასაც მოგახსენებდით, რამდენი დაიცავდა კიდე-ვაც, რამდენი უტიფარი თანაგრძნობასაც გაუწევდა. მე რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ მისი დაღუპვა თქვენ ყოველგვარ საფრთხეს აგაცდენდათ, დიდი ხნით ადრე დავსჯიდი სიკვდილით, თუნდაც ამისთვის შევძლებოდი ვინმეს, ან საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩამეგდო.

მაგრამ ვგრძნობდი, თქვენ ყველანი ჯერ კიდევ არ იყავით დარწმუნებულნი მის ავკაცობაში და თუ მას სიკვდილით დავსჯიდი, რისი ღირსიც იყო, ისე შემიძულებდნენ, ველარ შევძლებდი მის მოკავშირეთა დევნას. ამიტომ საქმე ისე წარმოვაჩინე, რომ თქვენ მასში ნამდვილი მტერი ამოგეცნოთ და მასთან აშკარა დაპირისპირება შეგძლებოდათ. თუმცა იგი უკვე შორს არის ჩემგან, მაინც ისე საშიშ მტრად მიმაჩნია კატილინა, რომ თქვენ წარმოიდგინეთ, კვირიტებო, ქალაქიდან მისმა მცირე ამალით წასვლამ ძლიერ დამაფიქრა. ვინ წაიყვანა თან? ტონგილიუსი, რომელიც ადრევე მოსწონდა, ჯერ კიდევ პრეტექსტამოსხმული", კიდევ პუბლიციუსი და მუნაციუსი, რომელთაც დუქნებში დაედოთ ვალები. მაგრამ ისინი განა რას დაუშავებდნენ სახელმწიფოს? დატოვა კი ვინ? ვალებში ჩაფლული, გავლენიანი, ცნობილი პირები. ო, ნეტავ, თან წაეყვანა მთელი თავისი ამალა.

III. ამიტომ, იმ ლეგიონებთან შედარებით, ციზალპიურ გალი-

აში⁷² რომ იმყოფება, იმ ჯართან შედარებით, კვინტუს მეტელუსმა⁷³ რომ შეეკრიბა, თან რომ ახლდა მას პიკუნუსის ველზე და გალიაში, იმ ლაშქართან შედარებით, ჩვენ რომ ყოველდღიურად ვწვრთნით, როგორი უძლური მეჩვენება ის არმია, რომელიც მან შეაგროვა უსასოო მოხუცებისაგან, იმ ბედოვლათებისაგან, რომლებმაც სოფელში დაკარგეს მთელი თავიანთი ავლა-დიდება, იმ სოფლელებისაგან, ქონება რომ გაფლანგეს, აგრეთვე იმ ხალხთაგან, ვინც სასამართლოზე გამოცხადებას მის ლაშქარში ჩაწერა ამჯობინა. მე რომ მათ პრეტორის ედიქტი⁷⁴ დაეანახო, შიშით გული გადაუქანდებათ, რალა მოუვათ, ჩვენს ლარივით დამწკრივებულ ჯარს რომ მოჰკრან თვალი? რა მოხარული ვიქნებოდით, კატილინას სხვა თანამზრახველნიც რომ წაეყვანა თან, იმათგანი, აქ რომ კურიის წინ დაეყუდებიან, ფორუმზე რომ დასეირნობენ ხოლმე, სენატშიც დაბრძანდებიან და მენამულ სამოსში გამოპრანჭულნი ნელსაცხებლების სურნელს აფრქევენ. გახსოვდეთ, თუ ისინი აქ დარჩებიან, გაცილებით საშიშნი იქნებიან ჩვენთვის, ვიდრე ის ლაშქარი, რომელსაც თან არ გაჰყვნენ. თუნდაც იმიტომ, რომ გრძნობენ, ვიცი მათი ზრახვანი და სულაც არ არიან შემფოთებულნი. ვიცი, როგორ დაინანილეს იტალია – ვის აპულია, ვის ეტრურია, ვის პიცენუსის ველი, ვის კი გალია ხვდა წილად. ისიც ვიცი, ვინ მოითხოვა ალყაშემორტყმულ ქალაქში დარჩენა, რომ გადაეხუტათ და ამოეყლიტათ ხალხი. მათ იციან, მე ყველაფერი შევიტყვე, წინა ღამით რა გეგმა დასახეს, აკი ვაუწყე სენატს ყოველივე. კატილინა ისე დაფრთხა, რომ გაიქცა, ამათ კი რილასი იმედი აქვთ? მწარედ ცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ წინანდებული ღმობიერება შემრჩება კიდევ.

IV. შევისრულე, რაც მნადდა. ახლა ყველანი დარწმუნდით, რომ აშკარა შეთქმულებაა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ნუთუ კიდევ შეიძლება ვინმეს ეჭვი შეეპაროს იმაში, რომ კატილინას მსგავსნი მის ზრახვებს არ იზიარებენ? შეწყნარების დრო აღარ არის. ახლა სიმკაცრეა საჭირო. თუმცა ერთ დათმობაზე კიდევ შემოიძლია წავიდე. დაე, გაგვმორდნენ, ნებას ვაძლევ გაემგზავრონ, თორემ საბრალო კატილინა მათზე ლოდინით ჩამოხმება. გზას მე ვასწავლი.

აგრელიუსის ქუჩით უნდა გაეშურონ. თუ ახლავე წასვლას ინებებენ, სალამომდე დაენევიან.

რა ბედნიერი იქნება სახელმწიფო, ეს ნაძირალები ქალაქს რომ გაეცლებოდნენ. მე მგონია, დამშვიდდება და განახლდება, ვფიცავ, მარტოოდენ კატილინასაც რომ შევუკრათ ხელ-ფეხი. შეუძლებელია, ადამიანმა მოიფიქროს ისეთი ავკაცობა და სისაძაგლე, მან რომ ვერ განახორციელოს. ვერ მოძებნით მთელს იტალიაში სამსალის ისეთ ოსტატს, გლადიატორს, მძარცველს, მკვლელს, ნათესავთმყლელს, ყალბი ანდერძების შემთითხნელს, ცრუს, ლოთს, დარდმანდს, მრუშს, მეძავს, ყრმათა მაცდუნებელს, ყოვლად გახრწნილს, ზნედაცემულს, რომელმაც არ აღიაროს, რომ კატილინასთან შინაურულად იყო. რა მკვლელობა მოხდა ამ ბოლო ხანებში ისეთი, ის რომ არ გარეულიყო, რა უღვთო უნამუსობა – მას რომ მონაწილეობა არ მიეღო? მასავით ვის ეხერხება ყრმათა ცდუნება? ზოგისკენ თვითონ ილტვოდა ბილნი გრძნობებით ანთებული, ზოგს ხელს უმართავდა უტიფარ სიყვარულში, ვნებების დაცხრომაში, ზოგს მშობლის სიკვდილისაკენ აქეზებდა და ეხმარებოდა კიდევაც. ახლა კი, ნახეთ, რა უცებ შეყარა ქალაქსა და სოფელში ზნედაცემულ ადამიანთა ხროვა. არ დარჩენილა იტალიის არც ერთ კუნჭულში, არც რომში ვალებით დამძიმებული კაცი, მის ავკაცურ კავშირს არ მიმხრობოდა.

V. გინდათ შეიტყოთ მისი ნაირგვარი, სხვადასხვა სახის გატაცებანი? არ დაიძებნება გლადიატორთა სკოლაში უფრო თავზე ხელაღებული, ავკაცობისათვის მზადყოფი ადამიანი, მის მეგობრად არ მოჰქონდეს თავი. ვერ იპოვით თეატრში უქნარა და ქარაფშუტა მსახიობს, კატილინას ახლობლად არ ითვლებოდეს. ამ ბრბომ გარყვნილებასა და ვერაგობაში გამობრძმედილი, სიცივეს, შიმშილს, წყურვილსა და უძილობას მიჩვეული კატილინა მამაც ადამიანად შერაცხა, მაშინ როდესაც მან მრუშობასა და ავკაცობას შეაღია მთელი თავისი მშფოთვარე ენერგია და ნიჭი. მას რომ გაჰყვებოდეს თანამზრახველთა არმია, ქალაქს რომ გაეცლებოდეს ხელმოცარულ, უტიფარ ადამიანთა ბანდა, რა შეეპას ვიგრძნობთ, რა

ბედნიერი იქნება სახელმწიფო, რა ქება-დიდებას არ შეასხამენ ჩემს კონსულობას. უსაზღვროა მათი თავაშეებულება, აუტანელია მათი არაადამიანური თავხედობა. ისინი მხოლოდ ხოცვაზე, ხან-ძარსა და ძარცვაზე ფიქრობენ. მემკვიდრეობით მიღებული ქონება გაფლანგეს, მამულები დააგირავეს, ახლა კრედიტებიც შემოეღიათ, სურვილები კი ისეთივე დარჩათ, განცხრომით ცხოვრების დროს რომ სჩვეოდათ. თუ ეს ყოვლად ნყალნაღებულნი მარტო ლოთობაში, კამათლის გორებასა და მეძავეებში გაატარებენ დროს, შეიძლება ამას შევეგუოთ, მაგრამ როცა უქნარა უმამაცესს უგებს მახეს, ჭკუასუსტი – ბრძენს, ლოთი – ფხიზელს, მცონარა – ენერგიულს, ამის მოთმენა მეტისმეტია, ქეიფობენ მხარ-თეძოზე წამოწოლილნი უტიფარ დიაცებთან ერთად, ლეინით გაბრუებულნი, სასმელ-საჭმლით გულმოყირაჭებულნი, ნელსაცხებლებით აქოთებულნი, გირლიანდებით მოკაზმულნი, ვნებებისაგან მოთენთილნი და იქადნიან, რომ კეთილშობილ მოქალაქეებს ამოჟლეტენ და ქალაქს გად-აბუგავენ. მე მჯერა, რომ ისინი ვერ დაემალებიან ბედისწერას და ის სასჯელი, რაც მათ უტიფრობისათვის, ქარაფშუტობის, ვერაგობისა და მრუშობისათვის დიდი ხანია დაიმსახურეს, რისხვით დაატყ-დებათ თავს ახლა თუ არა, უახლოეს მომავალში მაინც. თუ ჩემს კონსულობას მათი გამოსწორება არ ძალუძს, უნდა დათრგუნოს მაინც. ამით სახელმწიფო მოკლე ვადით კი არა, მთელი საუკუ-ნით გაიხანგრძლივებს სიცოცხლეს, რადგან არ მეგულება ხალხი, რომლისგანაც საფრთხე გველოდეს; ვერ იპოვით მეფეს, რომელიც გაბედავს ჩვენ, რომაელებს, ომი გამოგვიცხადოს. ყველგან, ზღვასა და ხმელეთზე, ერთმა ადამიანმა დაიმორჩილა უცხო ქვეყნები⁵. რჩება მხოლოდ შინაომი. ვერაგობა აქვეა ჩასაფრებული, მტერი შინა გვყავს. საფრთხე აქ არის დაბუდებული. უნდა შევუტოთ ფუფუნებას, შფოთს, ბოროტებას. არ ვმაღავ, მე ვკისრულობ ამ ბრძოლაში სარდლობას. ჩემს თავზე ვიღებ, კვირიტებო, ზნენამხდარ ადამიანთა მტრობას. ვისი განკურნებაც შეიძლება, ყოველ ღონეს ვიხმარ მის გასაჯანსაღებლად, ხოლო ვინც მოსაკვეთია, ნებას არ მივცემ, დარჩეს აქ სახელმწიფოს საზიანოდ. ამიტომ, ან წავიდნენ,

ან იყურონ. უკეთუ აქ დარჩებიან და ძველ ზრახვებს არ მოიშლიან, ელოდონ, რისი ღირსნიც არიან.

VI. ზოგიერთები მაინც ამბობენ, რომ მე კატილინა გავაძევე. ჩემს ერთ სიტყვას რომ ასეთი ძალა ჰქონდეს, სიამოვნებით განვდეგნიდი მას, ვინც ასე ყბედობს. რა თქმა უნდა, კატილინა იმდენად მოკრძალებული და მხდალია, რომ ვერ აიტანა კონსულის სიტყვა, როგორც კი ეზურძანე წასვლა, დამმორჩილდა და წავიდა. გუშინ, მას შემდეგ, რაც კინალამ სიცოცხლე მომისწრაფეს საკუთარ სახლში, მოვიწვიე სენატის კრება იუპიტერ სტატორის ტაძარში და ბატონ სენატორებს ყოველივე ვაუწყე. როცა კატილინა შემოვიდა, ვინ გამოელაპარაკა, ვინ მიესალმა მას სენატორთაგან? რატომ დაუწყეს მას ყურება, როგორც საშუა ადამიანს, უფრო მეტიც, როგორც ვერაგ მტერს? როცა ის პირველ რიგებს მიუახლოვდა, რატომ მიატოვეს ადგილები სენატორებმა? რატომ დააცარიელეს მერხები?

მაშინ მე, ბობოქარმა კონსულმა, ვინც თურმე ერთი სიტყვით ვაძევებ მოქალაქეებს ქალაქიდან, ვკითხე კატილინას: იყო თუ არა ლეკასთან ღამით კრებაზე? როცა კატილინა, ესოდენ თავხედი კაცი, გაჩუმდა, ეს მე თანხმობად მივიჩნიე და მისი სხვა დანაშაულიც ვამხილე: ის, რაც ჩაიდინა იმ ღამით, რა გადანყვეტილება მიიღო წინა ღამით, ბრძოლის რა გეგმა ჰქონდა შემუშავებული – ყველაფერი სამზეოზე გამოვიტანე. როცა მან თავი შეიკავა დანაშაულის აღიარებისაგან და შეჩერდა, ვკითხე: რატომ აყოვნებდა იქითკენ გამგზავრებას, საითკენაც კარგა ხანია ემზადებოდა, სადაც, უკვე ვიცოდი, გაგზავნილი ჰქონდა იარაღი, სეკირა, ფასკიები, ბუკები, საბრძოლო ნიშნები, ის ვერცხლის არწივი, შინ რომ საკურთხეველი მოუწყო.

მე გავაძევე, როცა თვითონვე ადგა იმავე გზას, ოღონდაც საომრად გამზადებული? როგორ არ დავიჯერებ, რომ ის მანლიუსი, ცენტურიონი, რომელმაც ფესულეს ველზე ბანაკი გაშალა და რომაელ ხალხს თავისი სახელით ომი გამოუცხადა, კატილინას, როგორც მხედართმთავარს, აღარ ელოდება. გაძევებული კატილინა ხომ მასილიამი⁷⁶ მიემგზავრება, როგორც გვარნმუნებენ, და არა იმ ბანაკში.

VII. ო, რა ძნელია, მართო სახელმწიფო, უფრო რთული კი – დაიც-

ვა იგი. რომ მოხდებოდეს ისე, რომ ჩემმა წინდახედულობამ, მცდელობამ, მეცადინეობამ ლუციუს კატილინა დააფრთხოს, მოდრიკოს, შეაცვლევინოს აზრი, მიატოვებინოს თავისიანები, ამოაგდებინოს თავიდან ომზე ფიქრი, განაშოროს საშინელ განზრახვებს, ომისა და ბოროტებისაკენ რომ მიჰყავს იგი და ნაცვლად ამისა, გაძევების გზას დაადგეს, მაშინ ალბათ იმას იტყვიან, რომ მე, კონსულმა, ძალითა და მუქარით ვაიძულე წასვლა უდანაშაულოდ დასჯილს. იმას კი არ აღიარებენ, რომ ჩემი გულმოდგინებით შემფოთებული, შეშინებული, თავხედობისაგან განძარცვული, იმედნართმეული და ძალაგამოცლილი თვითონვე წავიდა. ისეთებიც გამოჩნდებიან, რომლებიც მას ჩათვლიან არა უღირს, არამედ დაჩაგრულ კაცად, ხოლო მე კეთილშობილ კონსულს კი არ მიწოდებენ, არამედ სისხლიან ტირანს.

დაე, კვირიტიბო, დაუმსახურებლად დამატყდეს თავს ეს უსამართლო შურისძიების ქარიშხალი, ოღონდ კი ამ საშინელი და უღვთო ომის საფრთხე აგაცდინოთ. დაე, თქვან, რომ მე განვდევენე კატილინა, ოღონდაც წავიდეს. მაგრამ მერწმუნეთ, იგი არ დაგვტოვებს. მე არ შევევედრები უკვდავ ღმერთებს, კვირიტიბო, რომ ჩემდამი სიძულვილის მიზეზი გააქარწყლოს და დაგანახოთ, როგორ დაძრწის იარაღით ხელში კატილინა და მტრის ჯარს წინამძღოლობს. ვაი, რომ ამას სამი დღის შემდეგ მაინც შევესწრებით. მე უფრო იმის შიში მაქვს, რომ ოდესმე მაინც გამამტყუნებენ იმისათვის, რომ კატილინა თავისუფლად გავუშვი და არა იმისათვის, რომ განვდევენე იგი. მაგრამ კიდევ არიან ისეთები, რომლებიც ამბობენ, რომ კატილინა გავაძევე, მაშინ როცა იგი თავისი ნებით გაგვეცალა. რაღას იტყოდნენ, იგი რომ სიკვდილით დამესაჯა?

თუმცა, ვინც გვარწმუნებს, რომ კატილინა მასილიისაკენ მეშურება, ამაზე კი არ დარდობს, უფრო შემფოთებულია. ერთიც კი არ არის იმათგან ისეთი გულმონყალე, ვისაც სურდეს, კატილინა მართლაც მასილიაში წავიდეს და არა მანლიუსთან. თუმცა რასაც სჩადის, ყველაფერი წინასწარ აქვს მოფიქრებული, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, კატილინას, მაინც, ღმერთმანი, გაძევებას

ურჩევნია ავაზაკობაში ამოხდეს სული. ვიდრე მას უსიამოვნება არ შეხვედრია, თუ არ ჩავთვლით, რომ ჩვენ ცოცხლები ვართ, თვითონ კი რომი დატოვა (დღემდე ხომ სურვილები და ზრახვანი უსრულდებოდა), ჯობია, ეუსურვოთ, ნუ შფოთავს და ნავიდეს გაძევებული.

VIII. მაგრამ, ღირს კი ერთი მტერი ამდენ ლაპარაკად? იგი ხომ გამოტყდა, რომ ჩვენი მოსისხლეა. ამიტომ აღარც მეშინია მისი, რომლისგანაც ქალაქის ზღუდე გვთიშავს. განა ეს არ იყო ჩემი სურვილი? იმათ შესახებ კი ხმას არ ვიღებთ, რომლებიც რომში დარჩნენ და ჩვენს შორის ტრიალებენ. მე ყოველნაირად ვცდილობ, ისინი განეკურნო და არა შური ვიძიო მათზე. მინდა შეეგუონ სახელმწიფოში შექმნილ ვითარებას. ვერ ვხვდები, რა უშლით ხელს, რომ ჩემი შეისმინონ. ჯერ მინდა გაგაცნოთ, კვირიტებო, რა რჯულის ხალხისაგან შედგება კატილინას ლაშქარი, შემდეგ კი შევეცადები, თითოეული მათგანი, როგორც შევძლებ, განეკურნო ჩემი რჩევებითა და სიტყვით.

ერთი წყება ისინია, რომლებიც ვალებით არიან დამძიმებულნი, თუმცა ჯერ კიდევ შერჩენიათ დიდი მამულები. ისინი მიჯაჭვულნი არიან მათზე და ვერ მოუნახავთ თავის დასასხნელი გზა. გარეგნულად პატივისცემას იმსახურებენ, რადგან შეძლებულნი არიან, სურვილები და მისწრაფებანი კი უტიფარი აქვთ. შენ, მამულების პატრონს, სასახლეების, ვერცხლის ნივთების, მონების, კიდევ სხვა მრავალი სიმდიდრის მფლობელს, ვერ გადაგიწყვეტია საკუთრებაზე ხელი აიღო და ნდობა დაიბრუნო? რაღას ელოდები? ომს ხომ არა? რატომ? ნუთუ ფიქრობ, რომ თუ ყოველივე დაიმსხვრევა, შენი სიმდიდრე ხელუხლებელი დარჩება? თუ ახალი ტაბულების იმედი გაქვს? ცდება, ვინც ამას ელის კატილინისაგან. მე კი გამოვაფენ ახალ ტაბულებს”, მაგრამ სააუქციონოს, რადგან საკუთრების მფლობელნი მხოლოდ ამ საშუალებით დაიხსნიან თავს. ეს რომ მათ დროულად გაეკეთებინათ და არ ეცადათ პროცენტების შემცირება მამულების შემოსავლის ხარჯზე, რაც დიდი შეცდომაა, მაშინ ისინი უფრო შეძლებულნი და კეთილშობილნი იქნებოდნენ და სახელმწიფოსაც გამოადგებოდნენ. მაგრამ ესენი მთლად საშიშნი არც არიან

ჩვენთვის, რადგან, ალბათ, შეიცვლიან აზრს, თუ ასე არ მოხდება, შეიძლება ქვეყანა წყევლა-კრულვით აიკლონ, მაგრამ იარაღს კი არ მოჰკიდებენ ხელს.

IX. მეორე წყება ისეთებია, რომლებიც ვალებში კი არიან ჩაფლულნი, მაგრამ ძალაუფლების ხელში ჩაგდების წყურვილი მაინც აქვთ. ფიქრობენ, უმაღლეს თანამდებობებს, რომელთა დაკავების იმედი სახელმწიფოში მშვიდობიანობის დროს არა აქვთ, ომით მიაღწევენ. ჩანს, მათ უნდა შეეაგნებინოთ, როგორც დანარჩენებსაც, წარიხოცონ იმედი სურვილის შესრულებისა, რადგან უპირველეს ყოვლისა, ფზიზლად ვარ, ადგილზე ვიმყოფები და ვიცავ სახელმწიფოს. გარდა ამისა, ჩვენს კეთილშობილ მოქალაქეებს, მამაცური სული უდგათ, ერთმანეთში დიდი თანხმობა აქვთ, ბევრნიც არიან; ამას გარდა, ჩვენი ლაშქარი ძლიერია და უკვდავი ღმერთებიც დახმარებას გაუწევენ ბოროტ ძალებთან ბრძოლაში ჩვენს ქედუხრელ ხალხს, სახელგანთქმულ ხელისუფლებას, უმშვენიერეს ქალაქს. მაგრამ თუნდაც მიაღწიონ თავიანთ წადილს მხეცური ჟინიანობით, ნუთუ ფიქრობენ, რომ თუ ქალაქი ფერფლად იქცევა, მოქალაქენი სისხლისაგან დაიცლებიან (ეს უწმინდური ფიქრი და სურვილი მართლაც უტრიალებთ თავში), ისინი კონსულებად, დიქტატორებად და მეფეებად მოგვევლინებიან? ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ კიდევაც რომ აისრულონ წადილი, სულ ერთია, რომელიმე მონას ან გლადიატორს უნდა დაუთმონ იგი⁷⁸.

მესამე წყებას ეკუთვნიან ასაკოვანნი, მაგრამ ბრძოლაში ნაწრთობი ადამიანები. მათი წრიდან არის მანლიუსი, რომლისკენაც მიეშურება ახლა კატილინა. ესენი იმ კოლონიებიდან არიან, სულამ რომ დააარსა⁷⁹. მე ვიცი, რომ მთელს ამ კოლონიაში ისინი უმამაცესნი და უკეთილშობილესნი არიან. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ეს კოლონისტები უეცრივ ფუფუნებაში ჩავარდნენ და ქონების ფლანგვასა და დროსტარებას მიჰყვეს ხელი. სრა-სასახლეები წამოჭიმეს, განცხრომაში იყვნენ, თვალს ახარებდა მათი მამულების, ტახტრევენების, ურიცხვი მონების, დიდებულ ღვინთა ხილვა. ამიტომ ბოლოს ისეთ ვალებში ჩაცვივდნენ, თავის დახსნა კიდევაც რომ მოისურვონ,

ვერავინ უშველით, თუ თვით სულას არ უხმეს სულეთიდან. ესენი ზოგიერთ მდაბიო, ღარიბ, გაუნათლებელ ადამიანს უნმინდური ძარცვა-გლეჯის იმედს უღვიძებენ. მე მათ, ორივეს, იმავე წყებას მივაკუთვნებ, კვირიტებო, რომლებშიც არიან მძარცველები და წამ-გლეჯები. მათ ვურჩევ, შეწყვიტონ ბობოქრობა და პროსკრიპციებზე⁸⁰ და დიქტატურაზე ფიქრი. რადგან მაშინდელი დროის უბედურება ისე მწვავედ განიცადეს მოქალაქეებმა, რომ ახლა იმას, ვფიქრობ, ადამიანები კი არა, პირუტყვებიც ვერ მოითმენენ.

X. მეოთხე წყება ნარევია, ამიტომ ძალზე ჭრელია. იგი მოუსვე-ნარი ადამიანებისაგან შედგება. ისინი დიდი ხანია ჩაფლულნი არიან ვალებში და ვერასოდეს დააღწევენ მას თავს უმოქმედობისა და უყარათობის გამო; ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ საქმეს ვერ გაართვეს თავი და ძველ ვალებში ცურავენ; განამებულნი არიან სასამართლო უწყებებით, განაჩენებით, ქონების პროსკრიპციებით. ამბობენ, ბევრი მათგანი აიყარა სოფლებიდან და ქალაქებიდან და ახლა იმ ბანაკისაკენ მიემურებაო. მე ვფიქრობ, ისინი ომს კი არ არიან მოწყურებულნი, უფრო მევალეებს გაურბიან. თუ წელში გამართვა არ შეუძლიათ, დაე, დაილუპონ, მაგრამ ამ ამბავმა არამც-თუ სახელმწიფო, არამედ მათი უახლოესი მეზობლებიც არ უნდა შეაწუხოს. მე ერთი რამ არ მესმის. თუ პატიოსნად ცხოვრება არ ძალუძთ და სამარცხვინო სიკვდილს ამჯობინებენ, რატომ ჰგონიათ, რომ ერთად დახოცვა ნაკლებ მტკიცენულია, ვიდრე ცალ-ცალკე სიკვდილი?

მეხუთე წყებას შეადგენენ მამის მკვლელები, ჯალათები, ყოველ-გვარი ბოროტების თავკაცები. ასე რომ, მათი უკან გამოხმობა კატილინას ლაშქრიდან არც მინდა და არც არავის შეუძლია მოსწყვიტოს ისინი მას. დაე, ყაჩაღობაში დალიონ სული. ისედაც ბევრნი არიან, ციხეებში ძლივს ეტევიან.

უკანასკნელი წყება მართლაც რომ უკანასკნელია, არა მხოლოდ რიგის მიხედვით, არამედ წარმოშობითა და ცხოვრების წესითაც. ისინი კატილინასთან შინაურულად არიან, მისი რჩეულნი, მისი სიყვარულითა და ზრუნვით განებივრებულნი. თქვენ მათ ხედავთ

ხოლმე გამოპრანჭულებს, კობტად თმადეარცხნილებს. ზოგი მათგანი უწვერულვაშოა, ზოგს ლამაზად აქვს წვერი დაყენებული; გრძელსახელოებიან, ქუსლამდე დაცემულ ტუნიკებს ატარებენ, მოსასხამებში არიან გახვეულნი და არა ტოგებში¹. მთელი სიცოცხლე იმის ცდაში არიან, გათენებამდე დრო ატარონ ლხინში. ამ ბრბოს ეკუთვნის ყველა მოთამაშე, ყველა გარყვნილი, ყველა უტიფარი და უსინდისო. ეს ყმანვილები მოხდენილი გარეგნობისანი არიან, შნოიანნი, კარგი მოარშიყენი. ცეკვა და კითარაზე დაკვრა ისევე ემარჯვებათ, როგორც ხანჯლის ტრიალი და შხამის გარევა ფიალაში. თუ ისინი არ გაგვეცლებიან, თუ ისინი არ გავანადგურეთ, იცოდეთ, კატილინაც რომ მოკვდეს, ამათი სახით კატილინას სანერგე დარჩება სახელმწიფოში. მაინც რა სურთ ამ უბადრუკებს? როგორ მოიქცევიან? თავიანთ ბანაკებში წაიყვანენ მეძვე დიაცებს? ანკი როგორ შეელევიან მათ, განსაკუთრებით ასეთ ღამეებში? როგორ აიტანენ აპენინებში თოვლსა და ყინვას? თუ ფიქრობენ, რაკი მიჩვეულნი არიან ორგიებში შიშველ-ტიტველნი როკვას, ზამთრის სუსხს ადვილად გაუძლებენ?

XI. ო, რა საშიში იქნება მათთან ბრძოლა! კატილინა ხომ ზნეწამხდარ ადამიანთაგან შეადგენს პრეტორის კოჰორტას². აბა, კვირიტებო, კატილინას ამ ბრწყინვალე ლაშქარს თქვენი დაცვა და თქვენი ჯარი დაუყენეთ წინ, უპირველეს ყოვლისა, ამ დაძაბუნებული, სისხლისაგან დაცლილი გლადიატორის წინაშე გამოიყვანეთ კონსულები და იმპერატორი. ამ დაუძლურებულ და დარბეულ ბრბოს მთელი იტალიის საუკეთესო და რჩეული ძალები დაუპირისპირეთ. კოლონიებისა და მუნიციპიების ქალაქებსაც შეუძლიათ საკადრისი პასუხი გასცენ კატილინას ჯარს, ტყიან ბორცვს რომ აფარებს თავს. თქვენს სხვა ლაშქარს, საჭურველს, იარაღს, თქვენს დაცვას არცკი შევადარებ მის უმწეო და უბადრუკ არმიას. მაგრამ ყოველივე ამას რომ თავი დავანებოთ, რითაც ჩვენ ასე მდიდარნი ვართ და რასაც კატილინა მოკლებულია, მე მხედველობაში მყავს სენატი, რომაული მხედრობი, ხალხი, ქალაქი რომი, ხაზინა, სახელმწიფოს შემოსავალი, მთელი იტალია, ყველა პროვინცია, უცხო ტომები – ვიმეორებ,



ყველაფერ ამას რომ ანგარიში არ გაუწიოთ და უშუალოდ საქმის ვითარებას გადახედოთ (ისინი ხომ ერთმანეთში იბრძვიან), აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, სადამდე დაეცნენ ისინი. ჩვენს მხარეზეა კდემამოსილება, იმათ მხარეზე – უტიფრობა, ჩვენთან უბინოებაა, იქ კი – უნამუსობა, აქ ერთგულებაა, იქ – ორპირობა, აქ სათნოებაა, იქ – ავკაცობა, აქ სინმინდეთა, იქ – სისაძაგლე, აქ მოკრძალებაა, იქ – თავაშვებულება, ასე რომ, სამართლიანობა, ზომიერება, სიმამაცე, სიბრძნე, სიქველე ებრძვის ყოველგვარ მანკიერებას: უსამართლობას, ფუფუნებას, უვიცობას, თავქარიანობას; ამას გარდა, სიუხვე სილატაკეს უპირისპირდება, კეთილი ზრახვანი – უნმინდურს და კეთილი იმედები – ყოველგვარ სასონარკვეთას. ასეთ ჭიდილში, ასეთ ომში, თუნდაც ძალებმა გვიმტყუნონ, ნუთუ უკვდავი ღმერთები ინებებენ, რომ ასეთ შესანიშნავ ადამიანურ თვისებებზე იზეიმოს ამდენმა ბინიერებამ?

XII. რადგანაც ასეთი ვითარებაა, კვირიტებო, გაამაგრეთ თქვენი სახლ-კარი მცველებითა და ღამის გუშაგებით, როგორც ადრე იქცეოდით. მე, ჩემდა თავად, რა ხანია უკვე მივიღე ამისათვის ზომე-ბი. ისიც გავითვალისწინე, რომ თქვენ არაფერი არ გაგაგებინეთ, თქვენს ყურამდე არც მომიტანია ეს ამბავი, იმ ღამით კატილინას გამგზავრების შესახებ სასწრაფოდ შევატყობინე ყველა კოლონიასა და თქვენს მუნიციპიებს^მ. ისინი ადვილად დაიცავენ თავიანთ საზღვრებსა და ქალაქებს. გლადიატორები კი, რომლებიც კატილინამ შეკრიბა და სჯერა მათი სიმამაცისა და სიძლიერის (თუმცა ისინი პატრიციების ნაწილს მართლაც სჯობნიან გაბედულებით), ჩვენს ძალებს დაემორჩილებიან. ყოველივე ეს გავითვალისწინე, კვინტუს მეტელუსი გალიასა და პიცენუსის ველზე გავგზავნე. იგი ან დაამარცხებს კატილინას, ან ყოველნაირად ეცდება შეაფერხოს. დანარჩენი საშური გეგმების თაობაზე, რომლებიც მალე უნდა გადანყდეს და შესრულდეს, სენატს ახლავე მოვახსენებ. სწორედ ამ მიზნით მოგიწვიეთ აქ.

ახლა კი იმ ადამიანებზე გეტყვით მოკლედ, ვინც აქ დარჩნენ, ვინც კატილინამ დატოვა რომში ქალაქის დასარბევად და ჩვენს

დასაღუპად. ისინი თუმცა ჩვენი მტრები არიან, მაგრამ რაკი ამ ქალაქის მოქალაქეებად დაიბადნენ, მინდა გონს მოვიყვანო. ჩემს ლმობიერებას შეიძლება ვინმე მეტისმეტ უუნარობად მითვლიდეს, მიზეზი კი ის გახლდათ, რომ უცებ მინდოდა ნათელი მომეფინა ამ საქმისათვის, რაც თქვენთვის უკვე ცნობილია. ახლა კი, არ შემოიძლია დავივიწყო, რომ ეს ჩემი სამშობლოა, მე ამ ხალხის კონსული ვარ, ამიტომ მათთან უნდა ვიყო და მათთვის დავდო თავი. ქალაქის კარიბჭესთან მოხსნილია დაცვა, არც გზაზე არის ვინმე ჩასაფრებული, თუ ვინმეს სურს გამგზავრება, ნება მისია, წაბრძანდეს, მაგრამ თუ ვინმე ქალაქში ცუდად აწრიალდება, არავინ დააცლის სამშობლოზე ხელის აღმართვას, მის განზრახვასა და წადილს მაშინვე შევიტყობთ, თავადაც უმალ იგრძნობს, თუ რა ფხიზელი კონსულები, საუცხოო მაგისტრატები, მამაცი სენატი ჰყავს რომს. მიხედება, რომ მას იარაღიცა აქვს, სატუსალოებიც, სადაც ჩვენი წინაპრების მიერ დაწესებული კანონებით სასჯელს იხდიან აშკარა და ბოროტი დამნაშავენი.

XIII. ყოველივე ეს ისე მოხდება, კვირიტებო, რომ ამ დიდ ამბავს ნაკლები ხმაური მოჰყვება. ამ უდიდესმა განსაცდელმა უშფოთველად უნდა ჩაიაროს. მე, იმპერატორი და სარდალი, ტოგამოსხმული*, თავად ჩავანყნარებ მოქალაქეთა შორის ამტყდარ შინაომს, საშინელსა და უდიდესს კაცობრიობის ისტორიაში. მე ამ საქმეს ისე წარვმართავ, კვირიტებო, თუ მოვახერხე, რომ რაგინდ უღირსი პიროვნებაც არ უნდა იყოს, ამ ქალაქის კედლებში არ აგებინონ პასუხი თავისი დანაშაულისათვის. მაგრამ თუ აშკარა თავგებობას შევამჩნევ, თუ დავინახავ, ვინმე საფრთხეს უქმნის სამშობლოს, იძულებული ვიქნები, დავივიწყო ჩემი ლმობიერება და ვეცდები, რომ არც ერთი კეთილშობილი მოქალაქე არ დაზიანდეს, ცოტანი დავსაჯოთ, რომ მრავალი თქვენგანი ვიხსნათ, თუმცა ასეთ მძიმე ომში ამაზე ოცნებაც კი ძნელია. მე ჩემი წინდახედულობა და ადამიანური სიბრძნე კი არ მაღაპარაკებს, არამედ უკვდავ ღმერთთა მრავალი კეთილმანუწყებელი და უტყუარი ნიშნები. მე ამ ნიშნებით ვხელმძღვანელობდი, მათ იმედი ჩამისახეს და ამ აზრზე დამაყენეს.

ისინი ახლოს, აქვე, ჩვენ გვერდით იქნებიან და არა შორს, როცა უცხო მტრებისაგან გვიცავდნენ. მჯერა, დახმარებას არ მოაკლებენ თავიანთ ტაძრებსა და რომის კედლებს. თქვენ კი, კვირიტებო, მას უკან, რაც ზღვასა და ხმელეთზე მტრის ყოველგვარი ლაშქარი უკვე ძლეულია, უკვდავ ღმერთებს უნდა ევედროთ, დახმარება შესთხოვოთ, რომ მათი წყალობით აყვავებული, ტურფა, მძლე ქალაქი დაიცვან უკეთურ მოქალაქეთა ავკაცობისაგან.

მესამე სიცევა კაცილინას წინააღმდეგ

I. თქვენ ხედავთ, კვირიტებო, რომ ყველა თქვენგანის სიცოცხლე, ქონება, თქვენი ცოლ-შვილი, შესანიშნავი ხელისუფლების კერა, ეს უმშვენიერესი და უმდიდრესი ქალაქი დღეს უკვდავი ღმერთების თქვენდამი კეთილგანწყობილების წყალობით, ჩემი მეოხებით, გონივრული გადაწყვეტილებებით, საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდებით, ცეცხლსა და მახვილს, თითქმის ბედისწერის ხახას გადაურჩა და თქვენ განახლებული და უვნებელი დაგიბრუნდათ.

რადგანაც ჩვენი ხსნის დღე გაჩენის დღეზე ნაკლებ სასიამოვნო და საზეიმო არ არის ჩვენთვის, დაბადების დროს ხომ ჩვენ ვერაფერს გვრძნობთ, არც ის ვიცით, რა ბედი გველის, ხსნის დღე კი, ბუნებრივია, სიხარულს იწვევს ჩვენში, მას ყოველთვის შვება მოჰყვება ხოლმე, ამიტომ, თუ რომულუსი, ამ ქალაქის დამაარსებელი, მოწინებითა და პატივისცემით უკვდავ ღმერთთა რიგებს მივაკუთვნეთ, თქვენცა და თქვენმა შთამომავლობამაც მასაც უნდა მიაგოთ პატივი, ვინც რომულუსის მიერ დაარსებული და შემდეგ აღორძინებული ქალაქი იხსნა, ვინც მის ტაძრებს, საკურთხევლებს, შენობებს, ქალაქის ზღუდეებსა და მის შემოგარენებს აბრიალებული ხანძარი მოაშორა; ვინც სახელმწიფოზე აღმართული ხანჯალი ძირს დასცა და თქვენს კისრებს მახვილი ააცდინა.

სენატს უკვე გავუმჟღავნე, განვუმარტე და ნათლად მოვახსენე იმის თაობაზე, რის შესახებ თქვენ არაფერი იცოდით და გასურდათ შეგეტყვოთ. ახლა კი, თქვენ გეტყვით, კვირიტებო, მოკლედ, თუ როდენ მნიშვნელოვანი და აშკარაა ის, რაც მე გამოვიძიე და რასაც მივაკვლიე.

II. პირველად, როცა კატილინა მცირე ამალით ამ რამდენიმე დღის წინათ ქალაქიდან გაიქცა, ხოლო თავისი მოკავშირენი, ბოროტმზრახველნი, ამ უღვთო ომის მრისხანე სარდლები, რომში დატოვა, მუდამ ვფხიზლობდი და თვალი მეჭირა, კვირიტებო, რომ ასეთი დიდი ვერაგობის ფარულად მზადების დროს თავი გადაგვერჩინა. მაშინ, როცა კატილინას ქალაქიდან ვდევნიდი (ამჟამად აღარ ვერიდები ამ სიტყვის წარმოთქმას; არ მეშინია, რომ მის გამო შემიძულონ. სიძულვილის მიზეზი შეიძლება უფრო ის გახდეს, რომ ის ცოცხალი გავუშვი), დიახ, როცა კატილინას გაძევება მსურდა, ვვარაუდობდი, რომ დანარჩენი შეთქმულნიც გაჰყვებოდნენ, ან თუ ვინმე დარჩებოდა, უიმისოდ უძლური და უსუსური იქნებოდა. მაგრამ როცა ვნახე, რომ აქ, ჩვენთან, რომში დარჩნენ ისინი, ავკაცობითა და სიშმაგით გულანთებულნი, დღე და ღამე გავასწორე, რომ შემეტყო, რას აკეთებდნენ, არ გამომპარვოდა მათი ზრახვანი. რათა უფრო სარწმუნო ყოფილიყო თქვენთვის ჩემი განცხადება ასეთი დიდი და გაუგონარი ბოროტების თაობაზე, საქმე ისე უნდა მომეწყო, რომ თვალნათლივ დაგენახათ ეს ავკაცობა და საკუთარ ხსნაზე გეფიქრათ. როგორც კი შევიტყვე, რომ პუბლიუს ლენტულუსმა⁸⁵ იმ მიზნით, რომ ტრანსალპიურ ქვეყნებში ომს ეფეთქა, გალიაში კი – აჯანყებას, წააქეზა ალობროგების ლეგატები, გაგზავნა თავიანთ მოქალაქეებთან იმავე გზით, რითაც კატილინა გაემგზავრა, თან წერილები და დავალებები გაატანა. მათ შეუკავშირდა ტიტუს ვოლტურციუსი⁸⁶, მასაც წერილი მიჰქონდა კატილინასთან; მაშინ გადავწყვიტე, მესარგებლა ამ შემთხვევით და ჩემი მიზნები განმეხორციელებინა (რისთვისაც მუდამ ვევედრებოდი უკვდავ ღმერთებს და რასაც შეუძლებლად ვთვლიდი) – მთელს ამ ავკაცობაში მარტო მე კი არა, თქვენცა და სენატიც დარწმუნებულიყავით.



ამიტომ გუშინ ჩემთან მოვუხმე პრეტორებს: ლუციუს ფლაკუსსა და გაიუს პომპტინუსს⁸⁷, რესპუბლიკაში სიმამაცითა და ქედუხ-რელობით გამორჩეულ ვაჟკაცებს და ყოველივე ვუამბე, გაეუზიარე, რის გაკეთებასაც ვაპირებდი; ხოლო მათ იზრუნეს რესპუბლიკის ღირსებასა და დიდებაზე, არც კი დაფიქრებულან, ისე დამეთანხმნენ და მაშინვე შეუდგნენ საქმეს, როგორც კი მოსალამოვდა, ფარულად მიუახლოვდნენ მულვიუსის ხიდს⁸⁸ და ტიბრისა და ხიდის შემოგარენი დაიკავეს. იქვე ჩასაფრდა მათ მიერ მოყვანილი მრავალი მამაცი ვაჟკაცი ისე, რომ ეჭვიც არავის აუღია რაიმეზე. მეც რეატის⁸⁹ პრეფექტურიდან შევარჩიე ბევრი ღირსეული ახალგაზრდა, რომელთა ერთგულება სახელმწიფოსადმი მრავალგზის მქონდა გამოცდილი და გავგზავნე ისინი მათთან. ამასობაში, მესამე ვიგილიის⁹⁰ დასასრულს, მულვიუსის ხიდს მიუახლოვდნენ ალობროგები დიდი ლაშქრით. მოვიდა ვულტურციუსიც და დაიწყო კიდევაც თავდასხმა. ორივე მხარემ იშიშვლა მახვილები: მათაც და ჩვენც. მხოლოდ პრეტორებმა იცოდნენ, რა ხდებოდა, დანარჩენები აზრზე არ იყვნენ.

III. შემდეგ პომპტინუსი და ფლაკუსიც გამოჩნდნენ და ბრძოლაც დამთავრდა. ის ბეჭდიანი წერილები, რომლებიც ამ ამაღლას მიჰქონდა, ხელუხლებლად გადასცეს პრეტორს. დატყვევებულები, როგორც კი ინათა, მე მომგვარეს. სასწრაფოდ ვიხმე ჩემთან ყველაზე ბილნი თავკაცი მთელი ამ ბოროტმოქმედებისა – კიმბრუს გაბინიუსი⁹¹, ისე, რომ მან ეჭვის ალბაც ვერ მოასწრო. შემდეგ დავიბარე სტატილიუსი⁹² და ცოტა ხნის შემდეგ – გაიუს ცეთეგუსი. ყველაზე ბოლოს ლენტულუსი მოვიდა. მას, ეტყობა, მთელი ღამე არ ეძინა, რაც მისთვის უჩვეულოა, და წერილებს თხზავდა. როცა წარჩინებულმა, დიდებულმა მოქალაქეებმა შეიტყვეს ეს ამბავი, მრავალი მათგანი მეწვია შინ დილით და მირჩიეს წერილების გახსნა, სანამ სენატს გადაეცემდი. მიზეზად ის მოიძღეს, რომ ვაითუ წერილებში არაფერი აღმოჩენილიყო ისეთი და ტყუილ-უბრალოდ არ ამეღელვებინა ხალხი. მე უარი ვუთხარი, რადგან ხალხის სამსჯავროზე მინდოდა გამომეტანა ხელუხლებელი სამხილი სახელმწიფოს

საფრთხის თაობაზე. მართლაც, თუ ის, რაც მომახსენებს, არ დადასტურდებოდა, არ უნდა მშინებოდა თუნდაც ზედმეტი სიფრთხილის გამოჩენისა. ამასობაში, როგორც ხედავთ, სასწრაფოდ მოვინვიე სენატი სრულად და ალობროგების რჩევით მყის გავგზავნე გაიუს სულპიცეუსი, პრეტორი, შესანიშნავი, მამაცი ვაჟკაცი, ცეთეგუსთან, რათა მისი სახლიდან მოეტანა, თუ რამ იარაღს იპოვიდა. იარაღი მართლაც ბლომად აღმოჩნდა: მახვილები და ხანჯლები.

IV. ვბრძანე, მოეყვანათ ვოლტურციუსი, ოღონდ არა გალებთან ერთად. სენატის ნებართვით სიტყვა მივეცი სახალხო, რომ არ დავსჯიდი. დავარწმუნე, რომ უშიშრად შეეძლო მოეხსენებინა, რაც იცოდა. მან დაძლია ძლიერი შიში და განაცხადა, რომ კატილინასათვის უნდა გადაეცა პუბლიუს ლენტულუსის წერილები და დავალება: კატილინა სასწრაფოდ უნდა მიახლოებოდა რომს, უნდა ესარგებლა მონების დაცვით. მიზანი ის გახლდათ, რომ როგორც კი ქალაქის უბნებს გადაბუგავდნენ (იგი დანაწილებული და დაყოფილი ჰქონდათ) და მოქალაქეებს უმოწყალოდ ამოხოცავდნენ, კატილინა იქვე უნდა მდგარიყო და ქალაქის ამ უბნებიდან გამოქცეულებს უნდა დახვედროდა, შემდეგ კი რომში დარჩენილ სხვა თავკაცებს შეუერთდებოდა. ახლა გალები მოვაყვანინე, რომლებმაც განაცხადეს, რომ პუბლიუსმა, ცეთეგუსმა და სტატილიუსმა მათ ფიცი მისცეს და წერილები გადასცეს თავიანთ ტომებთან. მათი და ლუციუს კასიუსის³³ ბრძანებით სასწრაფოდ უნდა შეეყვანათ ცხენოსანთა რაზმი იტალიაში. ფეხოსანზე კი თავად იზრუნებდნენ. ლენტულუსი თურმე ამტკიცებდა, რომ სიბილას წიგნებისა და ჰარუსპიცების წანასწარმეტყველების თანახმად თავად გახლდათ ის მესამე კორნელიუსი, ვისაც წილად ერგებოდა ამ ქალაქის მეფობა და ძალაუფლება, რაც მანამდე სულასა და ცინას ხელთ იყო³⁴. მანვე დასძინა, რომ ეს წელი საბედისწერო წელია, რადგან ათი წელიწადი გავიდა ვესტას ქალწულის გამართლებიდან და ოცი – კაპიტოლიუმის ხანძრიდან. ამიტომ იგი დალუპვას უქადის ქალაქსა და მის ხელისუფლებასო. მათ ისიც განაცხადეს, რომ ცეთეგუსს დანარჩენებთან უთანხმოება ჰქონდა: ლენტულუსსა და სხვებს



სურდათ ხოცვა-ჟლეტა და ქალაქის გადაბუგვა სატურნალიების დღესასწაულის⁵⁵ დროს მოეწყოთ, ცეთეგუსი კი ჩქარობდა.

V. რალა გავაგრძელო, კვირიტებო, ვუბრძანე მოეტანათ წერილები, რომლებიც, როგორც თქვეს, ამ თავგაცებისაგან მიიღეს. პირველად ცეთეგუსს ვუჩვენე ბეჭედი. ალიარა, რომ მისი იყო. მოვხსენით ზონარი წერილს⁵⁶ და წავიკითხეთ. ცეთეგუსი საკუთარი ხელით სწერდა ალობროგების სენატსა და ხალხს, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რაც მათ ლეგატებს შეჰპირდა. სანაცვლოდ მათგანაც იმავეს მოითხოვდა – ლეგატებისათვის მიცემული სიტყვის შესრულებას. ცეთეგუსი, რომელიც ცოტა ხნის წინათ ცდილობდა რალაც მიზეზით გაემართლებინა თავის სახლში აღმოჩენილი მახვილებისა და ხანჯლების არსებობა – თითქოსდა რკინით მოჭედილი იარაღების მოტრფიალე იყო – ახლა, წერილის გამჟღავნების შემდეგ, უეცრად მოტყდა, მოეშვა, ნირწამხდარი უცებ გაჩუმდა. მოვაცვანინე სტატილიუსი. მანაც ალიარა, რომ წერილზე დასმული ბეჭედი და ხელწერა მისი იყო. წავიკითხეთ. აღმოჩნდა, რომ აქაც თითქმის იგივე ეწერა. ესეც გამოტყდა. შემდეგ ლენტულუსს ვუჩვენე წერილი. ვკითხე, ცნობდა თუ არა ბეჭედს. თავი დამიქნია. „ეს ხომ ნაცნობი ბეჭედი, – ვუთხარი მე – ზედ შენი პაპის⁵⁷, ბრწყინვალე ვაჟუცაის, გამოსახულებაა, ვისაც ჭეშმარიტად უყვარდა სამშობლო და თავისი თანამოქალაქენი. ამ უტყვე ნიშანს მაინც უნდა მორიდე-ბოდი და არ გარეუღიყავი ესოდენ დიდ ბოროტებაში“. წავიკითხეთ იმავე შინაარსის წერილი, მიმართული ალობროგების სენატისა და ხალხისადმი. ვაცადე, იქნებ რაიმეს თქმას ისურვებდა ამის თაობაზე. პირველად უარყო, მაგრამ როცა სამხილი გამოვაშკარავეთ და ყველას გავაცანით, წამოდგა და ჰკითხა გალებს: რა მიზნით მოვიდნენ ისინი მასთან სახლში? იგივე კითხვა დაუსვა ვულტურციუსსაც. როცა მათ მოკლედ და მტკიცედ უპასუხეს, თუ ვინ მიიყვანა ისინი მასთან და რამდენჯერ, ახლა მათ ჰკითხეს: იყო თუ არა საუბარი მასთან სიბილას წიგნების თაობაზე, ლენტულუსი სიბრაზისაგან გაცოფდა. ამით დაგვიდასტურა, რა დიდი ძალა აქვს სინდისს. მას ხომ შეეძლო უარი ეთქვა. ყველას გაუკვირდა,

ისე უცებ აღიარა დანაშაული. ასე რომ, მან დაკარგა ნიჭი, უნარი მეტყველებისა, რითაც ასე გამოირჩეოდა, ნაერთვა უტიფრობაც, უნამუსობა, მუდამ მოჭარბებული რომ ჰქონდა. ისე ძლიერ იმოქმედა ბოროტების გამოაშკარაებამ, გამჟღავნებამ. უცებ ვოლტურციუსმა მოითხოვა იმ წერილის მოტანა და წაკითხვა, მისთვის რომ მიუცია ლენტულუსს კათილინასათვის გადასაცემად. მაშინ საბოლოოდ განადგურებულმა ლენტულუსმა აღიარა, რომ ეს მისი ბეჭედი და ხელწერა იყო. თუმცა წერილი ხელმოწერელი იყო. იგი ასე იწყებოდა: „ამ წერილის მომტანი გაგიჟღავნებს ჩემს ვინაობას. იყავი გაბედული. გაითვალისწინე, რა წინ წახვედი. ახლა დაფიქრდი, რა უნდა გააკეთო. ყველა გამოიყენე, უარს ნურავის ეტყვი დახმარებაზე, თუნდაც მდაბიონი გთავაზობდნენ“. ბოლოს გაბინიუსი მოიყვანეს. პირველად იგი უტიფრად ლაპარაკობდა, მაგრამ შემდეგ არ უარუყვია, რაშიც გალებმა დასდეს ბრალი.

მე რომ მკითხოთ, კვირიტებო, მართალია, ჭეშმარიტი და თვალნათლივი იყო ბოროტმოქმედების სამხილი და არგუმენტები: წერილები, ბეჭდები, ხელწერა, რაც მთავარია, თითოეული მათგანის აღიარება, მაგრამ მე უფრო ძლიერ საბუთად მომეჩვენა მათი თვალები, გამომეტყველება, სახის ფერი და დუმილი. ისინი ხომ ისე გაშეშდნენ, ისე ჩასცქეროდნენ მიწას, ისე გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს ქურდულად, რომ თავად უფრო ამხილეს თავი, ვიდრე სხვებმა ისინი.

VI. როცა მოწმეები დავკითხეთ და ჩვენებებს მოვუსმინეთ, კვირიტებო, მე მივმართე სენატს, რა ზომებს მიიღებდა იგი სახელმწიფოს ხსნისათვის. პირველად პრინციპსებს⁸⁸ ჰკითხეს. მათი განაჩენი საკმაოდ მკაცრი და მტკიცე იყო, რასაც სენატი უსიტყვოდ დაეთანხმა. მაგრამ ვიდრე დადგენილება საბოლოო არ არის, ვეცდები, კვირიტებო, მოვიგონო, რა გადაწყვეტილება მიიღო სენატმა. უპირველეს ყოვლისა, დიდებული სიტყვებით მადლობა მომახსენეს, რომ მე ჩემი წინდახედულობით, სწორი გადაწყვეტილებით, სიქველით ვიხსენი რესპუბლიკა ესოდენ დიდი საფრთხისაგან. შემდეგ სამართლიანი და დამსახურებული ქება შეასხეს პრეტორებს:

ლუციუს ფლაკუსსა და გაიუს პომპტინუსს, რომ ისინი ერთგულად და ვაჟკაცურად ამომიდგნენ მხარში თავიანთი გაბედულებით. ბოლოს ქება უწილადეს ჩემს კოლეგას⁹⁹, მამაც ვაჟკაცს, რომ მან შეთქმულების მონაწილენი ჩამოიცილა და რესპუბლიკის საქმეებს განარიდა. გარდა ამისა, გადაწყვიტეს, დაეპატიმრებინათ პრეტორის უფლებებისაგან განძარცვული პუბლიუს ლენტულუსი, ასევე იქვე მყოფნი: ცეთეგუსი, ლუციუს სტატილიუსი, პუბლიუს გაბინიუსი. იგივე განაჩენი გამოუტანეს: ლუციუს კასიუსს, რომელიც ნებართვას ითხოვდა ქალაქის გადასაბუგავად, მარკუს ცეპარიუსს, რომელსაც, როგორც დადგინდა, აპულია ერგო წილად, რომ იქ მწყემსები აებუნტებინა. პუბლიუს ფურიუსს, ვინც იმ კოლონისტებს ეკუთვნის, სულამ რომ გადაიყვანა ფესულეში; კვინტუს მანლიუს ქილონს, ვინც ამ ფურიუსს მუდამ გვერდში ედგა და ალობროგების ბუნტში მონაწილეობდა; გააზატებულ პუბლიუს უმბრენუსს, რომელმაც, როგორც გამოირკვა, პირველმა მიიყვანა გალები გაბინიუსთან. ამასთანავე სენატმა ის ლმობიერება გამოიჩინა, კვირიტებო, რომ ასეთი მნიშვნელოვანი შეთქმულების დროს, შინაური მტრის ასეთი სიმრავლისა და შემოტევის დროს, მხოლოდ ცხრა კაცი დასაჯა. ასე იმიტომ მოიქცა, რომ, რადგან რესპუბლიკა გადარჩა, შესაძლებლად ჩათვალა დანარჩენების გამოსწორება.

გარდა ამისა, ჩემი სახელით გამოცხადდა საყოველთაო დღესასწაული უკვდავი ღმერთების პატივსაცემად, მათი ჩვენდამი კეთილგანწყობილების გამო. ეს ბედნიერება, კვირიტებო, ამ ქალაქის დაარსებიდან ჩემს გარდა ჯერ არც ერთ რომაელ მოქალაქეს არ ღირსებია. დადგენილებაში ნათქვამი იყო: „რადგან მე გადავარჩინე რომი გადანვას, მოქალაქენი ხოცვა-ჟლეტას, იტალია კი – ომს...“ თუ ამ დღესასწაულს სხვებს შევეუდარებთ, მათ შორის იმ განსხვავებას დავინახავთ, რომ ისინი დაწესებული იყო სახელმწიფოსათვის განეული სამსახურისათვის, ეს კი – რესპუბლიკის ხსენისათვის. გარდა ამისა, საბოლოოდ მოწესრიგდა, დასრულდა ის, რის გაკეთებაც საჭირო იყო უპირველეს ყოვლისა. პუბლიუს ლენტულუსს, რომელიც ამხილეს და თავადაც აღიარა დანაშაული,



სენატის გადანყვეტილებით ჩამოერთვა არა მარტო პრეტორის, არამედ მოქალაქის უფლება, თუმცა თავად თქვა უარი უმაღლეს ხელისუფლებაზე. რატომ არ უნდა დავსაჯოთ იგი, მით უფრო, რომ უკვე კერძო პირია? რატომ უნდა მოვიდოთ მიზეზად ღვთისმოსაობა, თუ ამას ხელი არ შეუშლია ბრწყინვალე ვაჟკაცისათვის გაიუს მარიუსისათვის, რომ მოეკვდინებინა გაიუს გლავცია, რომელიც არ იყო მოხსენიებული სენატის დადგენილებაში?

VII. ახლა, როცა უსასტიკესი და უსაშინლესი ომის უნმინდური მეთაურნი შებოჭილნი, შეპყრობილნი გყავთ, კვირიტებო, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რაკი ქალაქს საფრთხე მოსცილდა, რომ კატილინას მთელი არმია, მთელი მისი ძალები და იმედები განადგურებულია. როცა მას ქალაქიდან ვდევნიდი, კვირიტებო, გულში ვფიქრობდი, რომ კატილინას მოშორების შემდეგ ჩემთვის საშიში აღარ იქნებოდა არც მუდამ მთვლემარე პუბლიუს ლენტულუსი, არც ჩათქვირებული ლუციუს კასიუსი და არც უგუნური გაიუს ცეთეგუსი. ყველა ამათგან მხოლოდ კატილინა იყო საშიში, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიდხანს გაჩერდებოდა ქალაქის კედლებში. მან ყველაფერი იცოდა, ყველგან მიუწვდებოდა ხელი, ყველაფერი შეეძლო, ყველაფერს ბედავდა: ნაექეზებინა, მიემხრო, აებუნტებინა. ბოროტებისათვის მუდამ მზად იყო, მისი განხორციელებისათვის არც ენას იშურებდა და არც მკლავს. დასახული მიზნის მისაღწევად საგანგებოდ ჰყავდა ხალხი შერჩეული. როცა ვინმეს რაიმეს ავალებდა, ამით საქმეს დასრულებულად არ თვლიდა. თვითონ მიდიოდა ყველგან, ყველაფერში მონაწილეობდა, ფხიზლობდა, საქმიანობდა. ყველაფერს იტანდა: შიმშილს, წყურვილს, სიცივეს. ასეთი სასტიკი, ასეთი გამობრძმედილი, თავხედი, ცბიერი, ბოროტებისათვის შემართული, უკეთურ საქმეთა უზადო შემსრულებელი, ვაიძულე შინა ბრძოლებისათვის თავი დაენებებინა და ყაჩაღური ომი დაენყო (რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ, კვირიტებო). ასე რომ არ მემოქმედა, გამიჭირდებოდა ამეცდინა თქვენი კისრებისათვის გამზადებული ბოროტების მახვილი. მაშინ იგი არ დაანესებდა ჩვენთვის სატურნალიებს, ასე ადრე არ დაადგენდა რესპუბლიკის განირვისა და დაღუპვის დღეს; არც იმას

დაუშვებდა, რომ მისი ბეჭედი, წერილები, მისი ავტოგრაფის აშკარა სამხილი დაეჭირათ. ახლა, როცა იგი ჩვენთან აღარ არის, ისე მოვახერხეთ, რომ რესპუბლიკისათვის ესოდენ დიდი შეთქმულება ისე აღმოვაჩინეთ, რომ ასე იოლად საკუთარი ბინის ქურდობის საქმესაც ვერ გავხსნიდით. კათილინა რომ დღემდე ქალაქში დარჩენილიყო, ძალიან რბილად რომ ეთქვა, მასთან ბრძოლა მომიწევდა, თუმცა სანამ აქ იყო, მის გეგმებს კი ვენინააღმდეგებოდი და ხელს ვუშლიდი. დიახ, ეს მტერი რომ ახლა ქალაქში გვყოლოდა, რესპუბლიკას ესოდენ დიდ ზიფათს ისე ვერ ავაცილებდი, რომ არ დამერღვია მისი მშვიდობა, მყუდროება და სინყნარე.

VIII. ყოველივე ეს ისე მოვავგარე, კვირიტებო, რომ უეჭველია, აქ უკვდავი ღმერთების ნება-სურვილი, მათი ხელი ურევია. ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ ადამიანის გონებას, ჩანს, ძნელად ხელეწიფება ასეთ დიდ საქმეს გაართვას თავი. მართლაც, უკვდავი ღმერთები მაშინ ჩვენთან იყვნენ, ისე ამოგვიდგნენ მხარში, ისე დაგვეხმარნენ, რომ ეს ჩვენ თვალნათლივ დავინახეთ. თავი რომ დავანებოთ ყველაფერს: როგორ განათდა, გაკაშკაშდა ღამით ცა დასავლეთით, როგორ გაიელვა, როგორ იძრა მიწა, აღარ მოვიგონებ სხვა მოვლენებსაც, ჩემი კონსულობის დროს რომ ხდება, ახლა, რითაც, ცხადია, კვირიტებო, უკვდავი ღმერთები რაღაცას გვაუნყებენ, ამას გვერდს ავუვლი, მაგრამ რის თქმასაც ახლა ვაპირებ, კვირიტებო, გულში ვერ დავიმარხავ, უნდა გაგიმჟღავნოთ.

გახსოვთ, ალბათ, კოტასა და ტორკვატუსის¹⁰⁰ კონსულობის დროს კაპიტოლიუმში მრავალი კოშკი დაინგრა ელვისაგან, დაიღვნა უკვდავ ღმერთთა გამოსახულებანი, ჩვენი წინაპრების ქანდაკებანი, დაიღვენთა კანონთა დაფები. ამ უბედურებას ვერც ამ ქალაქის დამაარსებლის ოქროს ქანდაკება გადაურჩა. ხომ გახსოვთ, კაპიტოლიუმში მდგარი ჩვილი რომულუსი მგლის ბარაქიან ძუძუს რომ ეტანებოდა პირდაღებული. მაშინ შეიკრიბნენ მთელი ეტრურიის პარუსპიცები, რომლებმაც იწინასწარმეტყველეს, რომ ახლოვდებოდა მკვლელობა, ხანძარი, კანონთა გათელვა, სამოქალაქო და შინაომები, ქალაქისა და მისი ძალაუფლების დამხობა, თუ უკვდავ

ლმერთებს წრფელი გულით არ შევევედრებოდით, იქნებ ენებები-
ნათ და შეემსუბუქებინათ ჩვენთვის მოსალოდნელი უბედურება.

მათი რჩევის შესაბამისად მოვანწყვეთ ათდღიანი თამაშობანი;
ხელიდან არ გაგვიშვია არც ერთი შესაძლებლობა ღმერთების გულის
მოსაგებად. მათვე გვიბრძანეს, გაგვეკეთებინა იუპიტერის უფრო
დიდი გამოსახულება და დაგვედგა იგი უფრო მაღალ ადგილას;
თანაც ისე, რომ სახე ჰქონოდა არა იქითკენ, საითაც უწინდელ ქან-
დაკებას, არამედ აღმოსავლეთით. ჰარუსპიცებმა განაცხადეს, რომ
იმედოვნებდნენ, თუ ეს გამოსახულება, რომელსაც ხედავთ, მიმარ-
თული იქნებოდა ამომავალი მზის, ფორუმისა და კურიის მხარეს,
მაშინ ყველა ის ფარული ზრახვა, რესპუბლიკის კეთილდღეობისა
და მისი ძალაუფლების წინააღმდეგ რომ იქნებოდა მოფიქრებული,
გამჟღავნდებოდა და სენატი და რომაელი ხალხი ამას აშკარად
დაინახავდა. სხვათა შორის, ამ ქანდაკების დასადგმელად ძველმა
კონსულებმა გაიღეს ხარჯები, მაგრამ საქმე ისე ზანტად დაიძრა,
რომ არათუ ჩვენამდელმა კონსულებმა, არამედ დღემდე ვერც ჩვენ
მოვახერხეთ მისი აღმართვა.

IX. ვინ შეიძლება იყოს ისეთი, კვირიტებო, რომ განუდგეს ჭეშ-
მარიტებას, ან იყოს ისეთი გონებაზე ზღუდული, ვერ მიხვდეს, რომ
ყოველივეს, რასაც ვხედავთ, განსაკუთრებით კი ამ ქალაქს, უკე-
დავი ღმერთების ძალა და ნება-სურვილი მართავს. მართლაც,
როცა ასეთი პასუხი გაგვცეს, რომ მზადდებოდა ხოცვა და ხანძარი,
რესპუბლიკის დაღუპვა, რომ ყოველივე ეს ჩვენივე მოქალაქეების
ხელით ხდებოდა, იმდენად დიდი იყო ბოროტება, რომ ზოგიერთებს
დაუჯერებელიც კი ეჩვენა ის. მაგრამ ახლა კი გრძნობთ, რომ უკე-
თურმა მოქალაქეებმა ეს დანაშაული არა მარტო ჩაიფიქრეს, არამედ
მის განხორციელებასაც შეუდგნენ. ნუთუ ისიც არ არის საწმენო,
რომ, ცხადია, უდიდებულესი, უკეთილშობილესი იუპიტერის ნებით
მოხდა, როცა დღეს დილით შეთქმულნი და მათი დამსმენნი თანხმო-
ბის ტაძარში წაიყვანეს ჩემი ბრძანებით და ფორუმზე ჩაატარეს იმ
დროს, როცა იქ ქანდაკებას დგამდნენ. როცა სენატისა და თქვენ-
კენ მომზირალი ეს ქანდაკება უკვე აღმართეს, ყველაფერი ნახეთ,



იგრძენით, რომ მხილებული და გამოაშკარავებულია ის ბნელი საქმე, ყველას კეთილდღეობას რომ ემუქრებოდა. მით უფრო დიდი სიძულვილისა და სასჯელის ღირსნი არიან ესენი, რომლებიც ცდილობდნენ უწმინდური და უღვთო ცეცხლი აეგვიგო ზებინათ არა მარტო თქვენი სახლის ჭერქვეშ, არამედ თვით ღმერთთა ტაძრებსა და საკურთხევლებში. მე რომ გითხრათ, ყოველივე მე გადავარჩინე-მეთქი, მეტისმეტს მივიწერდი ჩემს თავზე და ამის გამო აუტანელი გავხდებოდი. არა, იუპიტერმა გიხსნათ ყველანი: ეს ტაძარი, ეს ქალაქი და თქვენც, ყველანი მისი ნებით ხართ ცოცხალნი. უკვდავი ღმერთების შთაგონებით მივიღე, კვირიტებო, მე ეს გადაწყვეტილება და დავადექი ამ გზას, რომელმაც მაპოვნინა მე ესოდენ ძლიერი სამხილი. მართლაც, ლენტულუსი და სხვა შინაური მტრები ხომ არ ნააქეზებდნენ ალობროგებს; ასეთ მნიშვნელოვან საქმეს ასე სულელურად ხომ არ ანდობდნენ უცნობებს, ბარბაროსებს; არ გაატანდნენ წერილებს, უკვდავ ღმერთებს რომ არ აერიათ გონება ასეთი თავხედებისათვის. მართლაც, გალები ხომ იმ ერთადერთი ტომის წარმომადგენლები არიან, ვისაც შეუძლია და ეტყობა, სურვილიცა აქვს, ომი დაიწყოს რომაელ ხალხთან; მათი ქვეყანა ჯერაც შფოთავს. აი, სწორედ ამ გალებმა პატრიციებისაგან შეთავაზებულ უდიდეს სიმდიდრეზე უარი თქვეს, ძალაუფლებაზე ფიქრს მოეშვენენ და საკუთარ ბედნიერებაზე მალლა თქვენი ხსნა დააყენეს. როგორ ფიქრობთ, ეს ღვთის ნების გარეშე მოხდა? გალები ხომ შეძლებდნენ ჩვენს დამარცხებას იარაღით კი არა, მხოლოდ თავიანთი დუმილით?

X. აი, რატომ, რა მიზეზით გამოცხადდა, კვირიტებო, ყველა ტაძარში საყოველთაო ზეიმი – რათა ილოცოთ ამ დღეებში თქვენს ცოლ-შვილთან ერთად. მართალია, ბევრჯერ მიგიგიათ უკვდავი ღმერთებისათვის სათანადო, ჯეროვანი პატივი, მაგრამ ისეთი მაინც არა, რასაც ისინი იმსახურებდნენ: რადგან საშინელ, სასტიკ განადგურებას გადაურჩით უსისხლოდ, ბრძოლის, ჯარის, მკვლელობის გარეშე. ტოგიანებმა, ჩემი, ტოგიანის მეთაურობითა და წინამძღოლობით გაიმარჯვეთ. აბა, მოიგონეთ, კვირიტებო, მოქალაქეთა შორის ამტყდარი ყველა უთანხმოება, არა მხოლოდ

ის, რაც ახლა მოისმინეთ, არამედ ისიც, რაც თავად გახსოვთ და გინახავთ. ლუციუს სულამ გაანადგურა პუბლიუს სულპიციუსი¹⁰¹, ქალაქიდან განდევნა ქალაქის მცველი გაიუს მარიუსი. ასევე მოექცა ბევრ მამაც ვაჟკაცს: ნაწილი გააძევა, ნაწილი სიკვდილით დასაჯა. გნეუს ოქტავიუსმა¹⁰², კონსულმა, თავისი კოლეგა რომიდან იარაღით განდევნა. მთელი ეს მიწა მოქალაქეთა სისხლითა და ხორციტაა გაპოხიერებული. შემდეგ ცინამ¹⁰³ და მარიუსმა გაიმარჯვეს. ამოწმ-ლიტეს დიდებული ადამიანები. ჩაესვენენ მანათობელი ვარსკვლავები¹⁰⁴. ამ სისხლიან გამარჯვებაზე შემდეგ სულამ იძია შური. მოდი, ნუ გავიხსენებთ, რა მწუხარების ფასად დაუჯდა ეს სახელმწიფოს, როგორ შემცირდა მოქალაქეთა რიცხვი. მარკუს ლეპიდუსს¹⁰⁵ უთანხმოება მოუვიდა დიდებულ, უმამაცეს ვაჟკაცთან კვინტუს კატულუსთან. თვით ლეპიდუსის სიკვდილმა ისე არა, როგორც დანარჩენებისამ, დიდი ტკივილი მიაყენა რესპუბლიკას. მაგრამ ეს ისეთი სახის უთანხმოება იყო, კვირიტებო, რომელიც გარკვეულ ცვლილებას ისახავდა მიზნად და არა სახელმწიფოს დაღუპვას. ამ მოქალაქეებს რესპუბლიკის მოსპობა კი არა, რესპუბლიკაში პირველობა უნდოდათ. ყველა ეს უთანხმოება, თუმცა რესპუბლიკას განადგურებას არ უქადდა, გადანყდა არა ურთიერთშეთანხმებით, არამედ მოქალაქეთა ჟლეტით. ასეთ უსასტიკეს, უდიდეს ომში, რაც კი კაცობრიობის ისტორიას ახსოვს, და რომლის მსგავსი არც ერთ ბარბაროსს არ ჰქონია თავის ტომებთან, ომში, რომელშიც ლენტულუსმა, კატილინამ, კასიუსმა, ცეთეგუსმა დაადგინეს, რომ მოქალაქეთაგან ვინც გადარჩებოდა (თუ ქალაქი არ დაინგრეოდა), მტრის სიაში შეეყვანათ; ასეთ ომში იმას მივალნიე, კვირიტებო, რომ ყველანი გადარჩით, ქალაქიც ურყევია და მოქალაქენიც უვნებელნი; მაშინ როცა თქვენი მტრები ფიქრობდნენ, მოქალაქეთაგან იცოცხლებდა ის, ვინც ამ უსაზღვრო ხოცვა-ჟლეტას დააღწევდა თავს, ხოლო ქალაქის ის ნაწილი გადარჩებოდა, რომელსაც ცეცხლის ალი არ შემუსრავდა.

XI. ამ საქმეებისათვის, კვირიტებო, თქვენგან არც ჯილდოს მოვითხოვ სიქველისათვის, არც საპატიო ნიშნებს, არც ძეგლს გმი-

რობისათვის. ეს დღე მინდა სამუდამოდ დარჩეს სამახსოვროდ, თქვენს გულზე მინდა გაიაროს ყველა ჩემმა ტრიუმფმა, საპატიო ჯილდოებმა, მედლებმა გამირობისათვის; თქვენს გულში მინდა დავიდგა დიდების ძეგლი. მე არ მიზიდავს მუნჯი, უტყვი ძეგლი, თუ სხვა რაღაც ამგვარი ჯილდო, რასაც შეიძლება ნაკლებ ღირსეულმა პიროვნებამაც მიაღწიოს. თქვენს ხსოვნაში მუდამ იქნება ჩემი საქმენი, თქვენს სიტყვებში გაიზრდება იგი, ლიტერატურულ ძეგლებში კი დამკვიდრდება და განვითარდება. მე ვფიქრობ, რომის გადარჩენის დღე ჩემი კონსულობის დიდების დღეც არის. რესპუბლიკაში ორი მოქალაქე აღმოჩნდა, რომელთაგან ერთმა თქვენი იმპერიის საზღვრები არა მარტო ხმელეთზე განავრცო, არამედ ცის კიდეც მიაწვდინა¹⁰⁶. მეორემ კი იმპერიის საფუძველი – რომი გაამაგრა.

XII. მაგრამ სულ სხვა ხასიათისაა, სულ სხვა ბედი აქვს ჩემს გამირობას, ვიდრე იმისას, ვინც გარეშე ბრძოლებით მოიპოვა იგი. რადგან მე იძულებული ვარ, ჩემგან დამარცხებული და დამორჩილებული მტრის გვერდით ვიცხოვრო, მან კი თავისი მტერი ან მოკლა, ან დაასუსტა და მიატოვა. ამიტომ, თქვენ იცით, კვირიტებო, თუ სხვებს თავისი საქმენი წაადგებიან, მე ვინძლო ცუდად არ დამიხვდეს წინ ოდესმე. მე ვიზრუნე, რომ უკადნიერეს ადამიანთა ბოროტება და ვერაგობა თქვენთვის ამეცდინა, ახლა თქვენი ჯერია, ჩემს უსაფრთხოებაზე იზრუნოთ. თუმცა, კვირიტებო, არც ერთ მათგანს არ ძალუძს თავად მე მომაყენოს ვნება, რადგან ძლიერი დაცვა მყავს კეთილშობილი მოქალაქეების სახით; ისინი მუდამ მზად არიან ჩემს დასაცავად. დიდია რესპუბლიკის ღირსება, რომელიც უყოყმანოდ დამიფარავს ყოველთვის, დიდია სინდისის ძალა; თუ ვინმემ მას ზურგი აქცია და ჩემი შეურაცხყოფა მოინდომა, თავად იქნება მხილებული. იმდენი ვაჟკაცობა კი მაქვს, კვირიტებო, რომ ნებისმიერ თავხედურ განზრახვას წინ აღუდგე და ყველა უნმინდურს იოლად გაუფსნორდე; თუ შინაურ მტერთა ყველა თავდასხმა, თქვენ რომ აგაცილებთ, მე დამატყდება თავს, გაითვალისწინეთ, კვირიტებო, იფიქრეთ, რა დღეში ჩავარდებიან ისინი, რომლებიც თქვენი გადარჩენისათვის მტრობასა და ყოველგვარ შურს

უნდა შეებრძოლონ. რაც შემეხება მე, ცხოვრებისეულ რა სიკეთეს უნდა ველტვოდე, თქვენგან დიდ პატივში მყოფი, სიქველისათვის დაბადებული, დაფასებული, კიდეც რა სიმაღლეების მიღწევაზე უნდა ვფიქრობდე?

იმას კი დავასრულებ, კვირიტიბო, რაც ჩემი კონსულობის დროს წამოვიწყე, დავასრულებ როგორც კერძო პირი; განვადიდებ რესპუბლიკას, თუ რაიმე შური დამატყდება თავს მისი დაცვის დროს, ისევ შურიანებსვე დაუბრუნდება, მე კი მეტ სახელს მომიხვეჭს. ამიერიდან ისე უნდა მოვიქცე, რომ მუდამ გონების თვალი გადავაელო იმას, რაც გამიკეთებია; ვეცდები, დავამტკიცო, რომ გამირობას მამაცობით მივალწიე და არა შემთხვევით.

რაკი უკვე ღამეა, კვირიტიბო, შეევედრეთ იუპიტერს, თქვენი და ამ ქალაქის მფარველს, გაეშურეთ შინისაკენ და თუმცა საფრთხე აღარ გემუქრებათ, მაინც გაამაგრეთ თქვენი სახლები მცველებითა და ღამის დარაჯებით, ისევე როგორც წინა ღამით. მე კი ვეცდები, კვირიტიბო, ეს მეტად აღარ დაგჭირდეთ და მუდამ მშვიდობა სუფევდეს თქვენში.

მეოთხე სიცყვა კაცილინას წინააღმდეგ

I. ვხედავ, ბატონო სენატორნო, თითოეულმა თქვენგანმა როგორ მომაპყრო სახე და მომაცქერდა. ვიცი, გაფიქრებთ არა მარტო თქვენი და რესპუბლიკის საფრთხე, არამედ ჩემიც (თუ პირველ საფრთხეს მოიცალებთ). ასეთ გასაჭირსა და მწუხარებაში თქვენი კეთილგანწყობილება ჩემთვის შვება და სიხარულია. მაგრამ უკვდავ ღმერთებს გაფიცვით, მოეშვით ჩემს კეთილდღეობაზე ფიქრს და თქვენს თავს და თქვენს შვილებს მიხედეთ. თუ ჩემმა კონსულობამ მარგუნა ასეთი ხვედრი, დავითმინო ყველა სიმწარე, ტკივილი და წამება, ავიტან არა მარტო უდრტვინველად, არამედ ხალისითაც, თუ ჩემი განსაცდელით თქვენცა და რომაელ ხალხს კეთილდღეობას მოგანიჭებთ.

მე ის კონსული ვარ, ბატონო სენატორნო, რომლისთვისაც არც ფორუმი, ყოველგვარი სამართლიანობის კერა, არც მარსის ველი, კონსულარების აუსპიციებით¹⁰⁷ გასხივოსნებული, არც კურია, ყველა ტომთათვის უდიდესი დახმარების გამწვევი, არც საკუთარი სახლი, ჩვენი ნავსაყუდელი, არც საწოლი, მოსასვენებლად გამზადებული და არც კურულართა ეს საპატიო სავარძელი ყოფილა უსაფრთხო, ყველგან სიკვდილი და ვერაგობა მელოდა.

ბევრი რამ მოვითმინე, ბევრჯერ ხმა არ ამოვიღე, ბევრთან დათმობაზე წავედი, ბევრიც განვკურნე ჩემი მწუხარების და არა

თქვენი შეშფოთების ფასად. თუ უკვდავმა ღმერთებმა ინებეს ჩემი კონსულობის ისე დასრულება, რომ ხალხს საშინელი ხოცვა-ჟლეტა ავაცდინო, თქვენს ცოლ-შვილსა და ვესტას ქაღალდებს – სასტიკი წამება, საკურთხეველებს, ტაძრებს, ყველა ჩვენგანის უმშვენიერეს სამშობლოს – სამარცხვინო ხანძარი, მთელს იტალიას კი – ომი და განადგურება, როგორი ბედიც არ უნდა მერგოს მე, ეროს, ავიტან.

ჭეშმარიტად, თუ პუბლიუს ლენტულუსს მიაჩნდა, რომ ბედის-წერამ წინაპართაგან გადმოცემული მისი სახელი რესპუბლიკის დაღუპვას დაუკავშირა, მე რატომ არ უნდა მიხაროდეს, თუ ჩემს კონსულობას რესპუბლიკის ხსნა არგუნა ბედმა.

II. ამიტომ, გირჩევთ, ბატონო სენატორნო, იზრუნეთ თქვენს თავზე, იფიქრეთ სამშობლოზე, იხსენით საკუთარი თავი, თქვენი ცოლ-შვილი, ქონება, დაიცავით რომაელი ხალხის სახელი და კეთილდღეობა, თავი ანებეთ ჩემზე ფიქრსა და ნუხილს, რადგან იმედი მაქვს, ვიმსახურებ იმას, რომ ამ ქალაქის მფარველმა ღმერთებმა წყალობა არ მომაკლონ. შემდეგ კი, რაც უნდა მოხდეს, მშვიდად და უდრტიწველად შევეგებები სიკვდილს, რადგან არ შეიძლება მამაც კაცს წილად ხვდეს სამარცხვინო სიკვდილი, კონსულარს – ნაადრევი, ბრძენს კი – საცოდავი. მე არ ვარ ისეთი გულქვა, არ ამალელვოს აქ მყოფი უძვირფასესი და უსაყვარლესი ძმის¹⁰⁰ მწუხარებამ და ყველა იმ ადამიანთა ცრემლებმა, ვინც, როგორც ხედავთ, გარს მახვევია. ხშირად ფიქრებით ვენვევი სახლს, განამებულ მეუღლეს, შიშით გადაფითრებულ ქალიშვილს, მცირეწლოვან ვაჟიშვილს, რომელსაც, მეჩვენება, რესპუბლიკა გულში იკრავს, როგორც კონსულის მძევალს. თვალწინ მიდგას ჩემი სიძეც, რომელიც ამ დღეების დასრულებას ელოდება. ყოველივე ეს მალეღეებს, მაგრამ ნაწილობრივ, ოღონდაც თქვენ ყველანი გადარჩეთ, ოღონდ რესპუბლიკა არ დაიღუპოს და მასთან ერთად ჩვენ ყველანი. მე რა უბედურებაც არ უნდა შემემთხვეს, არაფერია. ამიტომ, ბატონო სენატორნო, იჩქარეთ რესპუბლიკის საშველად, გაითვალისწინეთ ყველა ქარიშხალი, რომელიც თავს დაგატყდებათ, თუ წინასწარ არ მიიღებთ ზომებს მის ასაცილებლად.

არც ტიბერიუსს გრაკუსი, მეორედ რომ ისურვა სახალხო ტრიბუნი ყოფილიყო, არც გაიუს გრაკუსი, მინის რეფორმების მომხრეებს რომ აქეზებდა, არც ლუციუს სატურნიუსი¹⁰⁹, გაიუს მემიუსის მკვლელი, თქვენი მკაცრი სამსჯავროს წინაშე არ წამდგარან და არც რაიმე განჩინება გამოგიტანიათ მათ შესახებ. ჩვენ მხოლოდ ისინი დავაკავეთ, ვინც რომში დარჩნენ ქალაქის გადასაწვავად, ყველა თქვენგანის ამოსაჟღელტად, კატილინას მისაღებად. ხელთა გვაქვს მათივე ხელმოწერილი ბეჭდიანი წერილები. თავადაც ხომ აღიარეს დანაშაული. ისინი აქეზებდნენ ალობროგებს, აჯანყებდნენ მონებს, იხმობდნენ კატილინას. მათ გადანყვიტეს, როცა ყველას ამოხოცავდნენ, არავინ დაეტოვებინათ, ვინც რომელი ხალხის ბედს დაითირებდა და ვისაც ასეთი ძლიერი ხელისუფლების დაცემა შეაშფოთებდა.

III. ყოველივე ეს მსტოვრებმა შეგვატყობინეს, საქმემაც გამოაშკარავა, თქვენც მრავალი თქვენი გადანყვიტელებით დაადასტურეთ: ჯერ ერთი იმით, რომ გულისხმიერი სიტყვებით მადლობა გამომიცხადეთ და განაცხადეთ, რომ მე ჩემი გულმოდგინებითა და მამაცობით ფარდა ავხადე ზნენამხდარ ადამიანთა შეთქმულებას. თქვენ აიძულეთ პუბლიუს ლენტულესი უარი ეთქვა პრეტურაზე, გადანყვიტეთ, დაგეტუსალებინათ ისიცა და დანარჩენებიც, ვისაც განაჩენი გამოუტანეთ. უფრო საგულისხმო კი ის არის, რომ ჩემი სახელით დღეობები დაანესეთ. ეს პატივი კი, რამდენადაც ვიცი, ჩემამდე არც ერთი ტოგოსანის ხვედრი არ ყოფილა. გუშინ კი მშვენიერი ჯილდოები ჩამოურიგეთ ალობროგების ლეგატებსა და ტიტუს ვულტურციუსს. ყოველივე ეს იმას მოასწავებს, რომ ვინც თქვენ დაასახელეთ, უეჭველია, მათ დაუსჯელს არ დატოვებთ.

მე მაინც გადავწყვიტე, ბატონო სენატორნო, თავიდან მოგახსენოთ იმ საქმის თაობაზე, რომელიც უნდა განსაჯოთ და იმ სასჯელზე, რომელიც უნდა გამოიტანოთ: თითქოს ეს შემთხვევა ეს-ეს არის მოხდა. მინდა გავაცნოთ ის, რაც კონსულს ევალება. მე ვგრძნობდი, რომ რესპუბლიკაში რაღაც დიდი უბედურება ტრიალებდა, რაღაც ახალი ბოროტება იბადებოდა და ზვირთდებოდა, მაგრამ ვერ წარ-

მოვიდგენდი, მოქალაქეების ხელით ასეთი დიდი და უსაშველო შეთქმულება თუ მზადდებოდა.

ახლა კი, რაც არის არის, საითკენაც არ უნდა იხრებოდეს თქვენი ფიქრი და გონება, დალამებამდე გმართებთ განაჩენის გამოტანა. ხომ ხედავთ, რა ძნელი საქმე გაკისრიათ. მწარედ ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ ცოტანი არიან ამ საქმეში ჩათრეულნი. თქვენ რომ გგონიათ, იმაზე უფრო შორს არის განთესილი ეს ბოროტება. იგი არა მარტო იტალიას მოედო, არამედ ალპებზეც გადავიდა და შეუმჩნევლად გადაცოცდა. ახლა კი უკვე პროვინციებიც დაიკავა. არამც და არამც არ შეიძლება დაყოვნება და შეღავათები. ამით მას ვერ ამოვძიოკვავთ. რაც გნებავთ, მოიფიქრეთ, ოღონდ სასწრაფოდ უნდა დაისაჯონ ისინი.

IV. ჯერჯერობით, როგორც ხედავთ, ორი აზრი გამოითქვა: ერთი – დეციმუს სილანუსისა¹⁰⁰, ვინც ფიქრობს, რომ ქვეყნის განადგურების მოთავენი სიკვდილით უნდა დაისაჯონ, მეორე – გაიუს კეისრისა, რომელიც უარყოფს სიკვდილით დასჯას, გეთავაზობს სხვა მკაცრ სასჯელს. ორივე მათგანი, თუ მათ ავტორიტეტსა და საქმის სირთულეს მივიღებთ მხედველობაში, უსასტიკეს სასჯელს ითვალისწინებს. ერთი ფიქრობს, რომ ვინც ყველა ჩვენგანი და რომელი ხალხი სასიკვდილოდ განირა, ერთი ნუთითაც არ უნდა დატკბეს სიცოცხლით, არ უნდა ისუნთქოს ჩვენთან ერთად. ის მოგვაგონებს, რომ რესპუბლიკაში ხშირად დასჯილან ამგვარად. მეორე ფიქრობს, რომ უკვდავ ღმერთებს სიკვდილი დასჯის სახედ არ დაუდგენიათ. სიკვდილი ბუნების კანონზომიერებაა, ან შეემა ტანჯვისა და უბედურების შემდეგ. ამიტომაც გონიერნი მას უხალისოდ არასოდეს არ ხვდებიან, მამაცნი კი – ხშირად სიამოვნებითაც. ხოლო ბორკილები, თანაც სამუდამო, გაუგონარი ბოროტების უმაღლეს სასჯელად ითვლება. კეისარი ბრძანებს დამნაშავეების მუნიციპიებში დანაწილებას. თუ ეს საქმე ბრძანებით უნდა შესრულდეს, უსამართლობაა, თუ თხოვნით – საძნელოა. მაგრამ ისე გადანყვით, როგორც გენებოთ. მე ყველაფერზე თანახმა ვარ, რადგან იმედი მაქვს, ვიპოვი ისეთებს, ვინც უარს არ იტყვის, თავისი ღირსებისათვის შეუფერებლად არ

მიიჩნევს იმის შესრულებას, რასაც თქვენ დაადგენთ საერთო კეთილდღეობისათვის. კეისარი ამას თან ურთავს მუნიციპიებისათვის მკაცრ სასჯელს; თუ რომელიმე დამნაშავეთაგანი ბორკილებიდან თავის დაძვრენას შეძლებს, მაშინ ხელიდან წასულ ადამიანთა შესაფერიად დასჯას მოითხოვს, რომ არანაირად არ მოხერხდეს სასჯელის შემსუბუქება, არც სენატისა და არც რომაელი ხალხის ჩარევით. კეისარი იმედსაც არ უტოვებს მათ – ერთადერთ ნუგეშს უბედურებაში ჩაუვარდნილი კაცისათვის. გარდა ამისა, ითხოვს მათი ქონების კონფისკაციას. ოდენ სიცოცხლეს არ ართმევს ბოროტმზრახველებს. ესეც რომ წაერთმია, ერთი ტკივილით მოუღებდა ბოლოს მრავალ სატკივარს, სულიერსაც და ხორციელსაც. ძველად ჩვენმა წინაპრებმა უკეთურ ადამიანთა დასაშინებლად ისეთი სასჯელი მოიგონეს უნმინდურთათვის საიქიოში, რომ შიშით შეპყრობილებს მასთან შედარებით სიკვდილი არარაობად მოჩვენებოდათ.

V. ახლა კი, ბატონო სენატორნო, მე ვიცი, რომელია ჩემთვის ხელსაყრელი. თუ კეისრის აზრს მივენდობი – მან ის გზა აირჩია, რომელიც ხალხისათვის სასიკეთოდ ითვლება რესპუბლიკაში, რადგან კეისარი ამ აზრის შემომტანი და დამცველია – შეიძლება ნაკლებ საშიშიც იყო ჩემთვის პოპულარების თავდასხმა. ხოლო თუ მეორე აზრს გავიზიარებ, არ ვიცი, შეიძლება მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდე. მაგრამ ჩემი საფრთხე რა მოსატანია; დაე, გაიმარჯვოს იმ გადანყვეტილებამ, რომელიც რესპუბლიკის კეთილდღეობას უფრო გამოადგება, კეისრის არჩევანი მისი პირადი ღირსებისა და წინაპართა დიდების შესაფერისია. იგი გვიდასტურებს რესპუბლიკისადმი მის მუდმივ კეთილგანწყობილებას. რა საგრძნობი განსხვავებაა კრებაზე გამოსულ ზოგიერთ ორატორთა თავქარიანობასა და ჭეშმარიტად ხალხისათვის თავდადებულ, მის კეთილდღეობაზე მზრუნავ ადამიანთა გაბედულებას შორის. მე ვხედავ, რომ დღეს აქ არ არის ზოგიერთი იმათგანი, ვინც პოპულარების წარმომადგენლად თვლის თავს. ალბათ იმიტომ, ხმა არ მისცეს რომაელ მოქალაქეთა სიკვდილით დასჯის გადანყვეტილებას. თუმცა, მესამე დღეა, მათ დააპატიმრეს ეს მოქალაქეები, დამეთანხ-

მნენ დღესასწაულების გამართვაზე, გუშინ კი მაღალი ჯილდოები ჩამოურიგეს მსტოვრებს. მაგრამ ვინ ვერ მიხვდება, მთელი ამ საქმის თაობაზე რა განაჩენი გამოაქვთ მათ, რომლებმაც გადანყვიტეს ბრალდებულთა დაპატიმრება, ალტაცებით შეეგებნენ მას, ვისაც ამ საქმის გამოძიება ჰქონდა დაკისრებული და რომლებმაც დააჯილდოვეს მსტოვრები.

ცხადია, გაიუს კეისარმა იცის, რომ სემპრონიუსის კანონი მხოლოდ რომაელ მოქალაქეებს ეხება. რესპუბლიკის მტრები კი რომის მოქალაქეებად არ ითვლებიან. მან ისიც იცის, რომ თავად სემპრონიუსის კანონის დამნეხებელს ხალხის ნებით როდი დაატყდა თავს სასჯელი რესპუბლიკისათვის¹¹. მას მიაჩნია, რომ მართალია, პუბლიუს ლენტულუსი მდიდარი და გულუხვია, მაგრამ ვინც რომაელ მოქალაქეთა გაუბედურება განიზრახა, ქალაქის უმოწყალოდ და შეუბრალებლად დაღუპვა მოიფიქრა, მას არც შეიძლება პოპულარი ეწოდოს. ამრიგად, ეს გულმონყალე და ლმობიერი კაცი არ ყოყმანობს, პუბლიუს ლენტულუსი სამუდამო ჯურღმულში ჩააგდოს და ბორკილები დაადოს. მომავლისათვის კი ადგენს, არავინ შეძლოს ამ სასჯელის შემსუბუქება, ვერავინ გაბედოს რომაელი ხალხის დაღუპვაში გაერიოს და პოპულარი ერქვას. კეისარი ამას უმატებს ქონების კონფისკაციას, რომ სულიერ და ხორციელ გვემასთან ერთვოდეს გაჭირვება და სიდუხჭირე.

VI. თუ თქვენ კეისარს მიემხრობით, მისი სახით თანამდგომი მეყოლება კრებაზე სიტყვით გამოსვლის დროს; ხალხის რჩეული და უსაყვარლესი ადამიანი ჩემ გვერდით იქნება. თუ სილანუსის აზრს გაიზიარებთ, ადვილად მოვახერხებთ მეცა და თქვენც, სიმკაცრის საყვედური ავიცდინოთ. მე მიმაჩნია, რომ ეს სიმკაცრე უფრო ლმობიერია. თუმცა, ბატონო სენატორნო, რა სიმკაცრეზეა ლაპარაკი, როცა ასეთი გაუგონარი ბოროტებაა. მაგრამ მე ჩემი გრძნობებიდან ამოვდივარ. მე მინდა თქვენთან ერთად დავტკბე რესპუბლიკის კეთილდღეობით, რადგან მიმაჩნია, რომ ამ საკითხში მე უფრო შეუპოვარი ვარ; არა, სიმკაცრე კი არა (ვინ შეიძლება ჩემზე გულმონყალე იყოს?), არაჩვეულებრივი ადამიანობა და



სიბრალული მამოძრავებს. მე მგონია, თვალნათლივ ვხედავ, ყოველისშთანმთქავი ხანძრით როგორ იფერფლება მთელი ქვეყნ-ერების მნათობი, ყველა ტომთა ბურჯი: ფიქრებში გამიელვებს დანგრეული სამშობლო, დაუმარხავ მოქალაქეთა გვამები. თვალწინ წარმომიდგება თქვენი ხოცვის დროს აღტკინებული ცეთეგუსი, მისი ზარდამცემი სიშმაგე. ასე მესახება მე ლენტულუსის მმართველობა (რომელსაც, როგორც თავად აღიარა, თურმე ბედი უმზადებდა), მათთან ერთად ვხედავ მენამულ სამოსში გახვეულ გაბინიუსსაც: ვხედავ, როგორ მოეშურება თავისი ლაშქრით კატილინა: მზარავს დედათა მწუხარება, ქალწულთა და ყრმათა ლტოლვა, ვესტას ქალწულთა დევნა; და რადგანაც ყოველივე ეს ჩემში საბრალო და სანყალობელ ხატებას ქმნის, ამიტომ მკაცრი და შეუბრალებელი ვიქნები იმათ მიმართ, ვინც ამის მოსურნე იყო. აი, გეკითხებით: თუ ოჯახის მამა, რომელსაც მონამ შვილები დაუხოცა, მეუღლეს ყელი გამოლადრა, სახლი გადაუბუგა, მკაცრ სასჯელს არ გამოუტანს დამნაშავეს, როგორი იქნება იგი? გულმონყალე და ლმობიერი, თუ არაადამიანური ბუნების და სასტიკი? მე ველური და გულქვა მგონია ის, ვინც საკუთარ ტკივილსა და მწუხარებას დამნაშავეს ტანჯვითა და უბედურებით არ დაიყურებს. ჩვენ თანაგრძნობას დავიმსახურებთ, თუ უმკაცრესად მოვეპყრობით იმ ადამიანებს, ვისაც ჩვენი, ჩვენი ცოლ-შვილის ამოჟლეტა სურდა, ჩვენი სახლების, ჩვენი საერთო კერის – რესპუბლიკის განადგურება ენადა; ვინც ცდილობდა ამ ქალაქის ადგილას, მის ნახანძრალზე ალობროგების ტომები დაესახლებინა. მაგრამ თუ მათ შეწყალებას მოვინდომებთ, ავი ენები არ დაგვინდობს, ბრალს დაგვდებს მთელი სამშობლოსა და მოქალაქეთა დაღუპვაში.

ნუთუ არ უნდა მომწონდეს ის ამბავი, რომ აი, უკვე მესამე დღეს ლუციუს კეისარმა¹², რომელიც რესპუბლიკაში გამორჩეულ და უმამაცეს კაცად ითვლება, საკმაოდ მტკიცედ განაცხადა, რომ თავისი დის, უბრწყინვალესი ქალის, ქმარი სიკვდილით უნდა დაისაჯოსო (დამნაშავე იქვე იყო და თავად მოისმინა ყოველივე), როცა მან მოიწონა კონსულის ბრძანებით თავისი პაპისა¹³ და მისი მცირეწ-

ლოვანი ვაჟის (მამის მიერ ელჩად გაგზავნილის) ციხეში მოკვლა. გვგონებს დღევანდელი დანაშაული იმ ამბებს? განა მათ რესპუბლიკის დაღუპვა ჰქონდათ განზრახული? მაშინ რესპუბლიკაში ასეთი აზრი გაჩნდა, გამოითქვა სურვილი მიწების დარიგებისა. ამიტომ ამას მოჰყვა ურთიერთშეხლა. ამ დროს ლენტულუსის პაპა, ბრწყინვალე ვაჟკაცი, შეიარაღებული დაედევნა გრაქუსს, რათა რესპუბლიკას რაიმე ხიფათი არ შემთხვეოდა. მძიმედაც დაიჭრა ამ ბრძოლაში. ეს ლენტულუსი კი რესპუბლიკის ძირის გამოსათხრელად გალებს ეპატიჟება, მონებს აქეზებს, კატილინას იხმობს, ცეთეგუსს ჩვენს ამოუღებლას ავალებს, დანარჩენი მოქალაქეების ამოხოცვას კი – გაბინიუსს, კასიუსს – ქალაქის გადაბუგვას, კატილინას – მთელი იტალიის განადგურებასა და ძარცვას.

მე მგონია, თქვენ იმის კი არ უნდა გეშინოდეთ, რომ ამ უდიდესი და გაუგონარი ავკაცობის მკაცრად დასჯით სასტიკი ადამიანების სახელი არ გაითქვას, არამედ უფრო იმას უნდა ერიდოთ, რომ თუ სასჯელს შეუმსუბუქებთ, ამით შეუბრალებლობა არ გამოიჩინოთ სამშობლოს წინაშე, ვიდრე შეუწყნარებელი მტრის მიმართ გამოტანილი მკაცრი განაჩენით.

VII. მე ვერ დავფარავ, ბატონო სენატორნო, იმას, რაც მოვისმინე. როგორც ყური მოგკარი, ხმები დადის ასეთი (ეტყობა ამას ის ავრცელებს, ვისაც ეშინია); მყავს თუ არა საკმაო დაცვა იმის შესასრულებლად, რაც თქვენ დაადგინეთ. ყველაფერი გათვალისწინებულია, ბატონო სენატორნო, გამიზნული და მომზადებულია, რომ ჩემი გულმოდგინებით, უდიდესი ზრუნვით, უფრო კი რომელი ხალხის მეცადინეობით, შევინარჩუნოთ ეს შესანიშნავი ხელისუფლება, დავიცვათ საყოველთაო კეთილდღეობა. ყველანი აქ არიან, ყველა რანგისა და ასაკის ადამიანები. სავსეა ფორუმი, მისი შემოგარენი, ტაძარი. სავსეა ფორუმისა და ტაძრის შესასვლელები. ქალაქის დაარსებიდან ეს პირველი შემთხვევაა, როცა ყველა ერთი აზრითაა შეპყრობილი, იმათ გარდა, ვინც დასალუპავად არის განწირული და მიაჩნია, რომ ცალ-ცალკე სიკვდილს ერთად დაიხოცონ სჯობია. ამ ადამიანებს დიდი სიამოვნებით გავრცყავდი, მოვაცილებდი სხვებს.

მე მგონია, უკეთურ მოქალაქეთა რიცხვს კი არა, მტერთა რიგებს უნდა მივაკუთვნოთ ისინი. სხვები კი... უკვდავო ღმერთებო! რა ბევრნი არიან ისინი, როგორი მონდომებულნი, როგორ გაბედულად იზიარებენ სასიკეთო და საკეთილდღეო წინადადებებს, ღირს კი აქ რომელი მხედრები მოვიგონოთ? მართალია, ისინი წარმომადგენლობით თქვენ ვერ გაგიტოლდებიან, თქვენზე დაბალი რანგისანი არიან, მაგრამ სამშობლოს სიყვარულში კი მეტოქეობას გაგინევენ. რახანია, თქვენთან განხეთქილებაში მყოფნი, დღევანდელმა დღემ და ამ შემთხვევამ თქვენთან შესათანხმებლად და შესაკავშირებლად აქ მოიყვანა. თუ ამ კავშირს, ჩემი კონსულობის დროს განმტკიცებულს, მუდამ შევინარჩუნებთ რესპუბლიკაში, გარნმუნებთ, არავითარი შინაური თუ სამოქალაქო ჭირი არ დაატყდება თავს არც ერთ უბანს. ქალაქის დაცვის ასეთივე სურვილით გამოცხადდნენ სახალხო ტრიბუნებიც, უმამაცესი ვაჟკაცები. მოვიდნენ გადამწერლებიც. მათ შემთხვევით მოიყარეს აქ თავი, სახაზინო საქმეების მოსაგვარებლად. ვხედავ, არ დალოდებიან კენჭისყრას და საერთო კეთილდღეობაზე ფიქრს აქეთკენ წამოუყვანია. ურიცხვი ხალხი მოვიდა აქ: თავისუფალი მოქალაქეები, მდაბიონიც. ვინ შეიძლება იყოს ისეთი, ვისთვისაც ძვირფასი, სასიამოვნო და ჭეშმარიტად სანუკვარი არ იყოს ეს ტაძრები, ქალაქის სანახები, თავისუფლების შეგრძნება, ეს მზის შუქი და ჩვენი დედასამშობლო.

VIII. ერთ რამესაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, ბატონო სენატორნო. უნდა დავინახოთ თავისუფალ მოქალაქეთა გულმოდგინება, ვინც უბედობის ჟამს სახელმწიფოს მხარში ედგნენ. ისინი ხმამაღლა აცხადებენ, რომ აქ არის მათი სამშობლო. აქ დაბადებულნი კი, საკმაოდ მაღალი წრის წარმომადგენლები, თვლიან, რომ ეს მათი მშობლიური კი არა, მტრული ქალაქია. მაგრამ რატომ ვამახვილებ ყურადღებას იმ ადამიანებზე, იმ ფენის წარმომადგენლებზე, რომლებიც საკუთარმა ქონებამ, ერთიანმა რესპუბლიკამ და ბოლოს თავისუფლებამ, რაც ასე სანუკვარია, ნააქეზა სამშობლოს კეთილდღეობა დაეცვათ. ვერ იპოვით მონას, რომლისთვისაც მონობის პირობები ასე თუ ისე ასატანია, ვისაც არ აშფოთებს მოქალაქეთა თავხედობა, ვისაც არ უნდოდეს აქ

დგომა, ვინც საერთო კეთილდღეობისათვის არ გაიღებს თავის წილს, რამდენიც შეუძლია და რისი უფლებაც აქვს.

ამიტომ, თუ რომელიმე თქვენგანს ეუცხოვა აქ მოსმენილი ამბავი – რომ ლენტულუსის კაცი დუქანთან გაქცეულა იმ იმედით, რომ შეძლებდა გაჭირვებულთაგან ან გამოუცდელთაგან ვინმე შეეცდინა – ეს მართალია. იყო ასეთი ცდა. მაგრამ არავინ აღმოჩნდა ისეთი, ბედით დაჩაგრული, ან სულწასული და უტიფარი, ვისაც არ სურდა შეენარჩუნებინა თავისი სკამი, სამუშაო ადგილი, ყოველდღიური შემოსავალი, საძინებელი, თავისი სანოლი და, საერთოდ, მშვიდი ცხოვრება. მართლაც, ვინც დუქნებში ტრიალებენ, მათი უმეტესი ნაწილი, უფრო სწორად კი მთელი მათი მოდგმა, მშვიდობიან ცხოვრებას ელტვის. მათი საქმიანობა, საშუალება, მოგება იმაზეა დამოკიდებული, რომ მეტი მოქალაქე მიიზიდონ, ამის პირობას კი მშვიდობიანი დრო ქმნის. თუ დუქნების დაკეტვა მათ შემოსავალს ამცირებს, რაღა მოუვათ, თუ დუქნები დაინგება?

რადგან ასეა, ბატონო სენატორნო, თქვენ არ მოგაკლდებათ რომაელი ხალხის დაცვა. თქვენც უნდა გაითვალისწინოთ, რომ რომაელ ხალხს თქვენი ხელი არ მოაკლდეს.

IX. თქვენ გყავთ კონსული, რომელმაც თქვენს გადასარჩენად, და არა საკუთარი სიცოცხლისათვის, მრავალი ჭირი და უბედურება დაითმინა, სიკვდილის ბრწყალებს გადაურჩა. თქვენ, ყველა ფენის წარმომადგენლები, ფიქრით, სურვილით, ვაჟკაცობით, წადილით, სიტყვებით ეთანხმებით რესპუბლიკის გადარჩენას. თქვენ გინვდით თავის მავედრებელ ხელს ჩვენი საერთო დედასამშობლო, უგუნურ შეთქმულთა მიერ ჩირალდნებითა და შუბებით გარშემორტყმული. იგი თქვენ განდობთ თავის თავს, ყველა მოქალაქის სიცოცხლეს, ციხე-სიმაგრეებს, კაპიტოლიუმს, პენატთა გამოსახულებებს, ვესტას სამარადისო, ჩაუქრობელ ცეცხლს, ყველა ღმერთის ტაძრებსა და საკურთხევლებს, ქალაქის ზღუდეებსა და სახლებს. გარდა ამისა, დღეს თქვენ უნდა გადანყვიტოთ თქვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი, თქვენი ცოლ-შვილის, მოქალაქეთა ქონების, სახლის, კერიის ბედი. თქვენ გვერდით არის თქვენზე გადაგებული, თავდავინყებული სარ-

დალი, რომელსაც ბედი ყოველთვის როდი გინყალობებთ. თქვენთან არიან ყველა ფენის წარმომადგენლები, მთელი რომაელი ხალხი, რომელთაც დღეს ერთი პირი აქვთ, რაც პირველი შემთხვევაა. წარმოიდგინეთ, ერთ ღამეში როგორ უნდა განადგურებულიყო ამდენი გარჯით მოპოვებული ხელისუფლება. ასეთი მამაცობით განმტკიცებული თავისუფლება, ღმერთთა შემწეობით დაგროვილი და გამრავლებული ასეთი სიმდიდრე. დღეს მოქალაქეებმა ის უნდა გააკეთონ, რის შესრულებას კი არა, გაფიქრებასაც ვერ შეძლებდნენ სხვა დროს. ყოველივე ეს იმისთვის კი არ მოგახსენეთ, რომ წაგაქეზოთ; შემართება თქვენ არ გაკლიათ, ამაში მჯობნით კიდევ, არამედ იმიტომ, რომ კონსულის უფლება მავალებს, პირველმა ამოვიღო ხმა რესპუბლიკაში და მინდა იგრძნოთ, რომ ჩემს მოვალეობას ვასრულებ.

X. ახლა კი, სანამ კენჭისყრაზე გადავიდოდე, ბატონო სენატორნო, მცირეოდენს საკუთარ თავზეც მოგახსენებთ. რამდენადაც დიდია შეთქმულთა ლაშქარი (თქვენც ხედავთ, რა ურიცხვია იგი), იმდენად ბევრნი არიან ისინი, ვინც მე მტრად მოვიკიდე, მაგრამ ჩემი აზრით, ეს ლაშქარი სამარცხვინო, უძლური, საზიზღარი და დამარცხებულია. თუ იგი ოდესმე რომელიმე მათგანის სიმშაგითა და ავკაცობით წაქეზებული იმძლავრებს, გადაამეტებს თქვენსა და რესპუბლიკის ავტორიტეტს, ბატონო სენატორნო, მე მაინც არ დავინანებ ჩემს საქციელსა და ჩემს გადაწყვეტილებებს, რადგან შეიძლება ისინი სიკვდილითაც კი მემუქრებიან, მაგრამ რა, სიკვდილი ხომ ყველას ელოდება, იმ დიდ პატივს კი, სიცოცხლეში რომ მარგუნეთ თქვენი დადგენილებით, ვერავინ ელირსება. თქვენ ხომ სხვებს მადლობა მოახსენეთ გმირობისათვის, მე ერთადერთს კი – რესპუბლიკის ხსენისათვის.

იდიდოს სციპიონმა, რომლის სიმამაცემ და სწორმა გადაწყვეტილებამ აიძულა ჰანიბალი აფრიკაში დაბრუნებულიყო და მიეტოვებინა იტალია. განსაკუთრებული ხოტბის ღირსია მეორე აფრიკელიც, ვინც ორი ჩვენდამი მტრულად განწყობილი ქალაქი: კართაგენი და ნუმანცია მიწასთან გაასწორა. მუდამ გამორჩეული

იყოს ლუციუს პაულუსის¹⁴ სახელი, რომელმაც თავისი ტრიუმფალური ეტლი ოდესლაც უძლიერესი და საქვეყნოდ ცნობილი მეფე პერსეთი დაამშვენა. სამარადისო დიდება მარიუსს, რომელმაც ორჯერ იხსნა ალყაშემორტყმული იტალია მონობის საშიშროებისაგან. ყველაზე მეტად კი პომპეუსის ქება გვმართებს, რომლის სიმამაცემ და გამირობამ იმ ქვეყნებსა და საზღვრებს მიაღწია, რომელსაც მზე ანვდენს თავის სხივებს. ამათ გვერდით ჩემს სახელსაც მოიხსენიებენ ქებით, თუ რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან საქმედ ჩავთვლით არა მარტო პროვინციების გაშლას (რომ უფრო შორს დავიდოთ საზღვარი), არამედ ზრუნვას იმისათვის, ვინც აქ არ არიან, შევუნარჩუნოთ სამშობლო, როცა გამარჯვებულები დაბრუნდებიან.

კაცმა რომ თქვას, უფრო ადვილიც კია გარეშე მტრის ძლევა, ვიდრე შინაურისა, რადგან უცხო ტომს ან დაიმორჩილებ, ან მონად აქცევ, ან წყალობით შემოიერთებ. იმ გონწართმეულ მოქალაქეებს კი, ვინც თუნდაც ერთხელ მოგვევლინა სამშობლოს მტრად, რესპუბლიკის დაღუპვას რომ არ დააცლი, ვერც სიკეთით, ვერც ძალით ვერ მიიმხრობ.

ამიტომ ვხედავ, რომ უკვე ჩავები უკეთურ მოქალაქეებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ადვილად მოვიგერიებთ მეცა და ჩემიანებიც, თქვენი და ყველა კეთილშობილ მოქალაქეთა შემწეობით, ესოდენ დიდი საფრთხის მოგონებით, რომელიც მუდამ დარჩება არა მარტო იმ ხალხში, ვინც თავი დაიხსნა, არამედ ყველა ტომის მეხსიერებასა და სიტყვებში.

ჭეშმარიტად, ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს თქვენს კავშირს რომაელ მხედრებთან¹⁵, ვერ დაარღვევს კეთილშობილ მოქალაქეთა ერთსულოვნებას.

XI. რადგან ასეა, ბატონო სენატორნო, ხელისუფლებისათვის, ლაშქრისათვის, პროვინციებისათვის (რომელზედაც უარი ვთქვი), ტრიუმფებისათვის, სხვა ბრწყინვალე დიდებისათვის (რომელზედაც არ მიფიქრია, რადგან თქვენი და ქალაქის დაცვა იყო საჭირო), კლიენტებისათვის, პროვინციებში დანესებული სტუმართმოყვა-

რეობისათვის, რომელსაც ვიცავ, არ ვიშურებ ქალაქში არსებულ არავითარ საშუალებას და იმდენსავე ენერგიას ვანდომებ, რამდენსაც – მის მოპოვებას; მაშ, ამ საქმეებისათვის, ჩემი და ყველა თქვენ-განის მუყაითობისათვის, რესპუბლიკის დასახსნელად განუღო გარჯისათვის, სხვას არაფერს ვითხოვ, გარდა იმისა, რომ ღრმად ჩაიბეჭდოთ გულში მთელი ეს დრო თუ არა, ჩემი კონსულობის ხანა მაინც. ეს ხსოვნა სანამ არ წაიშლება თქვენს გულებში, მე უმტკიცესი ზღუდე მექნება შემორტყმული. თუ ჩემი იმედი გაცუდდება და უკეთურნი ძალ-ღონეს მოიკრებენ და გაიმარჯვებენ, მაშინ თქვენთვის მომინდია ჩემი უმცროსი ძე. მას საკმაო დაცვა ეყოლება იმისათვის, რომ თავი გადაირჩინოს და ღირსებაც შეინარჩუნოს. თუ, რა თქმა უნდა, გაიხსენებთ, რომ იგი იმ კაცის შვილია, ვინც თავი არ დაზოგა და ყველაფერი შეგინარჩუნათ. ამიტომ, ბატონო სენატორნო, გაბედულად და კეთილსინდისიერად შეასრულეთ, რაც დაადგინეთ თქვენი და რომაელი ხალხის, თქვენი ცოლ-შვილის ხსნისათვის, ტაძრების, სალოცავების, საკურთხევლების, კურიის, მთელი იტალიის გადარჩენისათვის, რესპუბლიკის ერთიანობისათვის. თქვენი კონსული უყოყმანოდ დაემორჩილება თქვენს გადაწყვეტილებას და სანამ პირში სული უდგას, დაიცავს და შეასრულებს თქვენს დადგენილებას.

ლუციუს მურენას დასაცავად

I. იმ დღეს, ბატონო მსაჯულნო, როცა ჩვეულებისამებრ, წინაპართა მიერ დადგენილი წესის თანახმად, აუსპიციებს¹⁶ მოვრჩი და ცენტურიათა კრებას ლუციუს მურენას კონსულობა ვაუწყე, უკვდავ ღმერთებს შევევედრე, ეს არჩევანი ყოფილიყო ჩემი მოვალეობის კეთილსინდისიერად დასრულების სანინდარი და ბედნიერების მომტანი როგორც ჩემთვის, ასევე რომაელი მოქალაქეებისა და პლებისსათვის. ახლაც მურენას გამო ვაწუხებ ზეცის ბინადართ, ვინძლო ხიფათი ააცილონ მას და კონსულობა შეუნარჩუნონ; იმასაც ვემუდარები, თქვენი თათბირითა და განაჩენით რომაელი ხალხის ნება გამოგეხატოთ, რასაც უთუოდ მოჰყვება სიმშვიდე, ზავი, თანხმობა და ერთსულოვნება.

ჩემი ღრმა რწმენით, ეს საზეიმო ვედრება ისეთი წრფელი და მხურვალე ლოცვაა, რესპუბლიკის დიდებას რომ ეკადრება; ამიტომ გაგებდე და ერთი თხოვნაც დავურთე: ამ საკონსულო არჩევანს სიკეთე და წყალობა მოეტანოს მათთვისაც, ვისაც ეს უმაღლესი თანამდებობა მივულოცე.

რაკი თქვენ, ბატონო მსაჯულნო, უკვდავ ღმერთებთან ერთად განაგებთ ადამიანთა ბედს, თქვენი პატიოსანი სამსჯავროსათვის მომინდია ჩემ მიერ ხელდასხმული კონსული, ვინც უზენაეს ღვთაე-

ბას შევავედრე, ვისაც ქომაგად დავუდექი. დაე, მას, თქვენი და ყველა მოქალაქის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში რომელი ხალხის სიყვარული არ მოჰკლებოდეს.

ჩემი ასეთი თავგამოდება მურენასადმი ბრალმდებლებს ალიზიანებს, არ მოსწონთ, დამცველის როლში რომ გამოვდივარ. ამიტომ, ნება მიბოძეთ, სანამ საქმეზე გადავიდოდე, ცოტაოდენი რამ საკუთარ თავზეც მოგახსენოთ. თავის მართლებას არ დავინწყებდი, მით უფრო ახლა, თქვენი თანადგომა რომ არ მჭირდებოდეს მურენას მტრების მოსაგერიებლად, რომლებიც კონსულის სახელის, მისი დიდებისა და ქონების წინააღმდეგ ილაშქრებენ.

II. უპირველესად მარკუს კატონს¹⁷ მსურს გავესაუბრო, კაცს, ვისთვისაც ცხოვრება ბრძნული კანონების შეცნობაა; ვინც უმნიშვნელო წვრილმანსაც კი დიდი გულისყურით გამოჩხრეკს ხოლმე, როცა საქმე პასუხისმგებლობას შეეხება. სწორედ მას მინდა მოვახსენო, რა მიმაჩნია ჩემს მოვალეობად და რას უნდა ვემსახურო. კატონის აზრით, რაკი თავად შემოვიღე საკმაოდ მკაცრი კანონი მაძიებლობის თაობაზე ჩემი კონსულობის დროს, მურენას გამოსარჩლების ნება არა მაქვს. მართალი გითხრათ, გული მატკინა ამ მწარე საყვედურმა. იძულებული ვარ ჩემს საქციელზე პასუხი ვაგო თქვენს წინაშე, ბატონო მსაჯულნო, უამისობა არ ეგების. თავი უნდა ვიმართლო კატონთანაც, ამ უზადო და ფრიად ღირსეულ ადამიანთან. ერთი რამ ვერ გამიგია, კატონ, რატომ უნდა იყოს სათაკილო კონსულის მიერ კონსულის დაცვა? მურენაზე ახლობელი არავინა მყავს; განა მას არ ვანდე რესპუბლიკის ბედი, რომლის დაცვას მთელი ძალ-ღონე შევალიე.

თუკი ქონების გამსხვივებელი¹⁸ გარკვეულ ვალდებულებას კისრულობს მყიდველის წინაშე იმ შემთხვევაში, თუ მას შეძენილ ნივთში ან მამულში შეედავება ვინმე, კონსულს რატომ არ უნდა ჰქონდეს უფლება, კეთილად განაწყოს რომელი ხალხი ახლად-არჩეული კონსულისადმი, გამოექომაგოს განსაცდელის ჟამს მას, ვისი არჩევნებში გამარჯვება თავად ამცნო საზოგადოებას. თუკი მსგავს შემთხვევაში ზოგ ქვეყანაში სახელმწიფო საჯაროდ ნიშნავს

დამცველს, მე რატომ არ უნდა მანდონ უმაღლეს პატივში მყოფი ადამიანის – კონსულის საქმე, მით უფრო, რომ თავად მეჭირა ეს თანამდებობა მასზე ადრე; ამასთანავე შესაძლებლობა მეძლევა, სურვილიცა მაქვს და უნარიც, დავიცვა იგი.

ნავსადგურში დაბრუნებული ფათერაკგამოვლილი მეზღვაურები ზღვაში გასასვლელად გამზადებულებს წერილად უამბობენ ხოლმე თავიანთ მოგზაურობაზე, უამრავ განსაცდელზე, სახიფათო ადგილებზე, მეკობრეებზე, ქარიშხალსა და გრიგალზე. ჭირგამოვლილნი თითქმის მეურვეობას იჩენენ მათ მიმართ, ვისაც მსგავსი უბედურება წინ უდევთ. ახლა წარმოიდგენეთ, როგორ უნდა მალეღვებდეს იმ კაცის ბედი, ვინც დიდი ქარტეხილის მოლოდინშია, მით უფრო, რომ ეს-ეს არის, გადაუფრჩი აბობოქრებულ ზღვას და ძლივს დავლანდე ხმელეთი; ჭეშმარიტი კონსულის ვალია, არა მარტო იცოდეს, რა ხდება მის სახელმწიფოში, არამედ წინასწარ განჭვრიტოს მოვლენების მსვლელობაც. მოგვიანებით მოგახსენებთ იმის თაობაზე, თუ რაოდენ საჭიროა იანვრის კალენდებზე¹⁹ რესპუბლიკაში ორი კონსულის არსებობა. მეგობრის ბედი დიახაც მალეღვებს, მაგრამ უფრო იმაზე ვფიქრობ, რესპუბლიკას შეევუნარჩუნო რომელი ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი კონსული.

III. კანონი მაძიებლობაზე მე შემოვიღე. დიახ, მე დავანესე იგი, რომ უწინარესად თავად დავმორჩილებოდი მას, რომ ამით რომელ მოქალაქეთათვის საფრთხე ამეცილებინა და რაც მთავარია, ფიქრად არ მომსვლია მისი გაუქმება. მე არ გავამართლებ ისეთ დამნაშავეს, ვინც ქრთამების წყალობით მიაღწია უმაღლეს თანამდებობას; თუ ასეთ რამეს ვპაბტიებდი ვინმეს, თავად ვიქნებოდი შერისხვის ღირსი, თუნდაც ამ კანონის გამტარებელი მე კი არა, სხვა ვინმე ყოფილიყო. მაგრამ, როცა ამგვარ დანაშაულს ვერ ვხედავ, რატომ უნდა შემიბოჭოს ხელ-ფეხი ჩემ მიერ შემოღებულმა კანონმა და რატომ ვერ უნდა შევძლო დამცველის მოვალეობის შესრულება.

კატონი მკიცხავს, რომ კატილინას მიმართ ზედმეტი სიმკაცრე გამოვიჩინე, რადგან იგი მუქარით, თითქმის ძალით გავაგდე ქალაქიდან, რათა რესპუბლიკა მეხსნა, მურენას კი ქომაგად დავუდექი. მიმ-

ტვევებლობისა და შემწყნარებლობის ნიჭი ბუნებამ დიახაც მიწყალობა, რაც არაერთგზის გამომივლენია, არასდროს ვცდილვარ, მკაცრი და დაუნდობელი კაცის სახელი მქონოდა, მაგრამ, როცა რესპუბლიკა სიმტკიცესა და ძალაუფლების გამოყენებას მოითხოვდა, ვძლიე საკუთარ თავს, იძულებული გავხდი, სისასტიკე გამომეჩინა, თუმცა ამის სურვილი არ მქონია. ახლა კი, როცა ყველა ლმობიერებისაკენ მომინოდებს, რატომ არ დავემორჩილო ხალხის ნებას, მით უფრო, თუ ბუნებითაც გულმონყალე ვარ. თუმცა ჩემს მოვალეობაზე შემდგომ ვისაუბრებ, როცა შენს ბრალდებებს გავცემ პასუხს.

მაგრამ კატონის საყვედურებზე უფრო ბრძენი და ფრიად პატივსაცემი პიროვნების, სერვიუს სულპიცის¹²⁰ განწყობილება მალეღებ. იგი შეშფოთებულია ჩემი საქციელით და მტკიცუნელად განიცდის იმას, რომ მე თურმე დავივინყე ჩვენი მეგობრობა და ლუციუს მურენას ვიცავ. ამის საპასუხოდ მსურს ზოგიერთი რამ განვუმარტო მას, თქვენ კი, ბატონო მსაჯულნო, ნება მიბოძეთ, შუამავლობა დაგაკისროთ ჩვენს შორის.

როცა ბრალად გდებენ, მეგობრობა არ იცისო, გინდა დამნაშავედ გრძნობდე თავს, გინდ არა, ამის წაყრუება არ ივარგებს. ვალიარებ, სულპიცის, ვალდებული ვიყავი, დაგხმარებოდი როგორც მეგობარს, როცა საკონსულო არჩევნებში ვმონაწილეობდი; მე მგონი, გულნატკენი არ უნდა იყო ჩემზე, მხარში ამოგიდექი, როგორც შენი კეთილმოსურნე და როგორც კონსული. ის დრო წავიდა. ახლა სხვა ვითარებაა. ღრმად ვარ დარწმუნებული ჩემს სიმართლეში. მაშინ მურენას წინააღმდეგ საკონსულო არჩევნებში ჩემი გამოსვლა შენი თხოვნით იყო შეპირობებული. ახლა კი, როცა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, ვერ გავითვალისწინებ შენს სურვილს და ვერ გავწირავ მურენას.

როცა კონსულის თანამდებობისათვის იბრძოდი, დაგეხმარე, მაგრამ ახლა მურენას წინააღმდეგ მხარში ვერ ამოგიდგები. აბა, რა მოსაწონია, არ გამოესარჩლო უდანაშაულოს (თუნდაც სრულიად უცხო). ასეთი რამ, მეგობრის ხათრითაც რომ ჩაიდინო, ვფიქრობ, დიდად საძრახისია.

IV. ნურც იმას დავივინყებთ, ბატონო მსაჯულნო, მე და მურენა ძველი მეგობრები ვართ და ვერ ვუღალატებ მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ დროს სულპიციუსს დავუჭირე მხარი საკონსულო არჩევნებში. ესეც რომ არ იყოს, როგორი შეუბრალებელი და ამპარტავანი უნდა ვიყო, რომაელი ხალხის მიერ დაფასებულ და გამორჩეულ კაცს უარი ვუთხრა დახმარებაზე და ჩემი სამსახური არ შეეთავაზო, როცა მას ხიფათი ელის. ეს ჩემი მოვალეობაა, რისთვისაც ჩემზე მეტი ჯილდო არავის ღირსებია რესპუბლიკაში. უმადური და გულზვიადი უნდა იყო, თავად რაიმეს რომ მიაღწევ და სხვებს ქედმაღლურად გადმოხედავ. თუ შენ ისე ჩამომაშორებ ამ საქმეს, სულციპიუსს, რომ არც მედიდურობას დამნამებენ და არც გულქვაობაში დამდებენ ბრალს, სიამოვნებით გავდგებოდი განზე. შრომას კაცი თუ თავს არიდებს, უქნარაა, მთხოვნელებს ვინც უარით ისტუმრებს, გულცივია, ხოლო მეგობარს ვინც ზურგს აქცევს, ის მოღალატეა. თუ არც ერთი ხარ, არც მეორე და არც მესამე, თუ ერთგული, გულმონყალე და საქმის მოყვარული კაცი გქვია, მურენას დაცვაზე უარს ვერ იტყვი.

თუ შენს მოღვაწეობას თვალს გადაავლებ, სერვიუსს, ჩემს მეგობრობას უკეთ გაიგებ. შენ მიგაჩნია, რომ მეგობრის მტრებსაც არ უნდა უთხრა უარი, თუ რჩევისათვის მოგმართავენ. უფრო მეტიც, თუ ისინი სასამართლოზე გამტყუნდებიან. თითქოს შეურაცხყოფილად გრძნობ თავს, თუმცა თავად გამოდიხარ მათ წინააღმდეგ. მაშ, რატომ გიკვირს, როცა მე მეგობრებს წინასწარ ვაცნობ საქმის ვითარებას, მაშინ, როდესაც შენ შენი ახლობლის მტრებსაც არ უმაღავ არაფერს.¹²¹ მე, თურმე, რადგან სერვიუსის მეგობარი ვარ, უარი უნდა ვთქვა მურენას დაცვაზე. მაშინ ასევე უნდა მოიქცნენ ფრიად პატივსაცემი კვინტუს ჰორტენზიუსი, მარკუს კრასუსი¹²² და სხვა ღირსეული პიროვნებებიც, რადგან შენი დიდი რიდი აქვთ. გამოდის, რომ კონსულ-დესიგნატი დამცველს ვერ იპოვის ჩვენს სახელმწიფოში, სადაც ოდითგანვე დაუნესებიათ ჩვენს დიდებულ წინაპრებს, რომ ყოველ ბრალდებულს ჰყავდეს მოსარჩლე. როგორი უზნეო უნდა ვიყო, ბატონებო, მეგობარს არ მივეშველო, როგორი გულქვა, გაჭირვებაში ჩავარდნილს ხელი არ გავეუნოდო და როგორი მედიდური, კონსულს ზურგი ვაქციო.

მეგობრისადმი თავდადებასა და ერთგულებას ვერავინ მასწავლის. ჩემი ღვიძლი ძმა¹²³ რომ იდგეს იქ, კატონ, მასთანაც არ მოვიშლიდი პაექრობას. ვეცდები, ვიყო კეთილსინდისიერი, სამართლიანი, არ დავივინყო ჩემი მოვალეობა; ერთი მეგობრის მოპაექრედ მოვსულვარ, რათა მეორე გაჭირვებიდან ვიხსნა.

V. ბრალმდებელთა განზრახვა სავსებით ნათელია, ბატონებო, მათ სურდათ, მურენასათვის სამი დანაშაული მოეხვიათ თავს. პირველი – წარმოეჩინათ მისი ცხოვრების მანკიერი მხარე, მეორე – ეჭვი შეეტანათ მის ღირსებაში, მესამე – სადავო გაეხადათ მისი საკონსულო არჩევნებში გამარჯვება. აქედან პირველი, ყველაზე მძიმე ბრალდება, საკმაოდ უსუსურად და უფერულად დაგვიხატეს. ნაკლი ვერაფერი მოუძებნეს და რადგან სათქმელი არაფერი ჰქონდათ, უბრალოდ, მისი წარსული ცხოვრება გაიხსენეს. მურენას დანაშაული თურმე აზიაში გამგზავრება ყოფილა. მაგრამ იქ ხომ გასამდიდრებლად ან სიამოვნებისათვის კი არ წასულა, არამედ სალაშქროდ. უარი რომ ეთქვა იქ სამსახურზე, სადაც მამამისი იყო მხედართმთავარი, იტყოდნენ, ღლაპი იყო და მამამ მოიშორაო, ან მამის ბრძანებას თავი აარიდაო, ან კიდევ – ბრძოლის შეეშინდაო. იქნებ ტრიუმფის დროსაც არ უნდა ხლებოდა ცხენზე ამხედრებული თავის სახელოვან მშობელს, რომელთანაც ერთად მრავალჯერ კვეთებია უშიშრად მტრებს. სხვებისთვის თუ ასეთ ალღუმებში მონაწილეობა დასაშვებია, მურენასთვის რად უნდა იყოს საძრახისი? დიახ, ბატონებო, მას არ მიუტოვებია განსაცდელში მამა, გვერდით ედგა ლაშქრობაში, ეხმარებოდა და მასთან ერთად იზიარებდა გამარჯვების სიხარულს. თუ აზიაში სამსახურს შეუძლია სახელი გაუტეხოს კაცს, როგორ ფიქრობთ, ვინ უფრო დასაფასებელია, ვისაც ეს ქვეყანა თვალით არ უნახავს, თუ ის, ვინც იქ სიმდიდრესა და ფუფუნებას არ დაჰხარბებია და თავი არ შეურცხვენია? ამიტომ, მოდით, აზიაში ყოფნას ნუ წამოვაკრავთ მურენას, რომელმაც იქ მოღვაწეობით თავის ოჯახს სახელი გაუთქვა, მთელს თავის საგვარეულოს ღირსება შემატა და თავად პატივი და დიდება მოიხვეჭა. თუ რამ უკადრისი ჩაიდინა იქ, თუ სირცხვილნაჭამი წამოვიდა და

თან მანვე ჩვევებიც გამოიყოლა, მაშინ, ცხადია, უნდა ვამხილოთ. როგორ ფიქრობთ, ბატონებო, განა სასახელო არ არის მონაწილეობა აზიის ლაშქრობაში, რომელმაც რომაელ ხალხს მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა? ქების ღირსი არ არის შვილი, ვინც მხედართმთავარი მამის ბრძანებები ხალისით შეასრულა და მასთან ერთად იზეიმა ბრწყინვალე გამარჯვება? ახლა თქვენ ბრძანეთ, ასეთ შვილს ხოტბა უნდა შევასხათ, თუ გავკიცხოთ?

VI. ტაკიმასხარასა და მროკავს უწოდებს კატონი მურენას. განა შეიძლება ასეთი ცილისწამება ან ავყიაობა? ვთქვათ და, მართლაც უყვარს ცეკვა, ამისათვის ასე ღვარძლიანად უნდა გავკილოთ? შენი გამკვირვებია, მარკუს. ასეთი ღირსეული პიროვნება როგორ კადრულობ ქუჩურ, უწმანურ გამოთქმებს და როგორ ულანძღავ კონსულს რომაელ ხალხს; კაცმა რომ თქვას, ცეკვა რა სათაკილოა, უმჯობესი იყო, სხვა რამ ნაკლი მოგეძებნა მისთვის და დაგეყვებდებინა. ჩვეულებრივ, ფხიზელი კაცი უმიზეზოდ არ აცუნდრუკდება, რა თქმა უნდა, თუ სრულ ჭკუაზეა, ხელებს არ გაშლის სათამაშოდ, თუ მარტოა სახლში, თუ შინაურებთან ერთად უზის სუფრას, ან დიდებულ წვეულებას ესწრება. სულ სხვა საქმეა, თუ მეგობრები მშვენიერ, ნალკოტ ადგილას შეიყრებიან, იმხიარულებენ, ბოლოს შეიძლება შეზარხოშებულებმა ფერხული გააბან. ამისთვის შეიძლება ქვეყანა შევედრათ? ცეკვისა და გართობისათვის კაცს ვერ დავძრახავთ, თუ, რასაკვირველია, ამ დროს რაიმე უზნეობას არ სჩადის. შენ მის ისეთ თვისებებზე მელაპარაკები, რაც ნაკლად არც კი ითვლება და რაც მართლა სათაკილოა: ლოთობა, ღრეობა, თავაშვებული ტრფიალი, მრუშობა, ფულების ფანტვა – ამაზე ხმას არ იღებ; ფუფუნებითა და განცხრომით ცხოვრებას ვერ სწამებ, მაგრამ რალაც ამდაგვარი გსურს დააბრალო და ღობე-ყორეს ედები. ასე რომ, აუგის თქმა ბრალდებულზე თითქმის შეუძლებელია, ბატონებო!

მაშ, ასე. მე ვიცავ კონსულ-დესიგნატს¹²⁴, ამის საფუძველს კი ის მაძლევს, რომ მისთვის არც სიხარბე, არც ორპირობა, არც ქედმაღლობა და არც სისასტიკე შემიმჩნევია, დაუფიქრებელი სიტყვა-პასუხი მისგან არასოდეს მომისმენია. ჯერჯერობით მურენას დასაცავად,

როგორც ხედავთ, ენა არ დამიძრავს, ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ, მაგრამ თუ ბრალმდებლებს დავუჯერებთ, იგი კეთილშობილი და უნმინდესი პიროვნებაა. რაკი ეს სადავო არ არის, ჩემთვის გაცილებით ადვილია ბრალდების მეორე ნაწილს, საპატიო თანამდებობისათვის ბრძოლას შევებო.

VII. შენ გამორჩეული კაცი ხარ, სულციპიუს, გვარიშვილობით, პატიოსნებით, საქმიანობით; ბევრი სხვა საუკეთესო თვისებაც გაქვს. ამდენად სრული უფლება გაქვს, კონსულის თანამდებობისაკენ ილტვოდე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთივე ღირსებებით შემკული გახლავთ ლუციუს მურენაც. ასე რომ, ძნელი სათქმელია, რომელი უფრო ღვანლმოსილია თქვენს შორის; ვერც შენ აჯობებ მას, სულციპიუს, და ვერც ის დაგრჩდილავს თავისი დიდებით. ლუციუს მურენას გვარს ცხვირს უბზუებ, შენსას კი აქებ. შენ ფიქრობ, მხოლოდ პატრიციები შეიძლება მივაკუთვნოთ კეთილშობილთა რიცხვს. ასე თუ იმსჯელებს ყველა, განაწყენებული პლებსი ალბათ ისევ ავენტინის¹²⁵ ბორცვს მიუბრუნდება. ხოლო თუ პლებსთა შორისაც შეიძლება არსებობდნენ ბრწყინვალე და დიდებული გვარის წარმომადგენლები, მაშინ გავიხსენოთ, რომ მურენას მამა და პაპა პრეტორები იყვნენ; მამამ თავისი პრეტორობის დასასრულს სანაქებო ტრიუმფი მოაწყო და ამით პირნათლად მოიხადა მშობლის ვალი. გზა გაუკაფა შვილს კონსულობისაკენ, რაც თავის დროზე მანაც დაიმსახურა. ახლა შვილის ჯერია. მართალია, სულციპიუს, შენ სახელგანთქმული გვარის წარმომადგენელი ხარ, მაგრამ შენ უფრო სწავლული და განათლებული საზოგადოება გიცნობს, მათთვის ხარ სასურველი, უბრალო ხალხმა კი, ამომრჩეველებმა, შენ შესახებ ცოტა რამ იციან. მამაშენი ხომ რომაელი მხედარი იყო, პაპას მაინცდამაინც დიდი დამსახურება არ მიუძღვის ქვეყნის წინაშე. შენი დიდება წარსულიდან, ანალებიდან¹²⁶ უნდა ამოვექეყოთ, რადგან იგი ახლა აღარავის ახსოვს. მე უფრო ჩვენს ფენას¹²⁷ მიგაკუთვნებ, რადგან რომაელი მხედრის შვილმა პირადი ღირსებებით მოიპოვე საკონსულო არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ჩემი ღრმა რწმენით, უმამაცესი ვაჟკაცი კვინტუს პომ-

პეუსი¹²⁸, თუმცა ახალბედა იყო, სიქველით როდი ჩამოუვარდებოდა სახელოვან ემილიუს მარკუსს.¹²⁹ უდიდესი ძალისხმევისა და ნიჭის ფასად შეიძლება მიაღწიო იმას, როგორც ეს პომპეუსმა გააკეთა, რომ შთამომავლობამ იამაყოს შენი სახელით, რაც მემკვიდრეობით არ მიგიღია და ემილიუს სკავრუსის მსგავსად, უებრო ვაჟკაცობის წყალობით გააცოცხლო მინავლებული დიდება შენი გვარისა.

VIII. მე მეგონა, ჩემი თავგამოდებული მცდელობის შემდგომ ღირსეულ პიროვნებებს უბრალო გვარიშვილობას ვერავინ წამოაყვედრებდა. ხომ გახსოვთ, არამცთუ კურიებს,¹³⁰ კატონებს,¹³¹ პომპეუსებსა და სხვა უბრალო მამულიშვილებს, არამედ ახლახან ჩვენგან წასულ მარიუსებს, დიდიუსებსა და ცელიუსებსაც¹³² აღარ იხსენიებდნენ სათანადო პატივით. გამოხდა ხანი და დიდგვაროვანთა წინააღმდეგობის მიუხედავად აღვადგინე ჩვენი წინაპრების დროს არსებული წესი, რომლის თანახმად კონსულის თანამდებობის მოპოვება შეეძლო როგორც მაღალი ფენის წარმომადგენელს, ასევე უგვაროს, მაგრამ ნიჭიერსა და უნარიანს. რას წარმოვიდგენდი, თუ ჩემი, რომაელი მხედრის შვილისა და კონსულის გამოსარჩლება დასჭირდებოდა უძველესი და ჩინებული გვარის შვილს, კონსულდესიგნატს და ბრალმდებლები მის მდაბიო წარმომავლობაზე გადაგვიკრავდნენ სიტყვას. თავის დროზე საკონსულო არჩევნებში ვმონაწილეობდი პატრიციებთან ერთად, რომელთა შორის გახლდათ კატილინაც,¹³³ უზნეო და თავხედი, რომელსაც არ აღმოაჩნდა სათანადო ღირსებები ჩემთან ბრძოლაში და დამარცხდა, მეორე კი მოკრძალებული და უბადლო ვაჟკაცი გალბა¹³⁴ იყო, რომლის კეთილშობილება ჩემმა სახელმა და გავლენამ დაჩრდილა. თუ უჩინო გვარიშვილს დიდებისაკენ ლტოლვას დანაშაულად ჩავუთვლით, მაშინ ჩემზე მეტი მტერი და მოქიშპე არავის უნდა ჰყავდეს. ამიტომ, მოდით, წარმომავლობაზე კირკიტს ნუ დავინწყებთ. მურენასაც შეუძლია იამაყოს თავისი გვარით და სურვიუსსაც. კვესტორის¹³⁵ თანამდებობისათვის ორივე ერთად ვიბრძოდით და პირველად მე ამირჩიესო, – არ ღირს, მე მგონი, ამაზე პასუხის გაცემა. ყველას კარგად მოეხსენება, რომ კენჭს იყრის მრავალი ერთნაირი

შესაძლებლობისა და უნარის პიროვნება, პირველ ადგილს ერთი რომელიმე დაიკავებს, მაგრამ მას როდი დაასახელებენ პირველად, რადგან გამოცხადებას თავისი წესი და რიგი აქვს, ღირსება აქ არაფერ შუაშია, რადგან ყველანი ერთნაირად პატივსაცემნი არიან ხშირად. ნუ დაივიწყებთ, რომ ორივენი კვესტორი ბრძანდებოდით და თანაბარი უფლებები გქონდათ. მურენას წილად ერგო ტიცციუსის¹³⁶ კანონის თანახმად ერთი მყუდრო და მშვიდი პროვინცია, შენ კი ოსტიის¹³⁷ მზარე, სადაც წესად აქვთ, საკვესტურო არჩევნებში გამარჯვებულს დიდი ყიჟინითა და ჟრიაშულით მიეგებონ. მაგრამ იქ მძიმე და დაუღალავი შრომის ფასადაც ვერ მოიპოვებს კაცი დიდ პატივს. კვესტორობამ ბევრი ვერაფერი შეგძინათ, პირიქით, თქვენი არსებობა ყველას დააღიწყდა. ნიჭისა და უნარის გამოვლენის შესაძლებლობა არ მოგეცათ, რაც თქვენს სახელს განადიდებდა.

IX. შემდგომ, ბატონებო, ვითარება შეიცვალა. ისინი სხვადასხვა საქმეს ემსახურებოდნენ. სერვიუსი აქ, ჩვენთან ერთად მოღვაწეობდა ქალაქში, მოქალაქეებს რჩევა-დარიგებებს აძლევდა, იცავდა მათ ინტერესებს. ადგენდა სიებს. ყველაფერი ეს შფოთიან და უსიამოვნო ამბებთან იყო დაკავშირებული. მან შეისწავლა სამოქალაქო სამართალი, თავდაუზოგავად შრომობდა დღითა და ღამით, მზად იყო ყველას დახმარებოდა, მოესმინა უამრავი სისულელე, მოეთმინა თავხედობა, უხეშობა; მუდამ სხვის აზრს უწევდა ანგარიშს, თავისი სურვილით არასდროს უცხოვრია. მართლაც რომ დასაფასებელია მისი საქმიანობა. მან თავისი ნიჭი ისეთი მეცნიერების შესწავლას შეაღია, რომელსაც მრავალი ადამიანისათვის შეუძლია სარგებლობის მოტანა. ამდენად, მას ბევრი მაღლიერი ეყოლება. სად იყო ამ დროს მურენა? უმამაცესი და ფრიად გონიერი ვაჟკაცის, ჩინებული იმპერატორის, ლუკულუსის¹³⁸ ლეგატი გახლდათ. იმ დროს თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა მხედართმთავარმა, თავს ესხმოდა მტრის რაზმებს, არ ერიდებოდა ხელჩართულ ბრძოლებსაც, ქორივით ჩამოუქროლებდა მონინალმდეგის ურიცხვ ლაშქარს; ქალაქებს ან ერთი დარტყმით იღებდა, ან ალყას შემოარტყამდა და იმორჩილებდა. ეგ შენი ხელწამოსაკრავი აზია, სიმდიდრითა და

ფუფუნებით სახელგანთქმული, ისე გამოიარა, თვალი არაფერზე გაჰქცევია, ხელი არაფრისთვის უხლია; ამ უდიდეს ომში მრავალი გმირობა ჩაიდინა, რამდენი ბრძოლა არ გადაიტანა ისე, რომ იმპერატორი დახმარებისათვის არ შეუნუხებია, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ლაშქრობის წინ მუდამ ეთათბირებოდა მას. ამას რომ ლუკულუსის თანდასწრებით ვამბობ, არ იფიქროთ, მასთან შეთანხმებული ვიყო და განსაცდელში ჩავარდნილ მურენას დასახსნელად სიცრუეს მოგახსენებდეთ. შეგიძლიათ იხილოთ წერილები, სადაც ლუკულუსი ქებას ასხამს მურენას. ასე მხოლოდ კეთილშობილ და ღირსეულ პიროვნებას შეუძლია დააფასოს თავისი თანამოძმის ღვაწლი და მასთან ერთად გაიზიაროს დიდების სიხარული.

ამდენად, მე მიმაჩნია, რომ ორივენი პატივსაცემი და სანაქებო მამულიშვილები ბრძანდებით. მე მგონია, ორივენი თანაბრად იმსახურებთ ქებას. მაგრამ სერვიუსი არ იზიარებს ჩემს შეხედულებას, მურენას გმირობას საეჭვოს ხდის, მის ლეგატობას აუგად იხსენიებს; კონსულობის ღირსი თურმე ის არის, ვისაც რომიდან ფეხი არ მოუცვლია და აქ თავაუღებელივ შრომობს. ლაშქარში რომ ათენ-ალამებ და ფორუმზე წლების მანძილზე ვერ ამოხვალ, რა უფლება გაქვს თავი გაუტოლო მათ, ვინც რომში გაატარა მთელი თავისი ცხოვრებაო, – საყვედურობს სერვიუსი. მე რომ მკითხო, სერვიუს, ხალხს ზოგჯერ ვალიზიანებთ, თავს ვაბეზრებთ, მუდამ მათ თვალწინ რომ ვტრიალებთ; მართალია, ეს ჯერ არ მიგრძნია, მაგრამ თუ თავი არ შემინყენია ხალხისთვის არც მე და არც შენ, ამის მიზეზი ჩვენი თავდაუზოგავი შრომა და რუდუნებაა. და მაინც, არ იქნებოდა ურიგო, ცოტა ხნით მათ მზერას მოვშორებოდით და თავი მოგვენატრებინა. მაგრამ, მოდი, ამას თავი დავანებოთ და ახლა ორი საქმიანობა, მეცნიერების ორი დარგი შევადაროთ ერთმანეთს. ვის შეუძლია უარყოს, რომ გმირობითა და მამაცობით უფრო მიაღწევ საკონსულო არჩევნებში გამარჯვებას, ვიდრე კანონების ჩინებული ცოდნით. შენ მთელ ღამეს ათენებ, რომ საჭირო რჩევადარიგებები მისცე მთხოვნელებს, ის კი ამ დროს ემზადება, რომ დროულად მიიყვანოს ლაშქარი დანიშნულების ადგილას; შენ მამლის

ყვილზე იღვიძებ, ის კი – ბუკის ხმაზე; შენ საჩივრის ქალღმერთს ანესრიგებ, ის კი – მეომართა რაზმებს; შენ შენი მთხოვნელების ბედი გალელებს, მას კი – სამხედრო ბანაკებისა და ქალაქების. მან იცის, გზა საით მისცეს მტრის ლაშქარს, შენ კი – ნიაღვარს.¹³⁹ მისი საქმეა საზღვრების განვრცობა, შენი – ზღვრის დანესება. უნდა ვალიარო, ომში გამოჩენილ სიმამაცეს ვერაფერი შეედრება.

X. სწორედ მან გაუთქვა სახელი რომაელ ხალხს, მან მიანიჭა უკვდავება ჩვენს დედაქალაქს და მის ძალაუფლებას მთელი მსოფლიო დაუმორჩილა. სამხედრო დიდება იცავს ჩვენს მოქალაქეთა ცხოვრებას, ჩვენს საქმიანობას ფორუმზე. ჩვენს წარმატებებს. როგორც კი საფრთხე დაგვემუქრება და განგაშის ზარები ატყდება, ყველა ჩვენი ხელოვნება ძალას კარგავს.

შენ ისე იწონებ თავს სამართალმცოდნეობით, ისე ელოლია-ვები, თითქოს შენს პანია ქალიშვილს ესიყვარულებოდე. მე მინდა გამოგიყვანო ამ ბურანიდან. ვიცი, რა შრომის ფასად შეისწავლე ეს ხელოვნება, რომ მასზე უკეთესი ქვეყნად არაფერი გეგულება. მე მუდამ მხიბლავდა შენი სიმტკიცე, სამართლიანობა, ერთგულება, თავდაჭერილობა და მიმაჩნდი ღირსეულ კანდიდატად საკონსულო არჩევნებში და ვთვლიდი, რომ სხვა მრავალ პატივსაც იმსახურებდი. რაც შეეხება იმას, რომ სამოქალაქო სამართალი შეისწავლე, ვერ გეტყვი, დრო უქმად დაკარგე-მეთქი, მაგრამ ცხადია, ეს არ არის მთლად საიმედო გზა კონსულობის მისაღწევად. ყველა ხელოვნება, რომელიც რომელი ხალხის სიყვარულს მოგვაპოვებინებს, უნდა იყოს ღირსეული, მაღლიანი და სარგებლობის მომტანი.

XI. სამხედრო საქმეში დახელოვნებულთ ჩვენში დიდად აფასებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ისინი სახელმწიფო წყობილებასა და ძალაუფლებას იცავენ და სხვაზე მეტი სიკეთე მოაქვთ. მათი ბრძნული გადაწყვეტილებებისა და გაბედულების წყალობით საშუალება გვეძლევა, ვისარგებლოთ როგორც სახალხო, ასევე საკუთარი ქონებით. არანაკლებ პატივშია ორატორული ხელოვნებაც. საკონსულო არჩევნებში უპირატესობას ანიჭებენ მას, ვისაც ძალუძს სიბრძნითა და გონიერებით სენატის, ხალხისა და სასამართლოს

მესვეურთა გულის მოგება. რადგან კონსულის მჭევრმეტყველურ სიტყვას შეუძლია ტრიბუნთა შფოთის დაწყნარება, აღელვებული ხალხის დაშოშმინება, მექრთამეობის ალაგმვა. ორატორობა ისეთი ნიჭია, რომლის წყალობით დაბალი ფენის წარმომადგენელსაც შეუძლია ხალხის კეთილგანწყობილება მოიპოვოს, მრავალი მეგობარი შეიძინოს, გახდეს გავლენიანი პიროვნება, რაც გაამარჯვებინებს კიდეც საკონსულო არჩევნებში. თქვენს ხელოვნებაში კი, სულპიციუს, ვერაფერს ვხედავ ისეთს, რაც სახელს მოგიხვეჭდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თქვენი ცოდნა შეზღუდულია, წერილმანი საქმეებითა ხართ დაკავებულნი, თითოეულ სიტყვას, ასოს ჩაკირკიტებთ; მეორეც, ერთ დროს ამ საქმიანობას აფასებდნენ ჩვენში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ყველამ შეიტყო თქვენი საიდუმლო ხელოვნება, ხალხმა ზურგი გაქცია. ყველამ როდი იცოდა წინათ, რომელი იყო უქმი დღე, როდის შეიძლებოდა სასამართლო შემდგარიყო; ფასტებს¹⁴⁰ ხალხი არ იცნობდა, ამიტომ რჩევისათვის იმას მიმართავდნენ, ვინც ამ საკითხებში ერკვეოდა და ეს უკანასკნელიც დიდად იწონებდა თავს, როგორც ყოვლისმცოდნე,¹⁴¹ რადგან ხშირად ილბლიანი თუ უილბლო დღის გამოცნობასაც კი სთხოვდნენ. ბოლოს გამოჩნდა ერთი გადამწერელი, გნეუს ფლავიუსი,¹⁴² ვინც თვალში ნაცარი შეაყარა საიდუმლოს მფლობელთ და ფასტები, სადაც თითოეული დღის მნიშვნელობა იყო განმარტებული, გააცნო ხალხს. ამგვარად ეს სიბრძნე ხელიდან გამოსტაცა სამართალმცოდნეთ. ამის გამო განრისხებულებმა და შეშფოთებულებმა იმით, რომ მათი დახმარება აღარავის დასჭირდებოდა, მოიგონეს რაღაც უაზრო ფრაზები, რათა კვლავ ჩარეულიყვნენ სასამართლო საქმეებში.

XII. დავუშვათ, დავა არის მამულის თაობაზე. უპრიანი იქნებოდა, კამათი ასეთი ფრაზებით დაწყებულიყო: „საბინის მამულები ჩემია;“ მოქიშპე უპასუხებს: „არა, ჩემია...“ და იწყება სასამართლო. მაგრამ ასეთი ფორმა დაინუნეს. „ის მამულები, რომლებიც განლაგებულია იმ ადგილებში, რომელთაც საბინთა მხარეს უწოდებენ...“ ნახეთ, როგორ გაიჭიმა წინადადება! განვავრძოთ. „კვირიტა კანონის¹⁴³ თანახმად ისინი ჩემი კუთვნილებაა...“ მივყვეთ მსვლელობას. „დავის

გადასაწყვეტად მე შენ სასამართლო დარბაზიდან გიხმო გარეთ“ .მოქიშპემ არ იცის, როგორ უპასუხოს ასეთ აბდაუბდას. სამართალმცოდნე ლათინისტი ფლეიტისტივით¹⁴⁴ ახლა მეორე მხარეს გადმოინაცვლებს და პასუხიც მზად არის: „როგორც შენ გამიხმე სასამართლო დარბაზიდან გარეთ, ასევე მეც დარბაზიდან გიწვევ გარეთ“. ახლა კი პრეტორმა¹⁴⁵ უნდა ამოიღოს ხმა, თორემ თავს უხერხულად იგრძნობს უსაქმურობის გამო. და აი, ისიც წარმოთქვამს დაზუთხულ სიტყვებს, რომლებიც საქმეს არ ეხება. „ორივეს გიჩვენებთ გზას მონაშენების თანდასწრებით. გაეშურეთ!“ იქვე ბრძენივით გამოჭიმული გზის მასწავლებელი გააცილებს მოდავეებს გარეთ, მერე ეტყვის, – „დაბრუნდით“, და მისივე წინამძღოლობით მობრუნდებიან. ეს ყველაფერი არამცთუ დღეს იწვევს ღიმილს, მაშინაც კი, უძველეს დროს სასაცილო იქნებოდა. მომჩივანსა და მოპასუხეს გარეთ ისტუმრებდნენ სასამართლო დარბაზიდან, იქიდან, სადაც მათი ყოფნა აუცილებელი იყო და იმნამსვე აბრუნებდნენ უკან, ეს სულელური მოქმედება შელამაზებული იყო უაზრო ფრაზებით: „რადგანაც შენ მსაჯულთა წინაშე გხედავ...“ ან კიდევ – „ხომ ვერ გვეტყოდი, რა მიზეზით აღძრავ სარჩელს?“ სანამ ამ წესებს საიდუმლოდ ინახავდნენ სამართალმცოდნენი, ხალხი იძულებული იყო მათთვის მიემართა. შემდეგ, როცა ისინი ყველასათვის მისწვდომი გახდა, აზრი აღარ ჰქონდა მათ გამოყენებას, იმდენი სისულელე და სიცრუე დაემატა თანდათანობით. ერთდროს შემოღებული გონიერული დადგენილებანი კანონმდებელთა მონდომების წყალობით საოცრად დამახინჯდა. ჩვენმა წინაპრებმა გადანყვიტეს: რადგან ქალები დიდი გონებამახვილობით არ გამოირჩეოდნენ, მზრუნველობა დაენესებიანათ მათზე. ჩვენს დროში კი მეურვეობა ისეთებს დააკისრეს, რომლებიც თავად დადიოდნენ ქალების ჭკუაზე. წინათ აუცილებელი იყო საოჯახო რიტუალების დაცვა. ჩვენი კანონმდებლობის წყალობით იგი თითქმის გაუქმდა, რადგან ქალს უფლება აქვს მოხუცთან იქორწინოს და მას გადააბაროს ეს მძიმე მოვალეობა.¹⁴⁶ როგორც ხედავთ, ახლა საქმის წესიერი გამოკვლევა კი არ არის მთავარი, არამედ ფრაზების ზუსტად წარმოთქმა.



ვთქვათ და, სადმე ამოიკითხეს, რომ ვინმე გაიამ კომეპციის¹⁴ წესით იქორწინა; მიიჩნიეს, რომ ყველა ქალს, ვინც ასე თხოვდებოდა, გაია უნდა რქმეოდა. საოცარია, ამდენ გონიერ ადამიანს წლების მანძილზე ვერ დაუდგენია, რომელი სიტყვა იხმაროს: „მესამე დღეს“, თუ „ზეგ“, „მსაჯული“, თუ „მოსამართლე“, „საქმე“, თუ „სარჩელი“.

XIII. ამგვარად, როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს არ არის მეცნიერება, ეს არის სიცრუისა და ოინბაზობის ხელოვნება, რომელსაც ხალხი უნდობლად უყურებს და იგი კონსულისათვის შეუფერებელია. რა ფასი აქვს იმის ცოდნას, რაც ყველამ იცის, მეცა და ჩემმა მოქიშპემაც. ასე რომ, თქვენ ხვდებით, დიდად საჭირონი აღარ ხართ, ასეთი თხოვნითაც კი არავინ მოგმართავთ: „მირჩიეთ, გეთაყვა“... თქვენს ხელობას მხოლოდ რომში აქვს გასავალი, ისიც მაშინ, თუ სასამართლომ საქმე არ გადადო განსახილველად. რომის გარეთ თქვენი სიბრძნე არავის გამოადგება. განსწავლულობით თავს ვერ გამოიღებთ. რასაც თქვენ აკეთებთ, დიდი ფიქრის, განსჯის შედეგი არ არის. გონების დაძაბვა არ გჭირდებათ, ორიოდ მარტივი წინადადებით შეგიძლიათ თქვენი აზრის ნათლად გადმოცემა. ასე რომ, თუმცა საკმაოდ მოუცლელი ვარ, თუ დამჭირდა, სამ დღეში კანონმცოდნედ მოგვევლინებით. განა ძნელია, წინასწარ შედგენილი და დაწერილი ფრაზების წარმოთქმა, სადაც თავისუფლად შეიძლება ორი-სამი სიტყვაც ჩაუმატო, „საქმე, რომელიც აქ განიხილება“... განაჩენის გამოტანის დროსაც არ არის დიდი სიფრთხილე საჭირო საკუთარი აზრის გამოსათქმელად. თუ ისეთ დასკვნას გამოიტან, როგორიც საჭიროა, აღმოჩნდება, რომ სერვიუსის მსგავსად ფიქრობ; თუ სხვაგვარად იმსჯელებ, იტყვიან, მშვენივრად ერკვევა ყველაფერშიო.

ამიტომ არა მხოლოდ სამხედრო ხელოვნებას ვაყენებ თქვენს ხელობაზე მაღლა, არამედ მიმაჩნია, რომ საპატიო თანამდებობისათვის ბრძოლაში მჭევრმეტყველების ნიჭით დაჯილდოებულთაც ვერ გაუტოლდები. შემინიშნავს, ვისაც ორატორობა უცდია და არ გამართლებია, თქვენს საქმიანობას დასჯერებია. როგორც ამბობენ, საბერძნეთში ვისაც კითარიდობა არ აღირსა

ბედმა, ავლედები⁴⁸ გახდნენ. ასეა ჩვენშიც. ვისაც მჭევრმეტყველებში ხელი მოეცარა, სამოქალაქო კანონები შეისწავლა. ორატორობას ბევრი ოფლისღვრა სჭირდება, დიდ ამოცანებს ისახავს მიზნად, მაგრამ მადლიანია ეს ხელოვნება და ღირსების მომნიჭებელიც. თქვენ თუ ზოგჯერ იმედის სხივს ჩაუსახავთ ადამიანებს, ორატორს ხსნა მოაქვს მათთვის. თქვენს პასუხებსა და დასკვნებს ხშირად სიმტკიცეც აკლია, ამიტომ მათი გაბათილება კარგ მჭევრმეტყველს არ გაუჭირდება. მე ძველ და თანამედროვე ცნობილ ორატორებს ვგულისხმობ და ფიქრად არ მომსვლია, მათთვის შემედარებიან თავი, მე რომ რაიმე წარმატებისთვის მიმელნია, მაშინ ნაკლებს ვისაუბრებდი ორატორული ხელოვნების უპირატესობაზე.

XIV. ორი რამ ანიჭებს კაცს უმაღლეს პატივს; ძლევამოსილი იმპერატორისა და კარგი ორატორის საქმიანობა. ერთს სახელი და დიდება მოაქვს მშვიდობიანობის დროს, მეორე ომის საფრთხეს აგვაცილებს. სხვა სიქველენიც ალამაზებს ადამიანის ყოფას: სამართლიანობა, კდემა, თავშეკავება. ვინ არ იცის, ყველა ამ სიკეთით დაჯილდოებული ხარ, სერვიუს. მაგრამ მე ახლა იმ ღვანლზე ვილაპარაკებ, დიდების მწვერვალისაკენ რომ მივყავართ და სადავოდ როდი ვხდი ცალკეული პიროვნების პირად ღირსებას. როცა ბუკის ხმა ომის დაწყებას გვაუწყებს, ყველა ჩვენი შრომა უსარგებლო ხდება. ერთი ჩვენი ბრწყინვალე შემოქმედის, ნიჭიერი პოეტის⁴⁹ თქმისა არ იყოს, ომის გამოცხადებისთანავე „ქრება“ არა მარტო ეგ თქვენი, ვითომდა ბრძნული, ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები, არამედ თვით ჭეშმარიტი „სიბრძნე“, მეუფე ჩვენი ყოფიერებისა. „ძალმომრეობა ბატონობს,“ „სძულთ ორატორი“, არა მარტო ყბედი, არამედ კარგიც, „უყვართ მრისხანე მეომარი,“ ვილას ახსოვს თქვენი საქმე.

„ალარ გადიან სასამართლოდან, სადავო ნივთს რომ დაადონ ხელი, მახვილით უნდათ თვისი კუთვნილი რომ დაიბრუნონ...“, აცხადებს პოეტი. რაკი ასეა, სულციპიუს, მეომრის თავგამოდება გვერჩიოს მშვიდ მოღვაწეობას, სამხედრო ბანაკების მშფოთვარე ცხოვრება – ფორუმზე ფუსფუსს, მზე ვამჯობინოთ ჩრდილს, მახვი-

ლი – კალამს. დაე, სხვათაგან გამოვარჩიოთ ის ხელოვნება, რომლის წყალობითაც ჩვენი ქვეყანა ყველაზე ძლიერია მთელს მსოფლიოში.

კატონი ამტკიცებს, რომ მითრიდატესთან ომების¹⁵⁰ მნიშვნელობას მეტისმეტად ვაზვიადებთ, რომ ეს იყო დიაციბთან ჭიდილი. მე სულ სხვა შეხედულებისა გახლავართ, ბატონებო; თუმცა ეს საკითხი ამჟამად განსახილველი არ არის, ორიოდ სიტყვით მაინც მსურს ჩემი აზრი მოგახსენოთ ამის თაობაზე. თუ ბერძნების წინააღმდეგ ომები ასე ხელწამოსაკრავი საქმეა, რაღა ვთქვათ იმ ტრიუმფებზე, მანიუს კურიუსმა მეფე კიროსზე, ტიტუს ფლამინიმ – ფილიპეზე, მარკუს ფლავიუსმა – ეტოლიელებზე გამარჯვების ნიშნად რომ მოაწვევს, ან ალლუმებზე, ლუციუს პაულუსმა მეფე პერსევის, კვინტუს მეტელუსმა – ცრუ ფილიპეს, ლუციუს მემიუსმა – კორინთელების დამარცხების შემდეგ რომ გამართეს?¹⁵¹ თუ ამ ომებსა და მათში მოპოვებულ გამარჯვებებს მნიშვნელოვან წარმატებებად მივიჩნევთ, მაშ, რად გვეჩვენება თამაშად აზიის ხალხებთან და მითრიდატესთან ომები? ძველი წყაროებიდან ამომიკითხავს, რომ რომაელებს ურთულესი ომი ჰქონდათ ანტიოქიასთან, რომელშიც თავი უსახელებია ლუციუს სციპიონსა¹⁵² და მის ძმას პუბლიუსს, რომელსაც აფრიკელი შეარქვეს იქ მოპოვებული გამარჯვების ნიშნად, ხოლო ლუციუსს ამავე მიზეზით აზიელის საპატიო ნოდება არგუნეს. სწორედ იქ ამობრწყინდა შენი პაპის, მარკუს კატონის დიდება. მე შენში მის მამაცურ სულს ვხედავ. ეს უებრო ვაჟკაცი ქალებთან საომრად როდი გაჰყოლია სციპიონს. ამ ომის საშიშროება და სიმძაფრე რომ არ გაეთვალისწინებინა სენატს, მაშინ არ დააეალებდა პუბლიუს აფრიკელს ლეგატად ხლებოდა ძმას, იმ კაცს, რომელმაც ჰანიბალი იტალიიდან გააგდო, აფრიკიდანაც გააძევა, კართაგენის ძლიერება შეარყია და რესპუბლიკას საშინელი განსაცდელი ააცილა.

XV. თუ მითრიდატეს ძალასა და ენერგიას გაითვალისწინებ, თუ გაიხსენებ მის მამაცურ ბრძოლებს, არ შეიძლება არ აღიარო, რომ ამ მეფეზე ძლიერი მტერი რომაელ ხალხს არ ჰყოლია. უზარმაზარი ლაშქრით შეება მას ლუციუს სულა, გაბედული, შეუდრეკელი და

გამოცდილი იმპერატორი (სხვა თვისებებზე არას მოგახსენებთ) და მხოლოდ მას შემდეგ დადო ზავი, როცა მითრიდატემ მთელი აზია გაახვია ომის ქარ-ცეცხლში.¹⁵³ ლუციუს მურენამ, ჩვენი ბრალდებულის მამამ, მუხლჩაუხრელად მისდია პონტოს მეფეს, გასაქანი არ მისცა, მაგრამ საბოლოო გამარჯვება ვერ მოიპოვა. მითრიდატემ მრავალი წელი გაატარა იმაზე ფიქრში, როგორ გაედლიერებინა თავისი ლაშქარი, მოემზადებინა ომისათვის. იგი ვარაუდობდა, რომ ოკეანეს პონტოს შეუერთებდა და სერტორიუსის¹⁵⁴ ძალებს გამოიყენებდა. როცა რომაელებმა მის წინააღმდეგ ორი კონსული¹⁵⁵ გაგზავნეს, ერთს დაავალეს, მითრიდატეს მიჰყოლოდა კვალდა-კვალ, მეორეს კი ბითინიისათვის¹⁵⁶ უნდა ედევნებინა თვალი. ერთი მათგანის მარცხმა საზღვაო და სახმელეთო ბრძოლებში უფრო გააძლიერა ამ მეფის სახელი და დიდება. მაგრამ ლუციუს ლუკულუსმა ისე გამოიჩინა თავი, არ მაგონდება, ვინმეს მასავით შეუპოვრად და გონივრულად ეომოს ოდესმე. როცა კიზიკის¹⁵⁷ მისადგომებთან დაიწყო შეტევა, მითრიდატე იმედოვნებდა, რომ ეს ქალაქი დანებდებოდა და ამით გზა გაეხსნებოდა აზიისაკენ, რის შედეგად მთელს პროვინციას ჩაიგდებდა ხელთ. მაგრამ ლუკულუსმა ვერ მოახერხა ჩვენი ერთგული და მოკავშირე ქალაქის დაცვა და მითრიდატეს ლაშქრის დასუსტება ხანგრძლივი ალყით. იქნებ ტენედოსთან¹⁵⁸ გამართული საზღვაო ბრძოლა იყო იოლი, როცა მტრის ფლოტი მრისხანე სარდლების მეთაურობით ჯიქურ მოინევდა იტალიისკენ? დანარჩენ ბრძოლაზე აღარაფერს ვამბობ, აღარ ვიხსენებ დალაშქრულ ქალაქებს... სამეფოდან განდევნილ მითრიდატეს კიდევ აღმოაჩნდა იმდენი ძალა და გავლენა, რომ შეკავშირებოდა არმენიის მეფეს¹⁵⁹ და თავისი ლაშქარი განეახლებინა.

XVI. ურიგო არ იქნებოდა, მომეგონებინა ის ბრძოლები, სადაც ჩვენმა მეომრებმა და მამაცმა იმპერატორმა თავი ისახელეს. მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. ერთს მოგახსენებთ მხოლოდ: ზემოდასახელებული ომი მეტად სახიფათო¹⁶⁰ რომ არ ყოფილიყო, მითრიდატე – უმძვინვარესი მტერი, სენატი და რომელი ხალხი მთელს გულისყურს მას არ მიაპყრობდა, არც ლუკულუსი შეაღწევდა თავის

ძალ-ლონეს ამ მეფესთან ბრძოლას, არც გნეუს პომპეუსი იკისრებდა ლაშქრის წინამძღოლობას ხალხის დაჟინებული თხოვნით, რათა საბოლოოდ დაემარცხებინა პონტოს მბრძანებელი. ცხარე ბრძოლების მეტი რა უნახავს ამ ჩინებულ რომაელ სარდალს, მაგრამ მითრიდატესთან ომი მაინც სულ სხვა იყო. დამარცხებულმა მეფემ დაიძვრინა თავი და ბოსფორს მიაშურა, სადაც ჩვენმა ლაშქარმა შესვლა ვერ მოახერხა. ლტოლვილობაშიც შეინარჩუნა მითრიდატემ მეფის საპატიო სახელი. თუმცა პომპეუსმა მტრის სამეფო დაიპყრო, ზღვის სანაპიროზე მოსახლეობა აჰყარა, გული ვერ დაიმშვიდა, რადგან პონტოს მეფე ჯერ კიდევ ცოცხალი ეგულეობდა. ხომ ყველა ქვეყანა წაართვა, კუთვნილიცა და დამორჩილებულიც, ისინიც, რომელთა დაპყრობას შემდგომ ვარაუდობდა მეფე, მაგრამ პომპეუსს მიაჩნდა, სანამ მითრიდატეს სიკვდილს არ გაიგებდა, გამარჯვების ზეიმი ნაადრევი იქნებოდა. შენ კი, კატონ, ასეთ ძლიერ მტერს არად აგდებ, ვისაც წლების მანძილზე ებრძოდა ამდენი იმპერატორი და ვისთანაც ომი მაშინ ჩათვალეს დამთავრებულად, როცა დევნილი და დაუძლურებული მეფის სიკვდილი შეიტყვეს. ზემოხსენებულ ომში ლეგატმა, ლუციუს მურენამ საოცარი გონებასახილობა, არაჩვეულებრივი გაბედულება გამოამჟღავნა; ამიტომ მე მიმაჩნია, მისი ეს ღვაწლი ნაკლებ დასაფასებელი როდია, ვიდრე ფორუმზე ჩვენი საქმიანობა.

XVII. სერვიუსის პრეტორობა პირველად გვაუწყესო.¹⁶¹ დაჟინებით უმეორებთ ხალხს, თითქოს სავალთ დავთრების ძალა ჰქონდეს ამას და ვისაც ერთხელ ერგო პირველობა საპატიო თანამდებობის გამოცხადებისას, იგი მასვე უნდა მივაკუთვნოთ სხვა არჩევნების დროსაც, აბა, ახლა კომიციები გაიხსენეთ. ისეთი ღრიანცელი, აზრთა ჭიდილი და შეხლა-შემოხლა ამ კრებებზე, ევრიპის¹⁶² ბოხოქარი ყურე გეგონებათ, სადაც მრავალგვარი დინება ირევა ერთმანეთში. ერთ დღეში, ერთ ღამეშიც შეიძლება თავდაყირა დადგეს ყველაფერი; აგორდება ჭორი და ყველა განზრახვა ჩაიფუშება. ამიტომ ნუთითაც კი არ უნდა მოდუნდე, თვალი უნდა ადევნო ყველაფერს. არჩევნების მოულოდნელი შედეგებით ხშირად გაო-

ცებულნი ვრჩებით. ეს როგორ მოხდაო, გვიკვირს და გვავიწყდება, რომ თავად ჩვენა ვართ ამის მიზეზი. იცოდეთ, ბრბოზე მერყევი, ხალხის სურვილზე ამოუცნობი, კომიციების გადანყვეტილებებზე ცვალებადი არაფერია ამქვეყნად. ვინ იფიქრებდა, რომ მარკუს ჰერენიუსი დაამარცხებდა გონიერ, კეთილშობილ, ღვანლმოსილ ლუციუს ვილიპუსს; წარმოიდგენდით, რომ კვინტუს კატულუსს, განათლებულ, ბრძენსა და უწმინდეს პიროვნებას გნეუს მალიუსი აჯობებდა? ან მარკუს სკავრუსს, მტკიცე, შეუდრეკელ, მამაც სენატორსა და ჩინებულ მამულიშვილს კვინტუს მაქსიმუსი თუ დაჯაბნიდა?¹⁸³ ასეთ შედეგებს არავინ ელოდა. საოცარია, როგორ მოხდა ყოველივე. იოლი მისახვედრი როდია, რა ინვეეს უცაბედად გრიგალს; ხან ციური სხეულის ზემოქმედებით ვხსნით ამას, ხანაც უძლურნი ვართ, გავიგოთ ამის მიზეზი. იგივე ითქმის კომიციებზე დატრიალებულ ქარიშხალზეც. ზოგჯერ ვიცით, ვისი ხელი ურევია ამ საქმეში, ზოგჯერ კი შემთხვევითობას მივანერთ ყველაფერს, რადგან ჩვენს გონებას არ ძალუძს ბურუსით მოცული საიდუმლოს ამოცნობა.

XVIII. მაგრამ მაინც თუ საჭიროა მარცხის მიზეზების განხილვა, ვიტყვი, რომ ორი რამის გაკეთება აუცილებელი იყო პრეტორობის დროს, ეს ორივე შემდგომ საკონსულო არჩევნებში ძალზე დაეხმარა მურენას. ერთი – სანახაობის გამართვის მოლოდინი, რომლის შესახებ ხმა დაარხიეს, რომ ეს დიდებული რამ მზადდებოდა... მეტოქეებმაც ისარგებლეს ამ ჭორით და მთლად გააზვიადეს იგი. მეორე – ისინი, ვინც მოწმენი იყვნენ მისი ლეგატობისა, მამაცური და კეთილშობილური საქმეებისა, პროვინციებიდან ჯერ არ იყვნენ დაბრუნებულნი; ბედად ეს ვითარება შემდგომ სასიკეთოდ შეიცვალა საკონსულო არჩევნებში. ლუკულუსის ლაშქარი რომში აღლუმისათვის ემზადებოდა; ასე რომ, მათ შეეძლოთ კომიციებში მურენასათვის მხარი დაეჭირათ. სანახაობაც დიდებული მოაწყობ პრეტორობის დასასრულს, რაც წინა არჩევნებში ვერ მოახერხა. როგორ ფიქრობ, ცოტას ნიშნავს მეომართა თანადგომა? ჯერ ერთი, მრავალრიცხოვანნი არიან, ბევრი ნაცნობ-მეგობარი ჰყავთ,

რომელთა აზრს ხალხი ანგარიშს უწევს. საკონსულო არჩევნებში იმპერატორებს ირჩევენ და არა ასოკირკიტა კანონმცოდნეებს. ამიტომაც არის, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ განცხადებას: „დაჭრილი ვიყავი და გადამარჩინა“; „ნადავლი მიბოძა“; „მისი სარდლობით მტრის ბანაკი ავიღეთ“, „ლაშქრობა დავიწყეთ“, „თავს განსაცდელში იგდებდა, მეომრებს კი უფრთხილდებოდა“; „მამაციც არის და ილბლიანიც“. ეს ხმები ხალხში ტრიალებს და მის განწყობილებაზე კეთილ გავლენას ახდენს. თუ კომიციებზე განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებიან, პირველად რომელი ცენტურია იყრის კენჭს,¹⁶⁴ რომ ამოიცნონ ღვთიური ნების გამომხატველი რაიმე ნიშანი, რად გვიკვირს, თუ მურენას ილბლიანობაზე დარხეული ხმა ძალზე წაადგა მას არჩევნების დროს.

XIX. თუ შენ არაფრად მიგაჩნია ასეთი საგულისხმო მოვლენა, არად აგდებ მეომართა მხარდაჭერას და თვლი, რომ მთავარია ქალაქის მცხოვრებთა თანადგომა, როგორ შეგიძლია გაკიცხო მურენა დიდებული და მშვენიერი სანახაობის მოწყობისათვის, რამაც ძალზე შეუწყო ხელი გამარჯვებაში. ბუნებრივია, მაყურებელი უხვადა ჰყავს ასეთ თამაშობებს, ამას კი თავისთავად კენჭისყრის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს. კომიციები ხომ ხალხისგან, ბრბოსგან შედგება, და თუ მურენამ მათი სიამოვნებისათვის გამართა სანახაობა, რად არ უნდა დაეჭირათ მხარი მისთვის არჩევნებში? ამგვარი გასართობები ჩვენს თვალსაც ახარებს, მაგრამ ხშირად თუ ვერ ვესწრებით, ეს იმის ბრალია, რომ მეტად მოუცლელნი ვართ; ჩვენი გატაცება და დროსტარება თავდავიწყებით შრომაა. მაშ, რაღად ამტყუნებ გაუნათლებელ ბრბოს? ჩემმა უახლოესმა მეგობარმა ლუციუს ოტონმა¹⁶⁵ მხედართა ფენას აღუდგინა არა მარტო ძველი დიდება, არამედ უფლება – დამტკბარიყვნენ თამაშობებით. კანონი სანახაობათა შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მათთვის, რადგან მხედართა წრეს პატივსა და ღირსებასთან ერთად სიხალისეც დაუბრუნდა. მერნმუნე, სანახაობა ყველას ერთნაირად სიამოვნებს, თუმცა ზოგი ამჟღავნებს ამას, ზოგი კი მალავს. ასეთი რამ პირადად გამოვცადე ჩემი კენჭისყრის დროს.

მეც ვიზრუნე სცენის მოსაწყობად, სამჯერ გავმართე თამაშობანი ედილად ყოფნისას, მაგრამ ანტონიუსის¹⁶⁶ სანახაობამ საგონებელში ჩამაგდო. შენ კი თავი არასოდეს შეგინუხებია ხალხის გასართობად, დასცინი კიდევაც მურენას იმის გამო, რომ თვალგასახარი და მდიდრული სახიობა წარმოადგინა. იქნებ სწორედ ამით გაჯობა. ამაზე რატომ არ გიფიქრია?

XX. მურენას სამოქალაქო სასამართლოს გამგებლობა ხვდა წილად. ჩვენ, შენი მეგობრები, მოხარულნი ვიქნებოდით, შენთვისაც იგივე ერგუნებინა ბედს, რადგან ეს საპატიო მოვალეობაა. კეთილსინდისიერად თუ იმსახურე, სახელს ადვილად მოიხვეჭ, წესსა და კანონს თუ არ გადაუხვევ, მადლიერ მოქალაქეებს მოიმრავლებ. მურენასნაირი პრეტორი ხალხს არასოდეს აიბხედრებს, უმართებულო განაჩენით არ გააღიზიანებს მათ. ეცდება, გულისხმიერება გამოიჩინოს მთხოვნელებისადმი, რომ ბევრი კეთილისმსურველი ჰყავდეს. კონსულის თანამდებობისათვის მებრძოლს მართვის ნიჭი უნდა ჰქონდეს, იყოს გამორჩეული სამართლიანობით, პატიოსნებით, გერგილიანობით; ამავე დროს უნდა შეეძლოს მიანიჭოს ხალხს სიამოვნება სანახაობებით. შენი ხვედრი კი როგორია? სახელმწიფო ხაზინის დამტაცებელთა საქმეების განხილვა, სავალალო და მკაცრი განაჩენის გამოტანა. ერთის მხრივ, ცრემლები და ლაფში ამოსვრილი სახელი, მეორეს მხრივ, ცილისწამება და დანაშაულში მხილება; დარბაზში უხალისოდ მსხდომი მოწვეული მსაჯულები; მსჯავრდებული, გადამწერი და ამით განაწყენებული და ამრეზილი თანამოსაქმე გულშემატკივრები¹⁶⁷... სულას გულუხვობით აღმფოთებული მოქალაქენი,¹⁶⁸ მათ შორის ბევრი სახელოვანი ფუჟაკი, ჩვენი მოსახლეობის თითქმის ნახევარი... ჯარიმით სამუდამოდ დაბოლმილი ბრალდებული და განაჩენით კმაყოფილი მომჩივანი, რომელიც მალე ივიწყებს იმ სიკეთეს, რაც სასამართლომ მიანიჭა... ერთ რამესაც დავამატებდი. შენ არ მოისურვე პროვინციაში წასვლა, კაცმა რომ თქვას, ამაში საძრახის ვერაფერს ვხედავ; თავადაც ასე მოვიქეცი ჩემი პრეტორობისა და კონსულობის დროს და მიმაჩნდა, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი. მაგრამ ლუციუს მურენას ხომ პრო-

ვინცამ მოუტანა აღიარება, სახელი და დიდება. იქ გასამგზავრებლად მან უმბრიაში¹⁶⁹ შეკრებილი რჩეული მეომრები გაიყოლა. თავისი გულუხვობით, რაშიც სახელმწიფო დაეხმარა, ტრიბების უმრავლესობა მიიმხრო, მათ შორის, უმბრიის მუნიციპიები. მურენას სამართლიანობისა და გერგილიანობის წყალობით ბევრმა ჩვენმა მოქალაქემ მოახერხა გალიის პროვინციაში დაბანდებული ფულის ამოგება. შენ ამ დროს ალბათ მეგობრებს შველოდი, ამის უარყოფა არ შემიძლია; მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ უმეტესობას სწყინს პროვინციის ძაგება და შეიძლება ამისთვის ალმაცერად დაგიწყონ ყურება მათ, ვისაც შენ ახლობლად თვლი.

XXI. მურენას და სერვიუსის თანაბარ ღირსებებზე საკონსულო არჩევნებში უკვე მოგახსენეთ; ისიც დავუმატი, რომ პროვინციებში მათი მოღვაწეობა განსხვავებული გახლდათ-მეთქი. ახლა მსურს ჩემი უახლოესი მეგობრის, სერვიუსის ნაკლი გაგიმხილოთ, რის თაობაზეც ბევრი მისაუბრია თავად მასთან. გახსოვს, სერვიუს, რამდენჯერ გაგაფრთხილე, თანამდებობის მოსაპოვებლად ცუდი ხერხებით იბრძვი-მეთქი. მრავალგზის ვყოფილვარ მონმე შენი გაბედულებისა, მომისმენია შენი თამამი გამოსვლები, მაგრამ შენში შემტევ ბრალმდებელს უფრო ვხედავ, ვინემ გონიერ მაძიებელს. ყოველდღიური მუქარა და რისხვა მომჩინისა, მართალია, სიმამაცის ნიშანია, მაგრამ ამავე დროს მაძიებლის სისუსტეზე, მის მიერ რწმენის დაკარგვაზე მიუთითებს. ამიტომ მეგობრებიც თანდათანობით ანელევენ მის მიმართ ყურადღებასა და თავგამოდებას. ერთ რამეს დავკვირებივარ: როცა ამომრჩევლები შეამჩნევენ, მაძიებელი სხვისი საქმეების გამოჩხრეკას იწყებს, ბრალი რომ დასდოს დანაშაულებრივ ქმედებაში, უმაღ ასეთი დასკვნა გამოაქვთ, ალბათ გამარჯვების იმედი გადაენურაო. მაშ, როგორ მოვიქცეთ, არ ვუპასუხობთ შეურაცხმყოფელს? როგორ არა, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. როცა არჩევნებში მონაწილეობ, სასამართლოსა და საჩივრებს უნდა მოეშვა. მსიამოვნებს, როცა კონსულობის მაძიებელს ხალხით გარშემორტყმულს ვხედავ, მხნესა და ხალისიანს, ფორუმზე იქნება თუ მარსის ველზე; მაღიზიანებს, თუ იგი სხვისი

ამბების გამოძიებას იწყებს; ეს მისი მარცხის მაუწყებელია. არც ის მომწონს, ამომრჩეველთა ნაცვლად მოწმეებს რომ აგროვებს; არც ლანძღვა-გინება მირჩევნია ქათინაურებს და არც ყვირილი და მუქარა – თავაზიან მისალმებებს. მით უფრო ახლა, ახალი წესის თანახმად ამომრჩეველები თითქმის ყველა მაძიებლის სახლს რომ ჩამოუვლიან და მათი სახის გამომეტყველების მიხედვით ცდილობენ გაარკვიონ, აქვს თუ არა გამარჯვების იმედი. „ხედავ, როგორ ყურებჩამოყრილია? დანა პირს არ უხსნის; ალბათ შეეგუა დამარცხებას. ეტყობა, იარაღი დაყარა“, – ატყდება ჩურჩული: „იცი, თურმე ბრალდებებს ამზადებს; ცნობებს აგროვებს მეტოქეებზე, მოწმეებს დაედებს. ჩანს, იმედი გადაუწურავს. ჯობს, სხვას დავუჭიროთ მხარი“. აგორდება ასეთი ჭორი და უახლოესი მეგობრებიც კი დაეჭვდებიან, განზე გადგებიან, ან უკეთეს შემთხვევაში, სასამართლოსთვის შემოინახავენ ძალ-ღონეს, რომ ბრალმდებელს იქ მაინც დაეხმარონ.

XXII. თავი და თავი კი ის გახლავთ, რომ კონსულობის მოსურნეც ვერ ემზადება რიგიანად არჩევნებისათვის. ვერ იჩენს სათანადო უნარს, მუყაითობას, რადგან, როგორც ბრალმდებელს, ბევრი საზრუნავი აქვს; იოლი ხომ არ არის, მოახერხო გავლენიანი და შეძლებული მოქალაქის ქვეყნიდან გაძევება, ვინც თავს აგრერიგად არ დააჩაგვრინებს არავის, ვისაც ნაცნობიცა და უცნობიც დახმარების ხელს გაუწვდის, რადგან საფრთხეში მყოფს ყველა მიეშველება, თუკი მოსისხლე მტერი არ არის. უცხო ადამიანსაც კი გამოვექომაგებით ხოლმე, თითქოს ჩვენი ღვიძლი იყოს. ვიცი, რა ძნელია საკონსულო არჩევნებში მონაწილეობა, რა რთულია სასამართლო საქმეების წარმართვა. კარგად მესმის, რა დიდი გამჭრიახობა სჭირდება მაძიებელს, რა უჩვეულო ჯაფა ადგას ბრალმდებელს, რა მძიმე ტვირთს კისრულობს დამცველი. ამიტომ ბუნებრივად მეჩვენება, რომ ერთნაირი ძალისხმევით არ შეიძლება არჩევნებისათვის ემზადებოდე და იმავდროულად ბრალმდებლის მოვალეობასაც ასრულებდე. კონსულობისათვის ბრძოლა მხოლოდ რჩეულებს ძალუძთ, ასევე ცოტა თუ მოახერხებს სასამართლო საქმეების გაძლოლას; ორივეს ერთად კი ვერავინ შეეჭიდება. შენ

კი არჩევნები დროებით დაივინყე და საჩივრებს გადაჰყევინ; დარწმუნებული იყავი, ყველაფერს გასწვდებოდი, მაგრამ მოტყუედი. სასამართლოს ამბებმა ისე ჩაგითრია, ერთი დღეც ვერ მოიცალე საკონსულო არჩევნებისთვის.

XXIII. შენ მოითხოვე კანონის გამოცემა მაძიებელთა ქმედების წინააღმდეგ, თუმცა ეს არაფრად გჭირდებოდა; ხომ არსებობდა კალპურნისეული¹⁷⁰ დადგენილება ამის თაობაზე, თანაც საკმაოდ მკაცრი. მაგრამ დაგდეს პატივი და გაითვალისწინეს შენი სურვილი. ეს კანონი შენ, როგორც ბრალმდებელს, მაშინ გამოგადგებოდა, თუ აშკარა დამნაშავესთან, ბოროტმოქმედთან მოგიწევდა ბრძოლა. დახმარების ნაცვლად ამან ხელი შეგიშალა არჩევნებში. შენი სურვილით მკაცრი სასჯელი დაანესეს პლემბისათვის; აფორი-აქდნენ უმწეო ადამიანები; გაძევებაც შენ დააკანონე ჩვენი ფენის წარმომადგენელთა დასათრგუნად. სენატი დაგეთანხმა, თუმცა უხალისოდ. შენს მოთხოვნას ყურს უგდებს მთელი მოსახლეობა. თუ ვინმე ავადმყოფობის გამო¹⁷¹ არ გამოცხადდებოდა სასამართლოზე, სასჯელს უმატებდნენ. ამან შეურაცხყო მოქალაქეთა უმრავლესობა, რადგან შეუძლოდ მყოფი ადამიანი იძულებული იყო, საფრთხეში ჩაეგდო ჯანმრთელობა და წამომდგარიყო, ან უარი ეთქვა ბევრ სასიცოცხლო მოთხოვნილებაზე. მერედა ვინ დააკანონა ეს ყველაფერი? ვინც შენს სურვილსა და სენატის ნებას დაემორჩილა და ვისაც სრულიადაც არ აძლევდა ეს ხელს. ჩემი წინადადებები კი, დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, სენატის სხდომამ უარყო; როგორ გგონია, ისინი რომ მიეღოთ, ცოტა დაბრკოლება შეგხვდებოდა? შენ მოითხოვე შერეული კენჭისყრა, მანილიუსის¹⁷² კანონის გატარება, საარჩევნო ხმის უფლების გათანაბრება პიროვნების მდგომარეობის, ღირსების გაუთვალისწინებლად. ამით შეურაცხყავი ის ადამიანები, რომელთაც პატივის სცემდნენ არა მხოლოდ თანამოქალაქენი, არამედ მუნიციპიების მცხოვრებლებიც. არ ელოდნენ შენგან, კეთილშობილი ვაჟკაცისაგან, ასეთ დამცირებას, სახელისა და ღირსების შელახვას. მაგრამ უსიტყვოდ დაითმინეს ეს წყენა. ამასთანავე შენ მოითხოვე, ბრალმდებლისათვის ნება დაერ-



თოთ მსაჯულთა ამორჩევისა, რათა ხალხის ფარული სიძულვილი, რაც ჯერჯერობით უსიტყვო უთანხმოებაში ვლინდება, ნებისმიერ კეთილშობილ პიროვნებას დასტყომოდა თავს. ამ გარემოებათა წყალობით, როგორც ბრალმდებელი, წარმატებით მიიწვედი წინ, მაგრამ კონსულობისაკენ მიმავალ გზას თანდათანობით კარგავდი.

კიდევ ერთი დარტყმა იგემე, სერვიუს, საკონსულო არჩევნებში. მე დაუფარავად აღვნიშნე, რომ ეს იყო შენი უდიდესი მარცხი. ჩემზე ადრე ამის თაობაზე საკმაოდ მწვავედ ისაუბრა ნიჭიერმა და ბრწყინვალე ორატორმა: კვინტუს ჰორტენზიუსმა და მარკუს კრასუსმა, მაღალი თანამდებობის პირმა, კეთილგონიერმა კაცმა და შესანიშნავმა მჭევრმეტყველმა. მათი გამოსვლის შემდეგ მე მიმძიმს ამ საკითხზე მსჯელობა. მგონი უმჯობესია, არ გამოვედევნო წვრილმანებს და ზოგადად ვისაუბრო. მეც თითქმის ამავე საკითხებს შეეცხები და შეძლებისდაგვარად შევეცდები თავი არ შეგანწყინოთ.

XXIV. და მაინც, რას ფიქრობ, სერვიუს, შენს თავს თვითონვე არ ჩაეცი მახვილი არჩევნების დროს, როცა რომაელ ხალხს შიში ჩაუნერგე, კატილინა არ გამხდარიყო კონსული? სანამ შენ ბრალდებებს აგროვებდი, არ გეცალა კენჭისყრას მომზადებული შეხვედროდი. გხედავდნენ, როგორი აფორიაქებული, მოლუშული დადიოდი, შენს მეგობრებსაც როგორ ჩამოსტიროდათ ცხვირ-პირი, თვალს გადევნებდნენ, როგორ იკვლევდი ყველაფერს, როგორ ეძებდი სამხილებს, როგორ ეკითხებოდით მონმეებს, როგორ გაიხმობდი ხოლმე თანაბრალმდებელს¹⁷³ ხელის მოსაწერად. ასეთ ორომტრიალში გახვეული მაძიებელი ხშირად პირმოქუფრულია. კატილინა ამ დროს მხნედ, ხალისიანად დააბიჯებდა, ყმანვილკაცებში გარეული, მკვლევლებითა და მამბზლარებით გარშემორტყმული; ფრთაშესხმული იყო, როგორც თავად უბრძანებია, ჩემი კოლეგის დაპირებებითა და მეომართა თანადგომით. მას გარს ეხვია არიციელ და ფესულეს¹⁷⁴ გლეხებისაგან შემდგარი ლაშქარი; იქ სხვადასხვა ჯურის ხალხი იყო თავმოყრილი, მათ შორის სულასდროინდელი და შევიწროებული ადამიანებიც ერივნენ. თავად კატილინას ბოროტად უკვესავდა თვალები, სიშმაგეს ვერ მალავდა, უკმეხად აძლევდა

ყველას პასუხს, ეტყობოდა, განაღდებული ჰქონდა გამარჯვება; მურენას ზედაც არ უყურებდა, სულციპიუსს კი მეტოქედ აღარც თვლიდა, იგი თავის ბრალდებულად მიაჩნდა და ემუქრებოდა არა მარტო მას, არამედ მთელს რესპუბლიკას.

XXV. თუ რა შიში დაატყდა თავს ამ ამბების გამო კეთილშობილ მოქალაქეებს, რა სასონარკვეთილი, გარინდებული იყო ქვეყანა ამ უბედურების მოლოდინში, ნუ მაღაპარაკებთ ამაზე, თავად გაიხსენეთ ყველაფერი. გახსოვთ, მთელს ქალაქს რომ მოედო ამ გლადიატორის ნათქვამი, შინაურებში რომ უბრძანებია: ჩაგრულის ქომაგი ჩაგრულივე შეიძლება იყოსო. გაჭირვებული კაცი ვერ ირწმუნებს პატიოსანი და შეძლებული კაცის დაპირებებს. ამიტომ, ვისაც სურს დანაკარგის შევსება, მიტაცებულის დაბრუნება, ჯერ წინამძღოლად შეარჩიოს უშიშარი და განამებული ადამიანი, კარგად შეათვალიეროს, ვინ გამოადგებათ მედროშედ; ვის რამდენი ვალი აქვს, ვინ რა ავლადიდების პატრონია, ვინ რის შემძლეაო. ეს რომ შევიტყვეთ, ჩემი რჩევით სენატმა გადაწყვიტა, მეორე დღეს დანიშნული კომიციების სხდომა გადაგვედო, რომ ამ საკითხზე მსჯელობა სენატში გაგვემართა და, აი, მეორე დღეს წამოვაყენე კატილინა და ეუბრძანე, განმარტება მოეცა, მართლა თქვა თუ არა ის, რამაც ჩვენს ყურამდე მოაღწია. მან, როგორც სჩვეოდა, დაუფარავად, უტიფრად აღიარა ყოველივე. სხვათა შორის, აქვე განაცხადა ასეთი რამ: რესპუბლიკას ორი სხეული აქვს: ერთი დუნე, რომელსაც ძლიერი თავი აქვს და მეორე ძლიერი, მაგრამ – უთავო. სანამ ცოცხალი ვარ, თავი არაფრად დასჭირდება, თუ ჩემზე უარს არ იტყვისო. ამის გაგონებაზე სენატმა ერთხმად ამოიგმინა, მაგრამ მაინცდამაინც მკაცრი გადაწყვეტილება არ მიუღიათ ამ უტიფრობის პასუხად. მიზეზი ის გახლდათ, რომ ზოგმა დიდი საფრთხე ვერ დაინახა ამაში, ზოგი პირიქით, ისე დაშინდა კატილინას საქციელით, სათანადო სიმტკიცე ვერ გამოიჩინა. ამგვარად, კატილინა გამიფრინდა სენატიდან, უხაროდა, ცოცხალი რომ გადარჩა. ცოტა ხნის წინათაც ხომ გამოავლინა მსგავსი ურცხვობა სენატში, როცა კატონი, უმამაცესი ვაჟკაცი, სასამართლოთი დაემუქრა, კატილინამ ასე მიუგო: თუ

ჩემს ქონებას ცეცხლს მისცემთ, წყლით კი არ ჩავაქრობ, ქალაქის ნანგრევებით გავანელებ ხანძარსო.

XXVI. ამ თავხედობამ, ცოტა არ იყოს, შემაშფოთა, რადგან ვიცოდი, იარაღასხმული შეთქმულები ჰყავდა ველზე განლაგებული. მაშინ მეც იქ მივედი გულადი მეომრების თანხლებით. თავად მე ტანი უზარმაზარი ჯავშნით მქონდა დაფარული, თავდასაცავად არა (ვიცოდი, კატილინა ფერდში არ დამიმინებდა მახვილს, არამედ ყელში ან თავში), მინდოდა ყველას დაენახა, რა განსაცდელი ელოდა მათ კონსულს და საშველად მოერბინათ. მართლაც ასე მოხდა. როცა მიხვდნენ, სერვიუს, შენ თავს არ იკლავდი კონსულობისათვის, კატილინა კი გააფრთებით იბრძოდა, უმაღლეს მურენას მიემხრნენ, მას, ვისაც რესპუბლიკის ბედზე გული შესტკიოდა და უნდოდა ქვეყნისათვის უბედურება აეცილებინა. საკონსულო არჩევნებში დიდი მნიშვნელობა აქვს შეხედულებათა უეცარ ცვლილებას, მით უფრო, თუ ეს ღირსეული პიროვნების სასიკეთოდ ხდება, ვისაც დიდი უპირატესობა აქვს სხვა მაძიებელთან შედარებით, ვინც დიდებული წინაპრების ნაშიერი და სახელოვანი მამის შვილია, ვისაც უმნიშვნელოდ გაუტარებია სიჭაბუკე. ასეთი გახლდათ ლუციუს მურენა, რომელმაც ლეგატობის დროს თავი გამოიჩინა, იყო ჩინებული პრეტორი, სასამართლო საქმეებში გამობრძმედილი, ზრუნავდა ხალხზე, აწყობდა მათი სიამოვნებისათვის სანახაობებს, შეუპოვრად იბრძოდა კონსულობისათვის ისე, რომ არავის მუქარის ეშინოდა, მაგრამ არც არავის ემუქრებოდა. ამიტომ არ უნდა გიკვირდეს, რომ იმედმოცემული კატილინას უეცარმა თავგამოდებამ მურენას წარმატებას კიდევ უფრო შეუნყო ხელი.

ახლა კი ჩემს სიტყვაში ბრალდების მესამე ნაწილს უნდა შევეხო. ეს არის უკანონო გზით ბრძოლა კონსულობის მისაღწევად. ამაზე დანერჩილებით იმსჯელებს უკვე, მაგრამ მურენას თხოვნით კვლავ მივუბრუნდები ამ საკითხს. ჩემს უგულითადეს მეგობარს, დიდებულ მამულიშვილს, გაიუს პოსტუმუსს¹⁷⁵ განმარტება უნდა მოვახსენო გამნაწილებელთა და ფულის ამოგების თაობაზე, უნიჭიერესა და უკეთილშობილეს სერვიუს სულციპიუსს მხედართა ცენტურიებზე¹⁷⁶

უნდა ვესაუბრო, მარკუს კატონს, ამ თვალსაჩინო პიროვნებას, მის მიერ წამოყენებულ ბრალდებაზე უნდა გავცე პასუხი, სენატის გადაწყვეტილებასა და რესპუბლიკას რომ შეეხება.

XXVII. უპირველესად ხმამაღლა მინდა დავიჩივლო ლუციუს მურენას ბედზე, რამაც მოულოდნელად ამიფორიაქა სული. სხვათა უბედურების შემყურეს, ყოველდღიური საქმიანობითა და ზრუნვით გადაღლილს, ხშირად მიფიქრია, რა ბედნიერია-მეთქი ის, ვისაც არც სახელი და დიდება იტაცებს და ვინც მშვიდად ატარებს თავის წუთისოფელს. ახლა მურენას მოულოდნელმა განსაცდელმა ისეთ საგონებელში ჩამაგდო, არ ვიცი, როგორ გამოვთქვა ჩემი გულისტკივილი ამ საქმისა და ჩვენი საერთო უბედურების გამო. მახსოვს, რა საფრთხეში ჩაიგდო თავი საბრალო მურენამ, როცა მოინდომა საპატიო თანამდებობის მოსაპოვებლად ერთი ნაბიჯი გადაედგა წინ და ცოტათი გაესწრო თავისი წინაპრებისათვის, კინალამ ყველაფერი დაკარგა, ისიც, რაც თავად მოიპოვა და მამა-პაპისაგან ბოძებულიც. შემდეგ ახალი დიდების მაძიებელს ძველი პატივის შენარჩუნება გაუხდა საზრუნავი. თავისთავად ეს ხომ სავალალოა, ბატონო მსაჯულნო, მაგრამ ის უფრო სამწუხარო გახლავთ, მურენასადმი სიძულვილმა კი არ შეკრიბა აქ მისი ბრალმდებლები, არამედ ბრალდების წაყენების სურვილმა აქცია ისინი მურენას მტრებად. რადგან, თუ გამოვრიცხავ სერვიუს სულპიციუსს (ვინც, ჩემი აზრით, პირადი წყენის გამო კი არ ედავება მურენას, არამედ მაღალი თანამდებობის დაკავების თაობაზე), ბრალმდებელი არის გაიუს პოსტუმუსი, რომელიც თავს მურენას მამის მეგობრად, ძველ მეზობლად და მასთან დაახლოებულ ადამიანად აცხადებს. ამასთანავე ვერ იგონებს ვერც ერთ შემთხვევას, უსიამოვნება მოსვლოდეს მასთან; ასევე ადანაშაულებს სერვიუს სულციპიუსი, მეგობრის ვაჟი, რომელიც ვალდებულია თავისი ნიჭი და უნარი მამის მოკავშირეთა დაცვას მოახმაროს. მურენას ბრალს სდებს მარკუს კატონიც, რომელიც მუდამ მხარში ედგა ბრალდებულს და რომელიც იმიტომ გაჩნდა ამქვეყნად, მთელი ძალ-ლონე ადამიანის ხსნას მოახმაროს (თუნდაც სრულიად უცხოთ) და არა მის დალუპვას, მტერიც რომ იყოს მისი. მაშ,

უპირველესად პოსტუმუსს გავცემ პასუხს. გასაოცარია, პრეტორობის მაძიებელმა საკონსულო არჩევნებში ისე ამოყო თავი, როგორც კარგი მოჯირითე გადასკუპდება ხოლმე ეტლიდან ეტლში. თუ მისი მეტოქეები პატიოსანი ადამიანები არიან, გამოდის, რომ აღიარა მათი უპირატესობა და დიდსულოვნად დაუთმო სარბიელი. ხოლო თუ ისინი ქრთამებით შეეცადნენ ამომრჩეველთა გულის მოგებას, მაშინ პოსტუმუსს ისეთი მოკავშირე სჭირდება, რომელიც პირად შეურაცხყოფელს ადვილად შეუნდობს, სხვის მიმართ ჩადენილ უსამართლობას კი არავის აპატიებს. [პოსტუმუსისა და ჭაბუკი სერვიუსის მიერ წაყენებულ ბრალდებათა თაობაზე].

XXVIII. ამჯერად მარკუს კატონს მსურს შევეხმიანო. იგი გახლავთ მურენას ძირითადი და ძლიერი მოწინააღმდეგე. თუმცა ძალიან მკაცრი და შეუბრალებელი მსაჯულია, მისი ბრალდება ისე არ მაშინებს, როგორც მისი გავლენა. ამასთან დაკავშირებით ერთი თხოვნა მინდა შემოგბედოთ, ბატონო მსაჯულნო. ნუ დაუშვებთ, რომ მისმა მაღალმა თანამდებობამ (მაღლე შეიძლება ტრიბუნის წოდებაც მიიღოს), პატიოსნებამ, შეუბრალებამ სახელმა რაიმე ავნოს მურენას. ვინძლო ეს საბრალო არ გახდეს ერთადერთი მსხვერპლი იმ ჩინებული მოქალაქისა, ვინც დიდებისაკენ იმიტომ ისწრაფოდა, ადამიანებს გაჭირვებაში დახმარებოდა. ორჯერ იყო კონსული პუბლიუს აფრიკელი, ორი ქალაქი გაასწორა მიწასთან – ნუმანცია და კართაგენი, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ ჩვენს ქვეყანას; და, აი, ამ კაცმა ბრალი დასდო სასამართლოზე ლუციუს კოტას.¹⁷⁷ თუმცა უზადო ორატორი გახლდათ, უფაქიზესი და უანგარო პიროვნება, მისი სახელი ისე ქუხდა, როგორც მის მიერ აღზევებული რომაელი ხალხისა, მაგრამ უფროსი თაობისგან მსმენია, ეს არაჩვეულებრივი ნიჭი და უნარი და სხვა თვისებები ბრალდებულ კოტას უფრო ნაადგა თურმე. სასამართლოს მესვეურებმა, ბრძენმა მსაჯულებმა არ გასწირეს კოტა, რომ არ ეფიქრათ, გავლენიანმა და ძლიერმა მოწინააღმდეგემ დაჩაგრა ბრალდებულიო. როგორც გვიამბობენ, დასაღუპად განწირული სერვიუს გალბაც ძალით გამოუტაცია რომაელ ხალხს, მარკუს კატონ, შენი დიდებული პაპისტვის, უმამაცესი

და უბრწყინვალესი ვაჟკაცისათვის.¹⁷⁸ ასე არ არის განა? ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე, გონიერი და წინდახედული მსაჯულები მუდამ ცდილობდნენ ბრალმდებლის განუსაზღვრელი უფლების შეზღუდვას. არა მგონია, მოსაწონი იყოს, როცა სასამართლოზე მომჩივანი იყენებს მთელ თავის შესაძლებლობას, სახელს, დიდებას; არ იშურებს ძალ-ღონეს იმისათვის, რომ დაჯაბნოს მოწინააღმდეგე, მაშინ როდესაც ეს უპირატესობა მან ჩაგრულის ქომაგობას, სუსტის დაცვას, უდანაშაულოს დახსნას უნდა მოახმაროს. მაგრამ როცა მოქალაქეთა სიცოცხლე საფრთხეშია, როცა ხალხი განსაცდელშია, მაშინ სწორედ რომ შეუპოვრობაა საჭირო. შეიძლება ვინმემ ისიც კი თქვას, კატონი სასამართლოზე არ გამოვიდოდა, წინასწარ რომ არ ჰქონდეს განსჯილი მურენას საქმე და განაჩენიც გადაწყვეტილიო. ასეთი რამის გაფიქრება დიდი უსამართლობა იქნებოდა; მაშ, რა გამოდის?! ბრალდებული იმთავითვე განწირული ყოფილა, რაკი ბრალმდებელს სასჯელი მისთვის ადრევე ჰქონია დადგენილი.

XXIX. მე არ შემიძლია, კატონ, ამ გადაწყვეტილების გამო გისაყვედურო, რადგან შენი დიდი თაყვანისმცემელი ვარ, მაგრამ ზოგიერთი რამ მინდა დავაზუსტო და ცოტა რამ შეგისწორო კიდევაც. გახსოვს ეს ფრაზა, მოხუცი მასწავლებელი¹⁷⁹ რომ ეუბნება უმამაცეს ვაჟკაცს? „შენ ბევრი რამ არ გეშლება, მაგრამ შეცდომები მაინც მოგდის და შემიძლია მიგიტოვო“. მე ასე ვერ მოგმართავ. გულწრფელად გეტყვი, დიდი შეცდომა არასდროს დაგიშვია, არც ისეთი რამ ჩაგიდენია, რომლის გამოსწორება არ შეიძლებოდა; რადგან ბუნებამ გშობა ასეთი ქველი, დარბაისელი, სამართლიანი, დიდ-ბუნებოვანი, ღირსებებით შემკული, არ დაიშურა შენთვის არანაირი სიკეთე; ამასთანავე ღრმად განსწავლული ადამიანიცა ხარ, თუმცა მოძღვრება, რომელსაც შენ მისდევ, სიმსუბუქითა და ზომიერებით როდი გამოირჩევა; ცოტათი უჩვეულოც კია თავისი სიმკაცრითა და სისასტიკით. რაკი განათლებულ ადამიანთა წინაშე მიწევს გამოსვლა და არა სოფელ უბირთა წრეში, თავს ნებას მივცემ, ცოტა უფრო თამამად ვისაუბრო განათლების თაობაზე, იმ საკითხზე, რაც ჩვენთვის კარგადაა ცნობილი და მოსასმენად სასიამოვნო.

ის ღვთაებრივი და არაჩვეულებრივი თვისებები, რითაც კატონი გამოირჩევა, თანდაყოლილი გახლავთ, ბატონებო, ხოლო ის, რაც გვინდა მას ჰქონდეს და არა აქვს, მისი მასწავლებლების ბრალია და არა ბუნებისა. ერთი უნიჭიერესი კაცი ცხოვრობდა ოდესღაც, ზენონი,¹⁰⁰ რომლის მოძღვრების მიმდევრებს სტოიკოსებს უწოდებენ. მისი დარიგებანი და გამონათქვამები ასეთია: ბრძენს ვერანაირი საჩუქრით ვერ გადაიბირებ, იგი დანაშაულს არავის შეარჩენს. სულელისა და ბრიყვის გარდა გულმონყალე არავინ არის; კარგმა ვაჟკაცმა თხოვნასა და მუდარას ყური არ უნდა უგდოს, არავინ უნდა შეინყნაროს, მხოლოდ ბრძენი ადამიანი შეიძლება იყოს მშვენიერი, თუნდაც მახინჯი გარეგნობა ჰქონდეს; იგი სიღარიბეშიც მდიდარია; მონაც რომ იყოს, მეფეა. ჩვენ კი, ჩვეულებრივ ადამიანებს, ლტოლვილებს, დევნილებს, მტრებსა და უგუნურებს გვინოდებენ. მათი აზრით, ყველა შეცდომა ერთნაირია, ყველა დანაშაული ბოროტებაა; სულ ერთია, გინდა მამალი გაგიგუდავს უმიზეზოდ, გინდაც მამა დაგიხრჩვია. ბრძენს დაფიქრება არ სჭირდება, იგი არასოდეს ცდება, ამიტომ არაფერს ინანიებს, შეხედულებას არ იცვლის.

XXX. ასეთი აზრები შეითვისა განათლებული მასწავლებლებისაგან უნიჭიერესმა კაცმა, მარკუს კატონმა. ამ ცოდნის შეძენა პაექრობაში ვინმეს დასაჯაბნად კი არ უნდოდა, როგორც ეს ზოგიერთებს სჩვევია, არა, უბრალოდ, ცხოვრების წესად გაიხადა ეს მოძღვრება. თუ მოიჯარენი რაიმეს ითხოვენ – ფრთხილად იყავი, მადლობის გადახდის საბაბს ნუ მისცემ; თუ გაჭირვებული, იმედნართმეული მთხოვნელი მოგადგა – გული არ აგიჩუყდეს მისი საბრალულოთ და არ დაეხმარო, არ ჩაიდინო ასეთი უგუნურება; თუ დამნაშავე აღიარებს თავის ცოდვებს და მიტევებას გთხოვს – დაიმახსოვრე, მისი შენდობა ბოროტებაა; თუ შეცდომა დიდი არ არის? – შეცდომა შეცდომაა. თუ რაიმეს იტყვი – მორჩა და გათავდა, იგი საბოლოო უნდა იყოს; ვარაუდს ეყრდნობი და არა სინამდვილეს? – ბრძენს არ სჩვევია ვარაუდები; შეცდი რალაცაში? კატონი ფიქრობს, – ამის თქმა უაზრობაა. ამ მოძღვრებიდან გამომდინარე, ასეთი ფრაზის მოსმენისას: „მე განვაცხადე სენატში, რომ კონსულო-

ბის მაძიებელს ვამხელდი“ და განრისხებულმა თქვი ეს. – ბრძენმა არ უნდა იცოდეს განრისხება; მაგრამ გააჩნია ვითარებას. – „უკეთური ადამიანის მოგონილია“, – აცხადებს ის, – „სიცრუე და ტყუილი;“ აზრის შეცვლა სამარცხინოა, თხოვნის შესრულება – დანაშაული; სიბრალულის გამომჟღავნება – დასაგმობი. უნდა გამოგიტყდე, კატონ, სიჭაბუკეში ყველაფრის შესწავლა მინდოდა, ფილოსოფიაშიც მოვსინჯე ჩემი ნიჭი; ჰოდა, მაშინ ჩემმა მასწავლებლებმა, პლატონისა და არისტოტელეს მიმდევრებმა, საკმაოდ თავდაჭერილმა ადამიანებმა, ასეთი აზრები ჩამინერგეს: ბრძენმა იცის მაღლიერების ფასი, მოწყალეობა კეთილშობილთა თვისებაა; დანაშაული მრავალგვარი არსებობს და სასჯელიც შესაბამისად არაერთგვაროვანია. პატიება ისეთ ადამიანსაც შეუძლია, ვისაც არ სჩვევია მერყეობა; ზოგჯერ ბრძენიც საუბრობს ისეთ საკითხებზე, რაც კარგად არ ესმის. მან გაბრაზებაც იცის; არც თხოვნის შეწყნარებაა მისთვის უცხო; ერთხელ ნათქვამსაც არ აიკვიატებს; შეხედულების შეცვლა არ უჭირს, თუკი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს. კეთილგონიერება, მტკიცე ხასიათი კარგია, მაგრამ ზომიერება ყველაფერში საჭიროა.

XXXI. ასეთი რამ შენთვისაც რომ ჩაეგონებინათ ჩემს მასწავლებლებს, კატონ, შენი ბუნების კაცზე მაინცდამაინც ვერ იმოქმედებდნენ. ამით შენ არც უნაკლო იქნებოდი, არც უფრო თავშეკავებული, არც უფრო სამართლიანი; შენს სიმამაცესაც მეტი არაფერი შეემატებოდა, მაგრამ ჩემი აზრით, ცოტა დამთმობი გახდებოდი, ბრალს არ დასდებდი უმნიცელო, ფრიად პატივსაცემ ადამიანს, მაღალი თანამდებობის პირს, რომელსაც შენთვის არაფერი დაუშავებია, უსამართლოდ არ მოგქცევია; დაფიქრდებოდი იმაზე, რომ განგებამ ერთსა და იმავე წელს გარგუნათ ორივეს, შენცა და მურენასაც, ქვეყნის დაცვა, ორივენი ერთ საქმეს ემსახურებოდით და, მაშინ ასეთ გულისმომკვლელ სიტყვებს არ მოგვასმენინებდი სენატში, ან თუ იტყოდი, ცოტათი შეარბილებდი. გიყურებ ახლა ასე აფოფრილს, საკუთარი თავის, ნიჭისა და უნარის მოიმედეს და მაინც მჯერა, გაივლის დრო და გამოცდილება დაგადინჯებს, წლები დაგამშვიდებს, ასაკი დაგაცხრობს. ამის რწმენას ის მინერგავს,

რომ თქვენმა მასწავლებლებმა, სიქველის გაკვეთილებს რომ გიტარებდნენ, ადამიანებს მოვალეობის ზღვარი იმაზე შორს გადაუწიეს, ვიდრე ეს ბუნებით იყო დაწესებული, რათა მაღალი იდეალებისაკენ სწრაფვისას მეტისმეტად არ გავუტიოთ და იქ მაინც შევჩერდეთ, სადაც საჭიროა. არავის არაფერი შეუწდო. – არა, რალაცის დათმობა დასაშვებია, მაგრამ არა ყველაფრის. სხვისი ნებით არაფერი გააკეთო. – არა, მედგრად მაშინ დადექი, თუ საქმე მოვალეობასა და პატიოსნებას ეხება. სიბრალული ნუ დაგიმორჩილებს. – რა თქმა უნდა, თუ შენი სიმტკიცე ამით შეირყევა, მაგრამ გულწრფილობა მაინც დასაფასებელია. აზრს ნუ შეიცვლი – ცხადია, თუ იგი სხვისას სჯობს. სციპიონი მსურს გავიხსენო. იგი შენსავით მოიქცა, როცა შინ მიიწვია ფრიად განსწავლული პანეტიუსი,¹⁸¹ მისი რჩევებისა და დარიგებების წყალობით, რომელთაც შენცა ხარ ნაზიარები, სულაც არ გაუხეშებულა. უფროსებისგან მსმენია, საკმაოდ თვინიერი და ლმობიერი იყო. განა გაიუს ლელიუსიც¹⁸² ამავე სკოლის წარმომადგენელი არ იყო? ვინ შეედრებოდა მას სიბრძნესა და სიმკაცრეში. ამავე დროს დამთმობიცა და მეტად მომხიბლავი პიროვნებაც გახლდათ. იგივე შეიძლება გავიმეორო ლუციუს ფილუსზე და მარკუს გალუსზე;¹⁸³ მაგრამ, მოდი, შენს ოჯახს დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობ, პაპაშენზე, კატონზე უფრო ლმობიერი, გულთბილი, თავდაჭერილი, განსწავლული იყო განა ვინმე? სავსებით სამართლიანად ამაყობ ამ შენი ღირსეული წინაპრით და ყოველმხრივ მისაბამ პიროვნებად მიგაჩნია იგი. სწორედ რომ ასეა. არ არის გასაკვირი, თუ მას დაემსგავსები ხასიათით, რადგან მისი ნაშეიერი ხარ. მაგრამ იგი მარტო შენთვის კი არა, ჩემთვისაც შეიძლება იყოს კეთილშობილების ნიმუში. ერთი რამ მწამს. თუ შენს უხეშობასა და სიმკაცრეს პაპაშენის გულმონყალებასა და სათნოებას შეუზავებდი, ვერ ვიტყვი, რომ ჩინებული მოქალაქე იქნებოდი-მეთქი, რადგან ისედაც გამორჩეული ადამიანი ხარ. ერთი კია, შენთან ურთიერთობა უფრო სასიამოვნო გახდებოდა.

XXXII. ამიტომ, მოდი, ჩვენს საქმეს მივუბრუნდეთ. მოეშვი კატონის ხსენებას, ნუ ეცდები მისი წყალობით მსაჯულთა მიმხრობას. ამ კეთილშობილი პიროვნების სახელი ბრალდებულის დასაცა-

ვად გამოიყენე მხოლოდ. ამიხსენი, რა დააშავა მურენამ. მოდი, ამის თაობაზე ვიკამათოთ. მითხარი, რას ედავები. თანამდებობის მოპოვებას უპატიოსნო გზით ცდილობდაო. მე არ ვიცავ მას. შენ მკიცხავ იმისათვის, რომ ადრე სასჯელი დაეკანონე ამაზე, ახლა კი ვამართლებ ასეთ საქციელს. მე დაუშვებელი ხერხებით ბრძოლას ვგმობ, თორემ მაძიებლობის წინააღმდეგ როდი ვიმაღლებ ხმას. დანაშაულის გამოსავლენად თავად ამოგიდგები მხარში, თუ ამის ნებას დამრთავ. შენ განაცხადე, რომ ჩემი მოხსენების საფუძველზე სენატმა მიიღო გადაწყვეტილება, უკეთუ მაძიებელი ხალხის გულის მოსაგებად სანახაობებს გამართავდა, უფასო საუზმეს დაურიგებდა, რათა სანაცვლოდ ისინი დაუზარებლად გამოსულიყვნენ მასთან შესახვედრად და გვერდიდან არ მოშორებოდნენ საჭიროების დროს, ეს უნდა განხილულიყო, როგორც კალპურნიის კანონის სანაწინააღმდეგო მოქმედება. მაშ, ასე, სენატი მსჯელობს, კანონსანაწინააღმდეგოდ მიიჩნიოს ეს ქმედება, თუ იგი მოხდება და გამოაქვს გადაწყვეტილება მაძიებლის სასარგებლოდ, რაც სრულიად ზედმეტია, რადგან ჯერ გასარკვევია, ჩადენილია თუ არა ასეთი რამ. თუ დადასტურდა ეს, არავინ ეჭვობს, რომ იგი კანონსანაწინააღმდეგოა. სასაცილოა, არ გამოიკვლიო, რაც საეჭვოა, და რაც ნათელია, იმაზე იკამათო. ერთიც უნდა ითქვას, ხსენებული კანონი სენატმა თავად მაძიებელთა თანხმობის საფუძველზე მიიღო. ამიტომ ძნელია იმის მტკიცება, თითქოს ვინმეს სასარგებლოდ ან სანაწინააღმდეგოდ იქნა ის გამოტანილი. მაშ, დამისაბუთე, რომ ლუციუს მურენამ ჩაიდინა ეს საქმე და დაგეთანხმები, რომ ეს უკანონოაა.

XXXIII. პროვინციიდან დაბრუნებულს უამრავი ხალხი შემოევიაო.¹⁸⁴ კი, მაგრამ, კონსულობის მაძიებელს ხომ ჩვეულებრივ ასე ხვდებიან და განა მართო მას? ვის გინდა, რომ ასე არ ეგებებოდნენ. ვინ ერია ამ თავყრილობაში? დავუშვათ, ვერ გიპასუხე. მერე რა? რა არის უჩვეულო იმაში, თუ ასეთი დიდებული პიროვნების, კონსულობის მაძიებლის შესახვედრად მისი პატივისმცემლები გამოეშურნენ. მე თუ მკითხავთ, საოცარი სწორედ ის იქნებოდა, ასე არ მოქცეულიყვნენ. ეს წესი ხომ ჩვენმა წინაპრებმა დააკა-

ნონეს. ერთხელ შესწრებიხარ მსგავს სურათს თუ ორჯერ? ნუთუ ეს დანაშაულია? განა უნდა გიკვირდეს ეს ამბავი? რამდენჯერ გამოვსულვარ ქალაქის გარეუბნიდან შუალამით, როცა უთხოვიათ, ფორუმამდე რომ მიგვეცილებინა ზოგჯერ უბრალო კაცის შვილი.¹⁸⁵ ეს ხომ ჩვენი ჩვეულებაა. მაშ, რა არის გასაკვირი, თუ ლამის სამ საათზე ხალხმა არ დაიზარა გამოსვლა მარსის ველზე ჩინებული ადამიანის პატივსაცემად, რატომ უნდა ჩაითვალოს ეს დანაშაულად, თუ იქ მოიჯარეთა მთელი ამაღლა მოვიდა; მათ შორის ზოგიერთი ჩვენი მსაჯულიც ერია, რომლებიც აქ გვესწრებიან. დიახ! ჩვენი რიგებიდან ბევრი ღირსეული მოქალაქე იყო იქ. ამას ხომ დასაშვებად თვლის ყველა მაძიებელი, ყველა დარბაისელი პიროვნება. მათი აზრით, გამორჩეული კაცის შემოსვლა ქალაქში უჩემრად არ უნდა მოხდეს. ბოლოს და ბოლოს თავად ჩვენი ბრალმდებელი პოსტუმუსი მრავალრიცხოვანი ამაღლით არ ეახლა მურენას? მაშ, რა სალაპარაკო გახდა ეს თავყრილობა? აღარაფერს ვამბობ კლიენტებზე, მეზობლებსა და ტრიბის წევრებზე; არც ლუკულუსის ლაშქარზე, რომელიც ალლუმის მოსაწყობად ჩამოვიდა იმხანად ქალაქში. ამგვარ პატივს არა მარტო ღირსეული პიროვნებაა დაჩვეული, არამედ ნებისმიერ ადამიანს უსრულებენ ასეთ სურვილს, მაგრამ მურენას მეტისმეტად ბევრი დასდევდა ფეხდაფეხო. დამიმტკიცე, რომ ამას ანგარებით სჩადიოდნენ და დაგეთანხმები, რომ ეს უკანონოაა. სხვა? სხვა რა ბრალდებას წაუყენებ კიდეც?

XXXIV. რა საჭირო იყო ამდენ ხალხი რომ ეხვიაო, – კითხულობ გაკვირვებული. როგორ, ახლა შეამჩნიე ასეთი რამ? განა ჩვენც ამაღლით არ დავდივართ? უბრალო ადამიანები ხომ ამით გარკვეულ სამსახურს გვინევენ. ამით ცდილობენ, მაღლიერება გამოხატონ ჩვენადმი; მათი მოვალეობაა, მხარში ამოგვიდგნენ არჩევნებში და დაგვეხმარონ. ასე რომ არ იყოს, ჩვენ სადა გვაქვს იმდენი დრო (ამას არც არავინ მოითხოვს ჩვენგან), ან რომაელ მხედრებს, მთელი დღეები ჩვენს ახლობლებთან ვიტრიალოთ და ამგვარად გამოვხატოთ თანადგომა მაძიებლისადმი. თუ ხალხი ინებებს ფორუმამდე ჩვენს მიცილებას, ბაზილიკაზე ჩვენს გვერდით დგომას, ყველა

დაინახავს, რომ გვიცავენ და პატივს გვცემენ. ჩვენი მეგობრები, რომლებიც დიდი საქმეებით არ არიან დატვირთულნი, იჩენენ ასეთ ყურადღებას და ერთგულებას. ისინი მუდამ მრავლად ახვევიან გარს კეთილშობილ და ღირსეულ პიროვნებებს. რად მოვუსპოთ მათ, კატონ, ეს სიამოვნება, რაც თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ. ამ ხალხს ჩვენი დახმარების იმედი ყოველთვის აქვს, ამიტომ მივცეთ ააშუალება, თავადაც გამოხატონ ჩვენდამი პატივისცემა. თუმცა მათ ხმას დიდი წონა არა აქვს, მაინც გვშველიან არჩევნებში. ისინი თავადაც მშვენივრად გრძნობენ, ბევრს ვერაფერს შეგვეწევიან, არ შეუძლიათ სიტყვები წარმოთქვან ჩვენს მხარდასაჭერად, შინაც ვერ მიგვიპატიჟებენ, ვერაფერს შეგვპირდებიან, ჩვენგან კი ქველაფერს ელიან. ისლა დარჩენიათ, სანაცვლოდ თავიანთი სამსახური შემოგვთავაზონ. ისინი არად დაგიდევენ ფაბიუსის¹⁶⁶ კანონს, რომლის თანახმად ამაღლის შემადგენლობა მკაცრად არის განსაზღვრული; არც სენატის გადაწყვეტილებას უგდებენ ყურს, ლუციუს კეისრის¹⁶⁷ კონსულობის დროს რომ მიიღეს. ამიტომ სასჯელით მათ კერ დააშინებ, ვერ დაუშლი, დაიცვან მამაპაპური წესი და მათთვის პატივსაცემ პიროვნებას თავისებური სამსახური გაუწიონ.

სანახაობანი რად მოენყო, ტრიბების მიხედვით რად განაწილდა ადგილები ცირკში და უამრავი ხალხისათვის რად გაიშალა სუფრაო. ჯერ ერთი, მურენა აქ არაფერ შუაშია, ბატონებო, რადგან მისმა ჰეგობრებმა ითავეს ეს საქმე; მეორეც, ეს გააკეთეს ყოველგვარი წესის დაცვით და უხმაუროდ. მაგონდება, ამის გამო ატყდა ჩივილი აენატში და რამდენიმე ხმა დაეკარგეთ, სერვიუს. მაინც რა მოხდა ასეთი? გაგიგიათ, რომ მაძიებელს არ გამოეჩინოს ყურადღება თავისი მეგობრებისა და ტრიბის წარმომადგენელთათვის და არ გამოეყოს ადგილები ცირკში და ფორუმზე; ამას ხომ ხალხი საპაჰიო ჯილდოსავით ღებულობს. ეს ჩვეულება ტრიბის წევრთათვის არ არის უცხო.

XXXV. მუშა მეომრების პრეფექტმა¹⁶⁸ ერთხელ ადგილი გამოუყო თავისი ტრიბის წევრებსო... მერე რა? მაშინ იმ ცნობილ პიროვნე-
სებზე რაღას იტყვით, რომლებმაც მთელი ტრიბი მიიწიეს

თეატრში? მოკლედ, ეს ბრალდება ამაღლის თაობაზე, სანახაობების გამართვასა და სადილით გამასპინძლებაზე, სერვიუს, ხალხმა შენს მეტისმეტ თავგამოდებას მიაწერა. მურენას საქციელს სენატის გადაწყვეტილება ამართლებს, რადგან დანაშაულად არ ითვლება შეხვედრის მოწყობა თვალსაჩინო პიროვნებასთან. ეს მართალია, – მეთანხმები, მაგრამ ამას ანგარება ედო საფუძვლადო. დამიმტკიცე. იქნებ ბევრ ხალხს არ უნდა მოეყარა თავი? არა, ეს დასაშვებია, მაგრამ დაქირავებულნი რად იყვნენო. დამისაბუთე, რომ ეს ასე იყო. ნუთუ სანახაობაზე ხალხის მიწვევა, სადილების გამართვა უკანონოა? არა, სრულიადაც არა, მაგრამ მეტისმეტად ბევრი ხალხი რად შეიკრიბაო. რას ნიშნავს მეტისმეტად ბევრი? – უკლებლივ ყველამ მოიყარა თავიო. თუ ჭაბუკმა ლუციუს ნატამ¹⁸⁹ წარჩინებული ოჯახის შვილმა (თქვენ კარგად იცნობთ ამ ახალგაზრდას, იცით მისი შეხედულებები; იცით, როგორი მომავალი აქვს მას) მხედართა ცენტურიონის გულის მოგება სცადა, ეს საქციელი ნათესაურმა გრძნობამ უკარნახა და თანაც შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა, რატომ ჩავუთვალთ ეს მის მამინაცვალს დანაშაულად? რად დავდოთ ბრალი მას ცბიერებაში? ანდა ის, რომ ვესტას ქურუმმა ქალმა გლადიატორთა სანახაობაზე თავისი საპატიო ადგილი თავის ღვიძლ ნათესავს, მურენას დაუთმო,¹⁹⁰ უღვთო საქციელი არის, ან მურენას მხრივ უკანონო ქმედება? არამც და არამც. ეს ყოველივე ნათესაური გრძნობის გამოვლენაა; უბრალო ხალხის მიერ პატივისცემისა და სიყვარულის, ხოლო მადიებლის მხრივ საპასუხო ყურადღების გამოხატულებაა და სხვა არაფერი.

მაგრამ კატონი სტოიკოსების დარად ძალიან მკაცრად მსჯელობს. მას დაუშვებლად მიაჩნია ხალხის კეთილგანწყობილების მოპოვება სანახაობებითა და სადილებით. თანამდებობის მისაღწევად ასეთი ხერხების გამოყენებას დანაშაულის ტოლფასად თვლის. მაშ, თუ კაცი, ძალაუფლების მოსურნე, სადილად უხმობს ვინმეს, ამისთვის უნდა გავკიცხოთ? „დიახ“, – განაგრძობს კატონი, – „შენ უმაღლეს თანამდებობას ესწრაფვი, რესპუბლიკის მართვა გსურს, უდიდესი გავლენა გინდა მოიპოვო და ამიტომ

ადამიანთა გრძნობებზე თამაშობ; გართობებითა და სანახაობებით ცდილობ მათი თვალის ახვევას. ბოლოს და ბოლოს არ მესმის, რა გინდოდა – რომაელ ხალხს კონსულის ძალაუფლება მოენიჭებინა, თუ ქარაფშუტა ახალგაზრდებს ქათინაურებით აევსე, ვითარცა მათი მაჭანკალი?" შემზარავია ასეთი სიტყვების მოსმენა. მაგრამ ჩვენმა ცხოვრებამ, კანონებმა, ადათ-წესებმა, გამოცდილებამ გააბათილეს შენი ბრალდება. განა რა მოუტანა ლაკედემონელებს შენთვის ესოდენ მოსაწონმა ცხოვრების წესმა და უჩვეულო სიტყვა-პასუხმა, ან იმან, ყოველდღიურად ხის ტახტებზე გაშოტილნი რომ მიირთმევდნენ სადილს, ჩვენზე უკეთესი სახელმწიფო შექმნეს? ან კიდევ კრეტელებმა, ასე წამოწოლილებს რომ არასდროს უსადილიათ, შეინარჩუნეს თავიანთი წყობილება? მათგან განსხვავებით ჩვენ, რომაელებმა შრომის ფასიც ვიცით, დასვენებისაც და ძლიერი ქვეყნის შენებაც შეგვიძლია. ზემოხსენებულ ხალხთაგან ერთი ჩვენმა ლაშქარმა დაიმორჩილა, მეორე კი თავის კანონებსა და წესებს ჩვენი შემწეობით ინარჩუნებს.

XXXVI. ამიტომ ნუ განსჯი მკაცრად, კატონ, ჩვენი წინაპრების ადათ-წესებს; მან ხომ დროის გამოცდას გაუძლო. აბა, გაიხსენე შენი სკოლის წარმომადგენელი, მამა-პაპათაგან დაფასებული, ცნობილი სწავლული, კვინტუს ტუბერონი.¹⁹¹ როცა კვინტუს მაქსიმუსმა¹⁹² თავისი ბიძის, პუბლიუს აფრიკელის პატივსაცემად, მისი სულის მოსახსენიებლად სადილი გაუმართა რომაელ ხალხს, სუფრის გაშლა ტუბერონს დაავალა, რადგან იგი დისწული იყო პუბლიუს აფრიკელისა. ჰოდა, ამ ფრიად განათლებულმა კაცმა, სტოიკოსმა, თხის ტყავები დააფინა პუნიკურ ტახტებზე, ხოლო მაგიდებზე სამოსური¹⁹³ ჭურჭელი ჩამოარიგა, თითქოს დიოგენე კინიკოსის¹⁹⁴ ჭირის სუფრას შლიდა და არა ღვთაებრივი პუბლიუს აფრიკელისას. გარდაცვლილის სადიდებელ სიტყვაში მაქსიმუსმა უკედავ ღმერთებს მადლობა შესწირა, რომ ასეთი ჩინებული პიროვნება მოუვლინეს ჩვენს ქვეყანას, რომ მხოლოდ იმ ხალხს ძალუძს მსოფლიოს ბედზე ზრუნვა, ვინც ასეთი უებრო ვაჟკაცი შვა. დაკრძალვის დიდებული ცერემონიალის დროს გამოვლენილმა ტუბერონის უცნაურმა სიბრძ-

ნემ გაალიზიანა რომაელი ხალხი და ამ შესანიშნავ მოქალაქეს, უზადო პიროვნებას, ლუციუს პაულუსის შვილიშვილსა და როგორც უკვე მოგახსენეთ, პუბლიუს აფრიკელის დისწულს, უარი უთხრეს პრეტურაზე ამ თხის ტყავეების გამო. მართალია, რომაელ ხალხს სძულს ფუფუნება, მაგრამ უყვარს თვალისმომჭრელი სიმდიდრე, თუ იგი ქვეყნის საერთო კუთვნილებაა; ამრეზით უყურებს ზედმეტად დახორგილ სუფრას, მაგრამ ნუნურაქობას ვერ იტანს. მას მშვენივრად ესმის, რა დროს რა არის საჭირო, კარგად უთავსებს ერთმანეთს შრომასა და დროსტარებას. შენ რომ გვიკიჟინებ, კატონ, საპატიო ადგილის მოპოვებისას ღირსება არ უნდა დაკარგო და დაუშვებელი ხერხებით არ ეცადო ამომრჩეველების მიმხრობასო, თავად იცავ ამ წესს? რატომ აიძულებ სხვებს, მხარში ამოგიდგნენ? შენ გსურს, მე შემოგიერთდე, სანაცვლოდ კი შენს მფარველობას მპირდები. რატომ? ამას მე უნდა ვითხოვდე შენგან, რომ ჩემი კეთილდღეობისათვის იკისრო ასეთი მძიმე და საშიში საქმე. ერთი მითხარი, გჭირდება მოკარნახე,¹⁹⁵ მოქალაქეთა სახელები რომ შეგახსენოს? ამით ხომ ხალხს ატყუებ და თვალს უხვევ. თუ პატივისცემად მიგაჩნია, სახელით მიმართო ვინმეს, სირცხვილი არ არის, შენმა მონამ იცოდეს მისი ვინაობა და შენ არა? ხოლო თუ მშვენივრად ცნობ, ვისაც მიმართავ, რატომღა მოითხოვ, შეგახსენონ სახელი, ანდა რატომ ესალმები უცნობს კარგი ნაცნობივით; თანამდებობის მოპოვების შემდეგ რად ჩაუვლი გულგრილად? თუ ასეთი ქცევის გამართლება ჩვენი ადათებით შეიძლება, ფილოსოფოსის თვალით თუ შევხედავთ ამ მოვლენას, უაზრობად მოგვეჩვენება იგი. ამიტომ, მოდი, ნუ წავართმევთ პლებს იმ სიამოვნებას, უცქირონ გლადიატორთა ბრძოლას, გაერთონ სანახაობებით, ისარგებლონ უფასო სადილებით; ესეც ჩვენი მამა-პაპათა წესია. მივცეთ მადიბელს ხალხის გულის მოგების საშუალება, რაც მისი მხრივ სიკეთის გამოვლენაა და არა ამომრჩეველთა მოქრთამვა.

XXXVII. მაგრამ შენ ხომ რესპუბლიკამ მოგიხმო აქ ბრალმდებლად. მჯერა, კატონ, ვიცი, სწორედ ამ ფიქრებითა და განზრახვით მოხვედი, მაგრამ უნდა გითხრა, უგუნურებაა ეს. რაც შემეხება მე,

ბატონებო, მურენასთან მეგობრობა მავალდებულებს, დავიცვა მისი ღირსება. ჩემი მიზანი ზავის, მშვიდობის, თანხმობის, თავისუფლების შენარჩუნება და თითოეული ჩვენგანის სიცოცხლის უსაფრთხოებისათვის ზრუნვაა. ისმინეთ ჩემი, ბატონო მსაჯულნო; ისმინეთ კონსულისა, რომელიც (კვეხნად ნუ ჩამომართმევთ და) დღენიადაგ ქვეყნის ბედზე ფიქრობს. ლუციუს კატილინა ისე როდი იყო სამშობლოს სიძულვილით დაბრმავებული, მისი განადგურება იმ თავგზააბნეული ბრბოს დახმარებით მოესურვებინა, თან რომ გაიყვანა ქალაქიდან. არა, ამის იმედს მის მიერვე გაბმული ბოროტების ფართო ქსელი აძლევდა, რაზედაც თქვენ ნათელი წარმოდგენა არა გაქვთ. აქვე, გაფრთხილებთ, ქალაქის კედლებშია ტროის ცხენი შემოყვანილი; მაგრამ სანამ მე კონსული ვარ, იგი ვერაფერს დაგაკლებთ; ვერ დაგესხმით თავს მძინარე მოქალაქეებს. როგორ დაუზაფრიხარ კატილინასო, – გიკვირს შენ. არა, მე იმაზე ვიზრუნე, რომ მისი შიში არავის ჰქონოდა. ჩვენს შორის მოკალათებული მისი თანამზრახველები კი მართლაც მიკარგავენ მოსვენებას. მისი ამაღლა რა სახსენებელია; ამაღლას ჩამორჩენილი მეომრები მაშფოთებენ მხოლოდ; თქვენ გგონიათ, ჩამორჩნენ? არა. კატილინამ დაგვიტოვა აქ, რომ კარგად გვითვალთვალონ და მარჯვედ მოგვიღერონ მახვილი. მათ სურთ, პატიოსანი კონსული და მამაცი იმპერატორი, რესპუბლიკის მხსნელად მოვლენილი, ჩამოაშორონ ქალაქს, რომ ვერ შეძლოს სახელმწიფოს დაცვა და ამას თქვენი მხარდაჭერით აპირებენ. ამ არამზადების იერიში ბევრჯერ მოვიგერიე ბრძოლის ველზე, ფორუმზე, საკუთარ სახლშიაც მომიხდა მათთან გამკლავება. თუ თქვენ მათ გადასცემთ ერთ-ერთ კონსულს და ამას კენჭისყრით დაუდასტურებთ, დიდად გაუმართავთ ხელს, რადგან ამის გაკეთებას ისინი იარაღითაც ვერ შეძლებდნენ. ამიტომ, მიუხედავად ბევრი თქვენგანის წინააღმდეგობისა, იმას მივაღწიე, რომ იანვრის კალენდებისათვის რესპუბლიკაში ორი კონსული ყოფილიყო. ეს მნიშვნელოვან გამარჯვებად მიმაჩნია. ნუ გგონიათ, ეს კონსულები ჩვეული გზით ივლიან; მათ არ ეცლებათ იმისათვის, კანონის მართებულობაზე იმსჯელონ, ან მექრთამეობის საშინელ სენზე, არც

სხვა რამ გასაჭირზე სასაუბროდ ვერ მოიცლიან. ქვეყნის ბედი ბენვზე ჰკიდია, ბატონებო. ქალაქს დანგრევა ემუქრება, ხალხს – ამოუღებელი; შესაძლოა, საერთოდ გაქრეს რომაელთა სახსენებელი. ასეთ ბოროტებას უმზადებდა და უმზადებს დღესაც ჩვენს სამშობლოს ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე (თუ შეიძლება მათ ეს სახელი ეწოდოთ). ძალ-ღონეს არ ვიშურებ მათი თავხედობის ასალაგმავად, ხელს ვუშლი ჩანაფიქრის ასრულებაში, ვცდილობ, წინ აღვუდგე მათ საშიშ განზრახვას, მაგრამ, ვაი, რომ ჩემი კონსულობის უამი უკვე იწურება. ნუ წამგვრით ჩემს ერთგულ მოკავშირეს, ნუ დამაშორებთ მას, ვისაც მინდა ქვეყნის ბედზე ზრუნვა გადავაბარო, რათა მან განსაცდელისაგან იხსნას რესპუბლიკა.

XXXVIII. ნუთუ ვერ გრძნობთ, ბატონო მსაჯულნო, რომ თანდათანობით ძლიერდება ბოროტება? შენ მოგმართავ, კატონ! ვერც შენ ამჩნევ, რა უბედურება ტრიალებს შენი ტრიბუნობის დროს? გუშინ ხომ მოვისმინეთ შენი კოლეგის¹⁹⁶, არჩეული ტრიბუნის მუქარა, რომლის თავიდან ასაცილებლად შენც დროულად იზრუნე და იმ კეთილშობილმა მოქალაქეებმაც დაგიჭირეს მხარი, რომლებმაც სატრიბუნო არჩევნებში ნდობა გამოგიცხადეს. სამი წელია, ამ ბოროტებას ამზადებენ ლუციუს კატილინა და გნეუს პიზონი¹⁹⁷. იცი თუ არა, რომ სენატორთა ამოხოცვა ჰქონდათ განზრახული ამ დღეებში; ახლაც იგივე აზრი უტრიალებთ თავში. დღე და ღამე, ყოველ საათს, ყველგან თავდასხმის მოლოდინში ვიყავი; საბედნიეროდ, დავუსხლტი ხელიდან, ავიცილე მათი ვერაგობა. უთუოდ ღვთის ნება იყო ეს, თორემ მარტო ჩემი მეცადინეობით ვერას გავხდებოდი. ჩემი მოკვლა იმიტომ სურთ, რომ რესპუბლიკას ჩამოაშორონ ფხიზელი კონსული. რომ შეეძლოთ, არც შენს მოცილებაზე იტყოდნენ უარს, კატონ. დამიჯერე, ეს არის მათი ნადილი. მუდამდღე ამაზე ფიქრობენ. ხედავენ, რომ გონიერი, გავლენიანი ტრიბუნი ხარ და ქვეყნის ბურჯად ითვლები; ამიტომ გრძნობენ, რომ შენთან ბრძოლა გაუჭირდებათ, მაგრამ თუ კონსულს ჩამოგაცილებენ, თუ მისი მხარდაჭერა მოგაკლდება, იმედოვნებენ, უიარაღოსა და მარტო დარჩენილს იოლად გაგისწორდებიან. დარწმუნებულნი არიან,

მეორე კონსულს აღარ აირჩევენ; საქმე შენი კოლეგების გადასაწყვეტია. ისინი ვარაუდობენ, თუ დეციმუს სილანუსს, ჩინებულ ვაჟკაცს თანამდგომი აღარ ეყოლება, შენ კი – კონსული, დაუცველი რესპუბლიკა მათ ხელში აღმოჩნდება.

ასეთი გახლავთ საქმის ვითარება; ასეთი საშიშროების წინაშე ვდგავართ, მარკუს კატონ; შენი ვალია, გვერდით დაუდგე კონსულს, უანგარო პიროვნებას, შენს მოკავშირესა და დამცველს, ვისაც ბედმა არგუნა მშვიდობისათვის ბრძოლა, ომის ბრძნულად წარმართვა, საქმისათვის თავდადება; ამიტომ უნდა მიემხრო მას. შენი ვალია ქვეყნის სამსახური და არა საკუთარ თავზე ზრუნვა.

XXXIX. თუმცა, სიტყვა თქვენზეა, ბატონო მსაჯულებო. რესპუბლიკის ბედი ამჟამად თქვენს ხელშია; კატილინას გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო ეს საქმე, იგი თავის თანამზრახველებთან ერთად, რომლებიც თან გაიყოლა, დიდი ხანია სიკვდილის განაჩენს გამოუტანდა ლუციუს მურენასაც. ამ არამზადათა მიზანია, რესპუბლიკას დაცვა ჩამოაშორონ, შეამცირონ იმპერატოროთა რიცხვი, რომლებიც მათ ვერაგულ განზრახვას ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან. ისინი იმედოვნებენ, მურენას თუ მოიშორებენ, სახალხო ტრიბუნები უთანხმოებას ჩამოაგდებენ ხალხში და ააჯანყებენ. როგორ დავიჯერო, რომ ეს გონიერი, კეთილშობილი, რჩეულთა შორის რჩეული ადამიანები ამ შეუბრალებელი გლადიატორის მოსაწონ გადანყვეტილებას მიიღებენ. მენდეთ, მსაჯულებო, თქვენმა განაჩენმა მურენა კი არ უნდა იხსნას მხოლოდ, არამედ თავად თქვენი სიცოცხლეც. ჩვენ უკიდურესი საფრთხის წინაშე ვდგავართ; ძალების შევსებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება; ის კი არა, რომ წავიფორხილოთ, ფეხზე დადგომა გაგვიჭირდება. ამიტომ სიფხიზლე არ უნდა მოვადუნოთ, შეძლებისდაგვარად გავაძლიეროთ დაცვა. მტერი ანიოსთან¹⁹⁸ კი არ არის ჩასაფრებული, როგორც პუნიკური ომების დროს, არამედ აქ, ჩვენს ქალაქში, აქვე, ფორუმზე. ოი, უკვდავო ღმერთებო, ძნელია ამის თქმისას გულიდან ოხვრა არ აღმოგხდეს. აქ, ამ უწმინდეს ტაძარში არიან ჩვენი მონინააღდეგენი, აქ კურიაში-მეთქი, გეუბნებით. ღმერთები იზრუნებენ, რათა ჩვენმა კოლეგამ, ჩინებულმა

მოქალაქემ, კატილინას შეიარაღებული ბრბო შეებოჭოს. მე, ტოგა-მოსხმული, შევძლებ, მოვაშორო ქვეყანას ეს საფრთხე, რაღა თქმა უნდა, თქვენი და ყველა კეთილშობილი მოქალაქის დახმარებით. დღენიადაგ იმაზე ვიზრუნებ, მტერი შევავინროვო, მაგრამ ვშიშობ, ვინც ხელიდან დაგვისხლტება, ვაითუ, გაისად უკან დაგვიბრუნდეს. თუ ერთი კონსულის ამარა დავრჩით, იგი ომისთვის ვერ მოიცლის, რადგან თავისი კოლეგის ბედით იქნება შენუხებული. მას ბევრი ხელისშემშლელიც ეყოლება... ამ დროს კატილინაც წამოყოფს თავს და ხალხი უდიდეს განსაცდელში ჩავარდება. ეს გაიძვერა მოულოდნელად გამოჩნდება რომის მისადგომებთან, საშინელ უბედურებას დაატრიალებს, კურიას შიში აიტანს, ფორუმს შეთქმულები დაეუფლებიან, ველ-მინდვრებს ლაშქარი მოეფინება, ყანები გაჩანაგდება, ცეცხლი და მახვილი წაღეკავს სოფლებსა და ქალაქებს. კარგა ხანია ამისათვის ემზადებიან. ამიტომ, თუ რესპუბლიკას დაცვა ეყოლება, თუ მაგისტრატები მეტს იფიქრებენ ამ საფრთხის დასაძლევად, თუ მოქალაქენი ფხიზლად იქნებიან, ამ ჭირს იოლად დავძლევთ.

XL. ასეთი ძნელბედობის ჟამს უპირველესი საზრუნავი ჩვენი სანუკვარი სამშობლოს ბედია. თქვენთვის უცხო არ არის ჩემი თავდადება საქვეყნო საქმისათვის; ამიტომ კვლავ ვბედავ კონსულის სახელით მოგიწოდოთ, გაითვალისწინეთ მოსალოდნელი საფრთხე და იზრუნეთ რესპუბლიკის ხსენისათვის, რომ მშვიდობამ დაისადგუროს ჩვენში, იფიქრეთ მოქალაქეთა სიცოცხლესა და საყოველთაო თანხმობაზე. ამასთანავე, მეგობრის უბედურებით შენუხებული, გვედრებით, ბატონო მსაჯულნო, სულიერად და ფიზიკურად განადგურებულ მურენას ნუ ჩაუშხამებთ იმ სიხარულს, რომაელმა ხალხმა რომ არგუნა. ბედნიერებით გაბრწყინებული იყო მაშინ, რადგან ასახელა თავისი გვარი და მშობლიური ქალაქი იმით, რომ კონსულობის ღირსად აღიარეს. ახლა თქვენც ხედავთ, როგორ გამოიყურება: თვალცრემლიანი, ლაფში ამოსვრილი, მგლოვიარე, დამწუხრებული. იგი სასოწარკვეთილი გვედრებათ, მსაჯულებო, თქვენი დახმარების იმედი აქვს. ნუ ინებებთ, ბატონებო, უკვდავ ღმერთებს გაფიცებთ, ნუ წაართმევთ მას ამ თანამდებობას, რომ-

ლის წყალობითაც სახელის მოხვეჭას ფიქრობდა; ნურც ადრინდელ პატივისა და ღირსებას დაუკარგავთ. ამას მურენა გთხოვთ, ვინც უსამართლოდ არავის მოქცევია, არავის სიძულვილი არ დაუმსახურებია, არც ლაშქრად ყოფნისას, არც მშვიდობიანობის დროს; გამოიჩინეთ კეთილგონიერება, იმედი მიეცით სასონარკვეთილს, დაეხმარეთ პატიოსან კაცს. კონსულობას ნუ წაართმევთ, ნუ მიაყენებთ ამ უდიდეს ტკივილს, ამით ხომ ის ყველაფერს კარგავს. მე რომ მკითხოთ, კონსულის თანამდებობა არ გახლავთ შესაშური ჩვენს დროში. რა სახარბიელოა, ისმენდე აჯანყებულთა მუქარას, ითმენდე შეთქმულთა ხრიკებს, ხედავდე იარაღასხმულ კატილინას და უმკლავდებოდე ყველა საფრთხესა და უსამართლობას. აი, ასეთია ეს ნანატრი კონსულობა. არ მესმის, რატომ უნდა შეგშურდეს ან მურენასი ან რომელიმე ჩვენგანის. მე მგონია, მურენას ბედი სავალალოა; ამაში თქვენც თვალნათლივ დარწმუნდით.

XLII. თუ მურენას კონსულობას ჩამოვართმევთ, – ღმერთმა გვაშოროს ასეთი რამ, – სად უნდა წავიდეს გაუბედურებული? სახლს მიაშუროს? მერე როგორ შეხედოს მამის, დიდებული ვაჟკაცის გამოსახულებას, ცოტა ხნის წინ დაფნის გვირგვინით რომ იყო შემკული, როცა მურენას წარმატებას ულოცავდნენ; ახლა იგი აღარ შემოხვდება ლამაზად მორთული და ნაღვლიან მზერას შეაგებებს; ან დედას როგორ გაუსწოროს თვალი. საბრალო ქალმა როგორ მხურვალედ გადაკოცნა თავისი კონსული ვაჟი ამ რამდენიმე დღის წინათ, ახლა განამებული ელოდება პატივყრილ შვილს. თუმცა სახლსა და დედას ვინ მიაკარებს, ახალი კანონის თანახმად ახლობლების სახეს იგი ველარ იხილავს. იქნებ სამშობლო მიატოვოს და სხვაგან გაეშუროს? სად? აღმოსავლეთით? სადაც ნლების მანძილზე ლეგატად იმსახურა, სადაც ლაშქარს სარდლობდა, სადაც მრავალი გმირობა ჩაიდინა. როგორ გაუძლოს ასეთ მწუხარებას; დიდებით მოსილი წამოვიდა იქიდან და ასე შერცხვენილი როგორღა მიბრუნდეს. ტრანსალპიური გალიისაკენ ხომ არ გაემართოს? მაგრამ იქ ახსოვთ მისი ვაჟკაცობა, სიმამაცე. ახლა როგორ დაენახოს განდევნილი, მწუხარე, სევდიანი? გარდა

ამისა, როგორ შეხედეს პროვინციაში თავის ძმას, გაიუს მურენას? თავისი უბედურებით ხომ გულს მოუკლავს მას. წარმომიდგენია, როგორი ამაღლევებელი იქნება მათი შეხვედრა. ამ ცოტა ხნის წინ, როცა აქ სასიხარულო ცნობა მოვიდა ძმის გამარჯვებისა, ბევრი მისი მოკეთე და მეგობარი რომში გაეშურა მისალოცად; ახლა კი მოულოდნელად თავად პატივყრილი კონსული ეწვევა საკუთარი უბედურების მაცნედ. თუ ეს ამბავი სამწუხარო, სავალალო და შემაშფოთებელია, თუ ეს თქვენში სიბრალულის გრძნობას იწვევს, ბატონო მსაჯულნო, შეუნარჩუნეთ ლუციუს მურენას სახელი და დიდება, რომელიც მას რომაელმა ხალხმა უბოძა. აღუდგინეთ ძველი პატივი, დაუბრუნეთ რესპუბლიკას კონსული, დაუბრუნეთ იგი განსვენებული მამის ოჯახს, ნათესაობას, ლანუვიუმს,¹⁹⁹ შესანიშნავ მუნიციპიურ ქალაქს. ხედავთ, როგორი შეწუხებულები არიან მისი მცხოვრებლები, რომლებმაც აქ მოიყარეს თავი. მიეცით საშუალება კონსულს, სათანადო პატივი მიაგოს მხსნელ იუნოს. შეასრულოს მამა-პაპათაგან მიღებული წესი, რაც ყველა კონსულისათვის სავალდებულოა. ნუ წაართმევთ ქალღმერთს კონსულს, მისთვის ესოდენ საჭიროსა და ახლობელს. თუ ჩემს სიტყვებს რაიმე ძალა აქვთ, თუ იგი რაიმეს ნიშნავს, მსაჯულებო, მომინდვია თქვენთვის კონსული. მე, კონსული გაბარებთ მურენას, მოქალაქეთა შორის თანხმობის მთესველს, კეთილშობილთა დამცველს, ბრძოლაში ქედუხრელს, მეამბოხეთა რისხვას, ქვეყნისათვის ავადმოსურნე შეთქმულთა წინააღმდეგ მებრძოლს. მერწმუნეთ, მუდამ ასეთი დარჩება იგი. ამის პირობას მე გაძლევთ, მე დავუდგები თავდებად.

კვინტუს ლიგარიუსის დასაცავად

რალაც ახალი, აქამდე გაუგონარი დანაშაული გაუნყა, გაიუს კეისარო, ჩემმა ნათესავმა კვინტუს ტუბერონმა²⁰⁰ – თურმე კვინტუს ლიგარიუსი აფრიკაში ყოფილა; იგივე აღიარა გონიერებით გამორჩეულმა გაიუს პანსამ;²⁰¹ ეტყობა, ამის უშიშრად თქმა იმიტომ გაბედა, რომ შენი ახლობლობის იმედი აქვს. მოკლედ, რა გზას დავადგე, არც კი ვიცი.

აქ რომ მოვდიოდი, დარწმუნებული ვიყავი, შენ არაფერი იცოდი ამ საბრალო კაცზე, არც არავისგან გსმენოდა მისი ამბავი. ამიტომ გადავწყვიტე, დავხმარებოდი მას. ახლა კი ვხედავ, ლიგარიუსის მკვლელს მისი საქმე გულმოდგინედ გამოუძიებია და გამოუამკარავებია. უნდა ვაღიარო, ლომის წილი ამაში ჩემმა ახლობელმა გაიუს პანსამ შეიტანა. ვატყობ, მას ძალა არ დაუშურებია, რომ ყველაფრისათვის ნათელი მოეფინა. ისლა დამრჩენია, ჩემი სიტყვა ისე ავაგო, რომ შენი გულმონყალება დავიმსახურო, რაც შენ მრავალგზის გამოგიჩენია დამნაშავეთა მიმართ; ბრალდება თუ არ მოგიხსნია მათთვის, ცოდვები ხომ მიგიტივებია.

ამგვარად, ტუბერონ, შენ ხელთა გაქვს ბრალდებულის აღიარება, რისი მიღწევაც ყოველი ბრალმდებლის ოცნებაა. მაინც რა აღიარა ლიგარიუსმა? ის, რომ იგი იმ მხარეს იყო, სადაც იდექით თქვენ:



უფრო ძლიერდება და იზრდება ჩემს გონებასა და მეხსიერებაში. ესეც რომ არ იყოს, მაინც დიდი შვება იქნებოდა ჩემთვის სიბერე, რადგან ხანგრძლივი მწუხარების ატანა არ შემოძლია, ხანმოკლე სევდას, თუნდაც ძნელი იყოს, გავუძლებ.

აი, ესაა ყველაფერი, რაც მინდოდა მეთქვა მეგობრობაზე. თქვენ კი გირჩევთ დააფასოთ სიქველე, რომლის გარეშეც მეგობრობა ვერ იარსებებს, არაფერი დააყენოთ მეგობრობაზე მაღლა.



შენიშვნები



მარკუს ცულიუს ციკერონი

(ქვ. № 106-43)

ციკერონი რომის მახლობელ ქალაქში, არპინუმშია დაბადებული, მხედართა წრიდან გამოსულ ოჯახში. მამამ მარკუსსა და მის ძმას კარგი განათლება მისცა – ციკერონმა საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული ენა, ლიტერატურა და ფილოსოფია, დაეუფლა ორატორულ ხელოვნებას. ამ უკანასკნელში მას ცნობილი რიტორი აპოლონიოს მილო ავარჯიშებდა.

განსწავლული ყმაწვილი საზოგადოებრივ ასპარეზზე სულ ახალგაზრდა გამოვიდა. თავდაპირველად იგი მჭევრმეტყველების „აზიური“ სტილის მიმდევარი იყო, თუმცა საბოლოოდ მისი სტილი „აზიურსა“ და „ატიკურს“ შორის შუალედურ რგოლად ჩამოყალიბდა.

მისი პირველივე სიტყვა „სექსტუს როსციუსის დასაცავად“ იმდენად სკანდალური და თამამი აღმოჩნდა, რომ ციკერონი ძმასთან ერთად მცირე აზიასა და საბერძნეთში გაემგზავრა, რათა რომს გარიდებოდა.

ამ სიტყვაში, რომელიც 80 წელსაა დაწერილი, ახალგაზრდა ციკერონი ცდილობს გაამართლოს ადამიანი, რომელსაც ცილს სწამებდნენ მამის მკვლელობაში. ამ ბრალდებას სექსტუსს როსციუსს ნათესავები უყენებდნენ, რათა ამ გზით ხელში ჩაეგდოთ მისი მდიდარი მემკვიდრეობა. დაინტერესებულ პირთა შორის რომის საკმაოდ გავლენიანი ადამიანებიც იყვნენ, რომელნიც ციკერონმა დაუფარავად ამხილა სამსჯავროს წინაშე.

ერთი წლის შემდეგ ციცერონი რომს კვლავ დაუბრუნდა. ძვ. წ. 76 წ. ნიჭიერი ადვოკატი სიცილიაში მიავლინეს კვესტორად. ძვ. წ. 69 წ. იგი ედილის თანამდებობაზეა, ხოლო ძვ. წ. 66 წელს კი – პრეტორის.

ძვ. წ. 63 წ. ციცერონი კონსულად აირჩიეს. იმავე წელს მან გამოააშკარავა ლუციუს კატილინას შეთქმულება, რომელიც რომაული სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული. კატილინას მამხილებელი სიტყვებით ციცერონმა სახელი გაითქვა როგორც ბრწყინვალე ორატორმა, მას სენატმა მადლობა უძღვნა რესპუბლიკის გადარჩენისათვის და მიანიჭა საპატიო ტიტული – „სამშობლოს მამა“ (*Pater patriae*).

რამდენიმე წლის შემდეგ, ძვ. წ. 58 წელს ციცერონი ამ შეთქმულების გამოაშკარავების გამო სასამართლოს გარეშე მოქალაქეთა სიკვდილით დასჯისთვის რომიდან გააძევეს.

თუმცა, უკვე მომდევნო წელს იგი ტრიუმფით დაბრუნდა რომში და კვლავ გამოჩნდა საზოგადოებრივ სარბიელზე, შეთხზა არაერთი ორატორული, ფილოსოფიური და პოლიტიკური ხასიათის ტრაქტატი. ამ პერიოდში შექმნა მან ვრცელი ფილოსოფიური ტრაქტატი „რესპუბლიკის შესახებ“, რომლიდანაც ანთოლოგიაში ერთი ნაწყვეტი, სათაურით „სციპიონის სიზმარი“, არის მოცემული.

სამოქალაქო ომის დროს, რომელიც კეისარსა და პომპეიუსს შორის მიმდინარეობდა, ციცერონი უკანასკნელს მიემხრო.

იულიუს კეისარის მკვლელობის შემდეგ (ძვ. წ. 44 წელს) ციცერონმა მარკუს ანტონიუსის წინააღმდეგ მიმართა თავისი გამოსვლები. მოგვიანებით, პროსკრიპციების დროს სწორედ ანტონიუსმა გასცა ციცერონის მოკვლის ბრძანება.

მკვლელებმა ციცერონს თავი და ხელები მოჰკვეთეს და ანტონიუსს მიართვეს.

მართალია, ციცერონის ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა, მაგრამ მისმა შემოქმედებამ – ჩვენამდე მოღწეულმა 58-მდე სიტყვამ, 800 წერილმა, რიტორიკულმა და ფილოსოფიურმა ტრაქტატებმა – ნარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო ლიტერატურაში. მის თხზულებებს შუა საუკუნეებში სწავლობდნენ საეკლესიო მწერლები, მისი ნაწარმოებების ენა და სტილი აღორძინების ეპოქაში საფუძვლად დაედო ე. წ. „ახალ ლათინურ ენას“, რომელმაც ევროპული ლიტერატურის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა.

სექსტუს როსციუსის დასაცავად

სექსტუს როსციუსი იყო მდიდარი რომელი მოქალაქე, იგი ცხოვრობდა მუნიციპიური ქალაქში, ამერიაში, იყო სულასა და ნობილიტეტის მხარდამჭერი, მას ბევრი მეგობარი ჰყავდა რომში, რომელთაც ხშირად სტუმრობდა. იგი მოკლეს უცნობმა პირებმა რომთან ახლოს. მისმა ნათესავებმა: ტიტუს როსციუს კაპიტონმა და ტიტუს როსციუს მაგნუსმა გარიგება დადეს აზატ ქრისოგონთან, რომელიც გავლენიანი კაცი იყო და როსციუსის გვარი შეიტანეს წინა რიცხვით პროსკრიბირებულთა სიებში. ამ გზით მოინდომეს მისი დიდი სიმდიდრის ხელში ჩაგდება. რადგან გარდაცვლილს ერთი ვაჟი ცოცხალი დარჩა, ჯერ მისი მოკვლა განიზრახეს, მაგრამ ბრალდებული გადააჩინეს მამის მეგობრებმა; შემდეგ კი მოინდომეს მისთვის დაებრალებინათ უმძიმესი დანაშაული, მამისმკვლელობა, რომ ხელისშემშლელი არ ჰყოლოდათ და უნამუსოდ დაპატრონებოდნენ როსციუსის ქონებას. ვერავინ გაბედა მათი შიშით გამოქომაგებოდა როსციუსს. როსციუსის დაცვა იკისრა 27 წლის ციცერონმა, რომელიც ჯერ არ იყო სახელგანთქმული ორატორი. ეს პროცესი მის სასარგებლოდ დასრულდა.

- 1 იგულისხმებიან ადვოკატები.
- 2 სესტერციუმი, რომაული ფული.
- 3 ლუციუს კორნელიუს სულა, დიქტატორი, 82-79 წ.
- 4 ლუციუს კორნელიუს ქრისოგონი, სულასთან დაახლოებული პირი, გააზატებული.
- 5 მარკუს ფანიუსი, პრეტორი, 80 წ.
- 6 ამერია, მუნიციპიური ქალაქი უმბრიაში.
- 7 სტუმართმოყვარეობის (hospitium) წესით სხვადასხვა გვარი შეიძლებოდა დაკავშირებოდა ერთმანეთს. ისინი ვალდებულნი იყვნენ საჭიროების დროს გარკვეული სამსახური გაეწიათ ერთმანეთისათვის.
- 8 მეტელუსი, სერვილიუსი, სციპიონი – ცნობილი რომაული გვარები.
- 9 პროსკრიპციები, მოქალაქის კანონგარეშე გამოცხადება, მისი ქონების კონფისკაცია და შემდგომ სისხლიანი ანგარიშსწორება მონინა-ალმდეგებთან.
- 10 ტიტუს როსციუს მაგნუსი, როგორც მოწმე, უნდა გამოსულიყო ბრალმდებლისა და დამცველის შემდეგ.
- 11 პალაციუმი, ერთ-ერთი იმ შვიდ ბორცვთაგანი, რომელზედაც გაშენებული იყო რომი.



- 12 გლავცია, ლიბერტინი.
- 13 ვოლატერე, ციხე-ქალაქი ეტრურიაში.
- 14 სულას ეპითეტი იყო „ნეტარი“ (felix).
- 15 პენატები, ოჯახის მფარველი ღვთაებები.
- 16 დეკურიონი, მუნიციპალური სენატის წევრი.
- 17 კვინტუს ცეცილიუს მეტელუს ბალეარიკი, კონსული ძვ. წ. 123. კვინტუს მეტელუს ნეპოტი, კონსული ძვ. წ. 98.
- 18 გაიუს ფლავიუს ფიბრია, კონსულ ლუციუს ვალერიუს ფლავუსის ლეგატი 86 წ.
- 19 კვინტუს მუციუს სცევოლა, ორატორი და იურისტი, ციცერონის მასწავლებელი; კონსული ძვ. წ. 95. იგი მოკლეს მარიუსის მომხრეებმა 82 წ.
- 20 ციცერონი გესლიანად გადაუკრავს სიტყვას ერუციუსს მის მდაბიო წარმომავლობაზე.
- 21 ცეცილიუს სტაციუსი, რომაელი კომედიოგრაფი, დაიბადა ძვ. წ. 106 წ.
- 22 ვეი, ქალაქი ეტრურიაში.
- 23 გაიუს ატილიუს რეგულუსი, კონსული ძვ. წ. 257 და 250.
- 24 რემიუსის კანონი, მიმართული იყო ცრუ ბრალდების წინააღმდეგ. დამნაშავე კარგავდა მოქალაქის უფლებას. მას შუბლზე ამოშანთავდნენ ასო „კ“-ს (კალუმნატორ – ცილისმწამებელი).
- 25 გადმოცემის თანახმად ბატებმა კაპიტოლიუმზე ყიყინი ატეხეს, გააღვიძეს მცველები და იხსნეს რომი გალთა თავდასხმისაგან ძვ. წ. 390.
- 26 კალენდეც „კ“ ასოთი იწყება.
- 27 ტიტუს ცეცილიუს ტარაციინელზე ცნობები არ მოგვეპოვება.
- 28 ფურიები, რისხვის ქაღალმერთები, რომლებიც დევნიდნენ ორესტეს დედის მკვლელობისათვის.
- 29 სოლონი, ცნობილი ათენელი კანონმდებელი ძვ. წ. VI ს.
- 30 მარკუს ცეცილიუს მეტელუსი, ძვ. წ. 69 წ. პრეტორი.
- 31 ლუციუს კასიუს ლონგინუს რავილა, სახალხო ტრიბუნი ძვ. წ. 137; კონსული 127 წ. ავტორი კანონისა ფარული კენჭისყრის შესახებ.
- 32 ბრძოლები კანესთან და ტრასიმენის ტბასთან ძვ. წ. 216, სადაც ჰანიბალმა მძიმე დარტყმა მიაყენა რომაელებს.
- 33 კვინტუს ენიუსი, „ჰექტორის ფარი“, ფრაგმენტი 167.
- 34 სამოცი წლის მოხუცებს არ ჰქონდათ უფლება მონაწილეობა მიეღოთ ომში და კენჭისყრაში.
- 35 ავტომედონტი, აქილევსის მეეტლე.
- 36 სამოცს მიტანებულ ადამიანს არ უშვებდნენ ხიდზე, სადაც უნდა



გაველო, მონაწილეობა რომ მიელო კენჭისყრაში. არის მეორე ახსნა ამ ადგილისა. უძველესი ჩვეულების თანახმად, ამ ასაკის კაცს ტიბრში ისროდნენ.

- 37 იგულისხმება ტიტუს როსციუს მაგნუსი.
- 38 იგულისხმება ტიტუს როსციუს კაპიტონი.
- 39 ქრისოგონი ბერძნულად „ოქროშობილს“ ნიშნავს.
- 40 ადგილი აკლია.
- 41 ავტეპსა, თვითმადულარა წყლის ან ღვინისათვის.
- 42 მარკუს ვალერიუს მესალა, კონსული ძვ. წ. 61.

პირველი სიტყვა კატილინას წინააღმდეგ

ლუციუს სერგიუს კატილინა იყო წარჩინებული გვარის წარმომადგენელი. იგი 68 წ. იყო პრეტორი, 67 წ. პროპრეტორი. კატილინა დაინიშნა აფრიკის გამგებლად. იქაურმა მოსახლეობამ საქმე აღძრა მის წინააღმდეგ, ბრალად დასდეს გამოძალვა, რის გამოც 66 წელს ვერ მიიღო მონაწილეობა საკონსულო არჩევნებში. კატილინამ მოინადინა შეთქმულების მოწყობა ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, მაგრამ იგი მხილებულ იქნა. ვერც 64 წელს მიიღო მონაწილეობა საკონსულო არჩევნებში, თუმცა იგი სასამართლოს მიერ გამართლებული იქნა. 63 წელს 7 კაცთან ერთად იყო, იბრძოდა კონსულობისთვის, მაგრამ დამარცხდა. ამ წელს კონსულები გახდნენ: ციცერონი და გაიუს ანტონიუსი. კატილინა შეეკრა ცენტურიონ გაიუს მანლიუსს, შეაგროვა ჯარი, განიზრახა ციცერონის მოკლა და ხელისუფლების დამხობა. ციცერონმა დროულად შეიტყო კატილინას შეთქმულების ამბავი და უსაფრთხოების ზომები მიიღო. 63 წ. 8 ნოემბერს იუპიტერ სტატორის ტაძარში მოინვია სენატის სხდომა, რომელსაც კატილინაც ესწრებოდა და სახალხოდ ამხილა იგი (I სიტყვა კატილინას წინააღმდეგ). სამხილის უქონლობის გამო ციცერონს არ შეეძლო ხელი ეხლო მისთვის და ურჩია, გასცლოდა ქალაქს თავისი ნებით. კატილინამ დატოვა რომი. II სიტყვა კატილინას წინააღმდეგ ციცერონმა წარმოთქვა 9 ნოემბერს და ხალხს გააცნო თავისი გეგმები კატილინას შეთქმულებასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ ციცერონმა მოიპოვა სამხილები, დააკავა ალობროგების (გალების) ელჩები, რომელთაც წერილები მიჰქონდათ კატილინასთან. 3 დეკემბერს სენატის სხდომაზე კატილინა სამშობლოს მტრად გამოაცხადა (III სიტყვა კატილინას წინააღმდეგ). IV სიტყვა წარმოთქვა 5 დეკემბერს; ციცერონმა დაარწმუნა სენატის წევრები, სიკვდილი მიესაჯათ შეთქმულების მონაწილეთათვის.

I სიცვა

- 1 პალაციუმი, ერთ-ერთი იმ შვიდ ბორცვთაგან, რომელზედაც გაშენდა რომი.
- 2 პალაციუმის ბორცვზე იდგა იუპიტერ სტატორის ტაძარი, რომელსაც განსაკუთრებული დაცვა ჰყავდა. აქ მოიწვია ციცერონმა სენატის სხდომა.
- 3 პუბლიუს სციპიონ ნაზიკა, უმაღლესი ქურუმი, რომელმაც გაილაშქრა ტიბერიუს გრაკუსის წინააღმდეგ. თავდასხმა მოაწყო მასზე, რომლის დროს ტიბერიუსი მოკლეს 133 წ. ძვ. წ.
- 4 გაიუს სერვილიუს აპალა, ცხენოსანთა ჯარის მეთაური დიქტატორ ცინცინატუსის დროს. მან მოკლა სპურიუს მელიუსი, რომელმაც შიმშილობის დროს თითქმის მუქთად დაურიგა ხალხს პური. სპურიუსს ბრალი დასდეს, თითქოს ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურდა. ცინცინატუსმა იგი სენატში გამოიძახა, მაგრამ სპურიუსი არ გამოცხადდა. იგი მოკლეს 439 წ. ძვ. წ.
- 5 გაიუს გრაკუსი, სახალხო ტრიბუნი, რომელიც ძმის, ტიბერიუსის მოკვლის შემდეგ იბრძოდა აგრარული რეფორმის გასატარებლად. კონსულმა ლუციუს ოპიმიუსმა თავდასხმა მოაწყო გაიუსსა და მის მომხრეებზე და ამოხოცა ისინი ძვ. წ. 122წ.
- 6 მარკუს ფულვიუს ფლაკუსი, გაიუს გრაკუსის მოკავშირე, რომელიც გაიუსთან ერთად მოკლეს.
- 7 გაიუს მარიუსი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, დემოკრატიული პარტიის მეთაური, შვიდგზის კონსული, რომელმაც დაამარცხა იუგურთა ძვ. წ. 106 წ. გაიმარჯვა ტევტონებზე ძვ. წ. 107 წ. და კიმბრებზე ძვ. წ. 101 წ. იყო სულას მოწინააღმდეგე. ვალერიუს ფლაკუსი მარიუსის სიკვდილის შემდეგ აირჩიეს კონსულად ძვ. წ. 86 წ. იყო მარიუსის მომხრე, მითრიდატესთან ლაშქრობის დროს მოკლა მაკედონიაში თავისმა ლეგატმა გაიუს ფლავიუს ფიმბრია.
- 8 გაიუს სერვილიუსი, მარიუსის მომხრე, პრეტორი, მოკლეს ძვ. წ. 100 წ. ლუციუს სატურნინუსი, სახალხო ტრიბუნი მარიუსის მეექვსე კონსულობის დროს ძვ. წ. 100 წ. სატურნინუსის კონკურენტი მოკლულ იქნა ხალხის მიერ. სატურნინუსი იბრძოდა კანონების გასატარებლად, რომლის თანახმად მარიუსის ყოფილ ჯარისკაცებს უფლება ეძლეოდათ, შეეძინათ მიწები აფრიკაში, ხოლო ქალაქის მოსახლეობას – იაფად ეყიდა პური. გლავციამ, სატურნინუსის მოკავშირემ, მოაკვლევინა თავისივე კონკურენტი გაიუს მემიუსი, აღშფოთებულმა



ოპტიმატებმა სატურნინუსი და გლავცია ჩაქოლეს.

- 9 გაიუს მანლიუსი, ცენტურიონი, კატილინას მოკავშირე.
- 10 პრენესტე, რომთან ახლოს მდებარე ქალაქი.
- 11 მარკუს პორციუს ლეკა, კატილინას თანამზრახველი.
- 12 იგულისხმებიან: გაიუს კორნელიუსი და ლუციუს ვარგენტიუსი.
- 13 დილის სალმის მოსახსენებლად – ჩვეულება, რომლის თანახმად ცნობილ პიროვნებას ეწვეოდა ხოლმე მეგობარი ან კლიენტი დილით, ადრე.
- 14 კონსული დესიგნატი, კონსულად არჩეული, რომელიც ჯერ კიდევ არ შესდგომია თავისი მოვალეობის შესრულებას.
- 15 მარსის ველი, სადაც იკრიბებოდნენ კომიციები.
- 16 ცოლის სიკვდილით, – სალუსტიუსის გადმოცემით, კატილინამ ულამაზესი ქალის, ავრელია ორესტილას გულისათვის მოაკვლევინა პირველი ცოლი. ბოროტი ხმები იმასაც ამბობდნენ, რომ კატილინამ ამ ქალის გულისათვის მოკლა საკუთარი ვაჟი. რამდენად შეესაბამებოდა ეს ხმები სიმართლეს, არ არის ცნობილი. ციცერონი ცდილობს უკიდურესად ბილწ და მანკიერ პიროვნებად წარმოაჩინოს კატილინა.
- 17 ვალების გადახდის ჩვეულებრივი ვადა იყო კალენდები, უკანასკნელი კი – იდეები. ამის შემდეგ მევალე კარგავდა ქონებას.
- 18 ლეპიდუსისა და ტულუსის კონსულობის დროს – ე. ი. ძვ. წ. 66 წ., როცა კატილინამ მოინდომა შეთქმულების გზით მიეღწია უმაღლესი თანამდებობისათვის, მასში გარეული იყო იულიუს კეისარი და ცენზორი კრასუსი 65 წ. ეს შეთქმულება ჩაიშალა. რადგან მასში სენატორთა ნაწილიც იყო ჩათრეული, იგი არ გაახმაურეს. როგორც ჩანს, კატილინა ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა. თუ სალუსტიუსს ვენდობით, მას სულას პროსკრიპციების დროს შინაურებიც არ დაუწდია: ძმა და სიძე. ბევრი უსამართლობა ჩაუდენია კატილინას აფრიკაში პრეტორად ყოფნის დროსაც. ყოველივე ამან ხელი შეუშალა მას საკონსულო არჩევნების დროს, როგორც 66 წ., ასევე 63 წ.
- 19 მახვილი, რომლითაც მსხვერპლის შეწირვა ხდებოდა, რომელიმე ღმერთის სახელზე იყო ნაკურთხი.
- 20 მანიუს ემილიუს ლეპიდუსი, კონსული 66 წ. კატილინას მოწინააღმდეგე.
- 21 კვინტუს ცეცილიუს მეტელუსი, 63 წ. პრეტორი, 60 წ. კონსული. მარკუს მეტელუსის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. იგი პრეტორი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, კატილინას თანამზრახველი და მოკავშირე იყო.



- 22 პუბლიუს სესტიუსი, კვესტორი, რომელიც შემდგომ ციცერონმა დააბრუნა გაძევებიდან. მარკუს მარცელუსი, 63 წ. კვესტორი, 51 წ. კონსული.
- 23 როცა უმაღლესი თანამდებობის წარმომადგენელი რომიდან გადიოდა, პატივისცემის ნიშნად, კლიენტები და მეგობრები ქალაქის კარიბჭემდე მიაცილებდნენ ხოლმე. ციცერონი აქ ირონიას მიმართავს. შენ ოლონდ დატოვე რომი და ჩვენ გაგაცილებთ კიდევაცო – მიმართავს კატილინას.
- 24 ავრელიუსის ფორუმი მდებარეობდა ავრელიუსის გზაზე, რომელიც რომიდან ეტრურიისაკენ მიემართებოდა.
- 25 ვერცხლის არწივი, ლეგიონის ნიშანი, რომელიც მიუძღოდა წინ მარიუსის ლაშქარს კიმბრებთან ბრძოლის დროს.
- 26 სალუსტიუსის გადმოცემის თანახმად, კატილინა ფიზიკურად ძლიერი, ამტანი პიროვნება ყოფილა.
- 27 კანონები მოქალაქეთა დასჯის შესახებ – სემპრონიუსის კანონის მიხედვით მოქალაქეთა სიკვდილით დასჯა მხოლოდ კომიციებს შეეძლოთ.
- 28 ციცერონი იყო ე. წ. „ახალი კაცი“ (Homo novus), რომელმაც პირადი ღირსებებით მიაღწია უმაღლეს თანამდებობას.

II სიფვეა

- 29 პრეტექსტამოსხმული. პრეტექსტა, ტოგა, რომელსაც მენამული ფერის ზოლი დაჰყვებოდა. მას ატარებდნენ: ა) უმაღლესი თანამდებობის პირნი, მოსამართლენი, ბ) უმაღლესი ქურუმი, გ) ვაჟები 17 წლამდე.
- 30 გალიას რომაელები ორ ნაწილად ყოფდნენ: ციზალპიურ (ჩრდილოეთ იტალიის მხარე) და ტრანსალპიურ (ახლანდელი საფრანგეთისა და ბელგიის ნაწილი).
- 31 კვინტუს მეტელუს ცელერი ციცერონმა გაგზავნა პიცენუმში (ცენტრალურ იტალიაში) ჯარის შესაგროვებლად.
- 32 პრეტორის ედიქტი. პრეტორის ბრძანება. ციცერონს მხედველობაში აქვს მევალის დასჯა ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, რომელიც ე. წ. „თორმეტი დაფის კანონით“ იყო გათვალისწინებული. თუ მევალე 30 დღის განმავლობაში კრედიტორს არ გადაუხდიდა თანხას, იგი მისი მონა ხდებოდა დროებით, სანამ ვალს გადაიხდიდა. ამის თაობაზე პრეტორს შეეძლო გამოექვეყნებინა ედიქტი.
- 33 გნეუს პომპეუსი, პირველი ტრიუმვირატის წევრი, რომელმაც გაიმარჯვა მითრიდატესთან ომში; შემდეგში კეისრის მოწინააღმდეგე.



- 34 მასილია, ქალაქი გალიის სანაპიროზე (ახლანდელი მარსელი). კატილინამ ხმა დააგდო, ვითომცდა მასილიას მიემგზავრებოდა და არა ეტრურიაში.
- 35 ახალი ტაბულების გამოკვრა გულისხმობდა ვალების კასაციას. ასეთ შემთხვევაში მევალენი თავისუფლდებოდნენ მთლიანად ან ნაწილობრივ ვალებისაგან და დგებოდა ე. წ. „ახალი ტაბულები“, ახალი დავთრები. სააუქციონო ტაბულებში კი აღწერილი უნდა ყოფილიყო მევალის ქონება, რომლის ბატონ-პატრონი კრედიტორი ხდებოდა.
- 36 კატილინას ლაშქარში შედიოდნენ მონებიცა და გლადიატორებიც.
- 37 სულამ გამარჯვების შემდეგ უხვად დაასაჩუქრა თავისი მომხრეები, დააარსა კოლონიები ლაციუმსა და კამპანიაში, რომლებშიც დაასახლა 100000 ჯარისკაცი.
- 38 პროსკრიპციები, პიროვნების კანონგარეშე გამოცხადება და მისი ქონების კონფისკაცია.
- 39 ტუნიკა, ყოველდღიური ტანსაცმელი, რომლის ზემოთ ქალები იცვამდნენ სტოლას, კაცები – ტოგას. სახელოებიანი ტუნიკა ნაზი ქსოვილისაგან იყო დამზადებული. უტოგოდ ტუნიკას უბრალო ხალხი ატარებდა.
- 40 პრეტორის კოპორტა, ძირითადად მცველებისაგან შემდგარი ლაშქარი, რომელიც მხედართმთავარს ახლდა.
- 41 მუნიციპიები, რომის მოკავშირე ქალაქები.
- 42 თანამდებობის პირნი ტოგას იცვამდნენ მშვიდობიანობის დროს.

III სიცევა

- 43 პუბლიუს ლენტულუსი, ძვ. წ. 71 წ. კონსული, 63 წ. პრეტორი.
- 44 ვულტურციუსი, კატილინას შეთქმულების მონაწილე, რომელიც სალუსტიუსის გადმოცემით სენატმა უხვად დაასაჩუქრა.
- 45 ლუციუს ვალერიუს ფლაკუსი, აზიის პროპრეტორი. გაიუს პომპტინუსი ძვ. წ. 63 წ. პრეტორი.
- 46 ამ ხიდზე გადადიოდა გზა ეტრურიისაკენ.
- 47 პრეფექტურები, რომის მოკავშირე ქალაქები, რომელთაც რომის პრეფექტი განაგებდა. რეატი, საბინთა ქალაქი.
- 48 მესამე ვიგილია. ღამე თორმეტი საათიდან დილის თორმეტი საათამდე ოთხ ვიგილიად იყოფოდა. თითოეული სამ-სამ საათს შეიცავდა.
- 49 კიმბრიუს გაბინიუსი, კატილინას თანამზრახველი.
- 50 ლუციუს სტატილიუსი, გაიუს ცეთეგუსი, კატილინას თანამზრახველნი.
- 51 ლუციუს კასიუსი, კონსულობის ერთ-ერთი კანდიდატი ძვ. წ. 63 წ.

- 52 სიბილას წიგნები, წინასწარმეტყველებანი, რომლებიც ქურუმებს შენახული ჰქონდათ ტაძარში და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართავდნენ მას. სიბილას წიგნების თანახმად, რომის მმართველები იქნებოდნენ ზედიზედ CCC (კკკ). ლენტულუსი, ცინა და სულა კორნელიუსების (ცნობილი რომაული გვარის) წარმომადგენლები იყვნენ. ამიტომ ლენტულუსი ვარაუდობდა, რომ პირველ ორ კკ-ში ცინა და სულა იგულისხმებოდნენ, მესამე კი თავად უნდა ყოფილიყო.
- 53 სატურნალიები, უძველესი რომაული დღესასწაული, რომელიც იწყებოდა 17 დეკემბერს და გრძელდებოდა რამდენიმე დღეს. ეს დრო ხელს აძლევდა შეთქმულებს, რადგან ხალხი ამ დღეებში მხიარულობდა; ამდენად სიფხიზლე მოდუნებული იყო. ასე რომ, შეთქმულების მონაწილეებს შეეძლოთ შეუმჩნევლად განეხორციელებინათ თავიანთი გეგმები.
- 54 წერილი გასანთლულ ფირფიტებზე იწერებოდა, რომლებსაც შემდეგ კრავდნენ ზონრებით. კვანძს სანთლით ამაგრებდნენ და მფლობელის ბეჭედს ადებდნენ.
- 55 პუბლიუს კორნელიუს ლენტულუსი, ძვ. წ. 162 წ. კონსული.
- 56 პრინციპსებად სენატში ითვლებოდნენ ისინი, ვისაც პირველებს ეკითხებოდნენ აზრს: კონსულარები, კონსულ-დესიგნატები...
- 57 გაიუს ანტონიუსი, კონსული ციკერონთან ერთად 63 წ.
- 58 კოტა და ტორკვატუსი, კონსულები 65 წ.
- 59 პუბლიუს სულპიციუსი, სახალხო ტრიბუნი 88 წ. მარიუსის მომხრე, მოკლეს 88 წ., როცა სულამ დიქტატურა ხელში ჩაიგდო.
- 60 გნეუს ოქტავიუსი, სულას მოკავშირე. მან გააძევა რომიდან ცინა.
- 61 ლუციუს კორნელიუს ცინა, კონსული 86 წ. 87 წ. მარიუსთან ერთად აირჩიეს კონსულად.
- 62 მანათობელი ვარსკვლავები. მას შემდეგ, რაც მარიუსმა და ცინამ გაიმარჯვეს, სასტიკად გაუსწორდნენ სულას მომხრეებს. მათ შორის, ბევრ გამოჩენილ პიროვნებას: კონსულ ოქტავიუსს, ცნობილ ორატორსა და იურისტს მარკუს ანტონიუსს...
- 63 მარკუს ლეპიდუსი, კონსული, 78 წ.
- 64 იგულისხმება გნეუს პომპეუსი.

IV სიცვა

- 65 საკონსულო აუსპიციები – საკონსულო კომიციები მარსის ველზე იკრიბებოდა, რასაც წინ უსწრებდა აუსპიციები (მისნობანი). ამ რიტუალს საზეიმო ელფერი ჰქონდა.

- 66 იგულისხმება კვინტუს ტულიუს ციცერონი.
- 67 მემიუს გაიუსი მოკლეს საკონსულო არჩევნების დროს, სატურნინუსის კონსულობის დროს.
- 68 დეციმუს სილანუსი, ვისაც პირველს მისცა სიტყვა ციცერონმა, მოითხოვდა კატილინას სიკვდილით დასჯას.
- 69 სემპრონიუსის კანონის მიხედვით მოქალაქის დასჯა მხოლოდ ხალხს უნდა გადაენწყვიტა.
- 70 ლუციუს იულიუს კეისარი, კონსული 64 წ.
- 71 იგულისხმება გაიუს გრაქუსის მოკავშირე ფლავიუსი, რომელიც შვილთან ერთად მოკლეს.
- 72 პუბლიუს კორნელიუს სციპიონ აფრიკელი (უფროსი), რომელმაც დაამარცხა ჰანიბალი. მეორე აფრიკელი პუბლიუს კორნელიუს სციპიონი (უმცროსი), რომელმაც კართაგენი დაანგრია. ემილიუს პაულუსმა დაამარცხა მაკედონიის მეფე პერსე.
- 73 ციცერონი რესპუბლიკის ძლიერებას სენატისა და რომაელ მხედართა წრის კავშირში ხედავდა.

ლუციუს მურენას დასაცავად

ლუციუს ლიცინიუს მურენა პლემბური წარმოშობისა იყო. იგი იბრძოდა მითრიდატეს წინააღმდეგ I ომში, რის შემდეგ დაიკავა კვესტორის თანამდებობა სერვიუს სულპიციუს რუფუსთან ერთად, რომელიც შემდეგ მისი ბრალმდებელი იყო. 74 წ. კვლავ მითრიდატეს წინააღმდეგ იბრძოდა III ომში, როგორც ლეგატი ლუციუს ლუკულუსისა. 65 წ. იყო ქალაქის პრეტორი, 64 წელში – პროპრეტორი ტრანსალპიურ გალიაში. 63 წელს წამოაყენა თავისი კანდიდატურა საკონსულო არჩევნებში. მისი მეტოქეები იყვნენ დეციმუს იონიუს სილანუსი, სერვიუს სულპიციუს რუფუსი და ლუციუს სერგიუს კატილინა. ამ არჩევნებში გაიმარჯვეს მურენამ და სილანუსმა. დამარცხებულმა სულპიციუსმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში მურენას წინააღმდეგ, ბრალად დასდო არაკანონიერი გზით მოპოვება თანამდებობისა. მურენას იცავდნენ ცნობილი ორატორი, პორტენსიუსი, მარკუს კრასუსი და ციცერონი. სასამართლომ არ ცნო დამნაშავედ მურენა.

- 1 საკონსულო აუსპიციები (მისნობანი) მარსის ველზე იმართებოდა და მას საზეიმო ელფერი ჰქონდა.
- 2 მარკუს პორციუს კატონი, ფილოსოფოსი, სტოიკოსი.



- 3 მანციპაციის (ქონების გაყიდვის) წესი სრულდებოდა ხუთი მონმის თანდასწრებით. მამულის (ნივთის) გამყიდველი გარკვეულ ვალდებულებას კისრულობდა მყიდველის წინაშე. პასუხისმგებელი იყო გაყიდული მამულის ვარგისიანობაზე, ნივთის ხარისხზე; უნდა დახმარებოდა მყიდველს, თუ რაიმე გაუგებრობა წარმოიქმნებოდა ამასთან დაკავშირებით. მყიდველი წარმოთქვამდა ასეთ ფრაზას: ვადასტურებ, რომ კვირიტა უფლების თანახმად ეს მამული (ნივთი) ჩემი კუთვნილებაა...
- 4 კალენდები, ყოველი თვის პირველი რიცხვი.
- 5 სერვიუს სულპიციუს რუფუსი, ცნობილი კანონმდებელი, ორატორი, კონსული 66 წ. ძვ. წ.
- 6 როგორც ჩანს, სულპიციუსისათვის ადრე მიუმართავს მონინალმდეგე მხარეს, რომ დახმარებოდა სარჩელის აღძვრაში.
- 7 ჰორტენზიუსი, კვინტუს ჰორტალუსი, ცნობილი ორატორი (114-50 წ.).
- 8 იგულისხმება კვინტუს ტულიუს ციცერონი, ძვ. წ. 63 წ. პრეტორი.
- 9 კონსულ-დესიგნატი, არჩეული კონსული, რომელიც ჯერ არ შესდგომია თავისი მოვალეობის შესრულებას.
- 10 ავენტინის ბორცვი, პალაციუმთან ახლოს, სადაც გადმოცემის თანახმად, განაწყენებული პლებსი დაბინავდა.
- 11 ანალები, ქრონიკა, ისტორია.
- 12 ე. ი. ახალ კაცს, ახალბედას, თავისი ნიჭის წყალობით აღზევებულ პიროვნებას.
- 13 კვინტუს პომპეუსი, ძვ. წ. 141 წ. კონსული.
- 14 ემილიუს მარკუს სკავრუსი, ძვ. წ. 115 წ. კონსული.
- 15 მარიუს კურიუს დენტატუსი, ძვ. წ. 290 წ. კონსული.
- 16 მარკუს პორციუს კატონ უფროსი, ძვ. წ. 195 წ. კონსული.
- 17 გაიუს მარიუსი, ძვ. წ. 107, 104-100, 86 წწ. ტიტუს დიდუსი, ძვ. წ. 98 წ. კონსული. გაიუს ცეცილიუსი, ძვ. წ. 94 წ. კონსული.
- 18 ლუციუს სერგიუს კატილინა, ძვ. წ. 63 წ. შეთქმულების ორგანიზატორი, ციცერონის მონინალმდეგე.
- 19 სერვიუს სულპიციუსი გალბა, კეისრის ლეგატი გალებთან ომის დროს.
- 20 კვესტორი, უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც ძირითადად საფინანსო საქმეებს განაგებდა.
- 21 ტიცუსის კანონის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.
- 22 ოსტია, ქალაქი ტიბრის სანაპიროზე.
- 23 ლუციუს ლიკინიუს ლუკულუსი, კონსული ძვ. წ. 74 წ.; მითრიდატესთან მებრძოლი რომაელი სარდალი.



- 24 თუ ვინმე ნიაღვრის წყალს გზას გადაუკეტავდა თავის ნაკვეთზე და ამით მეზობლის მამულს დააზიანებდა, ამ უკანასკნელს შეეძლო ეჩივლა მისთვის.
- 25 ფასტები, რომაული კალენდარი, სადაც აღწუსებული იყო უქმნი და სამუშაო დღეები.
- 26 ყოვლისმცოდნე, ტექსტში არის ქალდეველი, ე. ი. ვარსკლავთმრიცხველი.
- 27 გნეუს ფლავიუსი, აპიუს კლავდიუსის ცეკუსის მდივანი, ძვ. წ. 304 წ. ედილი, რომელმაც პირველმა გამოსცა ფასტები.
- 28 კვირიტთა კანონის, ე. ი. რომაელთა მოქალაქის კანონის.
- 29 რომაულ დრამაში მონაწილეობდა ფლეიტისტი.
- 30 პრეტორი, კონსულის შემდეგ უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელსაც ევალებოდა სასამართლო გამგებლობა.
- 31 იგულისხმება საოჯახო წმინდა რიტუალი, რომლის შესრულება აუცილებელი იყო, მაგრამ რთული. ამიტომ შეძლებული ქალები მოხუცებთან აფორმებდნენ ფიქტიურ ქორწინებას და ამ უკანასკნელს გადააბარებდნენ ამ მძიმე მოვალეობას.
- 32 კომპაციის წესი, ფიქტიური ქორწინება, რომლის წყალობით ქალები თავიდან იცილებდნენ მეურვეობას, ან საოჯახო რიტუალის შესრულებას.
- 33 ავლენი, ფლეიტაზე მომღერალი; კითარიდი, კითარაზე მომღერალი.
- 34 ენიუსი, ანალები, ფრაგ. 262.
- 35 იგულისხმება მითრიდატე VI ევპატორი.
- 36 მანიუს კურიუს დენტატუსი, ძვ. წ. 290 წ. კონსული, გაიმარჯვა ეფირის მეფე პიროსზე; ტიტუს კვინციუს ფლამინიუსი, ძვ. წ. 198 წ., კონსული, დაამარცხა მაკედონიის მეფე ფილიპე V 197 წ., მარკუს ფულვიუს ნობილიორი, ძვ. წ. 189 წ. კონსული. გაიმარჯვა ეტოლიელებზე 187 წ., ლუციუს ემილიუს პაულუსი, მაკედონელი, 168 წ. დაამარცხა მაკედონიის მეფე პერსესი; კვინტუს ცეცილიუს მეტელუსი, ძვ. წ. 148 წ. დაიპყრო მაკედონია; ლუციუს მუმიუს აქაველი, ძვ. წ. 146 წ. აიღო კორინთი.
- 37 ლუციუს კორნელიუს სციპიონ აზიელი, ძვ. წ. 190 წ. დაამარცხა სირიის მეფე ანტიოქე III.
- 38 მთელი აზია, იგულისხმება მითრიდატესთან I ომის დასასრული (88-84), როცა სულა იძულებული იყო მარიუსის მომხრეებთან საბრძოლველად დაბრუნებულიყო იტალიაში და ზავი დაედო მითრიდატესთან.
- 39 სერტორიუსი, მარიუსის მომხრე, იბრძოდა ესპანეთში სულას წინააღმდეგ.



- 40 ორივე კონსული: ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი და მარკუს ავრელიუს კოტა, ძვ. წ. 74 წ.
- 41 ბითვინია, ქვეყანა მცირე აზიაში.
- 42 კიზიკი, ქალაქი მცირე აზიაში.
- 43 ტენედოსი, კუნძული მცირე აზიაში.
- 44 არმენიის მეფე ტიგრან II.
- 45 იგულისხმება ომი ნიკოპოლისთან 66 წ.
- 46 პრეტორებს ირჩევდნენ ცენტურიების კომიციებზე. როგორც კი მაძიებელი ხმების უმრავლესობას მოაგროვებდა, პირველად მას გამოაცხადებდნენ.
- 47 ევრიპის ყურე, ატიკის სანაპიროსთან, კუნძულ ევბეასთან, სადაც დღემდე რამდენჯერმე იცვლებოდა დინება.
- 48 საკონსულო არჩევნებში დამარცხებულები: მარკუს ავრელიუს სკავრუსი, ძვ. წ. 116 წ., კვინტუს ლუტიციუს კატულუსი, 105, ლუციუს მარციუს ფილიპუსი, 93.
- 49 კენტისყრის მიხედვით წყდებოდა, თუ რომელი ცენტურიის (ტრიბის) არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. პირველად მონაწილე ცენტურიას პრეროგატივას უწოდებდნენ.
- 50 ლუციუს როსციუს ოტონმა, სახალხო ტრიბუნმა 67 წ. მხედრებს წინა ადგილები გამოუყო თეატრში: ამ ფენის წარმომადგენლებს ეს უფლება სულამ წაართვა.
- 51 გაიუს ანტონიუსმა და ციცერონმა ედილად ყოფნის დროს 69 წ. სანახაობანი გამართეს.
- 52 გადამწერლები, რომლებიც კვესტორებთან და ედილებთან მუშაობდნენ, თავისუფალი მოქალაქენი იყვნენ, დანარჩენები კი – გააზატებულინი.
- 53 სულამ თავის მეომრებს დაურიგა მიწის ნაკვეთები, რომლებიც მონინალმდეგეებს წაართვა.
- 54 უმბრია, მხარე იტალიაში.
- 55 ლუციუს კალპურნიუს პიზონმა 149 წ. დააწესა მუდმივმოქმედი სასამართლო გამომძაღველთა საქმეების განსახილველად.
- 56 არჩეული მაგისტრატი ზოგჯერ ავადმყოფობის მომიზეზებით არ ცხადდებოდა სასამართლოზე, სანამ ძალაში არ შევიდოდა მისი უფლებები.
- 57 გაის მანილიუსმა, ტრიბუნმა 67 წ. გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც გააზატებულებს ნება ეძლეოდათ, კენტო ეყარათ სატრიბუნო არჩევნებში.



- 58 თანაბრალმდებელი, სუბსკრიპტორი.
59 არიცია, ქალაქი ლაციუმში; ფესულე, ქალაქი ეტრურიაში.
60 როგორც ჩანს, ციცერონმა გაიუს პოსტუმუსის და სულპიციუსის პასუხები აღარ შეიტანა შემდგომ.
61 იგულისხმება ცენტურიები, რომლებიც მურენამ მიიწვია სანახაობაზე.
62 ლუციუს ავრელიუს კოტა, კონსული 144 წ.
63 სერვიუს სულპიციუს გალბამ სიკვდილით დასაჯა 30 000 ლუზიტანელი ძვ. წ. 150 წ. 149 წ. მას ბრალი დასდო ტიტუს სკრიბონიუს ლიბონუსმა და მარკუს კატონ უფროსმა.
64 იგულისხმება აქილევის აღმზრდელი კენტავრი ქირონი.
65 ზენონი, ფილოსოფოსი, სტოიკოსი.
66 პანეტიოსი, ფილოსოფოსი, სტოიკოსი.
67 გაიუს ლელიუსი, კონსული ძვ. წ. 140 წ.
68 გაიუს სულპიციუს გალუსი, კონსული ძვ. წ. 166 წ.; ლუციუს ფურიუს ფილუსი, კონსული ძვ. წ. 136 წ.
69 პროვინციიდან დაბრუნებულ რომაელ მაგისტრატს საზეიმო შეხვედრას უწყობდნენ.
70 ჭაბუკი რომ ტოგას პირველად ჩაიცვამდა, ე. ი. ყრმობის ასაკიდან მამაკაცობაში გადასვლისას, ფორუმზე მოაცილებდნენ.
71 ფაბიუსის კანონის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.
72 ლუციუს კეისარი, კონსული ძვ. წ. 64 წ.
73 ლაშქარში მონაწილეობდნენ მუშა-მეომრები, რომელთაც თავიანთი უფროსი პრეფექტი ჰყავდათ.
74 ლუციუს პინარიუს ნატა, მურენას გერი.
75 ვესტას ქურუმ ქალს ჰქონდა უფლება, საუკეთესო ადგილი დაეკავებინა სანახაობებზე.
76 კვინტუს ემილიუს ტუბერონი, ლუციუს ემილიუს პაულუსის შვილიშვილი, სტოიკური ფილოსოფიის მიმდევარი; ლუციუს ემილიუს პაულუსი, რომაელი სარდალი, 168 წ. დაამარცხა მაკედონიის მეფე პერსევსი პიდნასთან.
77 კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსი, ლუციუს პაულუსის შვილიშვილი, კონსული ძვ. წ. 121 წ.
78 პუნიკური ტახტები, ე. ი. მაგარი, ხის ტახტები; სამოსური ჭურჭელი, უბრალო თიხის ჭურჭელი.
79 დიოგენე, ფილოსოფოსი, კინიკოსი.
80 მაძიებელს ნება ჰქონდა გამოსაუბრებოდა მოქალაქეს საზოგად-

დოებრივი თავშეყრის ადგილზე, მონა-ნომენკლატორი შეახსენებდა თავის პატრონს ამ მოქალაქეების სახელებს.

81 კვინტუს ცეცილიუს მეტულუს ნეპოტი, სახალხო ტრიბუნი ძვ. წ. 64 წ.

82 გნეუს კალპურნუსის პიზონი, კატილინას შეთქმულების მონაწილე.

83 მდინარე ანიოსთან (ტიბრის შესართავთან) დაბანაკდა ჰანიბალი მეორე პუნიკური ომის დროს.

84 ლანუვიუმი, ქალაქი რომის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც იდგა იუნოს ტაძარი.

კვინტუს ლიგარიუსის დასაცავად

კვინტუს ლიგარიუსი 50 წელს წარგზავნილ იქნა აფრიკის პროვინციაში, როგორც გაიუს კონსიდიუს ლონგინუსის ლეგატი. როცა ამ უკანასკნელმა დატოვა აფრიკა, ლიგარიუსი მართავდა ამ პროვინციას. ამ დროს იტალიაში დაიწყო სამოქალაქო ომი. პომპეუსის თანამზრახველმა პუბლიუს ვარუსმა დატოვა იტალია და აიღო აფრიკა. ლიგარიუსმა მას მხარი დაუჭირა კეისრის წინააღმდეგ ბრძოლაში. სენატის გადაწყვეტილებით აფრიკის გამგებლობა არგუნეს ლუციუს ელიუს ტუბერონს, მაგრამ ლიგარიუსმა იგი არ შეუშვა იქ. პომპეუსის დამარცხების შემდეგ კეისარმა შეიწყნარა ლიგარიუსი, მაგრამ რომში ცხოვრების ნება არ დართო. ლიგარიუსის ძმებმა და მეგობრებმა სთხოვეს კეისარს, დაებრუნებინა რომში ფაქტობრივად დევნილობაში მყოფი ლიგარიუსი, რაზედაც კეისარმა თავი შეიკავა, თუმცა გადაჭრით უარი არ უთქვამს. ამ დროს ტუბერონის შეილმა დაადანაშაულა ლიგარიუსი სახელმწიფო ღალატში. ციცერონი ერთადერთი დამცველი იყო ლიგარიუსისა. იგი მოითხოვდა ლიგარიუსის შეწყალებას. კეისარმა ნება დართო ლიგარიუსს, დაებრუნებულიყო რომში.

1 ტუბერონის (მამის) ცოლი ტულიუსების გვარის იყო.

2 გაიუს პანსა, კეისრის მომხრე, კონსული 43 წ., დაიღუპა მუტინასთან ბრძოლის დროს.

3 იგულსხმება 49 წ. სამოქალაქო ომი კეისარსა და სენატს შორის.

4 პუბლიუს ვარუსი, პომპეუსის მომხრე, რომელმაც ორი ლეგიონი შეკრიბა აფრიკაში.

5 ლიგარიუსის აფრიკაში დარჩენას საპატიო მიზეზი ჰქონდა, რადგან იგი ასრულებდა უმაღლესი მაგისტრატის განკარგულებას.

6 კეისარმა ციცერონს დოლაბელას ხელით წერილი გაუგზავნა, სადაც



სთხოვდა მას იტალიაში დაბრუნებას. ციცერონი სიფრთხილით შეხვდა ამ წინადადებას. შემდეგ კვლავ მიიღო კეისრის მეორე წერილი. მოგვიანებით ისინი შეხვდნენ ერთმანეთს.

- 7 პომპეუსის სიკვდილის შემდეგ კეისარი იყო ერთადერთი, ვინც იმპერატორის საპატიო ტიტულს ატარებდა. ციცერონს კილიკიაში პროკონსულობის დროს, 51 წ. მიანიჭეს იმპერატორის ტიტული და უბოძეს საიმპერატორო ნიშნები, რომელიც ციცერონმა 47 წლამდე დაიტოვა.
- 8 იგულისხმება სულა.
- 9 64 წ. კეისარი თავმჯდომარეობდა სასამართლოს, სადაც განიხილებოდა 17 წლის წინ, სულას პროსკრიპციების დროს ჩადენილ მკვლელობათა საქმე. რამდენიმე კაცი დაისაჯა ამ დანაშაულის გამო.
- 10 ბევრი თვალსაჩინო იურისტი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი ელიუსების გვარის წარმომადგენელი იყო.
- 11 პომპეუსის მხარეს იყო ნობილიტეტის უმრავლესობა.
- 12 იგულისხმება მოკავშირეთა ომი 89 წ.
- 13 იგულისხმება ნუმიდიის მეფე იუბა, პომპეუსის მოკავშირე.
- 14 ფასციები, უმაღლეს მაგისტრატთა საპატიო ნიშნები.
- 15 პენატები, ოჯახის მფარველი ღვთაებები.
- 16 კვესტორი, რომელიც მოხელე, რესპუბლიკის ხანაში ფინანსური საქმეების გამგებელი.
- 17 იგულისხმება მარკუს მარცელუსი, პომპეუსის მომხრე, რომელიც შეიწყნარა კეისარმა.

პოეტ არქიასის დასაცავად

არქიასი, ბერძნულენოვანი პოეტი დაიბადა ანტიოქიაში დაახლ. ძვ. წ. 120 წ. მან მოიარა იტალიის ქალაქები (ტარენტუმი, რეგიუმი, ნეაპოლი) და მიიღო მათი მოქალაქეობა. 102 წ. დასახლდა რომში, სადაც ბევრი მეგობარი შეიძინა, იგი დაუახლოვდა ლიცინიუს ლუკულუსს; საერთოდ, ლუკულუსების სახლში იგი შინაურულად გრძნობდა თავს. იტალიური ომების დროს პოეტი მარკუს ლუკულუსთან ერთად სიცილიაში გაემგზავრა, უკან დაბრუნებისას კი ჰერაკლეაში გაჩერდა, სადაც ამ ქალაქის მოქალაქეობა მიიღო. 89 წ. შემოიღეს კანონი (მისი ავტორები იყვნენ: მარკუს პლავციუს სილანუსი და გაიუს პაპირიუს კარბონი), რომლის ძალითაც რომის მოკავშირე ქალაქების მცხოვრებლებს შეეძლოთ მიეღოთ რომის მოქალაქეობის უფლება. არქიასმა პრეტორ კვინტუს მეტელუსს მიმართა განცხადებით,



რომ სურდა მისთვის მიენიჭებინათ რომის მოქალაქეობა. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. მაგრამ ვინმე გრატიუსმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში მის წინააღმდეგ და ითხოვდა ჩამოერთვათ პოეტისთვის რომის მოქალაქეობა. რადგან არქიასი არ იმყოფებოდა რომში, როცა მოქალაქეებს ცენზების მიხედვით ყოფდნენ, არც 86 წ. და არც 70 წ. თუმცა პოეტს ამისთვის საპატიო მიზეზი ჰქონდა. 65 წ. გამოცემული პაპიუსის კანონის თანახმად, პოეტს რომიდან გაძევება ემუქრებოდა. ფიქრობენ, რომ გრატიუსი პომპეუსის მომხრეთა მიერ იყო წაქეზებული, რომლებიც ლუკულუსს მტრობდნენ. სასამართლო პროცესს ციცერონის უმცროსი ძმა, კვინტუსი უძღვებოდა, პოეტს იცავდა მარკუს ციცერონი. არქიასი გამართლებული იქნა. პოეტს ჰქონია ეპიკური ნაწარმოებები, რომლებიც არ არის შემორჩენილი; ბერძნულ ანთოლოგიაში შესულია 35 ეპიგრამა, რომელიც მას მიეწერება.

- 1 ციცერონი პოეტს მოიხსენიებს ლიცინიუსად, კანონის თანახმად, უცხოელს ანიჭებდნენ იმ რომაელი მოქალაქის გვარს, ვისი წყალობითაც იგი ღებულობდა რომის მოქალაქეობას, ასეთი არქიასისთვის იყო ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი.
- 2 იტალიაში იგულისხმება სამხრეთ იტალია; ე. წ. დიდი საბერძნეთის ნაწილი იყო, სადაც ბერძნული მოსახლეობა ჭარბობდა.
- 3 ლაციუმი (ლათიუმი), იტალიის ცენტრალური ნაწილი.
- 4 სიმშვიდე სუფევდა, იგულისხმება სამოქალაქო ომამდელი პერიოდი.
- 5 ტარენტუმი (ტარენტუსი), ქალაქი სამხრეთ იტალიაში, რეგიუმი, ქალაქი გალიაში, ნეაპოლი, ქალაქი კამპანიაში.
- 6 მოქალაქეობას ანიჭებდნენ – ბერძნული კანონის თანახმად, ერთ პიროვნებას შეეძლო რამდენიმე ქალაქის მოქალაქეობა ჰქონოდა.
- 7 სტუმართმოყვარობის წესით შეიძლებოდა სხვადასხვა გვარი დაკავშირებოდა ერთმანეთს, ორივე მხარეს გარკვეული ვალდებულება ეკისრებოდა, საჭიროების შემთხვევაში უნდა დახმარებოდნენ ერთმანეთს. იხ. სიტყვა როსციუსის დასაცავად, შენიშვნა 7.
- 8 მარიუსისა და კატულუსის კონსულობის დროს, ე. ი. ძვ. წ. 102 წ.
- 9 ლუკულუსი, ლუციუს ლიცინიუსი, პროპეტორი 103 წ., იბრძოდა აჯანყებული მონების წინააღმდეგ სიცილიაში, მისი ვაჟი, ლუციუს ლუკულუსი, კონსული 74 წ., იბრძოდა მითრიდატე VI-ის წინააღმდეგ, მეორე ვაჟი, მარკუს ლუკულუსი, კონსული 73 წ.
- 10 პრეტეტას ატარებდა – ყმანვილები 17 წლამდე თეთრ ტოგას ატარებდნენ, რომელსაც მენამული ფერის ქობა ჰქონდა მოყოლებული.



- 11 კვინტუს ცეცილიუს მეტელუს ნუმიდიელი, იბრძოდა ნუმიდიის მეფის, იუგურტას წინააღმდეგ, მისი ვაჟი კვინტუს მეტელუს პიუსი, მარიუსის თანამებრძოლი, კონსული 89 წ.
- 12 მარკუს ემილიუს სკავრუსი, კონსული 115 და 107 წწ.
- 13 კვინტუს ლუტაციუს კატულუსი, კონსული 102 წ., მისი ვაჟი, კვინტუს ლუტაციუს კატულუსი, კონსული 78 წ.
- 14 ლუციუს ლიცინიუს კრასუსი, კონსული 95 წ., ორატორი.
- 15 მარკუს ლივიუს დრუზუსი (უმცროსი), ტრიბუნი 91 წ., ბიძა მარკუს პორციუს კატონისა, გნეიუს ოქტავიანუსი, კონსული 87 წ., კატონი, შესაძლოა იყოს მარკუს პორციუს კატონი (უტიკელი), კეისრის მოწინააღმდეგე, კვინტუს პორტენსიუს პორტალუსი, ძალიან ცნობილი ორატორი, კონსული 69 წ.
- 16 ჰერაკლეა, ქალაქი სიცილიაში. 278 წ. თავისთვის ძალზე მომგებიანი ხელშეკრულება დადო რომთან, რომლის ძალითაც მას დიდი უფლებები ენიჭებოდა.
- 17 სილვანუსისა და კარბონის კანონი. ძვ. წ. 89 წ. სახალხო ტრიბუნებმა, მარკუს პლავციუს სილვანუსმა და გაიუს პაპირიუს კარბონმა შემოიღეს კანონი, რომლის ძალითაც რომის მოქალაქეობის უფლების მიღება შეეძლო ყველას, ვინც 60 დღით ადრე ამის თაობაზე აუწყებდა პრეტორს.
- 18 გრატისუს, არქიასის მბრალმდებელს, ციცერონი პრენომენის გარეშე, ე. ი. ირონიულად მიმართავს.
- 19 იტალიური ომები, სამოქალაქო ომები იტალიის ქალაქებს შორის 90-88 წლებში.
- 20 აპიუსისა... გაბინიუსის – აპიუს კლაუდიუს პულხერი, პრეტორი 89 წ., კონსული 79 წ., პუბლიუს გაბინიუს კაპიტონი, პრეტორი 89 წ.
- 21 ლუციუს ლენტულუსი პრეტორი 89 წ., სხვა ცნობები მასზე უცნობია.
- 22 ლოკრიელები, ლოკრი, ქალაქი შუა საბერძნეთში.
- 23 გაიუს პაპიუსის კანონი, გამოცემული 65 წ., შეეხებოდა მოქალაქეთა გაძევებას.
- 24 ცენზორთა ნუსხებში ხდებოდა ქონების მიხედვით რომაელ მოქალაქეთა ჩანერა.
- 25 ლუციუს იულიუს კეისარი და პუბლიუს ლიცინიუს კრასუსი იყვნენ პირველი ცენზორები 89 წ., როცა მოკავშირეთა ქალაქების მოსახლეობას მიენიჭა რომის მოქალაქეობა.
- 26 ერარიუმი, სახელმწიფო ხაზინა, რომელსაც კვესტორები აკონტროლებდნენ.

- 27 სციპიონ აფრიკელი (უფროსი), კონსული 140 წ., ჰანიბალის დამმარცხებელი; მისი ვაჟი სციპიონ აფრიკელი (უმცროსი), კართაგენის დამანგრეველი, ლელიუს გაიუსი, ფილოსოფიისადმი მისი სიყვარულის გამო ბრძენად წოდებული, კონსული 136 წ.; ლუციუს ფურიუს ფილუსი, ორატორი; მარკუს პორციუს კატონი, კონსული 195 წ., ძველი რომაული მორალის მკაცრი დამცველი.
- 28 კვინტუს როსციუს გალუსი, კომედიური ჟანრის ცნობილი მსახიობი.
- 29 კვინტუს ენიუსი, ეპიკოსი პოეტი და დრამატურგი (239-169), ლათინური ჰექსამეტრის დამამკვიდრებელი.
- 30 იგულისხმებიან: ამფიონი, თებეს კედლების აღმმართველი და ლეგენდარული მომღერალი ორფევსი.
- 31 კოლოფონი, ქალაქი მცირე აზიაში; ქიოსი, კუნძული იონიის ზღვაში; სმირნა, მცირე აზიის ქალაქი; სალამინი (სალამისი), კუნძული და ქალაქი ატიკასა და არგოლიდას შორის.
- 32 კიმბრები, გერმანული ტომები, რომელთა წინააღმდეგ იბრძოდა გაიუს მარიუსი, ხუთგზის კონსული (107, 104-101).
- 33 თემისტოკლე, ათენელი სარდალი (525-461).
- 34 ლუციუს პლოციუსი, I ს. გრამატიკოსი, პირველი რომაელი ორატორი და რიტორიკის მასწავლებელი.
- 35 მითრიდატე VI, პონტოს ცნობილი მეფე, უძლიერესი სარდალი.
- 36 არმენია, ქვეყანა მცირე აზიაში.
- 37 კიზიკოსი, ქალაქი თრაკიაში.
- 38 ტენედოსი, კუნძული ტროასთან.
- 39 მარკუს პორციუს კატონი, ტრიბუნი 62 წ.
- 40 კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსი, მარკუს კლავდიუს მარცელუსი, კვინტუს ფულვიუს ფლავუსი – II პუნიკური ომის სარდლები, რომელთაც ქება შეასხა ენიუსმა.
- 41 რუდიე, ქალაქი აპულეაში, ენიუსის სამშობლო.
- 42 რომის იმპერიაში თავდაპირველად ბერძნული ენა იყო გავრცელებული, ლათინური მოგვიანებით გახდა იმპერიის ოფიციალური ენა.
- 43 სიგეა, კონცხი ტროასთან.
- 44 თეოფანე მიტილენელი, მწერალი, პომპეუსის მეგობარი.
- 45 ლუციუს კორნელიუს სულა, რომაელი დიქტატორი 82-79 წლებში.
- 46 ეპიგრამა ინერებოდა ძირითადად ელეგიური დისტიქით, შედგებოდა I სტრიქონში დაქტილისაგან, მეორეში – პენტამეტრისაგან, ამიტომ სტრიქონები არათანაბარი სიგრძისა იყო.
- 47 კვინტუს მეტელუს პიუსი, პომპეუსის სიძე.



- 48 კორდუბა, ქალაქი ესპანეთში.
 49 დეციმუს იუნიუს ბრუტუსი, კონსული 138 წ.
 50 ლუციუს აკციუსი, ტრაგიკოსი პოეტი (170-94).
 51 ეტოლია, მხარე შუა საბერძნეთში.

კატონ უფროსი სიბერის შესახებ

კატონი ანუ სიბერის შესახებ, ისევე როგორც ციცერონის ფილოსოფიურ თხზულებათა უმეტესობა, დიალოგის ფორმითაა დაწერილი. საუბრის მონაწილენი არიან ცნობილი პიროვნებები: მარკუს პორციუს კატონი (უფროსი), კონსული 195 წ., II პუნიკური ომის მონაწილე, ავტორი თხზულებებისა: *მინათმოქმედების შესახებ* და *საწყისები*, პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიანუს აფრიკელი (უმცროსი), კონსული 147 წ. და 146 წ., III პუნიკური ომის გამირი, კართაგენის დამანგრეველი, გაიუს ლელიუსი (უმცროსი), კონსული 140 წ., სციპიონ ემილიანუსის მეგობარი, თანამედროვეებმა მას ბრძენი შეარქვეს. მსჯელობა მიმდინარეობს რამდენიმე საკითხზე: რა არის სიბერე, რა უსიამოვნებები მოსდევს მას, როგორ შეიძლება მათი დაძლევა, რა ხიბლი და რა უპირატესობა აქვს ასაკს და სხვ. დიალოგი დაიწერა 44 წ.

- ენიუსი, ძველი რომაელი პოეტი, ანალების ავტორი, დაქტილური ჰექსამეტრის დამამკვიდრებელი. აქ – ფრაგმენტი ანალებიდან, X, 335. ეს არის მწყემსის სიტყვები, რომელიც თავის სამსახურს სთავაზობს ტიტუს კვინციუს ფლამინიუსს, მაკედონიის მეფის, ფილიპეს წინააღმდეგ ბრძოლაში. ტიტუსი ერქვა ატიკუსსაც, ციცერონის მეგობარს, რომელსაც უძღვნა ეს წიგნი.
- ენიუსი, ანალები, 338.
- ენიუსი, ანალები, 334.
- ათენიდან თან გამოიყოლე... – ტიტუს პომპონიუსი 88-65 წლებში ცხოვრობდა ათენში, სადაც მან კარგი განათლება მიიღო, აქედან არის მისი ზედსახელი ატიკუსი.
- მალეღვებს, რაც თავად მე... – იგულისხმება კეისრის დიქტატორული რეჟიმი.
- ორივენი ვიმყოფებით... – ამ დროს ციცერონი 62 წლისა იყო, ხოლო ატიკუსი – 65 წლის.
- იგულისხმება თხზულებები: *სიკეთესა და ბოროტებაზე, ორატორის შესახებ, ღმერთთა ბუნებისათვის, ტუსკულური საუბრები*.



- 8 ტითონი, ტროის მეფის, ლაომედონტის ძე. მისი სატრფო, ქალღმერთი ეოსი, ზევსს შეევედრა უკვდავება მიენიჭებინა ტითონისთვის, მაგრამ დაავინყდა მარადიული სიჭაბუკეც ეთხოვა. ასე რომ, უკვდავი ტიფონი თანდათანობით სიბერემ დააძაბუნა.
- 9 არისტო ქიოსელი, ფილოსოფოსი, პერიპატეტიკოსი.
- 10 ე ტ ნ ა ზ ე მ ძ ი მ ე . . . – მითის თანახმად, ზევსმა მის წინააღმდეგ ამბოხებული გიგანტები დაამარცხა, ერთი მათგანი ეტნის მთის ძირას ჩაიმარხა.
- 11 17 წლამდე არის სიყმაწვილის, ყრმობის პერიოდი, 17-დან 46-მდე – ჭაბუკობის ხანა, მას მოსდევს ხანდაზმულობა, ე. ი. 46-დან 60-მდე, ბოლოს, 60 წლიდან – სიბერე.
- 12 გაიუს ლივიუს სალინატორი, კონსული 188 წ. სპურიუს პოსტუმუს ალბინუსი, კონსული 186 წ.
- 13 თემისტოკლე (თემისტოკლესი), ათენელი პოლიტიკური მოღვაწე, ათენის ფლოტის შემქმნელი, ბერძენ-სპარსელთა ომების მონაწილე, სალამინთან გამარჯვებული.
- 14 სერიფიელი, სერიფოსი, კიკლადური კუნძული.
- 15 ტარენტუმი, ქალაქი სამხრეთ იტალიაში.
- 16 პუბლიუს სემპრონიუს ტუდიტანუსი და მარკუს კორნელიუს ცეთეგუსი, კონსულები 204 წ.
- 17 ცინციუსის კანონი, მარკუს ცინციუს ალიმენტუსი, კონსული 204 წ. მისი კანონის თანახმად, დამცველებს ეკრძალებოდათ გასამრჯელოს ან საჩუქრის აღება.
- 18 ენიუსი, ანალები, XII, 370.
- 19 სპურიუს კარვილიუსი, კონსული 234 წ., 228 წ.
- 20 პ ი ც ე ნ ც ი ი ს ა და გ ა ლ ი ს . . . – პიკენტია(პიცენცია), ქალაქი კამპანიაში, გალია, რომის პროვინცია.
- 21 აუსპიციები (აუსპიკიები), მისნობა, რომლის რიტუალი ტარდებოდა სახელმწიფოში ყოველ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით: ომის დანყება იქნებოდა, თუ დიქტატორის დანიშვნა, კომიციების მოწვევა და სხვ. მას ხელმძღვანელობდა ქურუმი ავგური, რომელიც აკვირდებოდა ფრინველთა გადაფრენას, მათ ხმას, ნისკარტს, შიგნულს და ა. შ. და განმარტავდა, თუ რას მოასწავებდნენ ეს ნიშნები.
- 22 ვაჟის, კონსულარის, კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსის, კონსულის 213 წ.
- 23 სახოტბო სიტყვა; სამგლოვიარო პროცესიის დროს ჩერდებოდნენ ფორუმის წინ, სადაც წარმოთქვამდნენ მიცვალებულის სადიდებელ სახოტბო სიტყვას.

- 24 პლატონი, ცნობილი ფილოსოფოსი, აკადემიის დამაარსებელი, არისტოტელეს მოსწავლე. ისოკრატე (ისოკრატესი), ათენელი ორატორი, გორგიასისა და სოკრატეს მოსწავლე; *პანათიური*, მის მიერ წარმოქმნილი სახოტბო სიტყვა.
- 25 გორგიას ლენტიკელი, ათენელი რიტორი და სოფისტი.
- 26 ენიუსი, *ანალები* XII, 374.
- 27 კარგად უნდა გახსოვდეთ, ენიუსი როცა გარდაიცვალა, სციპიონი იყო 16, ლელიუსი კი – 17 წლის.
- 28 მანიუს აცილიუსი და ტიტუს ფლამინიუსი, კონსულები 150 წ.
- 29 ცეპიონი, გნეუს სერვილიუსი, კონსული 169 წ.
- 30 ვოკონიუსი, კვინტუს ვოკონიუს საქსა, სახალხო ტრიბუნი 169 წ., მან შემოიღო კანონი, რომელიც ქალებს ართმევდა მემკვიდრეობის მიღების უფლებას.
- 31 ფაბრიციუსები, კურიუსები, კორუნკანიუსები... – გაიუს ფაბრიციუს ლუსცინუსი, კონსული 282 წ. და 278 წ., მანიუს კურიუს დენტატუსი, კონსული 290 წ., 275 წ. და 274 წ., ტიბერიუს კორუნკანიუსი, კონსული 280 წ., უმაღლესი ქურუმი. ციცერონი ასახელებს მათ, როგორც სანიმუშო პიროვნებებს.
- 32 აბიუს კლავდიუსი ცეკუსი (კეკუსი), ცენზორი 312 წ., კონსული 307 წ. და 296 წ., მან გაიყვანა გზა რომიდან კაპუაში. იგი წინააღმდეგი იყო რომაელებს დადოთ ზავი ეპირის მეფე პირუსთან.
- 33 ენიუსი, *ანალები*, 202.
- 34 პუბლიუს კორნელიუს აფრიკელი (უფროსი) კონსული იყო 187 წ. და მეორედ 183 წ.
- 35 სენატუს – სენატი ლათინურად ნიშნავს *მოხუცთა სხდომას*.
- 36 ლაკედემონიაში, ე. ი. სპარტაში.
- 37 გნეიუს ნევიუსი, ძველი რომაელი პოეტი, ავტორი პოემისა *პუნიკური ომები*, ფრაგმენტი მისი თხზულებიდან.
- 38 ნევიუსი, ფრაგმენტი.
- 39 არისტიდესი, ლისიმაქე... – არისტიდესი, ათენელი სტრატეგოსი, არქონტი 489 წ., მარათონისა და სალამინის ბრძოლების მონაწილე; ლისიმაქე, არისტიდესის მამა.
- 40 სოფოკლეს, ძველი ბერძენი დრამატურგი. აქ გადმოცემული ამბავი სოფოკლეს შვილების შესახებ არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს.
- 41 ჩვენი წესების თანახმად, ე. ი. თორმეტი დაფის კანონების მიხედვით.
- 42 ჰომეროსი, პესიოდესი, სიმონიდესი, სტესიქორესი – ძველი ბერძენი პოეტები. სიმონიდესი იცოცხლა 90, სტესიქორესი – 85 წელი.



- ბერძენმა ფილოსოფოსმა, ატომური თეორიის შემქმნელმა, დემოკრიტემ (დემოკრიტესმა) იცოცხლა 104 წელი, სტოიკოსმა ძენონმა – 98, სტოიკოსმა კლევანთემ (კლევანთესმა) – 99 წელი, ქსენოკრატემ (ქსენოკრატესმა) – 82 წ., ისოკრატემ (ისოკრატესმა), პლატონის მიმდევარმა – 82 წელი.
- 43 საბინთა მხარე, რომის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რეგიონი. დიოგენე (დიოგენესი), ათენელი ფილოსოფოსი, სტოიკოსი.
- 44 ცეცილიუს სტაციუსი, ძველი რომაელი კომედიოგრაფი, ავტორი კომედიისა *სინეფებები (ჭაბუკი მეგობრები)*, ფრ. 210.
- 45 ცეცილიუსი, *ეფესელი*, ფრ. 28.
- 46 ცეცილიუსი, *მძივი*, ფრ. 173.
- 47 სოლონი, ათენელი კანონმდებელი, არქონტი 594 წ., 593 წ.
- 48 მილონ კროტელი, სახელგანთქმული ათენელი ათლეტი.
- 49 პუბლიუს ლიცინიუს კრასუსი, უმაღლესი ქურუმი 205 წ.
- 50 გნეუს კორნელიუს სციპიონი კალვუსი, კონსული 222 წ.; პუბლიუს კორნელიუს სციპიონი, კონსული 218 წ. ძმები. დაიღუპნენ ესპანეთში 212 წ. კართაგენის წინააღმდეგ ომში. პუბლიუს სციპიონის ვაჟი იყო პუბლიუს სციპიონ აფრიკელი (უფროსი). პუბლიუს სციპიონ აფრიკელის (უფროსის) ვაჟმა იშვილა ემილიუს პაულუს მაკედონელის ვაჟი, რომელსაც ეწოდა პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიანუსი.
- 51 ქსენოფონტე, სოკრატეს მოსწავლე, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, მას ეკუთვნის თხზულება *კიროსის აღზრდა*.
- 52 ლუციუს ცეცილიუს მეტელუსი, კონსული 251 წ., 247 წ., უმაღლესი ქურუმი.
- 53 ნესტორი, პილოსის მეფე, *ილიადა* I, 150, *ოდისეა*, III, 245.
- 54 ჰომეროსი, *ილიადა* I, 249.
- 55 ელინთა სახელგანთქმული სარდალი, აგამემნონი, აიაქსი, ტელამონის ძე, ტროის ომის მონაწილე. ჰომეროსი, *ილიადა*, II, 370.
- 56 თერმოპილე, თესალიიდან ლოკრიდაში გადასვლელი ვიწრო ხეობა.
- 57 მანიუს აცილიუს გლაბრიონი, კონსული 191 წ. დაამარცხა ანტიოქე III თერმოპილესთან.
- 58 კურია, კურიის სხდომათა ადგილი; როსტრა, ადგილი ფორუმის წინ, სადაც სახალხო კრებები იმართებოდა.
- 59 ტიტუს პონციუსი, ცნობილი იყო ფიზიკური ძალით, ათლეტი მილონი მის მოწაფედ ითვლებოდა.
- 60 ნუმიდიის მეფე მასინისამ III პუნიკური ომის დროს უმასპინძლა



- სციპიონ ემილიანუსს, II პუნიკური ომის დროს – სციპიონ აფრიკელს (უფროსს).
- 61 ხმელ-ხმელი კაცი – სიგამხდრეს მიიჩნევდნენ ჯანმრთელობის ნიშნად.
- 62 აპიუს კლავდიუსის, 312 წ. ცენზორის სამი ვაჟი კონსულები იყვნენ, მეოთხე, ტიბერიუს კლავდიუს ნერონი იყო იმპერატორ ტიბერიუსის ნინაპარი.
- 63 მოხუცს შეეძლო თავისი ქონება (უფლება ქონების განკარგვისა) მან-ციპაციის წესით გადაეცა სხვისთვის.
- 64 *საწყისები* (Origines), ციცერონის თხზულება.
- 65 არქიტას ტარენტელი, პითაგორელი, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, მათემატიკოსი, პლატონის მეგობარი.
- 66 კავდინუსის ბრძოლა – კავდიუმი, ქალაქი სამნიუმში, სადაც მოხდა შეტაკება სამნიტებსა და რომაელებს შორის 321 წ. დამთავრდა იგი რომაელების მარცხით.
- 67 ნეარქუსი, პითაგორელი.
- 68 ლუციუს კამილუსი და აპიუს კლავდიუსი, კონსულები 349 წ.
- 69 მრუშობა აღეკვეცე, – ეს მოხდა 184 წელს, როცა კატონი იყო ცენზორი ვალერიუს ფლაკუსთან ერთად. ლუციუს კვინციუს ფლამინიუსი იყო პროკონსული 192 წ., ტიტუს ფლამინიუსი – ცენზორი 189 წ.
- 70 როცა პირუსთან იყო... – ეს მოხდა 280 წელს. კინეა, რიტორი.
- 71 პუბლიუს დეციუს მუსი (შვილი), კონსული 312, 308, 297 წლებში, II სამნიტური ომის მონაწილე, მისი მამა იბრძოდა I სამნიტური ომის დროს, თავი გასწირა სამშობლოსთვის.
- 72 ბოროტების სატყუარა, პლატონი, *ტიმეოსი* 67.
- 73 გაიუს დუელიუსი (დუილიუსი), კონსული 260 წ. I კართაგენულ ომში მოიგო საზღვაო ბრძოლა.
- 74 წმინდა იდას დღესასწაული, ღმერთების დიდი დედა, კიბელე, ფრიგიული ქალღმერთი, მისი კულტი გავრცელდა რომში, მას შემდეგ, რაც 204 წელს დაწესდა მისი დღესასწაული, რადგან სიბილას წიგნებში ამოკითხული მინიშნების თანახმად, რომაელები ჰანიბალს მხოლოდ ამ უცხო ღვთაების შემოტანის შემდეგ დაამარცხებდნენ. *ამხანაგობა* (sodalitates), რომაელ მოქალაქეთა ტრიბებში გაერთიანება, რომელსაც უმეტესად საკულტო დანიშნულება ჰქონდა, დაარსდა 205 წ. შემდეგ მას პოლიტიკური მიზნებისთვისაც იყენებდნენ (არჩევნების დროს ხმების მოსაპოვებლად).

- 75 მხარ-თეძოზე წამოწოლილი – რომაელები ლხინის დროს ტახტებზე იყვნენ წამოწოლილი, მარცხენა ხელზე დაყრდნობილები.
- 76 ლათინური სიტყვის, *კონვივიუმის* სიტყვასიტყვითი თარგმანი არის ერთად ცხოვრება.
- 77 *კომპოტაციუმი* (ერთად სმა) და *კონცენაციო* (კონკენატიო, თანამე-ინახენი) ბერძნული *სიმპოსიონის* თარგმანია.
- 78 *თამადობა*, ორიგინალში არის *მაგისტერია*, *მაგისტერ* ნიშნავს ზოგადად *მასწავლებელს*, *ხელმძღვანელს*, *magister cenae* იგივეა, რაც *თამადა*, სუფრის ხელმძღვანელი.
- 79 ქსენოფონტი, *სიმპოსიონი II*, 26.
- 80 ლუციუს ამბივიუს ტურპიონი, მსახიობი, მონაწილეობდა ძირითადად ტერენციუსის კომედიებში.
- 81 გაიუს სულპიციუს გალუსი, სამხედრო ტრიბუნი ლუციუს ემილიუს პაულუს მაკედონელის დროს, კონსული 166 წ., ასტრონომი.
- 82 ტიტუს მაკციუს პლაუტუსი, ძველი რომაელი კომედიოგრაფი.
- 83 ლუციუს ლივიუს ანდრონიკუსი, ძველი ლათინურენოვანი მწერალი, ყოფილი ბერძენი ტყვე, რომელსაც თავისუფლება მიანიჭა ლუციუს ლივიუს სალინატორმა, ლათინურად თარგმნა *ოდისეა*, დაწერა კომედიები და ტრაგედიები.
- 84 გაიუს კლავდიუს ცენტონი (კენტონი) და მარკუს სემპრონიუს ტუდიტანუსი, კონსულები 240 წ.
- 85 პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ნაზიკა კორკულუმი, კონსული 162 წ., 155 წ., უმაღლესი ქურუმი 150 წ., არ ემხრობოდა კართაგენის განადგურებას.
- 86 დარწმუნების ოსტატი, ენიუსი, *ანალები*, IX, 308.
- 87 დაფარავს ანუ დაფარცხავს – ციცერონი სიტყვებს: *დაფარცხვას* (*occatio*) და *დაფარვას* (*occaecare*) ერთმანეთთან აკავშირებს.
- 88 წარმოგვიდგენს ლაერტესს, ჰომეროსი, *ოდისეა*, XXIV, 226.
- 89 პირუსზე გამარჯვება იზეიმა – იგულისხმება ტრიუმფები სამნიტებზე გამარჯვების შემდეგ 290 წ. და 275 წ.
- 90 რომელთაც ის არა აქვს – ენიუსი, *ანალები*, XII, 373.
- 91 დიქტატორი გახდა – ლუციუს კვინციუს ცინცინატუსი თავის მამულში მიწას ხნავდა, როცა მას აუწყეს, რომ დიქტატორად იყო არჩეული.
- 92 გაიუს სერვილიუს აპალა, დიქტატორ ცინცინატუსის მომხრე, მოკლა რომაელი მხედარი, რომელსაც ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურდა.



- 93 ვიატორები, სიტყვასიტყვით ნიშნავს *გ ზირს (შიკრიკს)*.
- 94 *ეკონომიკუსი* (ოჯახური მეურნეობის შესახებ), რომელიც თარგმნა ციცერონმა.
- 95 კრიტობოლუსი, სოკრატეს თანამოაზრე.
- 96 ილბალიც შენთან არისო – კიროს უმცროსი დაეხმარა სპარტელ ლისანდრეს, საზღვაო ფლოტის სარდალს პელოპონესურ ომებში.
- 97 მარკუს ვალერიუს კორვინუსი, ექვსგზის კონსული, 348-299 წლებში.
- 98 ეს დრო (46 წელი) – 46 წლიდან ძირითადად აღარ ირჩევდნენ სამხედრო სამსახურში, 46-დან 60 წლამდე ითვლებოდა შუა ასაკად, შემდეგ ინწყებოდა სიბერე.
- 99 აელუს ატილიუს კალატინუსი, კონსული 258 და 254 წწ., დიქტატორი 249 წ. ელოგიუმი, სახოტბო წარწერა.
- 100 მარკუს ემილიუს ლეპიდუსი, კონსული 187 წ., 175 წ.
- 101 იგულისხმებიან: ლუციუს ემილიუს პაულუს მაკედონელი, პუბლიუს სციპიონ აფრიკელი (უფროსი) და კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსი.
- 102 თქვენს კოლეგიაში – ავგურთა კოლეგია, რომლის წევრებიც იყვნენ: სციპიონ ემილიანუსი და გაიუს ლელიუსი.
- 103 ადელფები (ძმები), ტერენციუსის კომედია.
- 104 ვაჟიშვილის... შენი ძმების – სციპიონის ძმები დაილუპნენ, როცა მათმა მამამ, ლუციუს ემილიუს პაულუს მაკედონელმა ტრიუმფი გადაიხადა.
- 105 ტარტესი, ფინიკიელების კოლონია ესპანეთში, მისი მთავარი ქალაქი გადესი.
- 106 არგანთონიუსი, იხ. ჰეროდოტე, *ისტორია*, I, 16.
- 107 ტაში დაუკარით – პლავტუსისა და ტერენციუსის კომედიები მაყურებლისადმი ასეთი მიმართვით მთავრდება.
- 108 პისისტრათე, ათენელი ტირანი.
- 109 იმპერატორის – ეს იყო საპატიო სამხედრო წოდება, რომელსაც ანიჭებდნენ (მეომრები, ან სენატი) მხედართმთავარს.
- 110 ენიუსი, ეპიგრამა, ფრ. 17.
- 111 ლუციუს იუნიუს ბრუტუსი, რომის უკანასკნელი მეფის, ტარკვინიუს ამაციის წინააღმდეგ მებრძოლი, დაილუპა ამ ბრძოლაში, რომის პირველი კონსული 509 წ. ორივე დეციუსი, იგულისხმებიან: პუბლიუს დეციუს მუსი, მამა-შვილი.
- 112 მარკუს ატილიუს რეგულუსი, კართაგენელთა მიერ დატყვევებული; იგი გააგზავნეს რომაელებთან, რათა დაერწმუნებინა ისი-



- ნი, დათანხმებულიყვნენ ზავის პირობებზე და ტყვეთა გაცვლაზე. ატილიუსმა კი წააქეზა რომაელები, არ მიეღოთ მტრის მიერ შემოთავაზებული ზავის პირობები. იგი დაბრუნდა კართაგენში, თუმცა იცოდა, რომ ამისთვის მკაცრად დასჯიდნენ.
- 113 მარკუს კლავდიუს მარცელუსი, ხუთგზის კონსული 222-208 წლებში. 212 წ. აიღო სირაკუზი, დაეცა 208 წელს ჰანიბალთან ბრძოლაში, რომელმაც მისი ფერფლი ვერცხლის ურნით გაუგზავნა დაღუპულის ვაჟს.
- 114 პითაგორა, ძვ. წ. VI ს. ფილოსოფოსი კუნძულ სამოსიდან, რომელიც საგანთა არსს რიცხვებში ხედავდა, მას ეკუთვნის მეტაფიზიკოზის (სულთა გადასახლების) თეორია, VI ს. მინურულს იგი სამხრეთ იტალიაში გადასახლდა, ამიტომ უწოდებს მას ციცერონი თანამემამულეს.
- 115 სოკრატე, ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის მასწავლებელი.
- 116 ვაჟები, კამბიზი და ტანაოქსარი.
- 117 მამა – ლუციუს ემილიუს პაულუს მაკედონელი, ორი პაპა – ლუციუს ემილიუს პაულუსი, კონსული 219 წ. და 216 წ. და სციპიონ აფრიკელი (უფროსი), სციპიონ უფროსის მამა და ბიძა: პუბლიუს კორნელიუს სციპიონი, კონ. 218 წ, და გნეუს კორნელიუს სციპიონ კალვუსი, კონ. 222 წ.
- 118 პელიასივით – არგონავტთა თქმულების მიხედვით, მედეამ მოხარშა პელიასი, იასონის ბიძა, ვითომდა სურდა ჭაბუკად ექცია იგი.

ლელიუსი მეგობრობის შესახებ

დიალოგი „ლელიუსი მეგობრობის შესახებ“ იმავე წელსაა შექმნილი, როცა დაიწერა „კატონი სიბერის შესახებ“, ე. ი. 44 წ., ოღონდ ცოტა მოგვიანებით. ისიც ეძღვნება ციცერონის მეგობარს, ატიკუსს. ამ თხზულებაშიც მორალურ საკითხებზე არის მსჯელობა, კერძოდ: რა არის მეგობრობა, როდის ჩნდება იგი, რა ადგილი უჭირავს მას ადამიანთა ცხოვრებაში და ა. შ. დიალოგში მონაწილეობენ: გაიუს ლელიუსი (უმცროსი), კონსული 140 წ., სამართალმცოდნე, III პუნიკური ომის მონაწილე, რომელსაც თანამედროვეებმა ბრძენი უწოდეს. კვინტუს მუციუს სცევოლა ავგური (ავგური უწოდეს, რომ განესხვავებინათ თავისი ძმისშვილისაგან, კვინტუს მუციუს სცევოლასაგან, უმაღლესი ქურუმისაგან), რომელიც იყო კონსული 117 წ., სიძე ლელიუსისა და ლელიუსის მეორე სიძე, გაიუს ფანიუს სტრაბონი, კონსული 122 წ.



- 1 ტოგა, რომაელ მამაკაცთა ზედა ტანსაცმელი, ვაჟები 17 წლამდე ატარებდნენ მენამულქობიან ტოგას, შემდეგ კი – თეთრს. ეს ნიშნავდა, რომ ისინი უკვე სრულუფლებიანი მოქალაქენი ხდებოდნენ, შეჰყავდათ ტრიბების სიაში.
- 2 პემიკიკლიუმი, მომგრვალეული ოთახი, სადაც იღებდნენ მეგობრებს სასაუბროდ.
- 3 პუბლიუს სულპიცისი, სახალხო ტრიბუნი 88 წ. მან შემოიღო კანონი, რომლის მიხედვით ხდებოდა მოქალაქეთა განაწილება 35 ტრიბში.
- 4 კვინტუს პომპეუს რუფუსი, კონსული 88 წ.
- 5 იგულისხმება ციცერონის დიალოგი *კატონი სიბერის შესახებ*.
- 6 ლუციუს აცილიუსი, შესაძლოა, კატონის თანამედროვე იყო.
- 7 კოგნომენი, ზედსახელი, რომელიც ჩვეულებრივ ინერებოდა პრენომენისა და ნომენის შემდეგ.
- 8 შვიდი ბრძენი: ბიანტი(ბიასი) პრიენელი, კლეოპულოს კრეტელი, ქილონ სპარტელი, პერიანდრე კორინთელი, პიტაკოს მიტილენელი, სოლონ ათენელი, თაღეს მილეტელი.
- 9 იგულისხმება სოკრატე.
- 10 ნონები, მეზუთე (მარტში, მაისში, ივლისში, ნოემბერში) ან მეშვიდე დღე (დანარჩენ თვეებში). ციცერონამდე ავგურები ყოველი თვის ნონებში იკრიბებოდნენ.
- 11 იუნიუს დეციმუს ბრუტუსი, კონსული 138 წ.
- 12 კ ა ტ ო ნ ი – მარკუს პორციუს ლიცინიანიუს კატონი.
- 13 პ ა უ ლ უ ს ი – ლუციუს ემილიუს პაულუს მაკედონელი, კონ. 182 წ., 168 წ. გაიუს სულპიცისი გალუსი, სამხედრო ტრიბუნი ლუციუს ემილიანუსის დროს, კონსული 166 წ., ასტრონომი.
- 14 იგულისხმება სოკრატე.
- 15 ბ რ ძ ე ნ ი ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ს ... ე. ი. სტოიკოსების.
- 16 დ რ ო უ ლ ა დ ... – ვილიუსის კანონის თანახმად, რომაელ მოქალაქეს მხოლოდ სამხედრო სამსახურის შემდეგ ირჩევდნენ სახელმწიფო სამსახურში მაღალ თანამდებობაზე, 27 წლის ასაკში; კორნელიუსის კანონის მიხედვით კი 29 წლის ადამიანს შეეძლო ასეთი თანამდებობის დაკავება.
- 17 ო რ ი ქ ა ლ ა ქ ი ს ... – ე. ი. კართაგენისა და ნუმანციის.
- 18 გ უ ლ უ ხ ვ ო ბ ი თ ... – სციპიონმა დედის, პაპირიას გამო (რომელიც ქმართან, ლუციუს ემილიუს პაულუსთან გაყრილი იყო), უარი თქვა ფულზე, რაც მას დაუტოვა სციპიონ უფროსის ქვრივმა, ეს ფული დედის გარდაცვალების შემდეგ თავის დებს აჩუქა.



- 19 იხ. დიალოგი *კატონი სიბერის შესახებ*.
- 20 როგორ გარდაიცვალა... – ეჭვობდნენ, რომ სციპიონ ემილიანუსი მონამლეს ტიბერიუს გრაკუსის თანამოაზრეებმა. წინა დღით იგი გამოვიდა სენატში გაიუს პაპირიუს კარბონის წინააღმდეგ, რომელიც აგრარულ რეფორმას უჭერდა მხარს, მეორე დღეს სციპიონი მკვდარი იპოვეს სანოლში.
- 21 მოკავშირეები ეწოდებოდათ იტალიის ქალაქებს, რომელთაც ხელშეკრულება ჰქონდათ რომთან, მათ ევალეზოდან ლაშქრობის დროს დახმარებოდნენ რომს. უპირველესად ლაციუმი გაერთიანდა რომის კავშირში, მათ თითქმის ისეთივე უფლებები ჰქონდათ, როგორიც რომაელ მოქალაქეებს.
- 22 სულცი ილუპება... – იგულისხმება ეპიკურელთა შეხედულება.
- 23 მიცვალებულებს პატივი მიანიჭეს. რომაელები პატივს მიაგებდნენ მანებს (გარდაცვლილ წინაპართა სულებს).
- 24 დიდი საბერძნეთი, სამხრეთ იტალია.
- 25 იგ. კელავ სოკრატე.
- 26 ფურიუს ლუციუს ფილუსი, კონ. 136 წ., მანილიუს მანიუს ნეპოტი, კონ. 149 წ.
- 27 იგულისხმებიან: ორესტე და პილატი, აქილეესი და პატროკლე, თესევსი და პირითოუსი, შვიძლება – დამონი და პითიუსიც.
- 28 იგულისხმებიან ბერძენი ფილოსოფოსები და რიტორები.
- 29 იგულისხმებიან გაიუს ფაბრიციუს ლუსცინუსი, კონ. 282 წ., 278 წ., მარკუს კურიუს დენტატუსი, კონ. 290 წ., 275 წ., 274 წ., ტიბერიუს კორუნკანიუსი, კონ. 280 წ.
- 30 იგულისხმებიან ლუციუს ემილიუს პაულუს მაკედონელი, გაიუს სულპიციუს გალუსი, ლუციუს ფურიუს ფილუსი.
- 31 ენიუსი, ფრ. 17.
- 32 წყლისა და ცეცხლის არმიწოდება მოქალაქეობრივი უფლების ჩამორთმევას ნიშნავდა.
- 33 აგრიგენტელი, ე. ი. ფილოსოფოსი ემპედოკლე, რომლის მოძღვრების თანახმად, მსოფლიო 4 ელემენტისაგან შედგებოდა: ჰაერის, წყლის, მიწისა და ცეცხლისაგან.
- 34 მარკუს პაკუვიუსი, III ს. რომაელი პოეტი, ტრაგიკოსი, საუბარია მის ტრაგედიაზე, რომელსაც საფუძვლად დაედო ევრიპიდეის ტრაგედია *იფიგენია ტაურიდში*.
- 35 amor – სიყვარული, amicitia – მეგობრობა.



- 36 ტარკვინიუს ამაყი, რომის უკანასკნელი მეფე. სპურიუს კასიუს ვეცელინუსი, კონ. 502 წ., 493 წ., 486 წ. მას სურდა გაეტარებინა კანონი, რომლის თანახმად, პლებს უნდა დარიგებოდა სახელმწიფო მიწები. სპურიუს ბრალი დასდეს ძალაუფლებისათვის ბრძოლაში და დასაჯეს. სპურიუს მელიუსი, რომაელი მხედარი, რომელიც დასაჯა სერვილიუს აპალამ. იხ. *სიბერის შესახებ*, 56.
- 37 პირუსი, ეპიროსის მეფე, აქ იგულისხმება 282-272 წლების ომი. ჰანიბალი, კართაგენელი მთავარსარდალი.
- 38 იგ. ეპიკურეს მიმდევარნი.
- 39 კორიოლანუსი გენიუს მარციუსი, იბრძოდა ტარკვინიუსის წინააღმდეგ, შემდეგ გადავიდა ვოლსკების (რომის მეზობელი ტომების) მხარეზე და დაიძრა ლაშქრით რომისკენ.
- 40 მეფობისათვის მებრძოლი კასიუს ვეცელინუს სპურიუსი, კონ. 502 წ., 493 წ., 486 წ., მეფობისათვის, ე. ი. ტირანიისათვის ბრძოლა.
- 41 კვინტუს ემილიუს ტუბერონი, ლუციუს ემილიუს პაულუსის შვილიშვილი, პრეტორი 123 წ., კონ. 118 წ., გრაკქუსების მოწინააღმდეგე.
- 42 ბლოსიუს კუმელი, ფილოსოფოსი, სტოიკოსი, ტიბერიუს გრაკქუსის თანამოაზრე.
- 43 ტიტუს პოპილიუს ლენატუსი და პუბლიუს რუპილიუსი, კონ. 132 წ., ტიბ. გრაკქუსის რეფორმის მოწინააღმდეგე.
- 44 კვინტუს ემილიუს პაპიუსი და გაიუს ფაბრიციუს ლუსცინუსი, კონ. 282 წ., 278 წ.
- 45 გაიუს პაპირიუს კარბონი, სახალხო ტრიბუნი 131 წ., ტიბერიუს გრაკქუსის თანამოაზრე.
- 46 გაიუს პორციუს კატონი, კონ. 114 წ., პორციუს ცენზორიუს კატონის შვილიშვილი.
- 47 გაიუს სემპრონიუს გრაკქუსი, სახალხო ტრიბუნი 131 წ.
- 48 რამდენიმე თვე იმეფა... – ნობილიტეტი ბრალს სდებდა ტიბერიუს გრაკქუსს დიქტატურისაკენ სწრაფვაში.
- 49 გაბინიუსის კანონით (შემოიღეს 139 წ), მაგისტრატთა არჩევნები ფარული კენჭისყრით ტარდებოდა.
- 50 კასიუსის კანონი (შემოღებული 137 წ.) ეხებოდა სასამართლოს.
- 51 როგორც ჩანს, იგულისხმება პოპულარებისა და ოპტიმატების დაპირისპირება.
- 52 უჩვეულო მსჯელობანი – იგულისხმება სტოიკოსების პარადოქსები.



- 53 დიდებული სიბრძნე – ირონიით, ეპიკურელთა მოძღვრება.
- 54 ბედი ბრმაა, ლათინური გამოთქმა.
- 55 ენიუსი, ჰეკუბა, ფრ. 210.
- 56 ერთი ფუთი მარილი, ლათინურ ტექსტში არის: მრავალი მოდიუმი (მოდიუმი = 8,75 ლ.) მარილი.
- 57 თუნდაც მთაგორიან ადგილას – როგორც ჩანს, აქ იგულისხმება არა ცნობილი ვილები, ან პრესტიჟული ადგილები, არამედ სოფლის მიდამოები, მიყრუებული ადგილები.
- 58 კვინტუს მაქსიმუს ფაბიუს ემილიანუსი, უფროსი ვაჟი ემილიანუს პაულუს მაკედონელის, რომელიც იშვილა კვინტუს მაქსიმუს ფაბიუსმა, უმცროსი ვაჟი კი – სციპიონ ემილიანუსი – სციპიონ აფრიკელის (უფროსის) ვაჟმა.
- 59 პედაგოგი, ასე ერქვა მონას, რომელსაც სკოლაში მიჰყავდა პატრონის ვაჟი.
- 60 ნეოპტოლემოსი, აქილევსისა და დეიდამეას ვაჟი, რომელიც იზრდებოდა სკიროსზე პაპასთან, ლიკომედოსთან.
- 61 კვინტუს პომპეუს ნეპოტი, კონ. 141 წ. იგი თითქოს შეჰპირებია დახმარებას ლელიუსს საკონსულო არჩევნებში და შემდეგ თავად მოუწოდებია კონსულობა. კვინტუს ცეცილიუს მეტელუსი, კონ., 143 წ.
- 62 მეორე მე, ალტერ ეგო, ლათინური გამოთქმა, ნიშნავს მეგობარს.
- 63 გაკეთებულის გაკეთება (rem actam agere), ლათინური გამოთქმა.
- 64 ტიმონ ათენელი, V ს. ფილოსოფოსი.
- 65 არქიტას ტარენტელი, IV ს. სახელმწიფო მოღვაწე, სარდალი, მათემატიკოსი.
- 66 ტერენციუსი, *ანდროსელი ქალი*, X, 1, 99.
- 67 გნათონი, ტერენციუსის კომედიის, *საჭურისის* პერსონაჟი.
- 68 გაიუს პაპირიუს კარბონი, იხ. *მეგობრობაზე*, 39.
- 69 ციტატა ტერენციუსის *საჭურისიდან*.
- 70 ცეცილიუს სტაციუსის *მემკვიდრე*.
- 71 აელუს ვერგინიუსი, სამართალმცოდნე.

„მსოფლიო ლიტერატურა უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე

• ანტიკური მწერლობა •

- | | | |
|-----------------------------|---------------------------------|--------------------------|
| 1. ჰომეროსი | პროზა | 24. პლუტარქოსი |
| 2. ჰომეროსი | 16. ქსენოფონი | 25. პლუტარქოსი |
| 3. ჰომეროსი | 17. ჰესიოდე. | 26. პლუტარქოსი |
| 4. ძველი ბერძნული
ლირიკა | ბაყაყებისა და
თაგვეების ომი. | 27. ლუკიანოსი |
| 5. პინდაროსი | აპოლონიოს | 28. მარკუს
ავრელიუსი. |
| 6. პეროდოტე | როდოსელი | ფსევდო-ლონგინე |
| 7. თუკიდидე | 18. ელინისტური | 29. აპიანე. |
| 8. ესქილე | და რომაული | სეეტონიუსი |
| 9. სოფოკლე | კომედია | 30. ლონგოსი. |
| 10. ევრიპიდე | 19. ციცერონი | ჰელიოდოროსი |
| 11. არისტოფანე | 20. გაიუს სალუს- | 31. პეტრონიუსი. |
| 12. პლატონი | ტიუს კრისპუსი | ლუკიუს ანელს |
| 13. პლატონი | 21. ვერგილიუსი | სენეკა. |
| 14. პლატონი | 22. ოვიდიუსი | სეკუნდუსი |
| 15. ძველი ბერძნული | 23. რომაული პოეზია | 32. აპულეიუსი |

• აღმოსავლური კლასიკური მწერლობა •

- | | | |
|--------------------------------------|------------------------------------|---------------------------------------|
| 33. ძველი შუამდინა-
რული მწერლობა | არაბული პოეზია
და პროზა | 45. სეი შონაგონი.
მურასაკი შიკიბუ. |
| 34. ძველი აღმოსავ-
ლური მწერლობა. | 39. შეჰერაზადას
ზღაპრები | ნიჯო |
| ძველი ეგვიპტე. | 40. სპარსული კლასი-
კური პოეზია | 46. ნიზამი განჯელი |
| ძველი მცირე
აზია. | 41. ფირდოუსი | 47. თუთი-ნამე. |
| ძველი ირანი | 42. მოლა ნასრედინის
ოხუნჯობანი. | ქაშეფი |
| 35. ძველი ინდური
პოეზია და პროზა | დედე ქორქუთის
ნიგნი. | 48. სიბრძნე ბალაჰვა-
რისი. |
| 36. ძველი ჩინური
პოეზია | მიჰრი ხათუნი | თიმსარიანი. |
| 37. კალიდასა | 43. ვისრამიანი | მეფეთა სალარო |
| 38. შუა საუკუნეების | 44. საადი შირაზელი. | 49. ქილილა და
დამანა |
| | | 50. შუა საუკუნეების
ებრაული პოეზია |